

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ვოთა რუსთაველის სახელობის
ლიტერატურის ინსტიტუტი

მარინა ჯანიანი

**დავით ჩოტუას
მემორებსა და შემოქმედებს**



გამომცემლობა „ენივერსალი“
თბილისი – 2005

დავით ჩქოტუა იმ გენეტიკურ აფხაზთა შტოს განეკუთვნება, ვინც ალექსანდრე შარვაშიძის მსგავსად თამამად უცხადებდა საქართველოს მტრებს, რომ ქართველი თავადი იყო, რომ საქართველოს და არა „რუსეთის აფხაზეთის“ წიალიდან მოდიოდა. ამიტომაც მარინე ჯაიანის ამ მონოგრაფიის აქტუალურობა არა მხოლოდ დავით ჩქოტუას ლიტერატურულ-ესთეტიკური ნააზრევის შესწავლით განისაზღვრება. ამ ტრაგიკული პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის აქამდე გაუხმაურებელი დეტალების სააშკარაოზე გამოტანით ავტორი სცილდება ლიტერატურული ინტერესების სამანებს, რადგან დავით ჩქოტუას მსგავს მოღვაწეთა არსებობა ყოველთვის იქნება ხელისშემშლელი ფაქტორი ქართულ-აფხაზური ურთიერთობების რღვევის მოსურნეთათვის.

წიგნის მეორე ნაწილი ეთმობა დავით ჩქოტუას ლიტერატურულ და საენათმეცნიერო ნაშრომებს, მის წერილებს მიძღვნილს განათლების, ეთნოგრაფიისა და იმ დროისათვის საჭირობოროტო სხვადასხვა საკითხებისადმი. წიგნში აგრეთვე შეტანილია ნინო ანდრეევსკაიას მკვლევლობის საქმესთან დაკავშირებული ოქმები და მასალები, რომელიც მონოგრაფიის ავტორის მიერ მაქსიმალური სიზუსტით არის მოძიებულ-აღნუსხული.

რედაქტორი – სალომე კაპანაძე
ფილ. მეცნ. კანდიდატი, დოცენტი

რეცენზენტები: ნესტან სულაშა
ფილ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი

ქეთევან ბაჟრინიძე-აგბიძე
ფილ. მეცნ. კანდიდატი, დოცენტი

უძძღვნი ძვირფასი მშობლების —
ეთერი ბაგრატიის ასულ გელენავას და
ლუდა ასთამურის ძე ჯაიანის ნათელ ხსოვნას

დავით ჩქოტუას ხსოვრების გზა

„დავით ჩქოტუა მე-19 საუკუნის ქართული კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. ის იყო პირველი სწავლული აფხაზთაგანი, რომელმაც განათლება რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მიიღო და ერის აღორძინების დიდ საგანმანათლებლო ასპარეზზე უშურველი მოღვაწეობით ისახელა თავი“.⁵⁷ დავით ჩქოტუა იყო ქართველ სამოციანელთა უმცროსი თაობის წარმომადგენელი, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე, რადიკალურად მოაზროვნე პუბლიცისტი, ნიჭიერი ჟურნალისტი, სწავლა-განათლების დაუცხრომელი პროპაგანდისტი, უზადო მეცნიერი. დ. ჩქოტუა იყო შესანიშნავი არა მარტო როგორც საზოგადო მოღვაწე, არამედ, როგორც გულწრფელი, გულკეთილი, კეთილშობილი ადამიანი, რომელიც თავის გარშემო მხოლოდ სიკეთეს და სიყვარულს თესავდა. ის ეკუთვნოდა იმგვარ ადამიანთა ჯგუფს, რომელნიც თავის მოძმეთ ცხოვრების მძიმე ტვირთს უმსუბუქებენ. ადვილი წარმოსადგენია მისი დამსახურება, თუ გასული საუკუნის გამორჩეული ქართველი მწერლები და მშობელი ერის ფიქრთა მპყრობელნი — ილია ჭავჭავაძე და მისი თაობა — მას საიმედო თანამებრძოლად და ერთგულ მეგობრად თვლიდნენ. „დავით ჩქოტუა, როგორც წარმოშობით, ისე აღზრდითა და მიმართულებით ეკუთვნოდა ქართველ ფეოდალურ ინტელიგენციას, უფრო ამ ინტელიგენციის ლიბერალურ ფრთას“.⁶⁵

დავით ჩქოტუა დაიბადა ისტორიული სამურზაყანოს სოფელ საბერიოში (ამჟამად გალის რაიონი). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში

დაცულ დავით ჩქოტუას არქივში არის მეტრიკული ამონაწერი მისი დაბადების შესახებ. ამ ცნობის მიხედვით, მაიორ ზურაბ მანუჩარის ძე ჩქოტუას ვაჟიშვილი დავით (იგივე მანუჩარ) ჩქოტუა დაბადებულა 1849 წლის 11 იანვარს სამურზაყანოს სოფელ საბერიოში და მოუნათლავთ მომდევნო წლის 15 დეკემბერს.²⁰

ეს ის დრო იყო, როცა სამეგრელოს დავით დადიანი ფლობდა და სამურზაყანო ცილობის ვაშლად იყო ქცეული აფხაზეთის მთავარსა და მას შორის.

სამურზაყანოს მთავრები ისტორიულად შარვაშიძეები იყვნენ. ცნობილია, „რომ შარვაშიძეთა საგვარეულო ერთ-ერთი უძველესი სამთავრო საგვარეულოა და, ბუნებრივია, მას ახასიათებდა ყველა ის თვისება, რაც შუა საუკუნეების ძლიერი და გავლენიანი ფეოდალური ოჯახებისათვის იყო ნიშანდობლივი“.⁶⁵

XVI საუკუნიდან აფხაზეთში მსხვილი მიწათმფლობელები იყვნენ დიდი ფეოდალის ზეგნაყ შარვაშიძის შთამომავლები. მისმა შვილებმა როსტომმა, ჯიქებამ და ყვაპმა გაინაწილეს აფხაზეთის ტერიტორია. უფროს ძმას, როსტომს, წილად ხვდა მდინარე ბზიფსა და მდინარე კოდორს შუა მდებარე ტერიტორია. მის უმცროს ძმას — ჯიქებიას — მდინარე კოდორსა და მდინარე ლალიძგას შორის მდებარე მამულები, ხოლო ყველაზე უმცროსი — ყვაპუ-მდინარეების — ლალიძგასა და ენგურს შორის განლაგებული ტერიტორიის მფლობელი გახდა. ამ უკანასკნელის სამფლობელოში შედიოდა აგრეთვე დღევანდელი წალენჯიხისა და ზუგდიდის რაიონის სოფლები ფახულანი და კოკი (ბორბალო). ყვაპუს გარდაცვალების შემდეგ სამთავროს მთავარი გახდა მისი მემკვიდრე მურზაყანი. იგი გამოირჩეოდა მამაცობითა და გულადობით, მუდამ ხმალშემართული იბრძოდა თავისი სამფლობელოს დასაცავად, ერთგვარ ზრუნვას იჩენდა მოსახლეობის მიმართ. ამან

განაპირობა ის ფაქტი, რომ მურზაყანის პატივსაცემად მის სამფლობელოს სამურზაყანო უწოდა ხალხმა. სამურზაყანოს ცენტრი ბედია იყო (იქ, სადაც ამჟამად ბედიის მონასტერია — მ.ჯ.).

სამურზაყანოს უკანასკნელი მთავარი იყო მურზაყანის შვილიშვილი მანუჩარ ხუტუნიას ძე შარვაშიძე. იგი 1840 წელს გრდაიცვალა. მის შემდეგ სამურზაყანოში რუსული მმართველობა დამყარდა. ამ მხარეს ბოქაულები მართავდნენ. სამურზაყანოში შარვაშიძეები მხოლოდ სამ სოფელში ცხოვრობდნენ — ბედიაში, ნაბაკევსა და საბერიოში. საბერიოელი შარვაშიძეები მურზაყან შარვაშიძის ძმის — ავთანდილის შთამომავლები იყვნენ. მურზაყანის შვილიშვილს, ლეონ ხუტუნიას ძე შარვაშიძეს ავთანდილისათვის მუდმივი სარგებლობით გადაუცია სოფელი დვაშგვერდი. აქედან ავთანდილის შთამომავლები, ბეგი შარვაშიძის გარდა, გადმოსულან საბერიოში საცხოვრებლად. იმ უბანს, სადაც შარვაშიძეები ცხოვრობდნენ, საშარაშიო ეწოდა.

ავთანდილ შარვაშიძის შთამომავლები იყვნენ საბერიოელი შარვაშიძეები: ბეგი, მიშიკო, ძირა, კადირბეი, მიხეილ, ალმასხან, ლუქუ, ხუხუტი, ჯოტო, ალექსანდრე და სხვანი.

საბერიოელი შარვაშიძეები მემამულეები იყვნენ, ჰყავდათ ყმები და მსახური (მოინალე) გლეხები. მათ საბერიოს ცენტრში ააშენეს ეკლესია, რომელსაც საშარაშიოს ეკლესია ეწოდა. „ეს ეკლესია სოფლის ვაიხელმძღვანელების მითითებით დანგრეული და იავარქმნილია“, — იგონებდა ცნობილი პედაგოგი ბ. შონია.⁵¹

საბერიოში შარვაშიძეთა გვერდით მსხვილი მიწამფლობელები ჩქოტუები ცხოვრობდნენ. მათ შორის ყველაზე დიდი ფეოდალი ყოფილა მანუჩარ ჩქოტუა, რომლის მამული განლაგებული იყო მდინარე ენგურის მარჯვენა სანაპიროზე. ხოლო შემდგომ მის შვილებს — ზურაბსა და გუჯმახანს მამის სამფლობელო უფრო გაუფართოებიათ. მდინარე

ენგურის გაღმა სამეგრელოს სოფლებში რიყესა და ყულისკარში ახალი მამულები შეუქმნიათ. ზურაბი გენერლის ჩინით იყო დაჯილდოებული მეფის მთავრობის მიერ და ამიტომაც მთელ სამურზაყანოში დიდი პატივისცემით სარგებლობდა. მისი შთამომავლებიც: დავით (მანჩა), ნიკო და მიხა დიდი მემამულეები იყვნენ. ეს მამულები მამის, ზურაბის ხრიკებითა და კარიერით იყო მოპოვებული. ამიტომაც ზურაბის შვილები გამოირჩეოდნენ დანარჩენ ჩქოტუებში. მათი სასახლე დიდი და ძლიერი იყო მთელ საბერიოში, საკარე-საცხოვრისიც საკმაოდ მდიდარი და შესაფერად მორთულ-მოკაზმული. ზურაბ ჩქოტუამ ეტლით მისასვლელი გზატკეცილი გააყვანინა (სოხუმ-ზუგდიდის გზატკეცილი) თავის სასახლემდე.

ყოველ მებატონე ჩქოტუას ჰყავდა თავისი ყმა-გლეხები, როგორც მსახური, ანუ მოინალე. ასეთი გლეხები სასახლეში ცხოვრობდნენ და თავიანთ მებატონეებს ემსახურებოდნენ. მსახურის შრომა მეტად მძიმე იყო. „პავლე გარგულია (ზურაბის მეზობელი) იხსენებდა, რომ ზურაბი მკაცრი მებატონე იყო, მაგრამ იგი სხვა საბერიოელ მემამულეთაგან გამოირჩეოდა იმით, რომ ერთგვარ თავაზიან დამოკიდებულებას იჩენდა თავისი მოინალე გლეხების მიმართ, ჰუმანურობის ნიშნად მცირე დანაშაულს აპატიებდა“,⁵¹ – აღნიშნავს ბ-ნი ბ. შონია. ჩქოტუებს ჰყოლიათ მოინალეთა მეორე კატეგორიის წარმომადგენლები, ისინი მებატონეთა სასახლეებში არ ცხოვრობდნენ, მათ ჰქონიათ საკუთარი კარ-მიდამო, მაგრამ მიწათმფლობელებზე ყოფილან დამოკიდებულნი, დაკისრებული ჰქონიათ საბეგარო სამუშაოთა შესრულება.

მემამულე-გენერალმა ზურაბ ჩქოტუამ გაითვლისწინა საბერიოელთა მეტად ცუდი მდგომარეობა და თავისი ძალებით, საკუთარი ხარჯის გაღებით, სათანჯოს კლდე ააფეთქა. იქ

კეთილმოწყობილი საურმე გზა გაიყვანა, რითაც საბერიო, ცხირისა და მახუნჯიის გავლით, გალს მოკლე მანძილით დაუკავშირდა. ხალხმა ამ გზას სახელად „ზურაბიში მიკოტახილი“ უწოდა (ამჟამად ეს ადგილი გალის ზღვამ დაფარა.).

ყოველივე ზემოთქმულის გამო ზურაბ ჩქოტუა აფხაზეთის სამთავროში მიღებული, გავლენიანი და ძლიერი თავადი ყოფილა. იმ პატივისა და დიდების გამო, რითაც ზურაბ ჩქოტუას ოჯახი გამოირჩეოდა სამურზაყანოში, აფხაზეთის მთავრებს მისთვის მეტად საპატიო მისია — მემკვიდრეების აღზრდა დაუკისრებიათ. ამ ვალდებულების ძალით, ჩქოტუების ოჯახში გაუზრდიათ ცნობილი აფხაზი პოეტი და საზოგადო მოღვაწე გიორგი შარვაშიძე.

დავით (მანჩა) და გიორგი თითქმის თანატოლნი ყოფილან (გიორგი დავითზე უფროსი იყო მხოლოდ სამი წლით) და ბავშვობიდან ერთად იზრდებოდნენ. ძმობა — მეგობრობის უკეთილშობილესი გრძნობა მათ სიცოცხლის ბოლომდე შერჩათ.

ზურაბ ჩქოტუას შვილებში ნასწავლი მხოლოდ მანჩა იყო. „ის კი არა იმასაც ამბობდნენ, რომ ასეთი ნასწავლი და განათლებული მთელ აფხაზეთში არავინ იყო“⁵², — აღნიშნავდა სოლ. ცაიშვილი. თავად-აზნაურთა ბავშვებს წერა-კითხვას ოჯახში ასწავლიდნენ. იმ დროისათვის საბერიოში ყველაზე განათლებული იყო ზურაბ მანუჩარის ძე ჩქოტუას ოჯახი. ოჯახის უფროსი ზედმიწევნით ფლობდა რუსულ ენას, რამაც განაპირობა მეფის არმიაში მისი დაწინაურება. თავადს უმდიდრესი საოჯახო ბიბლიოთეკა ჰქონია. იგი ღრმად იყო დაინტერესებული ისტორიით, ლიტერატურითა და გეოგრაფიის საკითხებით. ზურაბ ჩქოტუა გატაცებული ყოფილა ღვთისმეტყველებით. მის მიერ აშენებულმა ეკლესიამ დიდი როლი შეასრულა სწავლა-

განათლების განვითარების საქმეში (ამ ეკლესიასთან 1897 წელს გახსნილა საბერიოს მესამე სკოლა).

ზურაბის მეუღლე დადიანის ქალი იყო, შესაფერისად განათლებული და უსათნოესი ქალბატონი შვილებს წერა-კითხვას შინ ასწავლიდა. პატარა მანჩას პირველი მასწავლებელი დედა იყო, რომელმაც თავისი შვილი ეროვნული კულტურის საუნჯეს აზიარა.

მანვე შეაყვარა პირმშოს მშობლიური მიწა-წყალი და მისი მკვიდრნი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზურაბ ჩქოტუას ოჯახი ტრადიციისამებრ არჩეული იყო აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ (ჰამუთ-ბეგ) შარვაშიძის შვილების აღმზრდელად. ასე რომ — გიორგი შარვაშიძე და დავით ჩქოტუა ძიძიშვილობის უწყმინდესი ნათესაობით იყვნენ დაკავშირებულნი. ერთადაც იზრდებოდნენ და ორივეს შინაური განათლებაც ქართულ-აფხაზურ კულტურასა და ადათ-წესებზე იყო დაფუძნებული. ოჯახურ წრეში გაეცნო დავითი „ვეფხისტყაოსნს“, რომელიც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მას ჭვარცმულ ცხოვრებაში შემდეგში უპირველეს საღბუნად მოევილინა.

მშობლებმა დავითი (შინაური, ქართული განათლების მიღების შემდეგ) მიაბარეს ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში. აქ სწავლების ხანა ქართულ გარემოსთან დაახლოების წლებად იქცა.

დავით ჩქოტუამ შეიძინა მრავალი მეგობარი (ბესარიონ ჯაფარიძე, გიორგი ჭალადიდელი, ივანე მესხი, ვლადიმერ ნიკოლაძე და სხვები), რომელთაგანაც ზოგი მომავალში ქართული საზოგადოების ღირსეული წევრი შეიქნა.

დავითმა გიმნაზია წარმატებით დაამთავრა და ერთხანს სოფელ საბერიოში ცხოვრობდა. ოდესაში გამგზავრებამდე (იქ მას ელოდებოდა გიორგი შარვაშიძე), გიმნაზიადამთავრებული დავითი, როგორც ვთქვით, მშობლიურ სოფელში ცხოვრობდა და გლეხობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე ფიქრობდა. ამ

მიზნით მან, ერთმა პირველთაგანმა, განიზრახა საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის ჩამოყალიბება. 1869 წლის 17 მაისს სერგეი მესხი თავის თანამოკალმეს კირილე ლორთქიფანიძეს სწერდა: „სტატია ვერესშაგინის არტელებზე, მგონი შესანიშნავია. ჩვენში ამ საქმეზე ღირს მოლაპარაკება. ერთ უმაწვილ აფხაზ მებატონეს (დ.ჩქოტუას – მ.ჯ.) უნდა ამისთანა ამხანაგობა გამართოს აფხაზეთში“³⁴. განათლების სრულყოფის მიზნით დავით ჩქოტუა გამოცდებს ოდესის უნივერსიტეტში აბარებს. (მაშინ ეს უნივერსიტეტი ნოვოროსიისკის საიმპერატორო უნივერსიტეტის სახელწოდებას ატარებდა). მის არქივში დაცულია ოდესის უნივერსიტეტის მიერ დ. ჩქოტუას სახელზე გაცემული ასეთი ცნობა:

“Дано сие свидетельство от Императорского Новороссийского университета бывшему студенту второго курса физико-математического факультета, разряда естественных наук из дворян князю Чкотуа Давиду в том, что по окончании курса наук в Кутаисской гимназии в сентябре месяце 1871 года принят был студентом сего университета и слушал профессорские лекции в продолжении 1869-70 и 1870-1871 академических годов и на переводном экзамене получил следующие отметки: по нравственному богословию - 5, физике - 3, неорганической химии - 3, морфологии растения - 4, анатомии человека - 5 и зоологии - 4, ныне же согласно просьбе из ведомства его университета уволен - в бытность свою студентом поведения был отличного”²⁰

ცნობა გაუციათ 1871 წლის 31 აგვისტოს. ვხედავთ, რომ დ. ჩქოტუა ჯერ საბუნებურმეტყველო განყოფილებას ირჩევს. სხვა ცნობებში უფრო გარკვეულია მისი სპეციალობა. ერთგან წერია, რომ დავითი

ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე სწავლობს, გეოლოგია-მინერალოგიის სპეციალობით.

როგორც ირკვევა, დავით ჩქოტუა პირველ წელს ოდესის უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი იყო, ხოლო სტუდენტად 1870-71 სასწავლო წელს ჩარიცხულა.

დავით ჩქოტუას და გიორგი შარვაშიძის მტკიცე მეგობრობა აქაც გაგრძელებულა, რადგან ამ უკანასკნელის დახმარებით იგი ახლოს გასცნობია ოდესისა და შემდგომ პეტერბურგის მაღალ და განათლებულ საზოგადოებას. ამ გარემოებაზე მრავალჯნის მიუთითეს დავითის ახლობლებმა თუ ნათესავებმა ნ. ანდრეევსკაიას სასამართლო პროცესის მკვლელობის დროს. ცნობები დაცულია წიგნში „Убийство девицы Нины эрастовны Андреевской 22-го июня 1876 года, в Тифлисе“.⁶⁸

მაგალითისათვის იკმარებდა ბარბარე თუმანიშვილი-ანდრეევსკაიას ჩვენებები. ქალბატონი არაერთჯნის აღნიშნავს, რომ დავით ჩქოტუა იყო უაღრესად განათლებული, პატიოსანი, კეთილსინდისიერი პიროვნება, შარვაშიძეთა ოჯახის ერთგული მეგობარი და წევრი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს არის ქალი, რომლის ქალიშვილის მკვლელობასაც დავით ჩქოტუას აბრალებდნენ.

ოდესის უნივერსიტეტში ახალგაზრდა, სწავლას მოწყურებული დავითი დაუახლოვდა ქართველ სტუდენტებს. მრავალი მათგანი განსაცდელის ჟამს მეგობარს გვერდში ამოუდგა. ასეთები იყვნენ: ვ. პეტრიაშვილი, პ. მელიქიშვილი, ჟურნალისტი ბ. ჯაფარიძე, პედაგოგი და ლიტერატორი ა. ქუთათელაძე და სხვანი.

1871-1872 სასწავლო წელს დავით ჩქოტუა პეტერბურგის უნივერსიტეტში გადადის. პირველი კურსის გამოცდები მას ოდესის უნივერსიტეტში ჰქონდა ჩაბარებული. ამის საფუძველზე დავითი

ჩარაცხეს პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილების მეორე კურსზე.

პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში დავითი მთელი დატვირთვით მუშაობს, იქნის ახლო მეგობრებს, კავშირი აქვს მეცნიერების სხვადასხვა დარგით დაინტერესებულ ქართველ ახალგაზრდებთან. აქ გაიტაცა იგი ფილოლოგიის საკითხებმა. აღსანიშნავია ისიც, რომ უკვე ამავე წლებიდან დავითი ძალზე აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ პერიოდულ პრესაში და სამართლიანად მოიხვეჭა განათლებული, ნიჭიერი ჟურნალისტისა და მწერლის სახელი. იგი, მაგალითად, ჯერ ოდესიდან, შემდეგ პეტერბურგიდანვე სისტემატიურად ამარაგებდა კორესპონდენციებით გაზეთ „დროებას“, რომელსაც იმ დროს სერგეი მესხი რედაქტორობდა. იგი თავიდანვე ერთგულად მიჰყვებოდა ილია ჭავჭავაძის გაკვალულ გზას, რომელიც არსებითად გამორიცხავდა ყოველგვარ ცალმხრივობას. ახალგაზრდა მეცნიერი ისევე ზრუნავდა ქართული კულტურის აღორძინებისათვის, როგორც თვით გამოჩენილი ქართველი სამოციანელები იღვწოდნენ აფხაზეთის უკეთესი მერმისისათვის.⁶¹

პეტერბურგში დავითი ხშირად ავადმყოფობდა, გამოსცადა იქაურმა კლიმატმა, მაღარიამაც შეახსენა თავი, თავისა და თვალის ტკივილს უჩიოდა. ბოლოს იძულებული შეიქნა უნივერსიტეტისათვის მიენებებინა თავი. ამის დამადასტურებელი ცნობები დავით ჩქოტუას პირად არქივში მრავლად მოიპოვება. ამას თან ერთვოდა უსახსრობა. დავითის საბუთებში ხშირად გვხვდება განცხადებები, სადაც სტუდენტი რექტორს სწავლის ქირის გადახდის განვადებას სთხოვს. იქ ასეთი წესი იყო: თუ სტუდენტი წლიურ სწავლის ქირას არ გადაიხდიდა, მას ქალაქში ცხოვრების უფლება არ ჰქონდა.

სწავლას მოწყურებული ახალგაზრდა მაინც ვერ ელევა უნივერსიტეტს და რექტორს თხოვნით მიმართავს, გადაიყვანოს

იურიდიულ ფაკულტეტზე:

“Желая перейти на юридический факультет, честь имею Покорнейше просить Ваше превосходительство, сделать распоряжение о переводе меня на оный”.²⁰

დავით ჩქოტუას თხოვნა რექტორმა დააკმაყოფილა. იგი ჩარიცხეს იურიდიული ფაკულტეტის პირველ კურსზე. საბუთებიდან ჩანს, რომ მას 1878 წლის 23 ნოემბერს გადაუხდია სწავლის ქირა 25 მანეთი. 1875 წლის აპრილის დამლევამდე რჩება დავითი პეტერბურგში, მაგრამ რატომღაც არც იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაუბარებია კურსიდან კურსზე გადასაყვანი გამოცდები. ამის შემდეგ დავით ჩქოტუა უნივერსიტეტში არ დაბრუნებულა.

ამ საკითხზე სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. სოლომონ ცაიშვილის აზრით, „1874 წელს, პეტერბურგის უნივერსიტეტის უკანასკნელი კურსის დამთავრების შემდეგ, სახელმწიფო გამოცდებჩაბარებული დავით ჩქოტუა სამშობლოში დაბრუნდა“.²⁴ ანალოგიური აზრი გამოთქვა პროფესორმა ალ. კალანდაძემ: „1874 წელს დ. ჩქოტუამ უნივერსიტეტი დაამთავრა და შემოდგომაზე თბილისს დაბრუნდა“.³¹

ეს ცნობები მომდინარეობდა აკადემიკოს ს. ჯანაშიას მითითებებიდან: „1875 წელს მას უნდა დაემთავრებინა ყოფილი პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი, მაგრამ, რადგანაც უკანასკნელი გამოცდა მარცხით დამთავრდა, გამოცდები გადასდო შემდგომი წლისათვის“.

ყოველივე ამას ნათელი მოჰფინა პროფესორმა ო. ჭურღულიამ. დავით ჩქოტუას საარქივო ფონდის დამუშავების საფუძველზე მან დაასკვნა, რომ დავითმა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილების II კურსს თავი დაანება 1873 წელს

და გადავიდა იურიდიული ფაკულტეტის I კურსზე, ყოველ შემთხვევაში იგი ამ ფაკულტეტის II კურსზე არ გადასულა.⁶³ ამას ადასტურებს კიდევ ერთი ცნობა, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორის სახელზეა შედგენილი 1907 წელს ქ. სოხუმში. დავით ჩქოტუა ითხოვს:

„Состояв в числе студентов вверенного ныне Вам университета на физико-математическом факультете по отделению естественных наук и специальности по геологии и минералогии с 1872 по 1875 гг. я по болезни принуждён был прервать занятия и выехать, не захватив с собою своих документов... аттестата об окончании гимназии и пр., а затем перерыв, наступивший в нормальном течении моей жизни, сделали эти документы лишними для меня, почему они так и остались в канцелярии университета. Ныне же при изменившихся условиях моей жизни имея крайнюю нужду в них имею Честь просить Ваше Превосходительство о высылке мне вышеуказанных документов, а также свидетельство о моем нахождении на втором курсе по специальности геологии и минералогии, желательно о сдаче экзамена из общего курса, как это практиковалось тогда - в мое время в университете“.⁶⁴

აქედან ჩანს, რომ დავით ჩქოტუამ სწავლას თავი დაანება მეორე კურსზე.

ზემოთ აღნიშნულმა გარემოებებმა დააბრუნეს ახალგაზრდა დავითი მშობლიურ კუთხეში. ჩვენი აზრით, ავადმყოფობის თუ უფრო იმ დაუოკებელი სურვილის გამო, რომ აქ, ახლოს მყოფი, უფრო მეტად გამოადგებოდა ეროვნული თუ სოციალური ჩაგვრით გაწამებულ მშობლიურ ხალხს, იგი საბოლოოდ ბრუნდება საქართველოში და მთელი გატაცებით ეკიდება სამწერლო თუ სამეცნიერო მოღვაწეობას.

დავითის თბილისში დაბრუნებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ 1875 წელს აღმოსავლეთ საქართველოში საკუთარი

მამულების მმართველად მიიწვია იგი თავისმა ძიძიშვილმა და უახლოესმა პიროვნებამ გიორგი შარვაშიძემ. ეს კი არცთუ ისე უმნიშვნელო საქმე იყო იმისათვის, ვისაც ყოველთვის თბილისისაკენ, ამ ქართული კულტურის მაშინ ერთადერთი კერისაკენ, მიუწევდა გული.

არსებითად საქმე ეხებოდა კავკასიის ახალი ისტორიიდან კარგად ცნობილი მეფისნაცვლის მ. ს. ვორონცოვის პირადი ექიმის ერასტი ანდრეევსკის ქალიშვილების – ელენე და ნინო ანდრეევსკაიების – სამემკვიდრეო მამულებს, მათ შორის უფროსი, ელენე ანდრეევსკაია, გიორგი შარვაშიძის მეუღლე იყო. საგულისხმოა ისიც, რომ თვით ერასტი ანდრეევსკის მეუღლე იყო ჩინებული საზოგადო მოღვაწე და მსახიობი ბარბარე თუმანიშვილი, რომელიც, სხვათაშორის, ადრე მთავარ როლებს ასრულებდა გიორგი ერისთავის ცნობილი პიესებში. 1875 წლის მაისის თვიდან დავით ჩქოტუა თბილისში ჩამოდის. ხოლო სექტემბრის თვიდან იგი ანდრეევსკაიების მამულების მართვის საქმეს შეუდგა.⁶⁸

დავით ჩქოტუა თბილისში მკვიდრო მეგობრულ ურთიერთობას ამყარებს ქართული კულტურის მესვეურებთან. აქტიურად თანამშრომლობს პერიოდულ პრესაში, ეს კავშირები ახლა უფრო გაღრმავდა და უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა. ბინა, რასაკვირველია, დავითს თბილისში აღარ ჰქონდა. ამიტომ, პირველ ხანებში, ცნობილ საზოგადო მოღვაწესთან სერგეი მესხთან ცხოვრობდა. გადის დრო და იგი გადადის გიორგი შარვაშიძის მეუღლის ელენე ანდრეევსკაიას ოჯახში. პროფესორი ალ. კალანდაძე შენიშნავს: „შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი პროგრესული ინტელიგენცია აღელვებით შეხვდა ნიჭიერ, განათლებულ, მგზნებარე ჭაბუკს, რომელსაც პირველი დღეებიდანვე ქართული ფიჭრისა და აზრთა მპყრობელთა წრეში ვხედავთ“.³¹

გიორგი შარვაშიძემ, ცხადია, იმიტომ შეურჩია და შესთავაზა ქართული მწერლობით გატაცებულ ახალგაზრდას ამგვარი მყუდრო თანამდებობა (მამულების მმართველობა მ.გ.), რომელიც ყოველთვის ხელისშემწყობი იქნებოდა ახალფეხადგმული შემოქმედისათვის და მეფის მოხელეობასაც ააცილებდა. დავით ჩქოტუა ჩვეული სიბეჯითით და გატაცებით შეუდგა საქმიანობას.

ახალგაზრდა დავითის ნიჭს განსაკუთრებით აფასებდნენ ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი. ცნობილია, რომ ილიამ ჟურნალ „ივერიაში“ მუდმივ თანამშრომლად მიიწვია, ერთ-ერთ რედაქტორადაც დანიშნა 26 წლის დავით ჩქოტუა.

გამორჩეული იყო დავითისა და ს. მესხის ახლო მეგობრული ურთიერთობა. მათ გიმნაზიში სწავლების წლები აკავშირებდათ. აქ ჩანერგილი სიყვარული და მოწიწება სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა ამ დიდებულ მამულიშვილებს. ს. მესხის მდიდარი ეპისტოლური მემკვიდრეობა სავსეა დავითის ნიჭის და მუყაითობის აღმწერსველი ფაქტებით. თავისი საცოლის — კეკე (ეკატერინე) მელიქიშვილისადმი გაგზავნილ კერძო ბარათებში თითქმის ყველგან ფიგურირებს დავითის სახელი. საინტერესოა წერილი, რომელიც ს. მესხმა 1874 წელს პეტერბურგიდან კ. მელიქიშვილს გამოუგზავნა: „... უნივერსიტეტში წავედი, ვერც იქ ვნახე, ვინც მინდოდა და ვისთანაც მოსალაპარაკებელი მქონდა. შვეიცარმა მითხრა, რომ ჩქოტუა და ქუთათელაძე ორივენი კავკასიაში წავიდნენ და ჯერ არ დაბრუნებულანო“.³⁶ ცნობილია, რომ ს. მესხს დიდ დანხარებას უწევდა დავით ჩქოტუა გაზეთ „დროების“ გამოცემაში. მის ერთ-ერთ ბარათში ასეთი რამე წერია: „გაზეთი „დროება“ სამჯერ გამოდის და ამ წლის განმავლობაში ჩემს მეტი მუდამ თანამშრომელი არ ჰყოლია. თითქო შერცხვათ ეს ზოგიერთ აქაურებს და დაიწყეს მოლაპარაკება იმაზე, რომ რითაც

იქნება დავენმართ გაზეთსო. გუშინ აქ, ჩემთან რედაქციაში, კრება გვქონდა ამ საგანზე მოსალაპარაკებლად. იყვნენ: ილ. ჭავჭავაძე, ბ. ლოლობერიძე, პ. ნაკაშიძე, კ. ლორთქიფანიძე, ბ. ჯაფარიძე, დ. ჩქოტუა... ილიამ სთქვა, რომ 7000 მანეთს მე მოვაგროვებ სტამბის გასამართავადო... ბ. ჯაფარიძე და დავით ჩქოტუა მუდამ თანამშრომლები იქნებიანო გაზეთისა. ... ამას გარდა, „უცხო ქვეყნებს“ ჯაფარიძე შეადგენს ხოლმე მუდამ და რუსეთსა და ნარევს ჩქოტუა. მე დაპრჩება მხოლოდ მოწინავე სტატიების შედგენა (იმასაც ხანდახან ილ. ჭავჭავაძე, ან ჯაფარიძე, ან ჩქოტუა შეადგენს)“.³⁶

როგორც ვხედავთ, დავით ჩქოტუა თბილისში დაფუძნებისთანავე ჩაება აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობაში და იმთავითვე მიიბჰრო მოწინავე ინტელიგენციის ყურადღება. იგის. მესხს გვერდში ამოუდგა და გიმნაზიელ მეგობარ ბეს. ჯაფარიძესთან ერთად შრომას უმსუბუქებდა მას. „ბ. ჯაფარიძე, ჩქოტუა და ივანე (ს. მესხის ძმა — მ.ჯ.) ყოველ დღე მოდიან ჩემთან, როგორც მეგობრები და რედაქციის წევრნი“.³⁶

თუ არა უბედური შემთხვევა, დავით ჩქოტუას კვალი ქართული ჟურნალისტიკისა და ლიტერატურის სარბიელზე დღეს უდავოდ საგრძნობი იქნებოდა. ვინ იცის, რამდენ სასიკეთო საქმეს ჩაიდენდა და იმოდვაწებდა მშობელი ხალხის საბედნიეროდ.

ახალგაზრდა მკვლევარი გაზეთ „ივერიაში“ სამოდვაწეოდ ემზადებოდა. მოულოდნელად მის ცხოვრებაში საშინელი ტრაგედია დატრიალდა. ახალი თანამდებობა (ანდრეევსკების მამულების მმართველობა — მ.ჯ.), რომელიც მყუდრო ცხოვრებასა და თავისუფალ დროს უქადდა ჩქოტუას, სრულიად მოულოდნელად მისი მომავალი ბედკრული ცხოვრების მიზეზი შეიქნა. საქმის ვითარება ასეთი იყო: ოდესაში ყოფნის დროს ცნობილმა აფხაზმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, გიორგი შარვაშიძემ, გაიცნო კავკასიაში მეფისნაცვლად ნამყოფ მიხეილ ვო-

რონცოვის პირადი ექიმის ერასტი ანდრეევსკის ოჯახი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერასტი ანდრეევსკის მეუღლე ქართველი ქალი იყო. ორმოცდაათიან წლებში საქართველოში წამოწყებული საქმეების აქტიური მონაწილე. იგი, სხვათა შორის, „გიორგი ერისთავის კომედიის — „გაყრის“ პირველ დადგმაში ასრულებდა მაკრინეს როლს, ხოლო „დავაში“ — ნინოსას“.⁵⁴

ერასტი ანდრეევსკი დიდი ოჯახის პატრონი იყო. მამულებიც, შესაფერისად, უხვი და მდიდარი ჰქონდა. ყირიმსა და კავკასიაში, კერძოდ საქართველოში, მონაცვლეობით ცხოვრობდა. მან აქ მდებარე სამოსახლო და ეზო-კარი ანდერძით ქალიშვილებს დაუტოვა, ხოლო ვაჟიშვილს — კონსტანტინეს ყირიმის მამულები მისცა.

ნინოსა და ელენეს შესაშური დობა ჰქონდათ. მამულების გაყოფაზე არც უფიქრიათ. მამის სიცოცხლეში მათ ქონებას ვინმე ანიშჩენკო განაგებდა. გიორგი შარვაშიძემ სიმამრის გარდაცვალების შემდეგ საქმის არმცოდნე და მათი ოჯახისათვის შეუფერებელი პიროვნება შეცვალა და ახალი საქმოსანი, გერმანელი მიხეილ ვეისენფელტი დანიშნა. ეს იყო 1875 წელს. თადარიგიანი მეურნე არც ეს გერმანელი გამოდგა. სწორედ მაშინ მოიწვია დ. ჩქოტუა პეტერბურგიდან გ. შარვაშიძემ და, მისი სიტყვით, თავის მოვალეობას დავითი 1875 წლის 1 მაისიდან შესდგომა.⁵⁵

ელენესა და ნინოს მამულებს ახალგაზრდა დავითი კეთილსინდისიერად განაგებდა. 1876 წელს დებმა ქონების გაყოფა ისურვეს. ნინომ ამ საქმეში თავის რწმუნებულად ალ. ონიკოვი აირჩია, ხოლო გ. შარვაშიძემ ცნობილი ვეჟილი დ. ანჩაბაძე. ოდესიდან, ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩამოვიდნენ ნინო და დედამისი ბარბარე. ისინი სასტუმრო „ევროპაში“ დაბინავდნენ, რადგან თვით გ. შარვაშიძეც მაშინ იქ ცხოვრობდა. ელენეს სახლი კეთილმოწყობილი

არ იყო. 1876 წლის 3 ივლისს მამულები გაიყო და ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა.

მამულების გაყოფის შემდეგ გიორგი შარვაშიძის მამულის მმართველად დ. ჩქოტუა დარჩა. ნინო ანდრეევსკაიამ მრავალგზის სთხოვა დავითს მისი მამულების გამგებლობა, უარი მიიღო და დანიშნა ი. სულხანიშვილი. დედა-შვილი თბილისში დიდხანს არ აპირებდა დარჩენას, ისინი ოდესაში გასამგზავრებლად ემზადებოდნენ. სიძე და მისი ვეჟილი დ. ანჩაბაძე ქუთაისს გაემგზავრნენ.

გ. შარვაშიძის სახლში (გ. შარვაშიძემ ამ დროისათვის უკვე გამოისყიდა ეზო-კარი, რომელიც ერასტიმ ზიარად დაუტოვა ქალი-შვილებს. ესეც მისი კუთვნილება გახდა) ცხოვრობდნენ დ. ჩქოტუა, მისი ძმა — ნიკო ჩქოტუა, რომელიც თბილისში ჩამოვიდა 1876 წელს. ეს უკანასკნელი საშხედრო სამსახურში აპირებდა შესვლას. დარაჯი — ზურაბ ქორიძე, მეზალე — ივანე მგელაძე და მზარეული — პეტრე გაბისონია.

ნინოსა და ბარბარეს არ ჰყავდათ თავიანთი შინამოსამსახურეები. ამიტომ მათთანაც ესენი მუშაობდნენ. დედა-შვილი ქალაქის რესტორნებში სადილობდა.

1876 წლის 22 ივლისს ბარბარე ანდრეევსკაია ქალიძვილთან ერთად დედის დღეობაზე იყო (დედა ვაჟიშვილთან ცხოვრობდა თბილისში). ნინომ თავის ბიძაშვილებს სიტყვა მისცა, რომ სალამოს 10 საათისათვის „კრუჟოკის“ ღობესთან დაელოდებოდა მათ. ეს ადგილი თბილისში ერთ-ერთი გასართობი ალაგი იყო, სადაც მთელი არისტოკრატია იყრიდა თავს. დედა-შვილი თუმანიშვილებისგან ქეთევან ორბელიანის სახლში მისულა და სალამო ჟამს შინ დაბრუნებულა. მათ იქ დავითი დახვედრიათ. ჩაიც ერთად მიურთმევიათ. ამასობაში სეირნობიდან ნ. ჩქოტუაც დაბრუნებულა. დავითი კი თავის საქმეებზე ქალაქში გასულა.

ნინო ანდრეევსკაია საშინაო ტანსაცმელში გამოწყობილა და გიორგი შარვაშიძისათვის გასაგზავნი ბარათი შეუთხზავს. დავით ჩქოტუა მეორე დღეს თურმე ქუთაისში აპირებდა წასვლას. 10 საათისათვის ნინო მზარეულ გაბისონიასთან ჩასულა, გაწმენდილ ფენსაცმლების გამოსართმევად. ნინოს დიდი სანთელი აუღია ხელში, ხოლო პატარა იქვე, აივანზე, დაუტოვებია და, დაპირებისამებრ, „კრუჟოკის“ ღობისაკენ წასულა. „კრუჟოკი“ ზედ გ. შარვაშიძის ბაღს ეკვროდა. ასევე მოქცეულა იგი 18 ივნისსაც. დედის დაუკითხავად ისევ გაპარულა ღობისკენ. მერე ნინო შინ უკვე აღარ მობრუნებულა. ეზოდან მტკვრისაკენ ბილიკი ჩადიოდა. ზედ მდინარის ნაპირთან უნახავთ კოხტად დაწყობილი ნინოს ტანსაცმელი. საუბედუროდ, შინ მობრუნებულმა და ქალის საძებრად გამოსულმა დ. ჩქოტუამ, დარაჯთან ერთად, პირველმა შეამჩნია ნინოს სამოსი. მათი აზრით, როგორც ჩანს, ბანაობის დროს მტკვარში დაიხრჩო ნინო ანდრეევსკაია.

თბილისის პოლიცია შემთხვევის ადგილზე 24 ივლისს მივიდა. ექიმმა მრევლიშვილმა, პოლიციის ოფიცერმა ლოლაძემ და მამულების მმართველმა სულხანიშვილმა ცხედარი ამოიცივნეს. იგი თბილისში ჩამოასვენეს.⁶⁸

მეფის ხელისუფლებამ საბრალდებო სკამზე დასვა ანდრეევსკაიას სახლში მყოფი ყველა მსახური, განსაკუთრებული იერიში მიიტანა დავით ჩქოტუაზე, მათი აზრით, თითქოსდა ამ საზარელი დანაშაულის საგულვეტელ მოთავეზე.

ეს საქმე მთელ საქართველოში, კერძოდ თბილისში, განმაურდა და წლების მანძილზე გრძელდებოდა. წარმოიშვა მრავალი ვერსია. გაზეთი „დროება“ წერდა: „მთელი ქალაქი ამ ჟამად ანდრეევსკის ქალის დაღრჩობაზე ლაპარაკობს. ეს სამწუხარო შემთხვევა ისეთის საიდუმლოების ბურუსითაა შემოსილი, რომ მართლაც გასაკვირველი

არ არის, რომ იმან სალაპარაკო მართლა მისცა ქალებს“.³⁷

გაზეთის მომღვეწო ნომერში სერგეი მეხნი აღნიშნავდა:

„პირველად ვხედავთ ჩვენს ქალაქელებს ასე ერთგვარად მომართულს, ასე აღელვებულსა და აღშფოთებულს. შავ-ბედით ხუთშაბათს აქეთ ვის ახსოვს გერცოგოვინელები და სლავიანები, ვის ახსოვს ზაქათალის გადაწვა და ერევნის დაზიანება. ყველას ერთი სიტყვა ადგია ენაზე: „ვინ არის ანდრეევსკის ქალის მკვლელი?““.³⁸ თან გულისტკივით დასძენდა, რომ სასამართლო პროცესი ძალზე უფერულად და სუსტად მიდისო.

როგორც აღვნიშნეთ, მკვლელობის საქმის გამოძიების მსვლელობით მთელი საქართველო იყო დაინტერესებული. ნიკო ნიკოლაძე ამის გამო წერს: „ ... ამბობენ და ამბობენ საიმედო ადამიანები, რომ მთელს დასავლეთ ამიერკავკასიაში, ე.ი. იმერეთში, სამეგრელოში, აფხაზეთში და ა.შ. ეს საქმე კიდევ უფრო მეტ ყურადღებას იქცევს“.⁴⁶

ოფიციალურმა კვლევა-ძიებამ სრულიად უსაფუძვლოდ, როგორც უკვე ითქვა, ეჭვი მიიტანა დ. ჩქოტუაზე, მის ძმასა და შინამოსამსახურეებზე. ადგილობრივ მმართველობას სურდა საბრალდებო სკამზე დაესვა, პირველ რიგში, გიორგი შარვაშიძე, რომელიც, გარკვეული მიზეზების გამო, არ მოსწონდა დიდ მთავარს – მიხეილს... „კავკასიაში მეფისნაცვალს, რომლის სინდისზე იყო გიორგის მამის, აფხაზეთის დიდი მთავრის მიხეილ (ჰამუდ-ბეი) შარვაშიძის დაღუპვა და ახლა სურდა, რაც მამას დააკლო, შვილზე ეყარა ჭავრი“.⁵⁴ ხელისუფლების სურვილი, თვით გიორგი შარვაშიძე დაესვათ საბრალდებულ სკამზე, ვერ მოხერხდა. სამაგიეროდ გაწირეს მისი ძიძისშვილი დავით ჩქოტუა.

დავით ჩქოტუას მხარში ამოუდგა თვით გიორგი შარვაშიძე, რომელიც ამ დროს ქუთაისში იმყოფებოდა. სასამართლო ძირითადად

დაეყრდნო ამ უკანასკნელის მიერ ქუთაისიდან გამოგზავნილი დეპეშის შინაარსს. ეს დეპეშა დავით ჩქოტუას სახელზე იყო გამოგზავნილი, რომლის თანახმადაც დავითს უფლება ეძლეოდა ესარგებლნა გ. შარვაშიძის უმდიდრესი ბიბლიოთეკით. ეს ბიბლიოთეკა თბილისში იყო, ანდრეევსკების ოჯახში დაცული. დეპეშის ტექსტმა — თქვენთვის მომინდვია, როგორც გასურდეს, ისე ქენიო სამუდამოდ დალუბა დ. ჩქოტუა.

სასამართლოზე დავით ჩქოტუას სახელს იცავდნენ როგორც ქართველი, ისე რუსეთის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. არავის სჯეროდა, ვინც კი დაახლოებით მაინც იცნობდა მაღალი ზნეობითა და განათლებით გამორჩეულ დავითს, რომ მას არამცთუ ხელი აღემართა, არამედ ფიქრშიც კი გაეელო ასეთი შემზარავი რამ. ისიც ცნობილია, რომ ასეთივე აზრისანი იყვნენ დავითზე ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი და მრავალი სხვა საზოგადო მოღვაწენი.

მაგრამ მეფის მთავრობის ოფიციოზი და სასამართლო კი მაინც არაფერს უწევდა ანგარიშს. „ადგილობრივმა მთავრობამ ჯერ ყრუ ხმები დაარხნია გარკვეულ არისტოკრატიულ წრეებში, რომ ვითომ გ. შარვაშიძემ ანგარების მიზნით (თითქოს ნინოს სიკვდილის შემდეგ მისი ქონება გ. შარვაშიძეს დარჩებოდა) გადაადგმევინა ეს ნაბიჯი დ. ჩქოტუას. ეს იყო ყოვლად უსინდისო, ყოვლად წრეგადასული უსაფუძვლო ბრალდება და აშკარა ცილისწამება. ... გ. შარვაშიძე იცნობდა თავისი სიმაჰრის ანდერძს, სადაც გარკვევით იყო აღნიშნული, რომ, ვინიცობაა, თუ ნინოს რაიმე მოუვიდოდა, მემკვიდრეობა ძმაზე გადავიდოდა და არა სხვა ვინმეზე. ეს იყო მეტად მიამიტური ბრალდება“.⁶¹

გაზეთ „დროების“ რედაქცია ყოველმხრივ ცდილობდა, გაემართლე-

ბინა პირველ რიგში გ. შარვაშიძე, შემდგომ ყოვლად უსამართლოდ დაკავებული დ. ჩქოტუა. „დასამალავი აღარ არის, რომ საზოგადოება რამდენსამე პირს აბრალებს ამ საქმეში მონაწილეობის მიღებას. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს ბრალდება ყოვლად უსაფუძვლოა, მაგრამ, თუ ამ პირებს ჰსურთ, რომ საზოგადო ეჭვი აიცილონ თავიდან, თუ ჰსურთ, რომ თავიანთი სახელი გასწმინდონ იმ ლაქისაგან, რომელსაც იმათ უბრალოდ სცხებენ, უნდა თვითონვე ყოველი ღონისძიება იხმარონ, უნდა თვითონვე მეცადინეობდნენ, რომ გამოძიებამ ნამდვილი მკვლელები აღმოაჩინოს...“³⁹ – წერდა აღშფოთებული ს. მესხი.

თვითონ ნინოს დედა ბარბარე თუმანიშვილი გულმოკლული იყო ამ ცილისწამებით და 1878 წლის 2 მარტის სასამართლოს სხდომაზე აცხადებდა: „... ნინოს წყალში ბანაობა არ უყვარდა. ოდესაში ყოფნისას ორი წელი წყალში არ ჩასულა. თუ ჩავიდოდა პერანგისა და მისი ამხანაგის გარეშე არა. იმ დღეს ძაღლების ყეფა მას არ გაუგონია... ძალიან მაწუხებს, რომ ამ საქმეს ჩემს სიძეს (გ. შარვაშიძეს) და დავით ჩქოტუას აბრალებენ. დავით ჩქოტუამ თქვა იმ დღეს, რომ ხვალ ქუთაისს უნდა წავიდეთ. გ. შარვაშიძისგან დებეშა მომივიდა, ხმალი უნდა წავუღოო. არავითარი უკმაყოფილება ნინოს დ. ჩქოტუასთან არ ჰქონია“⁴⁰

მთელი კვირის განმავლობაში (27 თებერვლიდან ვიდრე 6 მარტამდის) მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი. მთელი ქალაქის საზოგადოება თბილისის ოლქის სასამართლოს კარებთან იყო მოგროვილი. დარბაზში შესვლის მსურველები ათასობით იყვნენ. ბილეთი 300-ზე მეტი გაყიდულა. საზოგადოების ინტერესი უჩვეულო იყო ამ საქმისადმი. ყველას უნდოდა შეეტყო „... თუ მართლა ამ უმაღლეს სწავლა მიღებულს ყმაწვილს კაცს ჩაუდენია ეს საძაგელი საქმე. ყველას სურდა შეეხედა ბრალდებულისათვის და იმის სახეში, იმის თვალებში ამოეკითხა – შეეძლო

იმას ამ ბარბაროსული საქმის ჩადენა, თუ არა?“.41 ერთი კვირის განმავლობაში ყველა ერთმანეთს ეკითხებოდა, გაამტყუნებენ თუ არა დ. ჩქოტუასო. პირველ დღეს გამამტყუნებელი აქტის გაცნობას მოუნდა სასამართლო; ოთხ დღეს მოწმეთა დაკითხვას და ჩვენებების მოსმენას. ორი დღე პროკურორისა და ადვოკატის სიტყვებს. საზოგადოება სამ ნაწილად იყო გაყოფილი. მცირე ნაწილი აღიარებდა ძმების – ჩქოტუების უდანაშაულობას. მეორე ნაწილი ქალის მტკვარში უნებლიე დახრჩობის მოწმე იყო. მომეტებული ნაწილი ამ საქმეში შინაურებს სდებდა ბრალს: მოახრჩვეს და მტკვარში გადააგდეს ძმებმა ჩქოტუებმაო.

საზოგადოება, მიუხედავად უდიდესი განრისხებისა და გულწყრომისა, იმთავითვე თანაგრძნობით განიმსჭვალა დ. ჩქოტუასადმი. განსაკუთრებით ქალები ღელავდნენ, ხშირად ტიროდნენ კიდევ. „დ. ჩქოტუას ერთხელ არ მოუბრუნებია საზოგადოებისაკენ პირი. სულ მოსამართლეებისაკენ იყურებოდა. უმცროსი ძმა იქითაც იყურება, აქეთაც, წყნარის, მშვიდობიანის სახით. მაგრამ ამ ორ ძმას მაშინათვე ეტყობათ მღელვარება... ამათი მშვიდობიანობა გარეგანი მშვიდობიანობაა და გულში კი ჯოჯოხეთი აქვთ. განსაკუთრებით დავით ჩქოტუას სულ უცახცახებს ხმა, ორი სიტყვა ერთმანეთზე ვერ მოუბამს, ენა ებმება და ტუჩები უთრთიან მომატებულის მღელვარებისაგან“.⁴¹

მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივი მოძიება ხელშესახებს არაფერს იძლეოდა, ოფიციალური აზრით, თითქოსდა ბრალდებულ დავით ჩქოტუას მიუსაჯეს 20 წლის საკატორლო სამუშაო და სამუდამო გადასახლება ციმბირში.

სასამართლო დარბაზში, რომელიც ერთიანად გადაჭედილი იყო ხალხით, ბუზის გაფრენასაც გაიგონებდით. „თავმჯდომარეს განაჩენის ფურცელი უჭირავს ხელში და კითხულობს, ხმა ძლივს ისმის,

თითქოს ეს ხმა სამარიდან მოდისო. პირველ სიტყვიდანვე ცხადად ჩანს, ამ ხმით წაკითხულს განაჩენს დაახლოვებული კავშირი უნდა ჰქონდეს სამარესთან... სასამართლო აღიარებს — დავით ჩქოტუას დანაშაულს... სხვა საჭირო აღარ არის. ყველას თავები ერთბაშად დავით ჩქოტუასაკენ მობრუნდა. ჩემს დღეში ამისთანა სახე, ამისთანა თვალები არ მინახავს. უეცრად გაფითრდა კაცი, ტუჩები ისე გაუთეთრდა, როგორც ქალაღი... ესე მეგონა გაქვავდა კაცი“..⁴¹

ასევე უღმობელი აღმოჩნდა სასამართლო სხვა ე.წ. ბრალდებულთა მიმართ, რომელთაგან ორს გამოძიების დროს წამებით ამოხადეს სული. უსამართლო განაჩენის დარღვევას არც უმაღლეს ინსტანციებში გადატანილმა კასაციამ უშველა. ანალოგიური შეთითხნილი ფაქტებით გაასამართლეს ი. მგელაძე და ზ. ქორიძე. სრულიად უდანაშაულო ადამიანი ციმბირის ცივ გზას გაუყენეს, ხოლო გიორგი შარვაშიძის პიროვნებას ჩირქი მოსცხეს.

სასამართლოს არ შესწევდა უნარი აშკარად თვალი აეხვია საზოგადოებისათვის. პროკურორი ბიკოვი, როცა საქმე ირჩეოდა, იძულებული შეიქნა ეთქვა: „მართალია საქართველომ ეს გამოტეხა არ მიიღო, რადგან ეს გამოტეხა მოხდა პოლიციის უკანონო საშუალებით, რადგან ლოლაძემ გაიძვერობით და ჯილდოს დაპირებით გამოტეხა ისინი: მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, ფაქტი მაინც ფაქტად რჩება. გამოტეხას მაინც უნდა მიეცეს თავისი ძალა და მნიშვნელობა“.⁴²

სასამართლო პროცესის ასეთმა დამახინჯებამ და ადამიანთა გაუტანლობამ, სიცრუემ ძლიერ აღაშფოთა ადვოკატი ვ. სპასოვიჩი.

დ. ჩქოტუას დაცვაში აქტიურ მონაწილეობას დებულობდა რუსეთში მცხოვრები, ეროვნებით პოლონელი, გამოჩენილი იურისტი და შესანიშნავი მწერალი ვლადიმერ სპასოვიჩი. ეს პიროვნება ცნობილია არა მხოლოდ ჩინებული სახელმძღვანელოებითა და გა-

მოკვლევებით იურისპრუდენციაში, არამედ ბრწყინვალე წერილებით შექსპირზე, ბაირონზე, მიცევეჩისა და სლავური ლიტერატურის არაერთ წარმომადგენელზე.

აღსანიშნავია, რომ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე და სხვა სამოციანელები, რომელთაც განათლება პეტერბურგში მიიღეს, ვ. სპასოვიჩს თავიანთ აღიარებულ მოძღვრად თვლიდნენ. „საგულისხმოა აგრეთვე ილია ჭავჭავაძის ერთი უახლოესი მეგობრისა და თანამებრძოლის გიგა ყიფშიძის ცნობა, რომელიც ილიას სტუდენტობის წლებს და სწორედ ვლადიმერ სპასოვიჩის, პირველ, მართლაც, უცნაურ გაცნობას ეხება: „არა ერთხელ, – წერს გიგა ყიფშიძე, – უამბნია ილიას ერთი ანეკდოტის მგავსი რამ პეტერბურგში ცხოვრების ნიმუშად, მაშინდელი სტუდენტობის განუკითხველის უარყოფითის მიმართულებისა და მათივე გაწბილებისა. ერთხელ, ერთს იაფ კუნძმისტერსკსში ვსადილობთ, – უამბნია მისთვის ილიას, – ახალი ქართველი სტუდენტები, ვასილიევის კუნძულზედ, იქავ, უნივერსიტეტის ახლოს და რაღაც იურიდიულ საგანზედ ჩამოგვივარდა ბაასი. როგორც მოგეხსენებათ, ახალგაზრდობის საქმე, ბაასი ცხარე და მწვავე კამათად გადაგვექცა. კამათში ჩამოგვევრია ერთი ახალგაზრდა რუსიცა, რომელიც იმავე საერთო სასადილო მაგადას უჯდა და სადილობდა. იმასაც მაშინვე პირში ვეცით, ცხარედ შევეკამათეთ და არა დავუთმეთ რა; თუმცა კი მეტად გარკვევითა და ნათლად განმარტა საკამათო საგანი. მეორე დღეს – შევხედოთ და ის კაცი კათედრაზე კია გამოჭიმული უნივერსიტეტში და ლექციებსა კითხულობს. ვიკითხეთ ვინაობა და პირკატა კი გვეცა, როცა გვითხრეს, სპასოვიჩია, პროფესორი, დიდი მცოდნე იურისპრუდენციისაო“.⁵⁷

ცნობილია, რომ ვ. სპასოვიჩმა 1861 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტების გამოსვლის შემდეგ, მეფის მთავრობის

მიმართ პროტესტის ნიშნად, საჯაროდ დატოვა ეს სასწავლებელი. სწორედ ეს პიროვნება იყო დამცველი ახალგაზრდა დ. ჩქოტუასი. მან ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა სასამართლოზე. ეს სიტყვა გამორჩეული იყო აზრთა ლოგიკით, მოქალაქეობრივი პათოსით. მან ქვა-ქვაზე არ დატოვა მოწინააღმდეგეთა საბუთებიდან (სხვათა შორის, ვ. სპასოვიჩის აღნიშნული სიტყვა, ვითარცა ნიმუში, შესულია „რჩეულ იურისტთა გამოსვლებით“ ცნობილ გამოცემათა სერიალში. იგი დღესაც სამაგალითო გამოსვლად ითვლება. ამის შემდგომ მას სხვა კრებულებშიც ვხვდებით). „პირველად მესმის, რომ რუსეთში სადმე ამ საუკუნის დასაწყისიდან ამისთანა ბარბაროსული საქმე მომხდარიყოს. ახალი სასამართლო, ახალი კანონი სრულ უფლებას აძლევს ბრალდებულს თავის გამართლებისას... აქ კი ყველა საშუალებას ხმარობენ, აწვალავენ, ინკვიზიციის წესს ასრულებენ“.⁶⁷

მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვერც ვ. სპასოვიჩის გამოსვლამ შეაბრუნა დ. ჩქოტუას ბელი. „ნინო ანდრეევსკაიას საქმე, როგორც ნიმუში, სხვათა შორის, სამუდამო გულისტკივილად გაჰყვება მრავალნაცად იურისტს. სასამართლო პროცესიდან რვა წლის გასვლის შემდეგ, როცა გამოვიდა ვ. სპასოვიჩის თხზულებათა მეოთხე ტომი, შესავალ წერილში, მან კიდევ ერთხელ გულისტკივილით გაიხსენა ეს საქმე, „По тифлисскому делу не могу отрешиться от глубочайшего убеждения, что оно кончилось печальною ошибкой, что пострадали невинные люди, указанные заблуждающейся народною молвой“.⁶⁷

მეორე ადვოკატმა ტინომიროვმა, რომელიც სასამართლო პროცესის დროს ა. გაბისონიას იცავდა, ამ საქმის გარშემო წარმოებულ წინასწარ გამოძიებას „ციხის საიდუმლო ინკვიზიცია“ უწოდა.

მაინც რამ გამოიწვია ასეთი განუკითხავი ზეწოლა მეფის ხელისუფალთა მიერ, რაც შემაგრებული იყო ცრუმოწმეთა ჩვენებებით

და წინასწარ დარჩეული ჭორებით? ჯერ კიდევ მაშინვე, ხოლო შემდგომ უფრო ნათელი შეიქნა ამის მიზეზები.

დავითის დამცველი, ცნობილი იურისტი ნიკოლოზ ვახტანგის ძე ორბელიანი აღნიშნავდა, რომ, როგორც ჩანს, ასეთი იყო მითითება ზევიდან. ხოლო სიმონ ჯანაშიას შენიშვნით მთელი ეს ფარსი მიმდინარეობდა უმადლეს ხელისუფალთა „ინსპირაციის თანახმად, აქ დასახელებული ანგარიშის გაცნობა ყოველ ობიექტურ მკითხველს დღესაც დაარწმუნებს, თუ რამდენად უდანაშაულონი იყვნენ დასჯილნი და როგორ საზიზღრად იყო შეთითხნილი მთელი ეს საქმე მეფის სატრაპების მიერ“.⁶⁶

უმთავრესი მიზანი ერთი იყო, რომელიც პოლიტიკურ სფეროში ინაცვლებდა. მთელ ამ ვეებერთელა სასამართლო პროცესს შეფარვით პოლიტიკური სარჩული ედო საფუძვლად. როგორმე უნდა დამტკიცებულიყო, რომ დავით ჩქოტუა მოქმედებდა სწორედ თვით გიორგი შარვაშიძის კარნახით, რათა ამ უკანასკნელს ხელთ ეგდო ცოლისდის — ნინო ანდრეევსკაიას კუთვნილი ქონებაც. ამით, რასაკვირველია, ჩირქი ეცხებოდა ცარიზმის თვითმპყრობელობის ისეთ მოძულე პიროვნებას, როგორიც იმ დროს აფხაზთა უკანასკნელი მთავრის მემკვიდრე იყო. ყველაფრიდან ჩანს ისიც, რომ ამ საქმის გამწვავებაში პირადად იყო გარეული კავკასიის იმდროინდელი მეფისნაცვალი, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, რომელმაც ჯერ გადააყენა და შემდგომ პატიმრობაში ამოხადა სული აფხაზეთის უკანასკნელ მთავარს მიხეილ (ჰამუთ-ბეგ) შარვაშიძეს 1864 წელს. მერე მთელი ცხოვრების მანძილზე დევნიდა მის ვაჟს, აფხაზთა სამთავრო ტახტის უკანასკნელ პრეტენდენტს გიორგი შარვაშიძეს. სწორედ ამ უთანასწორო პოლიტიკური ორთაბრძოლის მსხვერპლი შეიქნა „უდანაშაულო დამნაშავე“, მწერალი და საზოგადო მოღვაწე დავით ჩქოტუა.

დავით ჩქოტუას საქმეს ფართოდ გამოეხმაურნენ ს. მესხი და მიაი „დროება“, ნიკო ნიკოლაძე და, საერთოდ, იმდროინდელი ინტელიგენციის წარმომადგენლები; პერიოდული პრესა — „ივერია“ და „ტიფლისკი ვესტნიკი“ თანმიმდევრულად აქვეყნებდნენ მასალებს ამ გახმაურებული საქმის შესახებ. როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველთა შეუდარებელმა მგოსანმა აკაკი წერეთელმაც მოიმარჯვა კალამი დავით ჩქოტუას დასაცავად. მან მხარი დაუჭირა საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც უსამართლობისა და უკანონობის წინააღმდეგ იბრძოდა. დავით ჩქოტუას ხელოვნურად გაჭიანურებული სასამართლო პროცესს პოეტმა უძღვნა ორი წერილი გაზეთ „Тифлисский вестник“-ში: პირველი — „Приехали из Петербурга“: (1878 წ., №247) და მეორე — „Мысли по поводу „Ограбленной почты“ (1878წ., №278). ამ სტატიებში აკაკი წერეთელმა ამხილა ცარიზმის მანკიერ მართლმსაჯულებაში გამეფებული ბიუროკრატიზმი, სიყალბე, რისი მსხვერპლიც გახდა დავით ჩქოტუა.

სტატიებში აკაკი წერეთელს მოჰყავს რუსული ანდაზა: „სხვის ტაძარში შენი კანონით შესვლა არ შეიძლებაო“, და ამბობს, რომ დ. ჩქოტუას საქმის გარჩევა უნდა მოხდეს ეროვნული სასამართლო საფუძვლების გათვალისწინებით. მგოსანი პირდაპირ მიმართავს სასამართლოს მოხელეებს: „ძალიან, ძალიან გვეეჭვება თქვენი კეთილსინდისიერებისო“.⁶⁹ მან იქვე ამხილა რუსი ექსპერტების ფარისევლობა, უსუსურობა და გახრწნილობა. სტატიის ავტორი ენება რა რუსეთის განაპირა მხარეების საკითხს, მიუთითებს, რომ, მართალია, ჩვენ პროვინციელები ვართ, მაგრამ სიმართლის შემთხვევაში თქვენი არ გვეშინიაო. მაგრამ, როგორც ვნახეთ, წინასწარ შეითხზნილი განჩინების დამრღვევი და შემცველი ძალა არსად იყო. მართალი სიტყვა

მოწინავე საზოგადოებისა და მისი პრესისა რჩებოდა „ხმად მლალადებლისა უდაბნოსა შინა“ ...

აქვე უნდა აღინიშნოს ის საინტერესო ფაქტიც, რომ გიორგი შარვაშიძეს, ჯერ კიდევ 1878 წელს დაუწერია პიესა (რუსულ ენაზე), სათაურით — „ბედისაგან დევნილი კაცი“. მასში დავით ჩქოტუას ტრაგიკული თავგადასავალი ყოფილა აღწერილი. ეს ნაწარმოები ჯერჯერობით დაკარგულად ითვლება. შემორჩენილია მხოლოდ ერთი ცნობა, რომელიც ასეთი შინაარსისაა, „ამბობენ, ვითომც თ. გიორგი შარვაშიძეს, რომლის სახელი ანდრეევსკის ქალის პროცესში არაერთხელ არის ნახსენები, დაუწერია რუსული კომედია თუ დრამა, სახელად „Человек, преследуемый судьбою“, რომელიც ავტორს წარუდგენია „მოსკოვის უწყებებისა“ და „რუსის მოამბის“ რედაქტორის უფ. კატკოვისათვის, ამ უკანასკნელ ჟურნალში დასაბეჭდად. უფ. კატკოვმა ეს თხზულება დასაბეჭდად ვერ მიიღო, რადგან ავტორს დრამატული თხზულებებისა და სცენის მოთხოვნების ცოდნა აკლიათ, მაგრამ ამასთანავე ისიც ეთქვა, რომ უეჭველია, ამის დამწერი ძლიერ ნიჭიერი და ჭკვიანი კაცი უნდა იყოსო. ამბობენ ამას გარდა, ვითომ უფ. კატკოვს ეთქვას, რომ ამ თხზულების დამწერი კაცი ბოროტი კაცი არ უნდა იყოსო.; ანდრეევსკის ქალის მკვლელობაში იმას მონაწილეობა არ უნდა მიეღოსო“.⁴³

მიუხედავად ყოველივე ამისა, დავით ჩქოტუას მაინც მოუხდა თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის, საკატორლო სასჯელის მოხდა შორეული ჩიტას გუბერნიაში.

დავით ჩქოტუას პიროვნების ვინაობისა და მისი ცხოვრების გზის გასარკვევად, სხვა მრავალთან ერთად, თბილისში ვეწვიე ქალბატონ ბაბო დადიან-მასხარაშვილისას, რადგან მას ახლო ნათესაური ურთიერთობა აკავშირებდა აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის გიორგი შარვაშიძის ოჯახთან. ბაბო დადიანი იყო ნიკოლოზ (კოკი) დადიანის ქალიშვილი. იგი იზრდებოდა ბებუის (მამის დედის) თამარ შარვაშიძის

ოჯანში. თამარი იყო აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილის უფროსი ქალიშვილი. რასაკვირველია, ქალბატონმა ბაბომ ზედმიწევნით იცოდა დავით ჩქოტუას თავზე დატრიალებული ტრაგედიის ამბავი. მან სიამოვნებით მიჩვენა და გამაცნო შარვაშიძეთა საგვარეულოს წარმომადგენელთა ვინაობის აღმწესხველი ფოტო-მასალა. თანაც, დების ანდრეევსკების ულამაზესი სურათიც მაჩუქა. ჩემს შეკითხვაზე, შეიძლებოდა თუ არა დავით ჩქოტუას მოეკლა ნინო ანდრეევსკაია?“ პასუხი ასეთი იყო: როგორც ამ წუთში თქვენგან არ მოველი იმას, რომ მომკლავთ და ამ ძვირფას რელიქვიებს გაიტაცებთ, ისე დავითისაგან... ამ ჩინებული, ნიჭიერი, უპატიოსნესი კაცისაგან... მსგავსი რამის გაფიქრებაც მკრეხელობად მიმაჩნიაო...

იმ წუთში გამახსენდა დავით ჩქოტუას სიტყვები: „საწყალი ნინო ერასტოვნა! რომ შეეძლოს შეიტყოს, თუ რამდენი ადამიანი გაუბედურდა მისი მიზეზით“.²⁶ ეს სიტყვები კიდევ ერთხელ მიუთითებს ჩაუღწეელი დანაშაულის აუტანლად მძიმე ტვირთზე...

დავით ჩქოტუას ცხოვრებაში დაღვა უმძიმესი დღეები, მაგრამ როგორც ზნესრულ ადამიანებს სჩვევიათ, მიუსაფრობაშიც მას ღირსეულად ექირა თავი და პატიმართა შორის „ქირთა დათმენის“ მისაბამ მაგალითად იყო მიჩნეული.

არც გადასახლებაში ყოფილა დავით ჩქოტუა გულხელდაკრეფილი. იგი სულიერი სიმაღლის მისაღწევად ნიადაგ შემართული იყო. თავგადაკლული ბრძოლა საკუთარ თავთან და საკუთარ ზვედრთანაც, მუდმივი კიდილი, მიზნის მიღწევის, საქმეთა აღსრულების დაუოკებელი უნნი ამოძრავებდა დავით ჩქოტუას გამწარებულ ყოფას. მისი ცხოვრება – ეს არის მარტოკაცის მიერ განვლილი ცხოვრების გზა (ვგულისხმობ გადასახლების პერიოდს – მ.ჯ.). რუსთაველის პოეზიაზე გაზრდილი და შეყვარებული კაცი, ალბათ მისივე სიბრძნით სულდგმულობდა:

„თუ თავი შენი შენ გახლავს, ლარიბად არ იხსენები“.

დავით ჩქოტუას დამსახურება, როგორც პიროვნებისა, იმდენად დიდი იყო ნაცნობ-მეგობრებს შორის, რომ მიუსაფრობაშიც არ დაივიწყეს იგი. აკი ზემოთ აღვნიშნეთ, მას აზრთა თანაზიარი შესანიშნავი ადამიანები ჰყავდა ოდესისა თუ პეტერბურგის უნივერსიტეტებში სწავლისას. როგორც მოსალოდნელი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი ვასილ პეტრიაშვილი იყო, რომელმაც მატერიალური თუ ზნეობრივი თანადგომა გაუწია მეგობარს. საბედნიეროდ, ჩვენამდე შემონახულია რამდენიმე კერძო ბარათი, გაგზავნილი გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, შემდგომ ოდესის უნივერსიტეტის რექტორის ვასილ პეტრიაშვილის სახელზე. დავითს და ამ უკანასკნელს ყველაზე წმინდა და სუფთა სიყრმის მეგობრობა აკავშირებდათ. ვასილ პეტრიაშვილს ერთი წუთითაც არ მიუტოვებია ბედისაგან განწირული ახლო კაცი. მათი ურთიერთობა მალეა დგას ყოველგვარ ეროვნულ, ნაციონალურ კარჩაკეტილობასა და შეზღუდულობაზე.

ის დრო, რომელიც დ. ჩქოტუამ გადასახლებაში დაჰყო, საკმაოზე მეტი იყო უზარმაზარი გამოცდილების დასაგროვებლად. დავითის პიროვნული თვისებები მისაბაძი და შესაშურია. მას, არც ვასილ პეტრიაშვილისა და არც სხვა ახლობლებთან გაგზავნილ ბარათებში, უბრალო მინიშნებაც, რაიმე უნებლიე საყვედურიც კი ვინმეს მიმართ არ წამოსცდენია. თუმცა მან ზედმიწევნით იცოდა, თუ ვისთვის გამიზნული მოწამლული ისრით იყო დაკოდილი, უფრო მეტიც, ვასილ პეტრიაშვილისადმი გამოგზავნილ ბარათში იგი შეწუხებულია გ. შარვაშიძის ცხოვრების წესის შეცვლით: „ძალიან შემაწუხა გიორგის ამბავმა. თუმცა არ მჯერა, რომ მის ასაკში იგი ასეთ უმსგავსო ცხოვრებას ეწეოდეს, როგორც ამას ამბობენ ადამიანები, რომლებიც სხვის თვალში ბეწვს ხედავენ, ხოლო საკუთარში ღირესაც ვერ ამჩნევენ. მაგრამ

ჩემთვის უეჭველია ის, რომ იგი თავისი ხასიათის ინერტულობის გამო, მეტისმეტად ჩაება გარემოცულ წრეში და ყველა წარუმატებლობისა და იმედგაცრუების შემდეგ, გზაბნეულ ცხოვრებას ეწევა“.²⁶ დავითმა ყველაზე უკეთ იცის გიორგი შარვაშიძის ყოფის გაუბედურების მიზეზები და ზნეკეთილი ადამიანი მტკივნეულად განიცდის მის მდგომარეობას. ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება ვირწმუნოთ, რომ შემოქმედი პიროვნების ფიზიკური განადგურებაა ადვილი და შესაძლებელი, ხოლო ზნეობრივი დეგრადაცია არამც და არამც.

დავით ჩქობუა, როგორც ქართული ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული და იმავე ატმოსფეროში აღზრდილ-დავაჟიკებული, სადაც განუწყვეტლივ იკითხებოდა – „ვეფხისტყაოსანი“, დავით გურამიშვილის, სულხან-საბას, ბესიკისა და სხვა ქართველ კლასიკოსთა უკვდავი ქმნილებანი, არ შეიძლებოდა კეშმარიტ გზას არ დადგომოდა. იგი შორეული ჩიტას გუბერნიაშიც ინტელექტუალური ცხოვრებით ცხოვრობდა. შოულობდა თითოთოროლა წიგნს, სწავლობდა უცხო ენებს და, რაც მთავარია, დღენიადაგ ჩაჰკირკიტებდა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“. ამ საქმეში დიდად უწყობდა მას ხელს ვ. პეტრიაშვილი. იმ დროს, ასე შორს, წიგნების გაგზავნა და საჭირო ნივთებისა თუ სამეცნიერო აზრთა გაზიარება მეტად ძნელი იყო. დავითიც მადლიერი, უზომოდ კმაყოფილი სამადლობელო ბარათს არ უგვიანებდა მეგობარს: „გულწრფელი მადლობა ძვირფასო მეგობარო ვასო... ამ წერილის თითოეული სიტყვა სუნთქავს წმინდა მეგობრობისა და გულითადობის გრძნობით. შენი წერილები ყოველთვის სიცოცხლით მავსებს და ენერჯიას მიახლებს... თუ სახარების სიტყვებს ოღნავ შევცვლით, უნდა ვთქვა, რომ უბედურებაში არა მარტო სასიხარულო ცნობებით ვნუგეშობთ, არამედ მეგობართა მხრივ მეგობრული გრძნობებისა და თანაგრძნობის ყოველი

გამოვლინებით, რადგან მეგობრული გრძნობის გამოვლინება, მართლაც სიცოცხლის მინიჭებას უდრის გარკვეულ შემთხვევაში“.²⁶

დავით ჩქოტუამ კატორლაში 28 წელიწადი დაჰყო (1878წლიდან 1906წლამდე). ცხოვრების საუკეთესო წლები მან ციმბირში გაატარა. 57 წლის ჯანგაწყვეტილი და დაავადებული დაუბრუნდა მშობლიურ კერას. „დავით ჩქოტუა ციმბირიდან 1906 წელს დაბრუნდა კუჭის ტკივილით დაავადებული. მხოლოდ გამხმარი პურით, მჭადისა და ღომის ქერქით, რძით, ყველით და კვერცხით იკვებებოდა. პირველ ხანებში ზუგდიდში ცხოვრობდა ძმასთან, შემდეგ ცალკე დასახლდა. პატარა სახლი დაიდგა სოფელ რიყეში. სულ მარტო ცხოვრობდა, რატომღაც ძმებთან არ ისურვა ცხოვრება. ცოლ-შვილს არ მოეკიდა, მოხუცებული ვარო, თუმცა არც ისე ხნიერი იყო, 60 წლისა თუ იქნებოდა. ზურაბის მამულების მესამედი მისი იყო, ვინ შეედავებოდა, მაგრამ არც მამულები მოუთხოვია ძმებისაგან. რად მინდა, ცოტა ხანში არც იმათი იქნებაო, იტყოდა“..⁵⁴

დავით ჩქოტუას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ცნობები, მისი ციმბირიდან დაბრუნების შემდეგ პერიოდზე უზვად მოიპოვება. ზოგიერთი მათგანი, ვინც დავითის მოღვაწეობას თვალყურს ადევნებდა, ცოცხალია, ღრმად მოხუცი, ზოგიც გარდაცვლილი, მაგრამ მათ მიერ დამოწმებული ცნობები დაცულია ქართველ მკვლევართა. სოლომონ ცაიშვილის, ო.ჭურღულიასა და სხვათა სამეცნიერო შრომებსა და გამოცემებში, ნაწილი ჩემთან ინახება.

კვლევის დროს დავით ჩქოტუას ცხოვრების ბოლო წლებსა და ფოტომასალების შესახებ საინტერესო მასალა მომაწოდა გალის რაიონის კულტურის განყოფილების გამგემ, ნოდარ შონიამ . (ინახება ჩემთან. მ.ჯ.)

დავით ჩქოტუა ჩვეული ენერგიით შესდგომია ინტელექტუ-

ლურ თუ პრაქტიკულ საქმიანობას და მშობლიურ კუთხეში მრავალი სასიკეთო საქმის მოთავე გამხდარა. იგი განუწყვეტლივ ეძებდა და იკვლევდა ამ მხარის წიაღისეულ სიმდიდრეს, ყულის წყლისა და ბეჩას გამოქვაბულის შესწავლით იყო დაინტერესებული. „მუდამ თან ჰქონდა რაღაც ხელსაწყოები (ინსტრუმენტები), რომელითაც ამოწმებდა ქვიშას. ლევანი ხუმრობით ეტყოდა: (ლევანი ჩიჩუა იყო დავით ჩქოტუას ახლო ნათესავი) ბიჭო, ოქრო მონახეო? ბევრი ქვა ჰქონდა შეგროვილი, მიკროსკოპით სინჯავდა მათ. ჰყავდა ერთი ცხენი, რომელსაც „ბაჩა“ ერქვა, რომლითაც მუდამ დადიოდა და რაღაცას ეძებდა“. სხვათაშორის დავითის უწყინარ „ბაჩასა“ და მისი მშობლიურ საბერიოში სტუმრობების თვითმზილველი იყო ამავე სოფლის მკვიდრი იასონ მურღულია (გარდაიცვალა 1990წელს). ჩემთან საუბრის დროს მან აღნიშნა: „დავითს ღვთიური სახე ჰქონდა, მრავალნატანჯი იერი, მაგრამ მხნედ გამოიყურებოდა – თეთრი, სპეტაკი წვერი ამშვენებდა. ხშირად სტუმრობდა ახლობლებს საბერიოში.

ჩქოტუების საგვარეულო ეკლესიაშიც ხშირად მინახავს მარტო ასული „ბაჩას“, როგორც წესი, გალავანთან მიუშვებდა საძოვარზე. თვითონ დიდხანს დადიოდა... ყველა დიდ დღესასწაულს აქ ატარებდა, რა თქმა უნდა, ავადმყოფობა თუ არ შეუშლიდა ხელს. „დიდი ზურაბის“ შვილს უდიდესი მოწიწებით ვხვდებოდით“.

თვითმზილველთა ცნობით, დავით ჩქოტუა მუდამ კითხულობდა. მას ჰქონდა XIX საუკუნის რუს და ქართველ კლასიკოსთა წიგნები, რომელთა გაცნობას თავისიანებსაც ურჩევდა. აფხაზეთის დამახურობული მასწავლებელი, ისტორიკოსი ბიქტორ შონია (90წლის) იგონებდა: „ახალგაზრდებს მისი მოსმენა მუდამ გვწყუროდა. ენაწყლიანი და უზადო მოსაუბრე იყო. ზურაბ ჩქოტუას შვილებს შორის ყველაზე განათლებული, ალალი და მიმნდობი. მისი ძმა ნიკო

შეზღუდული გონების კაცი იყო, ეგოისტი. დავითის წილი მამულების დასაკუთრება სურდა. ცოცხალი თავით არ დაუთმო ძმას, ეს იყო სწორედ მიზეზი იმისა, რომ ცხოვრების ბოლო წლებს დავითი მეტწილად ენგურს გაღმა ატარებდა. ვიცი დანამდვილებით, რომ ბოლო წლები დედუნე ჩქოტუას ოჯახში გაატარა“ (დედუნე ჩქოტუა დავითს ბიძაშვილად ერგებოდა).

ცხოვრების ყოველგვარი პირობები შეუქმნა მას ახლობელმა და ქუთაისის გიმნაზიის ბავშვობის მეგობარმა ლევან ჩიჩუამ. დავითი დღენიდაღ სარგებლობდა ლევანის უმდიდრესი ბიბლიოთეკით. იგი ძალიან ბევრს მუშაობდა და ნაწერებიც უხვად ჰქონია.

დიდი სიყვარულით სარგებლობდა მანჩა (დავით) ჩქოტუა ზუგდიდის მოწინავე საზოგადოებაშიც. მას თურმე „გენიოს ჩქოტუას“ ეძახდნენ (ნ.შონიას ჩანაწერი).

ნიკო (ბოჩო) ლევანის ძე მხეიძის ცნობით, სამეგრელოში ჩაის კულტურის შემოტანისა და გავრცელების უშუალო თაოსანი დავით ჩქოტუა ყოფილა. ჩაის დამუშავების ტექნოლოგიაც მისგან უსწავლიათ. ყულისკარში აღმოუჩენია დავითს მთიან ადგილებში წითელი ქვები, რომლისგანაც მშვენიერი საღებავი დაუმზადებია. ბაკრა და ივანე ძიგუების ოჯახში (ესენი დავითის ძიძიშვილები ყოფილან) დავით ჩქოტუას ქერის ახალი ჯიში გამოუყვანია. შემდგომი წლისათვის დაუთესიათ ქერი და შესაშური მოსავალი მიუღიათ.

დავით ჩქოტუა თანასოფლელთა ბავშვებს წერა-კითხვას ასწავლიდა, აინტერესებდა მათ ქართული კლასიკური მწერლობის ნიმუშების შესწავლით. უნერგავდა სპორტის სიყვარულს. ერთ ხანს გერმანული ენის სპეციალისტიც მოუწვევია, რათა ბავშვები უცხო ენას დაუფლებოდნენ.

დავით ჩქოტუა აქტიურად იყო ჩაბმული დასავლეთ საქართველოში

მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. ცნობილია, რომ მან მონაწილეობა მიიღო დაბა ზუგდიდში გამართულ მასწავლებელთა შეკრება-კურსების მუშაობაში.

მასწავლებელთა კურსები 1917 წლის მაის-ივნისის თვეში ჩატარებულა ადგილობრივი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მასწავლებელთა ზუგდიდის კავშირის თაოსნობით. პედაგოგები ორ ჯგუფად დაუყვიათ: ერთ ჯგუფში ზუგდიდის მაზრის მასწავლებლები გაერთიანებულან, მეორეში – სამურზაყანოს სკოლის წარმომადგენლები. კურსების მთავარი მიზანი იყო ზემოთ ხსენებულ რეგიონებში ქართული ენის სწავლების საკითხის განხილვა და მისი შემდგომი განვითარებისათვის პერსპექტიული გზების დასახვა. ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში განუხილავთ „დედა ენის“ სახელმძღვანელოს I და II ნაწილები. ამავე დროს შეუდგენიათ ლექსიკონი საჭირო სიტყვებისა შესაბამისი მეგრული თარგმანით. მათემატიკურ ტერმინთა შემსწავლელი კომისია ცალკე გამოუყვიათ. მასში შედიოდნენ ცნობილი პედაგოგები: ივ. ოსიძე, ერ. როდონაია, კლ. ბებურია, მამალლობელი, იას. ლაგვილავა, რ. თოდრია, ს. ცხადაია, იაკიმ ქარჩავა. ქართული ენის სექციის თავმჯდომარედ მოწვეული ყოფილა ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელი ევსევეი მიქელაძე, რომელიც ლექციებს უკითხავდა მასწავლებლებს ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. არითმეტიკაში მათ ხელმძღვანელობას უწევდა ქუთაისის რეალური სასწავლებლის ცნობილი პედაგოგი ტარასი მამალაძე.

დავით ჩქოტუას ქართული ენის სექციაზე წაუკითხავს მეტად საინტერესო ლექცია შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ: „სამწუხაროდ, როგორც ამბობენ, – იგონებს თბილისიდან სპეციალურად კურსებზე მივლინებული წერა-

კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი ლ. ბოცვაძე, —
საინტერესო და მრავლისმომცველი ყოფილა დავით ჩქოტუას ლექცია,
ვერ დავესწარი“.⁵⁴

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დავით ჩქოტუას მოუთხოვია
თბილისიდან ქართული წიგნებით დახმარებოდნენ სამურზაყანოს
სკოლებს. იგი უფრო მეტად ისტორიული შინაარსის შემცველი დამხმარე
ლიტერატურით მომარაგებას ითხოვდა... სამწუხაროდ, ეს მეტად
საინტერესო და საჭირო კურსები, უსახსრობის გამო, დროთა
განმავლობაში დახურულა. უფრო სამწუხარო და დასანანი ის ფაქტი,
რომ დავით ჩქოტუას მიერ წაკითხული ლექციის ჩანაწერი სხვა მდიდარ
მემკვიდრეობასთან ერთად დაკარგულია. მიუხედავად მრავალმხრივი
ძიებისა და მცდელობისა, მის კვალს ვერ მივაგენით. ისიც, ალბათ,
როგორც სხვა ნაწერები, დავითს სამარეში ჩააყოლეს.

დავით ჩქოტუას პოპულარობის დამადასტურებელია ის ფაქტი,
რომ ცნობილმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ შალვა
დადიანმა თავის რომან „გვირგვლიანების ოჯახში“ დავითის
პროტოტიპად, მის ლიტერატურულ ორეულად წარმოგვიდგინა
ვამეხ გვირგვლიანი... ვინც ყურადღებით გაეცნობა ვამეხის ცხოვრებას,
მასში უსათუოდ დავით ჩქოტუას შეიცნობს. შალვა დადიანი ვამეხის
შესახებ გვამცნობს:

„ვეტიხიმ მაშინვე იკითხა იმ სერთუკიანის ვინაობა, რომელმაც მათ
თავი დაუკრა. გუტატიმ უპასუხა:

— როგორ? არ იცნობ? ეს ვამეხია.

— ვამეხი? კატორღელი?

— ჰო, იყო კატორღაში, მაგრამ ჩვენში მაინც მიჩნეული კაცია.

ალექსანდრე II დროს მას 20 წლის კატორღა მიესაჯა და მხოლოდ
ნიკოლოზ II ხანაში დაბრუნდა სამშობლოში, დაბრუნდა როგორც

ღირსებაანდელი და მამულჩამორთმეული ადამიანი“.²⁸ საინტერესოდ აღწერს მწერალი გმირის გარეგნობას: „სახეზე ეტყობა ერთგვარი სევდის თუ წუთისოფლის უმადურობის კვალი, მაგრამ ისიც ეტყობა, რომ იგი ტანჯვას ვერ მოუტეხნია, მხოლოდ თმა აქვს შეთეთრებული... ხუმრობაა ოცი წელიწადი კატორღაში ყოფნა! იქ გულჩათხრობილობასაც შეჩვეოდა. მაგრამ საკვირველია, რომ არ დავარდნილა და თავის ფარეშობაც არ უკუგდია... ეტყობა, ფაქიზი კაცია. მაგრამ ვინ უვლის? მგონი ცოლ-შვილი არა ჰყავს. რით ცხოვრობს?

—დიდი ნასწავლი კაცი ყოფილა. თავის დროზე ნიკო ნიკოლაძისა და აკაკი წერეთლის ნაამხანაგარია თურმე, ხომ იცი?

— ასე ამბობენ, თავის დროზე მაგას ოდიშში ჭკუითა და ნასწავლობით ვერავინ სჯობნიდა თურმე.

— არა, ეს ვიცი, რომ ამ სოფელში ჭკუის საკითხავ კაცად გყავთ...

— ამ სოფელში? სოფელში კი არა, მთელს ჩვენს მაზრაში, არათფერი ისეთი საზოგადო საქმე არ გაკეთდება, რომლის შესახებ მაგას არ შეეკითხონ, ჩვენი სოფელი ხომ, თუ ვინმეს რამე უჭირს, — სასამართლოს საქმეა ეს თუ რამე სასოფლო გზის გაყვანა, სკოლის აშენება, მამასახლისის არჩევა და სხვა ამგვარები, სულ მაგას ემუდარებიან: ერთი სწორ გზაზე დაგვაყენო!“.²⁸

ცნობილი მკვლევარი ალ. ჩავლეიშვილი ერთხელ სწვევია შალვა დადიანს და საინტერესო ინტერვიუ ჩამოურთმევია მისთვის. რომელშიც, სხვა საკითხებთან ერთად, პროტოტიპის ტიპად ქცევის პრობლემაზე მსჯელობისას, დაუსახელებია ვამეზ გვირგვლიანი — დავით ჩქოტუას სახე.

— „გვირგვლიანების ოჯახში“ ვინ გყავთ გამოყვანილი პროტოტიპებად? — „გვირგვლიანების ოჯახში“ ნექტარინა, მაგალითად, ერთი რომელიმე კნენა არ არის აღებული. არამედ ესეც შემკრებლობითი

სახეა. ამისთანები იყვნენ ერთ დროს, აგრეთვე ბარამი, ბეგი, გლეხებიც. ეს სულუყველა ჩემი ნაცნობებია, მხოლოდ მათგან მაქვს ნასესხები სხვადასხვა მხარე მათი მეობისა. ფოტოგრაფია კი არა ერთისა არ არის.

ვამეხნი? ამისთანა ინტელიგენტები იყვნენ 70-იანი წლების თაობაში და მათ მოაღწიეს (ზოგიერთებმა) ჩვენამდე. ისე კი ვამეხნის ბიოგრაფიამ შეიძლება მოგვაგონოს თავის დროზე კარგად ცნობილი პუბლიცისტი დავით ჩქოტუა, მაგრამ პირდაპირ დავითი მაინც არ არის“.⁵³

როგორც ვნახეთ, შალვა დადიანი დავით ჩქოტუას ახლოს იცნობდა და, ბუნებრივია, მწერალმა დაწვრილებით იცოდა მისი ცხოვრების დეტალები, საერთოდ მისი საქმიანობა გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ. ამიტომაც ვამეხ გვირგვილიანისა და დავით ჩქოტუას თავგადასავალს შორის დიდი მსგავსებაა...

დავით ჩქოტუას ცხოვრება ათასგვარი მოულოდნელობებითა და დაუნდობელი სიმკაცრით არის აღბეჭდილი. ამ უცნაური ბედის კაცის სურათიც აღარ შემორჩათ მის ახლობლებს. ფოტომასალების მოძიებით თავის დროზე მკვლევარი სოლ. ცაიშვილიც ყოფილა დაინტერესებული, მაგრამ უშედეგოდ. მკვლევარმა, ისტორიკოსმა ნოდარ შონიამ დიდხანს ეძება დავითის სურათი საქართველოს ფარგლებში მცხოვრებ ნათესავებთან. ერთხელ მხატვარმა შოთა სვანიძემ მიუთითა მას დავით ჩქოტუას ფოტოსურათის არსებობაზე ქ.ტყვარჩელში ლილი ნიკოს ასულ ჩქოტუა-ციკოლიას ოჯახში. ამ უკანასკნელისათვის დავითისა და მისი ნათესავების ფოტოსურათები გადაუცია ლიზა გიორგის ასულ არტუნოვა-ჩქოტუას, რომლის ოჯახის ხშირი სტუმარი იყო აკაკი წერეთელი. ამ სურათის რეალობა ფაქტი იყო. მკვლევარი ამით არ დაკმაყოფილდა. ის წერილობით დაუკავშირ-

და დავით ჩქოტუას ძმისშვილს ქალაქ ტაშკენტში (მისი გულთბილი წერილები და სურათები დღესაც ინახება სოფელ საბერიოს საშუალო სკოლის მუზეუმში) და კიდევ ერთხელ დარწმუნდა სიმართლეში: „თქვენს მიერ გამოგზავნილი ფოტოსურათი სინამდვილეში ბიძაჩემ დავით (მანჩა) ჩქოტუასია. გადაღებულია ეს სურათი 1914-1915 წლებში. ამასთანავე გიგზავნით დავითის სურათს პეტერბურგში გადაღებულს. მას ავტოგრაფი ამშვენებს და დათარიღებულია 1872 წლით“. – წერდა საპასუხო წერილში ევგენი ჩქოტუა მკვლევარს. ეს ფოტოსურათი ნ. შონიამ გამოაქვეყნა გაზეთ „აფსნი ყაფში“ და ერთადერთი ეგზემპლარი გაუგზავნა ცნობილ მეცნიერს – პროფესორ სარგის ცაიშვილს. აკადემიკოსმა ს. ცაიშვილმა დავით ჩქოტუას სურათი (პორტრეტის მიხედვით) დაახატვინა მხატვარ უჩა ჯაფარიძეს და ინახება მის არქივში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დავით ჩქოტუა ყველგან დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა; ყურადღება არ აკლდა და გვერდში ამოდგომა, მაგრამ, მაინც, მისი ბიოგრაფია – ეს არის მარტოკაცის მიერ განვლილი მეტად ნაყოფიერი ცხოვრების გზა...

დავით ჩქოტუა გარდაიცვალა 1929 წელს, 80 წლის ასაკში. დასაფლავებულია გალის რაიონის სოფელ საბერიოს ჩქოტუების საგვარეულო ეკლესიაში.

ასე დასრულდა ისტორია ერთი მღელვარე და შინაარსიანი, მაგრამ მრავალნატანჯი პიროვნების – დავით ჩქოტუას – ცხოვრებისა.

თავი II დავით ჩხოტუას კუბლიცისტიკა

ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სულიერი კულტურის განვითარებაში თავისი ისტორიული მნიშვნელობით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გასული საუკუნის 60-70-იან წლებს. იგი მდიდარია არა მხოლოდ უაღრესად მნიშვნელოვანი სოციალური მოვლენებით, არამედ კულტურისა და ლიტერატურის არაჩვეულებრივი განვითარებით, ერის ნაციონალური შეგნებისა და მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების გამოცოცხლებით და მძლავრი დემოკრატიული აღმავლობით.

ეს იყო დრო, როცა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურის შეცვლის გამო არსებითი გარდატეხა მოხდა სოციალურ ძალთა განლაგებაში, რამაც მკვეთრი ასახვა ჰპოვა იდეოლოგიურ ცხოვრებაში. ფეოდალურ-საზოგადოებრივი ურთიერთობის მწვავე კრიზისი, ბატონყმობის გაუქმება და ახალ ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარება გახდა სტიმული იმ ისტორიული მობრუნებისა, რომელიც ამ დროს ჩვენს ქვეყანაში მოხდა და რასაც დიდი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა.

საზოგადოებრივ ისტორიულ სინამდვილეში მიმდინარე პროცესებთან ღრმა კავშირი ჰქონდა ეროვნული ენერჯის მძლავრ გამოვლინებას ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების სფეროში. იწყება ძლიერი აყვავება ქართული მწერლობისა, რომელიც სათავეში ჩაუდგება ხალხის ცხოვრებას და ახალი გზით წარმართავს მისი განვითარების ისტორიულ პროცესს.

ამ განახლებული ცხოვრების იდეური შთამაგონებელნი და მედროშენი იყვნენ ქართველი სამოციანელები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი

წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და სხვა თავდადებული მოღვაწენი, რომელნიც ქართული კულტურის ისტორიაში თერგდა-
ლეულთა სახელით არიან ცნობილნი.

60-70-იანი წლები არა მხოლოდ ქართული მხატვრული ლიტერატურის აყვავების პერიოდია, ამ დროს მოქალაქეობრივ უფლებებს იმკვიდრებს და ფართოდ ვითარდება ქართული საზოგადოებრივი აზროვნება, ვითარდება მეტრძოლი პუბლიცისტიკა, მატერიალისტური კონცეფცია მთავარ როლს ასრულებს ქართულ ფილოსოფიურსა და ესთეტიკურ აზროვნებაში, რაც თეორიულ საფუძველს უქმნის ქართული კრიტიკული რეალიზმის განვითარებას.

გონებრივი ცხოვრების ასეთი აყვავება, რა თქმა უნდა, იმ დროის ქართულ სინამდვილეში პოულობს ახსნას და, უწინარეს ყოვლისა, განსაზღვრულია ეროვნულ-ისტორიული, საზოგადოებრივი პირობებით, ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ქართულ მწერლობასა და საზოგადოებრივ აზროვნებაზე მოწინავე რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგიის კეთილმყოფელი გავლენა.

ამ პერიოდის ისტორიული სინამდვილის ერთი უმნიშვნელოვანესი ტენდენცია ის იყო, რომ 60-იან წლებში საქართველოს ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობა ორგანულად იყო დაკავშირებული სოციალურ-გამათავისუფლებელ ბრძოლასთან. „ოსმალეთის ომის დროიდან, წერდა ნიკო ნიკოლაძე გერცენის „კოლოკოლში“ 1865წ., — გლენთა განთავისუფლების საკითხმა ქართული საზოგადოების ყოველი ელემენტი ააღელვა“ ...

უეჭველია, ხალხის სულიერი ცხოვრების ასეთი გამოღვიძება, ლიტერატურის იდეური აღმავლობა, ახალი პოლიტიკური, სოციალური და ეთიკური იდეალების წამოყენება ორგანულად იყო დაკავშირებული ქართველი ხალხის ეროვნული ცხოვრების ახალ ეტაპთან.

ილია ჭავჭავაძე, ეროვნულ - გამათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი, ამ პროცესს ასე აანალიზებს: „ზემოთხსენებულ წელთა შემდგომმა დრომ... მოიტანა თან სხვა ნიავი, გასწმინდა ცოტად თუ ბევრად ქვეყნის დამაბნელებელი ბურჟსი, გადაჰყარა ღრუბლები და ჩვენი (ეროვნული) ცნობიერება გამოათხიზლა. დიახ, დღეს ბევრსაც ერთიანად გვწამს ჩვენც ჩვენი ქვეყნის მომავალი“.⁶²

აკაკი წერეთელმა ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების გამოღვიძება, ჩვენი ეროვნული განთიადი შეადარა გაზაფხულის მაცოცხლებელ ძალას: „გაზაფხულის პირად, სულ პირველ ხანებში... ჯერ კიდევ გაცვრცვნილ მცენარეულობას რალაც სხვა ფერობა ეტყობა, თითქოს კარგს რასმეს ეპირება და ღიმილი მოსდის..., რომ მერე, ერთთავად გამოხეთქოს, გამოაღვიძოს მიძინებული ბუნება, მაშინდელ ჩვენს ცხოვრებაშიც სწორედ ამგვარი დრო იყო“.⁶³

ახალი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოძრაობის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ბექდვითი ორგანოების დაარსება- განვითარებას. ქართული ეროვნული პრესის უმთავრესი მიზანი უნდა ყოფილიყო მშობელი ხალხის სამსახური, მისი პროგრესისა და ბედნიერებისათვის ზრუნვა.

ზემოთ აღწერილმა ისტორიულმა პროცესებმა, ეროვნული ენერჯის მძლავრმა გამოღვიძებამ ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების სფეროში, კულტურული ცხოვრების იდეურ-შემოქმედებითმა განახლებამ, ბექდვითი ორგანოების საქმიანობის აღმავლობამ გარკვეული როლი შეასრულა ეროვნული, მებრძოლი პუბლიცისტიკის ჩამოყალიბების საქმეში.

პუბლიცისტიკა საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარე პროცესებისადმი აქტიურ დამოკიდებულებას გულისხმობს. პუბლიცისტი თავისი განსჯის სფეროში აქცევს ცოცხალი სინამდვილის

მიერ წამოჭრილ მწვავე პრობლემებს და ამა თუ იმ მოვლენას საკუთარი მსოფლმხედველობრივი პოზიციებიდან აფასებს კიდევ. პუბლიცისტიკა უდიდეს გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის, ადამიანთა შეხედულებების, ინტერესებისა და მისწრაფებების ჩამოყალიბებაზე. ამით აიხსნება, რომ ყველა დროში პუბლიცისტიკა ითვლებოდა იდეური ბრძოლის მახვილ იარაღად.

ამასთან, პუბლიცისტიკა მოიცავს უზარმაზარ დოკუმენტურ მასალას საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების სხვადასხვა საკითხებზე და ამიტომაც მომდევნო თაობებისათვის პუბლიცისტი თავისი ეპოქის მეისტორიედ მიიჩნევა.

ქართული პუბლიცისტიკა, როგორც გარკვეული ქანრი, XIX საუკუნის 50-იანი წლების პერიოდიკაში, კერძოდ, ივ. კერესელიძის ჟურნალ „ცისკარში“ ჩამოყალიბდა, მაგრამ იგი დაიბადა „ცისკრის“ წინაპერიოდის პრესის ფურცლებზე. „საქართველოს გაზეთმა“ „ქართულმა გაზეთმა“, „ტფილისის უწყებანმა“ და განსაკუთრებით სოლომონ დოდაშვილის ჟურნალმა — „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ უდავოდ შექმნეს ნიადაგი პუბლიცისტიკის შემდგომი განვითარებისათვის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართველ პუბლიცისტთა პირველმა თაობებმა საჭირო საქმე გააკეთეს და საკუთარ ფიქრებსა და ოცნებებთან ერთად თავიანთი დრო-ჟამის ცოცხალი სურნელიც შემოგვინახეს.

მე-19 საუკუნის 60-იანი წლების ქართულ ლიტერატურასა და კრიტიკაში არსებითად შეიცვალა პუბლიცისტიკის როლი და მნიშვნელობა. ლიტერატურის კრიტიკოსები მხატვრულ ნაწარმოებებს, ჩვეულებრივ, აქტუალურ საზოგადოებრივ პრობლემებზე მსჯელობის მიზეზად იყენებენ. ძნელი სათქმელიც კია, ისინი პუბლიცისტები არიან, თუ კრიტიკოსები.

70-იანი წლების დასაწყისში ქართული ლიტერატურული კრიტიკა გადაჭრით მოითხოვდა ლიტერატურაში პუბლიცისტიკის გაძლიერებას. ამ მხრივ ტიპიურია ნ. ნიკოლაძის წერილი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობზე“, სადაც ის მხატვრული მწერლობის გადამწყვეტ ღირსებად აცხადებს: „ხელოვნური მწერლობა და პატიოსანი, გონიერი, გავლენიანი და გამოსადეგი პუბლიცისტიკა თითქმის ერთი და იგივე საქმეა“, მისი მტკიცებით, მწერალი უშუალოდ უნდა ეროდეს მოქმედების განვითარებაში პუბლიცისტური მსჯელობებით: „პირდაპირ სჯიდეს და აფასებდეს გამოხატულ მოვლენას... ფელეტონური ლიტერატურა ნამდვილი ხელოვნური მწერლობის ნაწილს შეადგენს“.⁴⁶

მხატვრული მწერლობისა და პუბლიცისტიკის დაახლოებამ ხელი შეუწყო მათ ურთიერთგამდიდრებას, კერძოდ, ამალდა მხატვრული პუბლიცისტიკის ხარისხი. მწერლებიც და პუბლიცისტებიც ამ ქანრის ამღლებას როგორც შინაარსის ღირსებით, ისე მხატვრული ოსტატობით აღწევდნენ. ორივე შემთხვევაში ისინი მიმართავდნენ მოვლენათა დახასიათების ლიტერატურულ-მხატვრულ ხერხს. იზრდება პოლიტიკური სატირის მნიშვნელობა. გამჭვირვალობა ემატება ალეგორიას და ქარაგმას. პუბლიცისტიკაში ფართოდ იჭრება იუმორი, პორტრეტი, პეიზაჟი, დიალოგი. ნ. ნიკოლაძის, გ. წერეთლის, ი. ნათაძის, დ. ჩქოტუას, ს. მესხის წერილებში უხვადაა გამოყენებული ქართული ანდაზები, ხალხური გამოთქმები და ფრთიანი სიტყვები.

მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში საქართველოში მიმდინარე ეროვნული ენერჯის მძლავრ აღმავლობაზე, კულტურული ცხოვრების იდეურ-შემოქმედებით განახლებასა და ბეჭდვითი ორგანოების საქმიანობაზე ვრცელი ექსკურსის გაკეთება იმიტომ განვიზარახეთ, რომ ვაჩვენოთ დ. ჩქოტუას, როგორც მიმდინარე პროცესებში აქტიური მონაწილისა და ამ ეპოქის სულისკვეთებით მსუნთქავი მოღვაწის

სახე, სახე დაუცხრომელი მწერლისა და პუბლიცისტიისა, რომელმაც შესაძრწვეი კვალი დააჩნია ქართულ აზროვნებას, ჩვენს მწერლობას.

დავით ჩქოტუა ქართველ სამოციანელთა უმცროსი და თანამედროვე იყო და მათი კეთილშობილური იდეების თანამოზიარე. ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე, ბეს. ჯაფარიძე, ივ. მესხი, ბეს. ლოდობერიძე, ვ. პეტრიაშვილი, ნ. ქანანოვი, ი. გოგებაშვილი, გ. შარვაშიძე და სხვანი მრავალნი – აი, თანამზრახველთა და მეგობართა ის ფართო წრე, რომელთა გვერდით უხდებოდა დავით ჩქოტუას მოღვაწეობა და ერთგული სამსახური მშობელი ქვეყნის წინსვლისათვის.

სამწერლო სარბიელზე პირველი გამოჩენისთანავე მან დიდი ავტორიტეტი მოიპოვა თანამედროვეთა შორის.

დავით ჩქოტუამ თავისი მოღვაწეობა პუბლიცისტიკური წერილებით დაიწყო. 70-80-იანი წლების ქართულ პრესაში მან გამოაქვეყნა რიგი ფილოლოგიური, ისტორიულ-ენთოგრაფიული წერილებისა. იგი რადიკალურად მოაზროვნე პუბლიცისტი და ლიტერატორი იყო. დ. ჩქოტუა გათვითცნობიერებული იყო ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალში, ამასთანავე, თანმიმდევრულად აღევნებდა თვალყურს რუსეთისა და დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებას, მეცნიერებას, კულტურას და შესაშურ მეცნიერულ დონეზე აშუქებდა მათ ეროვნული პრესის ფურცლებზე.

დავით ჩქოტუას პუბლიცისტური სტატიები ქართულ პრესაში გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოჩნდა. იგი სრულიად ახალგაზრდა, 21 წლის ასაკში, ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტი, ხშირად ეხმიანება მშობელ ქვეყანაში მიმდინარე ცხოვრებისეულ პრობლემებს. აღსანიშნავია ისიც, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლების ბოლო ორი წლის მანძილზე, დავითი ძალზე აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ პერიოდულ ორგანოებში და სამართ-

ლიანად მოიხვეჭა განათლებული, ნიჭიერი ჟურნალისტი და მწერლის სახელი.

დ. ჩქოტუას პუბლიცისტური წერილები, ფილოლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევები უმთავრესად იბეჭდებოდა „დროებაში“, „სასოფლო გაზეთსა“ და ჟურნალ „კრებულში“.

დავით ჩქოტუას მიერ გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული ნაშრომები უმთავრესად სოციალურ, ეროვნულ და განათლების საკითხებს ეხება. გაზეთის თანამშრომელს – დ. ჩქოტუას – დაკისრებული ჰქონდა მის ყოველ ნომერში „რუსეთის ამბებისა“ და „ნარევის“ კუთხის მომზადება, ზოგჯერ მოწინავე სტატიების დაწერაც. ეს არც ისე იოლი საქმე იყო. ახალგაზრდა პუბლიცისტი უნდა შეტოლებოდა ისეთ სახელებს, როგორებიც იყვნენ ილ. ჰავჭავაძე და აკ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და გ.წერეთელი, ს. მესხი, პ. უმიკაშვილი და სხვები. ჩვენი ლიტერატურისა და პუბლიცისტის სარბიელზე ისინი მუხლჩაუხრელად იღვწოდნენ. ფხიზელი გონება, ფართო ერუდიცია, სინამდვილის სიღრმისეული წვდომა და ლოგიკური განსჯის უნარი დ. ჩქოტუას ხელს უმართავდა, ეწერა მტკივნეულ სოციალურ და ეროვნულ საკითხებზე და დაეკმაყოფილებინა მკითხველი საზოგადოების ინტერესი.

„დროება“ პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთი იყო. მისი დაარსების იდეა ჯერ კიდევ „საქართველოს მოამბის“ არსებობის პერიოდში (1863 წელს) ჩაისახა. სტეფანე მელიქიშვილს ღრმად სწამდა, რომ „დროება“ იქნება „საქართველოს მოამბის“ საქმის გამგრძელებელი. ეს უკანასკნელი იყო სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი ახალი ორგანოს დაარსებისა: „უმელიქიშვილოდ, – წერდა პ. უმიკაშვილი, – დროებას იქნება დიდი განსაცდელი დასდგო-მოდა“.³⁰

გაზეთ „დროების“ გამოცემის საქმე დიდხანს კიანურდებოდა და მხოლოდ სამი წლის შემდეგ განხორციელდა; ცნობილია, რომ „საქართველოს მოამბემ“ მხოლოდ ერთ წელიწადს (1863 წ.) იარსება.

„დროების“ პირველი ნომერი 1866 წლის 4 მარტს გამოვიდა. მას ხელს აწერდნენ: რედაქტორი გიორგი წერეთელი და გამომცემელი სტეფანე მელიქიშვილი. სათაურში აღნიშნული იყო ორგანოს პროფილი: „საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი“.

„დროების“ გამოსვლა ეროვნულ დღესასწაულად იქცა. ეს იყო პირველი ევროპული ხასიათის გაზეთი ქართულ ენაზე, რომელსაც გარკვეული პოლიტიკური მსოფლმხედველობა ჰქონდა და, რომელიც ახალი თაობის დემოკრატიულ მისწრაფებებს ემსახურებოდა.

„დროების“ სახელგანთქმული რედაქტორები სხვადსხვა დროს ღირსეულად ემსახურებოდნენ ქართველ მკითხველ საზოგადოებას, ერს თავისას. გაზეთში თანამშრომლობდნენ: გ. წერეთელი, ს. მესხი, ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დავით მიქელაძე, ალ. ყაზბეგი, პ. მელიქიშვილი, ვასილ პეტრიაშვილი, ივ. მაჩაბელი, პ. უმიკაშვილი, ა. ფურცელაძე, დ. ჩქოტუა და სხვები.

თავისი არსებობის პირველ წლებში, მაშინ, როდესაც ძალიან უჭირდა გაზეთს თვითდამკვიდრება, რედაქტორს ერთგული დახმარების ხელს უწყვდიდა დავით ჩქოტუა.

პირველი სტატია, რომელიც „დროებაში“ გამოაქვეყნა ახალგაზრდა მკვლევარმა, განათლების საკითხებს ეხებოდა (გაზეთი „დროება“, 1870, 17/29.VII, №28, გვ.1-2).¹

ავტორი, მოცემულ სტატიაში, რომელსაც „განათლებაზე“ ეწოდება, სვამს განათლების აუცილებლობის საკითხს და გვევლინება ხალხის გათვითცნობიერების დიდ პროპაგანდისტად. განათლებაში

იგი ხედავს ერის მომავალი ბედნიერი ცხოვრების საფუძველს. მისი აზრით, გაუნათლებელი ხალხი ბედნიერია იმით, რომ ძველ დროსთან შედარებით, მათ შეუძლიათ შეიძინონ ცოდნა, რადგან ისინი გარემოსილნი არიან გათვითცნობიერებული და ჰკვიანი ადამიანებით. ამ ადამიანებს შეუძლიათ გაანათლონ იანინი. ერის განათლებული შვილების, სწავლულების პირველ მოვალეობად დავით ჩქოტუას ცოდნის პროპაგანდა მიაჩნია; მათ უნდა უჩვენონ თავის შვილებს გზა სიბნელიდან სინათლისაკენ, რომ „ჩქარა დასტოვონ თავისი ბნელი ცხოვრების ქერქი. მაგრამ ნათქვამია: „სტუმარი წყალს ვერ მიაგნებს, თუ მასპინძელმა არ ჩაუძღვაო“,- აღნიშნავს ავტორი.

ეს ასე უნდა იყოს,- განაგძობს პუბლიცისტი, მაგრამ საქართველოში სწავლა-აღზრდის საქმე ჯერ კიდევ ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე; ჩვენი სასწავლო დაწესებულებები თავიანთ საქმეს რიგიანად ვერ უძღვებიანო. ამ საქმეში განსაკუთრებით სკოლას ადანაშაულებს ავტორი, რადგან მტკიცედ სწამს, რომ სკოლაში ხდება მოზარდის სულიერი, იდეური და ფიზიკური ზრდა-განვითარება... პირიქით კი ხდება; ამით გულნატკენი დ. ჩქოტუა იქვე განაგრძობს: „მე ბევრჯერ მქონია შემთხვევა, მელაპარაკნა ზოგიერთი სასულიერო და სასოფლო შკოლების ყმაწვილებთან და მუდამ შემინიშნავს, რომ ამ სასწავლებლებში იმათ არა თუ არ გახსნიათ აზრი, არამედ ის ნიჰიც დაუკარგავსთ, რომელიც მესვლის დროს ჰქონიათ. იმათ არ შეუძლიათ გამოთქვან ქართულათ ან რუსულათ ერთი აზრიანი წინადადება. მათ ლაპარაკზე დაკვირვებულ კაცს ეგონება, სუსტად გაზეპირებულ რასმე კითხულობენო. ამისთანა აზრის დამახინჯების ახსნა ადვილია“.

დ. ჩქოტუა ამ უბედურების მთავარ მიზეზად მიიჩნევს იმას, რომ ყმაწვილებს არა აქვთ უფლება ცოდნა მშობლიურ ენაზე მიიღონ.

ისინი მხოლოდ რუსულ, მათთვის უცხო ენაზე სწავლობენ და მშობლიურიც ავიწყლებათ.

ავტორი ილაშქრებს მაშინდელ სასწავლებლებში გამეფებული სწავლების სქოლასტიკური მეთოდის წინააღმდეგ. ეს მეთოდი მასალის გაზეპირებაზე იყო დაფუძნებული და მოსწავლეებს სულიერად ამახინჯებდა, სწავლაზე გულს უცრუებდა: „მათ, – განაგრძობს მკვლევარი, – სკოლაში დაზეპირებული ორი-სამი სიტყვა ავიწყლებათ და მეორეჯერ სასწავლებლათ უხდებათ. ამნაირად მიდის ორი ან სამი წელი, სანამ ყმაწვილი დაწყობით ამოკითხვას ისწავლიდეს. მაშინ მისცემენ ხელში გრამატიკას და სხვა წიგნებს. შეუდგება საწყალი ყმაწვილი სწავლას; უხსნის მასწავლებელი, კითხულობს თვითონ დანიშნულს, მაგრამ არა ესმის რა. რასაკვირველია, ერთი ღონისძიება რჩება საწყალს, – უაზროთ ზეპირება, რადგანაც არ იცის კარგათ რუსული ენა. აი, ეს არის მიზეზი, რომ სასულიერო და სასოფლო შკოლების ყმაწვილები მოუსვენებლად კაკანებენ, კვერცხის დამდებ დედალივით“.

რასაკვირველია, ასეთ სკოლადამთავრებულ ყმაწვილებს ცხოვრებაში გზის გაკაფვა გაუჭირდებათ, სულიერად დამახინჯებულებს ირგვლივ ყოველივე შეეზარებათ და ვერ გაუძღვებიან თავიანთ ხალხს განათლების გზის მაჩვენებლებად. ეს ძალზე სამწუხარო ფაქტია, მაგრამ დ. ჩქოტუა აღშფოთებას ვერ მალავს იმის გამოც, რომ „საზოგადოება არ აქცევს ამას ყურადღებას და არ ეძებს არც მის მიზეზს, არც მის მოსასპობელ საშუალებას“!

ავტორის აზრით, ამ საქმით, პირველ რიგში, მშობლები უნდა დაინტერესდნენ, მაგრამ სამწუხაროა ის, რომ „ჩვენი მამები უყურებენ განათლებას, როგორც უწინ უყურებდნენ ყმებს, ე.ი. როგორც საკუთარ ნივთს, რომელსაც გაყიდიან და შესჭამენ, როცა მოშივდებათ“.

რასაკვირველია, ეს სრულიად უსაფუძვლოც არაა,— განაგრძობს პუბლიცისტი,— „განათლებამ ყველას თავის რჩენის საშუალება უნდა მოუტანოს, მაგრამ ასეთი განათლების დაფასება იმას გავს, ვინმე რომ ამბობდეს: „მე მისთვის დავიბადე, რომ სადილ-ვახშამი ვჭამო“. ჩვენს მამებს არ აწუხებს ის საზოგადო სარგებლობა, რომლის მოტანა შეუძლია განათლებას. მათ ფეხებზე უკიდიათ საზოგადო კეთილდღეობა, რაც კი პირდაპირ ლუკმა-პურს არ აძლევს,—კარგი იქნება სწავლა თუ ავი, ოღონდ კი იმან ნასწავლს ფული შეაძენინოს,— მეტს ჩვენები არას ითხოვენ რას. ამგვარათ უყურებენ ჩვენი მამები განათლებას, და ამის გამო ჩვენ არ შეგვიძლია ვიქონიოთ მათზე იმედი, რომ ისინი საზოგადო საქმის წინ წაწევას დაეხმარებიან“.

დავით ჩქოტუა შეუბრალებლად გამოდის ლუარსაბ თათქარიძეების წინააღმდეგ, რომლებიც სწავლა-განათლებას იგდებდნენ და ამბობდნენ: „რა განათლება? მამჩემი თუ არ ყოფილა განათლებული, პურს იმიტომ ვერ სჭამდა, საწყალი“! პუბლიცისტი ამთრახებს „კუჭისეული“ განათლების მესვეურებსაც და ხაზს უსვამს ჭეშმარიტი განათლების საზოგადოებრივ მნიშვნელობას. ავტორი მიესალმება იმ ყმაწვილებს, რომლებიც გიმნაზიაში სწავლას წარმატებით ამთავრებენ და მიემგზავრებიან სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში ცოდნის შესაძენად. მათზეა ხალხში განათლების გავრცელების ვალი.

დ. ჩქოტუას აზრით, განათლებას უდიდესი როლი ეკისრება საზოგადოებაში, ხალხის ეროვნულ ცხოვრებაში, მშრომელი ადამიანის ყოფისა და ცნობიერების განვითარებაში, კულტურულ წინსვლასა და პროგრესში. ამ აზრის განხორციელების უმთავრეს საშუალებად მას მიაჩნია მხატვრული ლიტერატურა. მაგრამ, ამ უკანასკნელმა ეს მოვალეობა რომ შეასრულოს, ამისათვის მას უნდა ჰყავდეს განათლებული მკითხველი, ისეთი მკითხველი, რომელიც გაიგებს, შეითვისებს და

შეისისხლხორცებს იმ იდეებს, რომელსაც ერის საუკეთესო შვილები ჯადაგებდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში შემოქმედის შრომა, დ. ჩქოტუას თქმით, „რჩება ფუჭად და უნაყოფოდ“. ახალგაზრდების მოუმზადებლობა, მათი განათლების დაბალი დონე არის მიზეზი იმისა, რომ „მათ რჩებათ ერთი სატრიალო მინდორი, ე.ი. სამოქალაქო სამსახური“ ...

დ. ჩქოტუას აზრით, ლიტერატურის შეთვისებას ისიც უშლის ხელს, რომ „ჩვენი ახალგაზრდები, ჩვენდა საუბედუროდ, არც ამნაირ მკითხველებს უმზადებენ ლიტერატურას, არც თავად ლიტერატურის წარმატებას ეხმარებიან, და ამ შემთხვევაში იმათ, სურვილის გარდა, შეძლებაც აკლიათ. ისინი მომზადებული არ არიან ამისთანა საქმისათვის“ ...

როგორც ამ სტატიის მიმოხილვიდან ჩანს, დ. ჩქოტუა თავისი ეპოქისათვის მეტად აქტუალურ საკითხებს ეხება. საკმაოდ ღრმა ანალიზს უკეთებს განათლების როლს, რაობას და მნიშვნელობას. იგი მკაცრად ილაშქრებს და უკუაგდება გავრცელებულ აზრს იმაზე, რომ ქართველი ხალხი ზარმაცია. მისი აზრით, ამის მიზეზი ამ ქვეყნის მესვეურები არიან, რომლებიც ხალხს გზას უბნევენ, იმის ნაცვლად, რომ განათლების გზა უჩვენონ. დ. ჩქოტუა ცდილობს, ყოველ შემთხვევაში ამის უდიდესი სურვილი აქვს, რომ საქმე ისე წავიდეს, ყველგან ნათელი აზრი და თავისუფლება სუფევდეს, განათლებული ადამიანები ხალხს მიეშველონ, მათთან იცხოვრონ, დანერგონ ცოდნა და თვალი აუხილონ.

ამ წერილის ღირსება არის ის, რომ მასში ნაჩვენებია აღზრდა-განათლების უშუალო კავშირი ხალხის ეკონომიკურ-პოლიტიკურ მდგომარეობასთან. აქვე დ. ჩქოტუამ მწვავედ დააყენა ქართული ენის უფლების საკითხი სკოლასა და საზოგადოებაში.

პოლიტიკური რადიკალიზმის გამო ცენზურა ექვეის თვალთ უყურებდა დ. ჩქოტუას წერილებს, საკმაო საფუძველი გააჩნდა ამ უნდობლობისთვის. ახალგაზრდა პუბლიცისტი გაბედულად ამხელდა თვითმპყრობელობის სიმანჩინჯეს, კოლონიურ რეჟიმს, საგლეხო რეფორმების სიყალბეს, რადგან გლენს მიწა არ ჰქონდა, ფაქტიურად ის კვლავ მემამულეზე იყო დამოკიდებული.

მიუხედავად ყოველივე ამისა, დავით ჩქოტუა აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ „დროებაში“.

დ. ჩქოტუას შემდგომი სტატია გამოქვეყნდა გაზეთ „დროების“ 1870 წლის 37-ე ნომერში. მისი სახელწოდება არის „უცხო ენის მოქმედება ხალხის აზრის გახსნაზე“ (გაზეთი „დროება“, 1870, 18/30/ – IX, №37, გვ. 3-4).²

ახალგაზრდა დ. ჩქოტუამ სტატიაში მეცნიერულად დაასაბუთა მშობლიური ენის მნიშვნელობა ერის საზოგადოებრივ-სულიერ ცხოვრებაში. იგი აქაც ნათლად ამჟღავნებს თავისუფალი მსჯელობისა და აზროვნების უნარს, ფართო ერუდიციას.

ავტორი ცდილობს, გამოარკვიოს აზრის, არსის, პრაქტიკისა და ცნობიერების ურთიერთმიმართების საკითხი. ადამიანის ფიზიოლოგიის ბრწყინვალედ მცოდნე მკვლევარი, საერთო კანონებიდან გამომდინარე, ამტკიცებს, რომ ადამიანის ტვინი ისევე მოძრაობს და იღლება მუშაობის დროს, როგორც სხეულის სხვა ნაწილები. ტვინის ვარჯიშზე არის დამოკიდებული, ისევე როგორც სხეულის სხვა ორგანოების ვარჯიშზე, პიროვნებისა და საზოგადოების „აზრის გახსნილობაც“. განსხვავება ის არის, რომ „კერძო პირების აზრის გახსნას უნდა მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე წელი, მაშინ, როცა ხალხის აზრის გახსნას უნდება საუკუნეები და ათასი წლები. ხალხის ტვინი არის გახსნილი შესაბამის იმ სიბრძნისა, რომელიც გამო-

იხატება მის ენაში, ანუ ხალხის ენა არის გამომახატველი მისი გონებითი გახსნისა“.

ერის გონებაგახსნილობისა და ენის სრილყოფისათვის საჭიროა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, კულტურისა და განათლების აუცილებლობის შეგნება. წინააღმდეგ შემთხვევაში ერი განწირულია დასაღუპავად.

მშობლიური ენის ჩამოყალიბების ორ ეპოქას გვიხანსიათებს ავტორი. პირველი ის ეპოქაა, როცა ხალხი ცხოვრობს ველური ცხოვრებით, ხუთი გრძობის შემწეობით, როგორც ცხოველი. ამ დროს ხალხის ენა უმთავრესად ბუნებრივი მოვლენების, გრძობების აღმნიშვნელ სიტყვებს შეიცავს. აქედან გამომდინარე, ენაც ღარიბია. მეორე ეპოქა იმ დროიდან იწყება, როცა ერის ისტორიული ცხოვრება განვითარების მაღალ საფეხურს აღწევს.

დავით ჩქოტუას აზრით, ყოველი მოდგმის და ყოველი საუკუნის შემდეგ ხალხის ენა მდიდრდება; ენის სიმდიდრე ერის აზრის სიმდიდრის მაჩვენებელია. რაც უფრო ღარიბია ხალხის ენა სიტყვებით, მით უფრო ღარიბია ზნეობრივი და გონებრივი განვითარება. ენა იზრდება როგორც ხალხი: რაც უფრო დაწინაურებულია ხალხი თავის ცხოვრებაში, მით უფრო მდიდარია მისი ენა აბსტრაქტული სიტყვებით. ამიტომ უცხო ენაზე განათლების მიღება, ჰემმარიტად აზრის გახსნა, არის შეუძლებელი ერისათვის, თუ ჯერ მშობლიური ენა არ შეუთვისებია კარგად. ერის ცხოვრებაში მშობლიური ენის საკითხს დავით ჩქოტუა არაერთგზის შეხება, როგორც საენათმეცნიერო სტატიებში, ისე პირადი მიმოწერის დროს. 60-70-იანი წლების მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლების დარად, დავით ჩქოტუაც არ უარყოფდა უცხო ენის დაუფლების აუცილებლობას, მაგრამ ამ პროცესს ამართლებდა მხოლოდ მაშინ, როცა ყმაწვილი დაუფლებული იყო საფუძვლიანად

მშობლიურ ენას.

განათლების მნიშვნელობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში დავით ჩქოტუა არაერთხელ უბრუნდება თავის პუბლიცისტურ წერილებში. „რა მოელის ამგვარ ჩვენ ცხოვრებას“³ ამ სათაურით აქვეყნებს მკვლევარი სტატიას გაზეთ „დროების“ 45-ე ნომერში.

სტატიის შესაწავლის შემდეგ ასეთი შთაბეჭდილება გვრჩება: დავით ჩქოტუას აღეგებს ხალხის ცხოვრების ყოველი მხარე, ყურს უგდებს ქვეყნის ცხოვრების მაჯისცემას. მას ახარებს ყოველი ახალი წამოწყება, საზოგადოებრივი აზრის გამოღვიძება, გლენისა თუ ინტელიგენტის დანტერესება საქვეყნო საქმეებით. ცხოვრების საჭიროებათა ფხიზელი მეთვალყურე მისეალმება ისეთ „სანუგეშო“ ამბავს ქვეყნის ცხოვრებაში, როგორცაა ბატონყმობის გაუქმება, ყმების გათავისუფლება. ამასთანავე გაბედულად ამხელს იმ ფაქტს, რომ გლენს მიწა არ მისცეს, ის კვლავ მემამულეზეა დამოკიდებული: „შესანიშნავი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში ყმების განთავისუფლება. ამ დროიდან მოელო ბოლო ოფიციალურად ჩვენს ქვეყანაში მონებასა. ამ შესანიშნავმა შემთხვევამ მოატრიალა ჩვენი ცხოვრების ჩარხი და მისცა მის ბრუნვას სულ სხვანაირი მიმართულება“.

ამ პუბლიცისტურ წერილში მოცემულია მაშინდელი საზოგადოებრივი სინამდვილის შემქმნელობელი დახასიათება. ავტორს, ყველაზე უფრო, ბატონყმობის გაუქმების შედეგად წარმოქმნილი სოციალური ურთიერთობების საკითხი აღელვებს და მრავალმნიშვნელოვნად კითხულობს: „ხედავთ თუ არა, სად მიჰყავს ჩვენი ქვეყანა ამ მოტრიალებულ ჩარხს“. მას ღრმად აქვს შეგნებული, რომ საზოგადოების ბედნიერებას სოციალური თანასწორობის საფუძველზე აღმოცენებული საყოველთაო მატერიალური კეთილდღეობა განაპირობებს. იგი არაერთგზის აღნიშნავს, რომ ამ მხრივ

ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში „რეფორმას“ არსებითი ცვლილება არ გამოუწვევია.

სტატიაში დავით ჩქოტუას მეცნიერული თვალსაზრისით აქვს დამუშავებული მარჩენალი მიწის მოვლა-პატრონობა და გლენობასა და მებატონეთა შორის დამოკიდებულების საკითხი.

მშობლიური ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენება, დავით ჩქოტუას აზრით, მხოლოდ მეცნიერული ცოდნის საფუძველზე დაყრდნობით შეიძლება: „სწავლის შემწეობით ერს შეუძლია მოხმარება თავისი სამშობლოს სიმდიდრისა. ყველაზე უფრო საჭიროა ხალხისათვის, რომ მან იცოდეს იმ წყაროების მოხმარება, რომლიდანაც შეუძლია თავის დარჩენა. ეს წყაროები არიან მისი სამშობლოს ბუნებაში, ე. ი. მიწაში, წყალში, ტყეში“ ავტორი მოძღვრავს თანამედროვეთ, რომ აუცილებელია ამგვარი ცოდნის მიღება, რადგან „ცხოვრების ჩარხი მოტრიალდა ისე, რომ მის ტრიალს ვერ გაუძლებს ჩვენებური ძველებური ცხოვრება“. იგი მთელ იმედებს სამეურნეო და სახელოსნო სკოლების გახსნაზე ამყარებს, მაგრამ ამასთანავე მიუთითებს, რომ სიღარიბის გამო ხალხს სწავლის საშუალება არა აქვს და კიდევ რომ ჰქონდეს, თუ მშობლიურ ენაზე არ ასწავლიან, არაფერი გამოვა. მიუხედავად ამისა, წერილი ოპტიმისტური განწყობილებით მთავრდება. „ძალიან ბედნიერება იქნებოდა, რომ ის კერძო პირები, რომელთაც უთავებიანთ შკოლების დაარსება, მოაქცევდნენ ყურადღებას ჩვენი ხალხის საჭიროებას და იქონიებდნენ სახეში ზემოთხსენებულ აზრს“.

„ახალი ცხოვრების შენება“, „საქართველოს მომავლის ახალი გზების ძიება“ დავით ჩქოტუას პუბლიცისტური, პოლემიკური და კრიტიკული წერილების წამყვან თემად იქცა.

დავით ჩქოტუას ყველა წერილი მრავალპრობლემურია. ერთდროულად იგი მრავალ საჭირობოროტო საკითხს განიხილავს.

გამორჩეული პუბლიცისტური მანერით არის შეთხზული წერილი სახელწოდებით „ტყიბულას თაობაზე“,⁴ რომელიც ავტორმა „დროების“ 1871 წლის 35-ე ნომერში დაბეჭდა.

წერილი მიმართულია იმერელი დიდებულების აგიაშვილებისა და კანდელაკების წინააღმდეგ. მათ სურდათ იაფად, ჩალის ფასად, ტყიბულის ქვანახშირის მდიდარი საბადოები მიეყიდათ გადამთიელი რუსი საქმოსნის ნოვოსელსკისათვის. ავტორი აღშფოთებულია ჩვენი მემამულეების უვიცობის, დაუფიქრებლობისა და სიხარბის გამო.

ტყიბულის ქვანახშირის მნიშვნელობა კარგად ესმოდათ რუს სწავლულებს და ჩინოსნებს, ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ მის ხელში ჩაგდებას. ამ დანტერესების შედეგი იყო მეცნიერული სტატიები რუსულ ორგანოში „Горьный журнал“.

ორივე სტატიას ზედმიწევნით იცნობს დავით ჩქოტუა და გადმოგვცემს: პირველ სტატიაში ტყიბულის ქვანახშირის თვისებები და გეოლოგიური ხასიათი აუწერია აკადემიის წევრს უფ. აბიხს. 1845 წელს, ამ საბადოების მნიშვნელობაზე, მეორე სტატია, ვრცელი მოხსენებითი ბარათი წარუდგენია „ინჟინერ ანტიპოვს“. ეს ბარათი სპეციალურად ყოფილა დაწერილი „მმართველობის ბრძანებით“.

სტატიებში მოტანილია მეცნიერულად დასაბუთებული სტატისტიკური ცნობები ამ საბადოების მარაგის შესახებ: „უფ. აბიხს კარგად გამოკვლევის შემდეგ შეუნიშნავს, რომ ქვანახშირში რეულა რკინის და სპილენძის მადნეულობა. ამას გარდა კარგათ დავლის შემდეგ უნახავს რამოდენიმე ადგილებზე ამოთხრილი შახტები, საიდანაც ამოუტანიათ ძველ დროში რკინა და სპილენძი. ... ამასთანვე შეუნიშნავს უფ. აბიხს, რომ ეტყობა, ძველ დროში აქაური ხალხი კარგათ ყოფილა ამ საქმეში დახელოვნებულიო“ ,– წერს დავით ჩქოტუა.

ქართველთა უმეცრებით შეწუხებული პუბლიცისტი აღნიშნავს:

„ამ სტატიის მიზანი ის არის, რომ უჩვენოს მკიხველს რა დიდი ჭირია უშეცრება და როგორ სარგებლობენ ამით ზოგი ადამიანები, რომელთათვის, საუბედუროდ, ბედს მიუცია საშუალება, ცოტაოდენი მიხვდომილება და ნამეტანი დაუზოგველობა თავიანთი მახლობლებისა“ ...

სტატიიდან ვიგებთ, რომ უფ. ანტიპოვი სპეციალურად ჩამოსულა რუსეთიდან ტყიბულში 1845 წელს, რათა გაეგო ქვანახშირის თვისებები. ის აღფრთოვანებულია აქაური საბადოების სიუხვით და ამბობს, „რომ ეს ნახშირი ძალიან კარგი არის ყოველნაირ სახმარებლად“, ამასთანავე წარმოუდგენლად იაფი.

თავად ამ დარგის შესანიშნავი მკოდნე, (დავით ჩქოტუა 1871 წელს ოდესის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილების სტუდენტი იყო), შორეული ოდესიდან ეხმიანება მისი ხალხისათვის ესოდენ საჭირო საქმეს და გამოაფხიზლებს მათ, რათა მხოლოდ სიმართლის კუთხიდან შეხედონ ფაქტს.

დავით ჩქოტუას ამ სტატიას გამოეხმაურა და მხარი დაუჭირა ცნობილმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ნიკო ნიკოლაძემ. მან მეტად საინტერესო წერილი მოათავსა გაზეთ „დროებაში“ სახელწოდებით: „კიდევ ტყიბულას თაობაზე“.⁴⁷

სტატიაში ავტორი გვამცნობს, რომ არათუ რუსი სპეციალისტები იყვნენ დაინტერესებულნი ტყიბულის ქვანახშირის საბადოებით, არამედ საზღვარგარეთელი მეცნიერებიც. ერთ-ერთ გერმანულ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული ყოფილა გამოკვლევა ქვის ნახშირის შესახებ ჩვენში, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ „ტყიბულის ნახშირი 1845 წელში ყულევს წაიღესო, ათასი ფუთამდი, იქ ცეცხლის გემზე გასინჯესო, და სახელმწიფო ცეცხლის გემის „Боецъ“-ის კაპიტანმა დაამოწმა, რომ ეს ნახშირი მშვენივრად მოსახმარი არისო“.

დ. ჩქოტუას აზრს იზიარებს ნ. სკანდელიც და ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრის შენარჩუნებას და მოხმარებას ქადაგებს. ის კიდევ ერთხელ აფრთხილებს განდიდების მანიით შეპყრობილ თანამემამულეებს, რომ „ტყიბულის მამული დიდი სიმდიდრეა, მისი გეოლოგიური მნიშვნელობა მეტის მეტათ ძვირფასია მეცნიერებისათვის“...⁴⁷

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მე-19 საუკუნის მე-2 ნახევრის ქართული კულტურის მოღვაწეთაგან მრავალი ყოფილა დაინტერესებული ტყიბულის ქვანახშირისა და ჭიათურის მარგანეცის ბედით. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ ჩვენი ქვეყნის ამ უძვირფასესი ბუნებრივი სიმდიდრის შენარჩუნებას და მისი პრაქტიკულად გამოყენების საქმისათვისაც ზრუნავდნენ.

1870 წელს ჩვენმა სასიქადულო პოეტმა და დიდმა პატრიოტმა აკაკი წერეთელმა პირველმა მოითხოვა ჭიათურის შავი ქვის (მარგანეცის) სამრეწველო დამუშავების აუცილებლობა. ამ საქმეს მან დიდი ამაგი დასდო. ის ტყიბულის ქვანახშირითაც ყოფილა დაინტერესებული. ორივე საბადოდან ნიმუშები გაუგზავნია რუსეთში (ცენტრალურ ქალაქებში) და საზღვარგარეთ. 1877 წელს პეტერბურგიდან გამოგზავნილ წერილებში თავის მეგობარ არისტო ქუთათელაძეს სთხოვდა აკაკი, გამოეგზავნა მისთვის მარგანეცის ნიმუში და ტყიბულის ნახშირის ნაკვეცი. მრეწველობის განვითარებას აკაკი წერეთელი განსაკუთრებულ ყურადღებას იმითომ აქცევდა, რომ ამით ფიქრობდა ადგილობრივი მუშების მძიმე პირობების გაუმჯობესებას. შემდეგ, პოეტის აზრით, ეს საქმე გამოიწვევდა ჭიათურაში რკინიგზის ხაზის გაყვანას, რასაც თავის მხრივ დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებაში. და, ბოლოს, შავი ქვის, ქვანახშირის წარმოების ნიადაგზე მოგებული ფულით პოეტი ოცნებობდა საქართველოში სხვადასხვა კულტურულ-საზოგადოებრივი წამო-

წყებებისადმი დახმარების გაწევას. პირველ რიგში კი ამ თანხით ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშთა შეგროვებას, სტამბის გამართვას და ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოცემას. როგორც ვხედავთ, ქართველი ნო-იანელები და მათი უმცროსი თანამედროვე დ. ჩქოტუა ცდილობდნენ სასტიკი წინააღმდეგობა გაეწიათ უცხოელ სპეციალისტთა მტაცებლური მისწრაფებებისათვის და პრესაში თავგამოდებით ეწეოდნენ პროპაგანდას, რათა ადგილობრივ მესაკუთრეებს ხელიდან არ გაეშვათ და უცხოელთა ხელში არ ჩაეგდოთ ეს სიმდიდრე.

ნიჭიერი პუბლიცისტი დ. ჩქოტუა გაზეთ „დროებაში“ აქვეყნებს მრავალმხრივ საყურადღებო ეთნოგრაფიულ წერილს სახელწოდებით „ორი ჩვეულება აფხაზეთში“.⁵ აღსანიშნავია, რომ სტატია ორ ფელეტონად დაიბეჭდა. ნიშანდობლივია, რომ გაზეთში, ისე როგორც იმ დროს ქართულ ლიტერატურაში საერთოდ, ნარკვევის უანრობრივი გარკვევა ჭერ კიდევ არ არსებობდა, ამიტომ ამგვარი ნაწარმოებები იბეჭდებოდა რუბრიკით ფელეტონი, რომელიც აერთიანებდა ყველა სახის მხატვრულ პროდუქციას. თვით რედაქტორი ს. მესხი ერთ კერძო წერილში წერდა: „დიდი სიამოვნებით დავბეჭდავ ფელეტონებში აგრეთვე სხვადასხვა მოთხრობებს, რომანებს, როგორც ორიგინალურს, აგრეთვე ნათარგმნთაც. „ფელეტონებში“ დაიბეჭდა აგრეთვე შესანიშნავი კაცის ცხოვრება“.³⁶

ალბათ, ზემოთ ხსენებული პრინციპით ხელმძღვანელობდა რედაქტორი, როცა დ. ჩქოტუას სამეცნიერო-ეთნოგრაფიული წერილი ორ ფელეტონად გამოაქვეყნა.

სტატიის ავტორი ცდილობს გაგვარკვიოს საზოგადოების ისტორიაში ტრადიციებისა და ჩვეულებების წარმოშობისა და მათი მნიშვნელობის საკითხებში. მისი მართებული განმარტებით:

„ბევრი ისეთი ჩვეულებაა დარჩენილი ხალხის ცხოვრებაში, რომლის უწინდელი აზრი და მნიშვნელობა ახალ დროში ჩვენ არ გვესმის, რომელიც თითქმის სასაცილოდ და სამასხარაოდ მიგვაჩნია, მაგრამ ცოტა რომ დააკვირდეს კაცი, ნახავს, რომ მათში გამოხატულია ხალხის ცხოვრების პირობები, რომელთა ჭეშმ დაუწყია მას თავისი ცხოვრება“.

არც ერთი ზნე, ჩვეულება, წესი, სჯული შემთხვევით არ წარმოშობილა და მათ ღრმა ისტორიულ-ეთნოგრაფიული საფუძვლები მოეპოვებათ, — ეს აზრი კარგად ესმოდა დ. ჩქოტუას. მან იცოდა, რომ ესენი ცნობიერების ფორმებია და უშუალოდ ხალხის მატერიალურ ცხოვრებას უკავშირდებიან. იგი სვამს კითხვას: „მართლაც, რა არის ჩვეულება“? და იქვე განმარტებას იძლევა: „ჩვეულება არის ხალხის ანუ კერძო-პირის ცხოვრების შედეგი, არის კვალი, რომელშიაც აღბეჭდილია წარსული ცხოვრების პირობები, მაშასადამე, შესაძლო საქმეა, რომ ამ ჩვეულების შემწვობით, რამოდენაც არის, წარმოიდგინოს კაცმა ის წარსული ხალხის ცხოვრების სურათები, რომელნიც შთანთქმულან საუკუნეთა სიღრმეში“.

დ. ჩქოტუას ესმის, რომ, როცა წეს-ჩვეულება არ ემყარება რაიმე მყარ და ერთიანი ღირებულების პოზიციას — ყველა, ვისაც კი იმპროვიზაცია არ ეზარება, თავისუფლად ურევს ხელს ამ უბატრონო სფეროში. ამით ხელსაყრელი ნიადაგი იქმნება მამა-პაპათა გონივრული ტრადიციების გაყალბებისა და დამახინჯებისათვის. ამას ადგილი რომ არ ჰქონდეს, პუბლიცისტი ცდილობს, შეეხოს აფხაზი ხალხის ორ ჩვეულებას: გამზრდელობასა და სტუმრობა-მინდობას. ეს ორი ჩვეულება გავრცელებული ყოფილა აფხაზეთისა და ნაწილობრივ სამეგრელოს ყოფაში.

„დ. ჩქოტუასათვის თვითმიზანი კი არ არის მშობლიური აფხაზი ხალხის ჩვეულების ჩაწერა, არამედ იგი (ჩვეულება) წარმოადგენს

ცხოვრების გაცოცხლების საშუალებას, წარსულის გაგების საფუძველს“.⁶⁵

ერთი გარემოება აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ეთნოგრაფია მსოფლიო მასშტაბით აღიარებული იყო ჩამორჩენილი ხალხების „სოციალურ განათხართა“ მეცნიერებად. მისი მეოხებით ცდილობდნენ კაცობრიობის ფეხის ადგმის მოდელის დადგენას, თან იგი ხალხების დამონების დროშად გადააქციეს. ცარიზმმა ალლო აულო ამ მეტად პრაქტიკულ მეცნიერებას და უცხოელი სწავლულების მეშვეობით, აბორიგენების დონეზე სწავლობდა მრავალათასწლოვანი ცივილიზაციის მქონე ხალხებს, რათა მათი არასრულფასოვნება დაემტკიცებინა და მონობაში ყოფნა როგორმე გაემართლებინა. ქართველი სამოციანელები და მათი უმცროსი თანამედროვე დ. ჩქოტუა სხვანაირად ფიქრობდნენ, სწორად აფასებდნენ იმპერიის მესვეურთა ვერაგ ზრახვებს, რათა პატარა ხალხები რაც შეიძლება მალე ჩაეყლაპათ და მოენელებინათ, მთავარ იარაღად უძველეს თვითმყოფად კულტურას იყენებდნენ, რომელიც საამაყო ისტორიასთან ერთად, ეთნოგრაფიულ ყოფაშიც უხვად მელაგნდებოდა.

დ. ჩქოტუას სწამდა, რომ ყოველგვარ პირობებში შეიძლებოდა ქემპარიტების შენარჩუნება. ამის დასტურია მისი კეთილსინდისიერად შეწარულებული ეს ეთნოგრაფიული წერილი.

პუბლიცისტი მართებულ შეფასებას აძლევს ამ ორ ჩვეულებას. მისთვის ისინი უცხო არ იყო, რადგან დავითი აფხაზეთის, სამურზაყანოს შვილი იყო: „ეს ორი ჩვეულება არის ზნეობითი კანონი ხალხისათვის აფხაზეთში და სამურზაყანოში. აქ შეიძლება უღალატოს კაცმა ყოველივეს, მაგრამ არასოდეს ამ ორ ჩვეულებას“.

ავტორი ვრცლად მიმოიხილავს გამზრდელის როლსა და მნიშვნე-

ლობას საზოგადოებაში. „მისი აზრით, გამზრდელი არის ცნობილი ნათესავი მთელის ოჯახისა და გვაროვნობისა“.

დ. ჩქოტუა ცდილობს, გამზრდელობა და სტუმრობა-მინდობის ისტორიული ფესვები ეძიოს, გაერკვეს მათი წარმოშობის სოციალურ საფუძვლებში. ზოგიერთი მისი დებულება მიუღებელია, მაგრამ ფაქტია, რომ სტატია მეტად საყურადღებოა და საეთნოგრაფიო თვალსაზრისით მეტად საინტერესო.

ქართველ სამოციანელთა ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი, მრავალმხრივი შემოქმედი აკაკი წერეთელი შეეხო ძიძაობას, ყმაწვილის გამზრდელთან გაბარების, გამზრდელის როლის, მისი უმაღლესი დანიშნულების თემას თავის ნაწარმოებებში. მან მოთხრობაში „ჩემი თავგადასავალი“ დაახლოებით ისე აღწერა ახალდაბადებულის სოფელში გაბარების, ძიძაობის წარმოშობისა და მნიშვნელობის საკითხები, როგორც დ. ჩქოტუამ თავის წერილში.

მოვიყვან მცირე ნაწყვეტს მოთხრობიდან: „ძიძაობა და ყმაწვილის სოფელში გაბარება ისტორიული ჩვეულება იყო ჩვენს ქვეყანაში. მეფეები და მთავრები ერისთავებს აბარებდნენ და აზრდევინებდნენ თავის შვილებს, ერისთავები და დიდებულები — აზნაურებს და აზნაურები — გლეხებს... ნუ გგონიათ, რომ მაშინდელი მშობლები უგულო ყოფილიყვნენ და შვილები დღევანდელ დედებზე ნაკლებად ჰყვარებოდათ!.. აქ სულ სხვა მიზეზები და საფუძველი იყო, ეს გაზრდილ-გამზრდელობა აკავშირებდა ერთმანეთთან სხვადასხვა წოდებას... არა თუ ძიძიშვილები და მათი ახლო მონათესავენი, მათი შორეული მოყვრებიც კი მზად იყვნენ ყოველ შემთხვევაში თავი დაედევათ გაზრდილის გულისათვის და გაზრდილიც ექომაგებოდა ამ ხალხს, და მისი ბრალია, რომ ამ უკანასკნელ საუკუნეებზე ჩვენს ქვეყანაში უფრო კაცური და კეთილი განწყობილება იყო მაღალ და დაბალ წოდებას შუა, ვიდრე

სხვა ქვეყანაში“.⁶⁰

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თითქმის ანალოგიურად მსჯელობს დ. ჩქოტუაძე. იგი წერს: „გაზდილი გამზდელის ოჯახთან არის შეკავშირებული უუწმინდესი ხალხისათვის კავშირითა. ის ამ ოჯახისათვის არ არის გარეშე პირი, რომელიც მოსულა თავის სარჩენად. არა, ის არის ზნეობითი ნათესავი მთელის ოჯახისა და გვაროვნებისა. სჩანს, რომ ამ ჩვეულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხალხისათვის. ასეთი დამოკიდებულება არის გავრცელებული უფრო თავად-აზნაურებსა და გლეხებს შუა. ამასთან ის არის შესანიშნავი, ყოველი კაცი ცდილობს იმ კაცის შვილის გაზრდას, რომელსაც უფრო გავლენა და ძალა აქვს თავის ქვეყანაში... მაშასადამე, ის ეძებს ძალას, რომლის შემწეობით მას შეუძლია დაიფაროს თავი... რასაკვირველია მტაცებლობისა და უკანონობისაგან“.

ცნობილია, რომ საერთოდ, გამზრდელის ვალდებულება გარკვეული იძულებითი მოვალეობა იყო სოციალური იერარქიის დაბალ საფეხურზე მდგომი პიროვნებისა უფრო მაღალ საფეხურზე მდგომის წინაშე. ორივეგან, როგორც ვნახეთ, ეს მხარე უგულვებელყოფილია.

მეორე ადათ-ჩვეულებას, მინდობას დ. ჩქოტუა ასე გვიხასიათებს: „რომელიმე გლეხი, რომელსაც მებატონემ გაუჭირვა საქმე უკანონობით, ანუ მეზობელმა — შურით, სტოვებდა თავის ადგილს მალვით და ენდობოდა ვისმე ძლიერ კაცს, რომელსაც შეეძლო მისი დაფარვა მდევნელებისგან. ამ შემთხვევაში ბევრი მათგანი იხსნიდა კიდევაც საუკუნოდ თავს მებატონისაგან.“

რაც ვთქვით, იქიდან ცხადად ჩანს, რომ ეს ორი ჩვეულება შემოულია ხალხს თავის დასაფარველად“... ავტორის აზრით, მინდობა გამოწვეული ყოფილა უკუღმართი, მოუწესრიგებელი ცხოვრებით. დ. ჩქოტუა აქვე ავითარებს იმ აზრს, რომ ეს ორი ჩვეულება საფუძვლად

დაედო ბატონყმობის წარმოშობას საქართველოში. რა თქმა უნდა, ეს გულუბრყვილო მტკიცებაა.

მოცემულ წერილში ავტორმა გამოააშკარავა თავისი უკომპრომისო დამოკიდებულება ბატონყმობისადმი, როგორც ხალხის მწაგვრელი, დამმონებელი წყობილებისადმი. იგი, თავისი ნაშრომის ბოლოში ამბობს: „საქართველოს მუდამ ჰყოლია ასი მეფე, ათასი მთავარი და ლეგიონი თავადები, რომელთაც გამოსწოვეს სისხლი და ტვინი საქართველოს ისტორიულ ცხოვრებასა“..³¹ ამ იდეებით სულდგმულობდა და ამგვარი მსოფლმხედველობის მატარებელი იყო დ. ჩქოტუა. ეს წერილი პეტერბურგში არის დაწერილი და აშკარად ეტყობა, იმ დროს აქ მოსწავლე და მოღვაწე ქართველთა იდეური გავლენა.

დ. ჩქოტუამ კარგად იცოდა, რომ წეს-ჩვეულებათა დაგმობა ან მისაღების დანერგვა მხოლოდ მათ მთლიანობაში ჩვენებითაა შესაძლებელი. მას სურდა მკითხველისათვის გაეცნო ეს ორი ჩვეულება, რადგან მისი აზრით აუცილებელია ვიცოდეთ საქართველოს ყოველი კუთხის ყოველგვარი წეს-ჩვეულების არსი და მნიშვნელობა.

დ. ჩქოტუა, როგორც ვნახეთ, გაზეთ „დროების“ პუბლიცისტ-კორესპონდენტი გამოირჩევა მიმდინარე საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებზე დაკვირვებით, თემატიკის მრავალფეროვნებითა და დიდი ნაყოფიერებით. მის კალამს ეკუთვნის თეორიული, ისტორიული, მეცნიერულ-ეთნოგრაფიული სტატიები და კორესპონდენციები. სამოციანელთა იდეური მსოფლმხედველობის მომარჯვებით, ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, რუსეთის ცხოვრებისა და საერთაშორისო ურთიერთობის მაგალითების მოშველიებით, იგი საფუძვლიანად განიხილავდა ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეროვნული მდგომარეობის საჭირბოროტო საკითხებს.

დ. ჩქოტუას პუბლიცისტური სტილის უმთავრესი ღირსება ინტიმურობა და გულმტკიცუნეულობაა.

1872 წლის „დროების“ რამდენიმე ნომერში გამოქვეყნებული არის მეტად საინტერესო ისტორიულ-სამეცნიერო ხასიათის შრომები, რომლებიც დ. მიქელაძეს (ზურაბიშვილს, ხან ზურაბისშვილს) ეკუთვნის.

კორესპონდენციები უმთავრესად ქენევიდან არის გამოგზავნილი. ამ აზრს იზიარებდა ყველა მკვლევარი, ვინც კი დ. მიქელაძისა და დ. ჩქოტუას შემოქმედებას შეხებია. მაგრამ 1951 წ. „სახალხო განათლებაში“ მკვლევარმა სოლ. ცაიშვილმა გამოაქვეყნა სტატია — „პარიზის კომუნა და 70-იანი წლების ქართული პრესა“³⁵ რომელშიც ექვი შეიტანა, რომ დ. ზურაბიშვილი დ. მიქელაძის ფსევდონიმია და იგი უყოყმანოდ დ. ჩქოტუას მიაკუთვნა.

„ქართული გაზეთის ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ მეორე ტომში ცნობილმა ბიბლიოგრაფმა თ. მაჭავარიანმა, ეყრდნობოდა რა სოლ. ცაიშვილის ამ ცნობას, ასეთი რამ აღნიშნა: „... დ. ზურაბიშვილი ყველას ეგონა დ. მიქელაძის ფსევდონიმი. სოლ. ცაიშვილის გამოკვლევით (იხ. „სახალხო განათლება“, 1951 წ., № 12, გვ. 3; და დაუბუქდავი მონოგრაფია დ. ჩქოტუაზე), ამ ფსევდონიმით წერდა დ. ჩქოტუა: წინამდებარე ანალიტიკური ბიბლიოგრაფიით, წერილები: 958, 2013, 3488, 5827, 5890 უნდა მას მივაკუთვნოთ. (საძიებელში აღნიშნულია დ. ჩქოტუას სახელზე)“⁴⁴

მწერალმა და მკვლევარმა ელგუჯა მალრაძემ 1963 წელს გამოაქვეყნა მონოგრაფია, სრულყოფილი ნაშრომი დ. მიქელაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე და საკითხსაც ნათელი მოჰფინა: „დავით ზურაბიშვილის ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილების ავტორი არის დავით მიქელაძე და არა დავით ზურაბის ძე ჩქოტუა... ჯერ ერთი, 66

ზურაბიშვილი მიქელაძეების იმ შტოს ზედწოდებაა, რომელსაც დავითი ეკუთვნოდა და, მისი წინაპარი ზურაბი – სოლომონ მეფის მრჩეველი ყოფილა“.³³

„დროების“ 1873 წლის №40-ში გამოქვეყნებულია დღიური, რომელშიც ვკითხულობთ: „... მაგიერად ჩვენ შეგვიძლია ვახაროთ ჩვენს მკითხველებს მეორე ჩვენი თანამშრომლის დაბრუნება; „პარიჟელი წერილების“ და თანამედროვე შენიშვნებისა და სურათების ავტორი დ. მიქელაძე. ამ კვირეა პარიჟიდან დაბრუნდა და ამ დღეებში „დროების“ რედაქციის შრომაში ჩაებმება“ ...²⁹

„დროების“ 1877 წ. 16 მარტის ნომერში დ. მიქელაძისა და წულუკიძის ჩხუბთან დაკავშირებით გამოქვეყნებულია ერთი საგულისხმო ცნობა, რომელიც საბოლოოდ ჰფენს შუქს დ. ზურაბიშვილის ფსევდონიმს მოფარებული პიროვნების ვინაობას. „დროების“ მკითხველი ერთ ამ დაჭრილთაგანს კარგად იცნობს: 1873 წელს იბეჭდებოდა ჩვენს გაზეთში იმისი ცოცხალი, ჩინებული და კეთილშობილური გრძნობით აღსავსე კორესპონდენციები პარიჟიდან, რომელნიც ხელმოწერილი იყვნენ დ. ზურაბიშვილის სახელობით. 1874 წელს დაიბეჭდა იმისავე რამდენიმე სტატია „მეველის“ ფსევდონიმით“.⁴⁵

ამ საკითხით ყოფილა დაინტერესებული დ. ჩქოტუას ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარი ო. ჭურღულია, რომელმაც რამდენიმე გარემოებაზე გაამახვილა ყურადღება: „1. დ. ჩქოტუა საერთოდ ფსევდონიმებით არ წერდა, 2. დ. ზურაბიშვილის ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილების თემატიკას 1873 წლის „დროება“ №1-ში ხელახლა უბრუნდება ავტორი „დ. კულაშელის“ ხელმოწერით... წერილების შედარებისას შესამჩნევია მათი სტილისა და მსჯელობის ერთიანობა. „დ. კულაშელი“, ისე როგორც „მეველე“ დ. მიქელაძის

ფსევდონიმია. 3. დ. ჩქოტუა საზღვარგარეთ (ყენევა, პარიზი) არ ყოფილა, ხოლო დ. ზურაბიშვილის წერილების უმრავლესობას აწერია დაწერის თვე, რიცხვი და ქალაქი (ყენევა)“.⁶³

ყოველივე ზემოთ თქმული იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ დ. ზურაბიშვილი არის დ. მიქელაძის ფსევდონიმი და მას არაფერი აქვს საერთო დ. ჩქოტუას სახელთან. ამ უკანასკნელმა ისედაც ბევრი იღვაწა გაზეთ „დროების“ პოპულარიზაციისათვის. ოდესისა და პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი, ხელმოკლედ მცხოვრები, ყოველგვარ მატერიალურ სახსრებს მოკლებული, უსასყიდლოდ, უანგაროდ ემსახურა მშობლიური გაზეთის წინსვლის საქმეს.

„სასოფლო გაზეთი“ XIX საუკუნის ქართული პერიოდიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო და მეტად საინტერესო ორგანო იყო. ცნობილი სამოციანელი გ.წერეთელი აქტიურად ჩაუდგა სათავეში ამ გაზეთის გამოცემის საქმეს და 1867 წლიდან იბეჭდებოდა იგი ყოველ კვირა მელიქიშვილისა და კამპ. სტამბაში (ხანის ქუჩაზედ, თ. ბეიბუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით. ფასი ერთი წლით 4მან. გაგზავნით). რედაქტორი აღნიშნული გამოცემის გულგრილი შემყურე კი არ ყოფილა, არამედ ფხიზლად უდევნებია მისთვის თვალი და კიდევაც უცდია, რამდენადაც ეს აუცილებელი და შესაძლებელი იქნებოდა, მოხერხებულად გამოეყენებინა თავისი ეროვნული ინტერესებისა და მიზნების სასარგებლოდ.

პოლიტიკურ - ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა საზოგადოებრივ აზროვნებაშიც ფართო მოძრაობა გამოიწვია. საკმარისია ითქვას, რომ მე-19 ს-ის 60-იანი წლებიდან ქართულ ენაზე ხუთზე მეტი პერიოდული გამოცემა არსებობდა: „დროება“, „მნათობი“, „ცისკარი“, „კრებული“, „სასოფლო გაზეთი“ ...

„სასოფლო გაზეთი“ გამიზნული იყო სოფლის მოსახლეობისათვის

და მათთვის გასაგები, პოპულარული ენით გადმოსცემდა სოფლის მეურნეობის, კულტურის, ფილოსოფიის, ლიტერატურის, ტექნიკისა და მეცნიერების მიღწევებს. იგი ავითარებდა პროგრესულ-დემოკრატიულ ტრადიციებს. ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გაზეთის ფურცლებზე ნაკლებად ვხვდებით ესთეტიკისა და ლიტერატურის თეორიის პრობლემებისადმი მიძღვნილ სტატიებს.

„სახალხო გაზეთი“ შედგებოდა სხვადასხვა ნაწილებისაგან: 1. ცხოვრება ჩვენი, 2. ცხოველები, 3. მეურნეობა და საწლოვნობა, 4. სავაჭრო ნაწილი, 5. საექიმო ნაწილი და სხვა და სხვა... გაზეთმა თავის გარშემო გააერთიანა ქართული კულტურის პროგრესული ძალები. იგი აქტიურად ეხმარებოდა ცხოვრების მაჯისცემას. რედაქციის მიერ გამოცხადებულ პირთა შორის ვხვდავთ ყველა თაობისა და იდეოლოგიის წარმომადგენლებს, რაც იმის ნიშანია, რომ გაზეთი დიდ ანგარიშს უწევდა საზოგადოების ყველა ფენას.

რუსეთის საუნევერსიტეტო და სამრეწველო ქალაქებში, საზღვარგარეთ, გაზეთს განუწყვეტლივ ჰყავდა მაღალკვალიფიციური, აქტიური თანამშრომლები, იღებდა მდიდარ პოლიტიკურ-მეცნიერულ, კულტურულ ინფორმაციას, ახალ-ახალ პირველწყაროებზე დამყარებულ წერილებსა და ნაშრომებს.

გაზეთს, სრულიად უანგაროდ, უდიდეს დახმარებას უწევდა ახალგაზრდა დავით ჩქოტუა, რომელიც იმჟამად ოდესის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის გეოლოგია – მინერალოგიის განყოფილების I კურსის სტუდენტი იყო. მან აქ დაბეჭდა რამდენიმე სამეცნიერო, სოციოლოგიური თუ გეოლოგიურ-სამეურნეო ხასიათის ნაშრომი, რომელთა მნიშვნელობა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისათვის მეტად დიდი იყო.

1870 წელს დავით ჩქოტუამ „სასოფლო გაზეთში“ გამოაქვეყნა

სამეცნიერო-სოციოლოგიური ნარკვევი „მიწის ისტორია ანუ გეოლოგია“^{6,7,8} ნაშრომი სამი ნაწილისაგან შედგება, ავტორი გაგრძელებას აპირებდა ამ სერიალისა (ბოლო წერილს ერთვის ცნობა – „შედგომი იქნება“), მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო მისი ბეჭდვა არ დამთავრებულა.

დავით ჩქოტუა, ითვალისწინებდა რა მკითხველ საზოგადოებას, ვისთვისაც განკუთვნილი იყო ეს ორგანო, ცდილობდა გასაგები, მარტივი, პოპულარული ენით, მაგრამ, ამავე დროს გეოლოგიისა და სხვა საბუნებისმეტყველო მიღწევებიდან გამომდინარე, განემარტა სამყაროს წარმოქმნის, მისი შედგენილობისა და რაობის ისტორია. აქვე იგი იძლევა ქვეყნად სიცოცხლის წარმოშობის მიზეზების მეტად საინტერესო ინტერპრეტაციას.

განათლებული ახალგაზრდა პუბლიცისტი დავით ჩქოტუა სტატიაში „მიწის ისტორია, ანუ გეოლოგია“ (I ნაწილი) ცდილობს რთული გეოლოგიური საკითხების გასაგები ენით გადმოცემას. შესამჩნევია, რომ ავტორი იცნობს თავისი დროის მეცნიერების მიღწევებს აქ განხილული მეტად საჭირო საკითხების გარშემო.

დედამიწის ფორმისა და აგებულების გადმოსაცემად ავტორი თვალსაჩინო მაგალითებს იშველიებს და თავიდანვე აღუძრავს ინტერესს გაუთვითცნობიერებელ მკითხველ საზოგადოებას.

დავით ჩქოტუა დედამიწის ფორმისა და აგებულების ახსნა-გაშუქებას იწყებს კვერცხის მაგალითზე: „წარმოიდგინეთ ასეთი კვერცხი, რომელსაც თავ-ბოლო ძალიან რგვალი აქვს. ამისთანა კვერცხის მსგავსია დედა-მიწაც. როგორც კვერცხი, დედა-მიწაც იმნაირად არის შემდგარი სხვადასხვა წყობისაგან. ამ წყობებს დავარქვათ ნაკეცები. კვერცხი, როგორც ვიცით, არის შემდგარი

ოთხი წყობისაგან, ანუ ნაკეცებისაგან. გარეთ არტყია მაგარი ნაჭუჭი, იმის შიგნით კანია, კანის შიგნით ცილი, და მერე ყვითელი გული, დედა-მიწაც აგრეთვე სხვადასხვა მიწის ნაკეცებისგან არის შემდგარი“ ...

შემდგომ ავტორი საგანგებოდ ჩერდება დედამიწის წარმოშობის იმ ობიექტურ კანონზომიერებაზე, რომელმაც ჩვენი პლანეტა გავარვარებული მდგომარეობიდან მშვენიერ სამყაროდ აქცია. ამ რთული გეოლოგიური პროცების გადმოცემისას დავით ჩქორტუა ცდილობს დააჯეროს რელიგიური ცრურწმენის ქვეშ მყოფი მკითხველი და მიმართავს მათ: „რასაკვირველია, ამ ჩემს სიტყვებზე ზოგიერთ მკითხველთაგანს უთუოდ შეეპარება თავში ეჭვი და მეტყვის: — განა დედამიწის შუაგული გინახავს, რომ ასე დაბეჭითებით მიმოტიციებ ამასო? ნუ აჩქარდები, ჩემო მკითხველო, დამიგდე ყური“ ...

ამა თუ იმ მოვლენის ახსნის დროს ავტორი მიუთითებს მეცნიერების უახლოეს მონაცემებზე და რადიკალურად ეწინააღმდეგება ბიბლიაში გადმოცემულ თხრობას (ლეგენდას, მითს) დედამიწის წარმოშობის შესახებ. ნაშრომში დეტალურად არის საუბარი დედამიწის შუაგულში არსებულ გავარვარებულ ქანებსა თუ ფენებზე, მთების წარმოქმნის, ვულკანურ მოვლენებსა და მათი წარმოშობის მიზეზებზე.

სტატიის მეორე განაკვეთში ახსნილია ამქვეყნად სიცოცხლის წარმოშობის მიზეზები: „ახლა ვნახოთ, აქვს თუარა ასეთი ისტორია იმ არსებებს, რომელნიც ცხოვრობენ დედამიწის ზურგზე“? — კითხულობს ავტორი და მიუთითებს იმგვარ მაგალითებზე, რომლებსაც მკითხველი პრაქტიკულად იცნობს და შეუძლია დააკვირვებაც აწარმოოს: „დედა-მიწა იყო დაფარული სრულებით წყლით ზოგიერთი დაბალი კუნძულების მეტი. ამისა გამო შესაძლო არ იყო, რომ ქვეყანაზე გაჩენილიყვნენ ისეთი მცენარეები და ცხოველები, რომელნიც ცხოვრობენ

მხოლოდ ხმელეთზე. ამ დროს შესაძლო იყო გაჩენილიყვნენ მხოლოდ წყალმცენარეები და ცხოველები, პირველად მართლაც ესენი გაჩნდნენ“...

„როგორ გაჩნდნენ დედა-მიწაზე წყლის მცენარეები და ცხოველები“? –კითხულობს ნარკვევის ავტორი და იქვე იძლევა საინტერესო ახსნას: წყალსა და სინათლეს ანიჭებს დიდ უპირატესობას მცენარეთა აღმოცენება და ცხოველთა ჩამოყალიბება. ამ მოვლენას იგი მაგალითით ხსნის და ადასტურებს: „სადაც წყალია და სინათლე, იქ უთუოდ გაჩნდებიან მცენარეები და ცხოველები, რომელნიც არ საჭიროებენ სხვა საჭმელს, გარდა წყლისა და არიან ძალიან დაბალი ზარისხისა თავისი აგებულებით“.

სტატიაში პოპულარული ენით არის გადმოცემული, თუ როგორ გაჩნდა მიწა, სიცოცხლე უმარტივესი ერთეულებიდან ურთულესი ფორმების ჩათვლით. ეს კანონზომიერი მოვლენა, რომელიც გარკვეულ ობიექტურ მონაცემებს ეყრდნობა, დავით ჩქოტუას მიერ აღიარებულია როგორც „ბუნებითი კანონი“ და მისი არსიც ფართოდ არის განმარტებული: „ყოველი დაბალი ანუ უბრალო აგებულების სხეული ჩნდება წინათ, ვიდრე უფრო მაღალი და უფრო სრული აგებულების სხეული. დაბალი აგებულების სხეული არის მიზეზი მაღალი აგებულების სხეულის გაჩენისა.

შენ არ გეგონოს ჩემო მკითხველო, რომ მარტოკა მცენარეები და ცხოველები ემორჩილებიან ამ კანონს. არა, ამ კანონის ძალით მოძრაობს თვითონ კაცობრიობის ცხოვრებაც... ეს კანონი მოქმედებს მიწის გაჩენის აქეთ და იმოქმედებს კიდევ უკუნითი უკუნისამდე“.

სტატიის დასკვნით ნაწილში დ. ჩქოტუა არწმუნებს მკითხველს, რომ ყოველივე ზემოთ ნათქვამი მიღებ-მოდებით და მიკიბულ-მოკიბულად გადმოცემული ამბავი კი არ არის, არამედ მტკიცე მეცნი-

ერულ-ფილოსოფიური დაკვირვებებიდან გამომდინარე დასკვნებია. მისი ღრმა რწმენით, ბუნების ისტორია ურთულესი ისტორიაა და იგი უშუალოდ უკავშირდება ადამიანთა საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

ნარკვევის მეორე ნაწილის განხილვისას დავით ჩქოტუა გვევლინება პიროვნებად, რომელიც დიდი სიყვარულით აცნობდა მკითხველ საზოგადოებას მეცნიერების მიღწევებს და უნერგავდა მათ მოწინავე იდეებს.

გადის რამდენიმე თვე და „სასოფლო გაზეთს“ დავით ჩქოტუა აწვდის მესამე ნაწილს ცნობილი გამოკვლევისას „მიწის ისტორია ანუ გეოლოგია“. სტატია გაყოფილია ორ ნაწილად: პირველ მონაკვეთში საუბარია „ცეცხლის მეფობის ჟამზე“ და მეორეში – „წყლისა მეფობის ჟამზე“. ასევე დიდი ადგილი აქვს დათმობილი ბუნებრივი წიაღისეული სიმდიდრეების წარმოშობისა და გამოყენების ისტორიას.

დავით ჩქოტუა გვეუბნება: „მე ამ თავში მოვილაპარაკებ ერთ ძალიან შესანიშნავ პერიოდზე, რომლის მოწყალებით ასე კეთილდღეობს ახლანდელ დროში განათლება და, რომელმაც ძალიან ააჩქარა მისი გავრცელება ქვეყანაზე. ეს შესანიშნავი დრო ქვის ნახშირის პერიოდია, ანუ ისტორია, როცა გაჩნდა ქვის ნახშირი დედამიწის ზურგზე“.

ბოლო საკითხზე ავტორი დიდ ხანს ჩერდება და გვაძლევს ქვანახშირის როლის ანალიზს ტექნიკის, მრეწველობისა და ცივილიზაციის განვითარების საქმეში, გადმოგვცემს საყოველთაოდ ცნობილ მოვლენებს საკაცობრიო ტექნიკური პროგრესის ისტორიიდან.

დავით ჩქოტუა ნარკვევის ამ ნაწილში დიდ როლს ანიჭებს ვაჭრობის,

აღებ-მიცემობის განვითარებას, რადგანაც მას სიმდიდრის დაგროვების ერთადერთ წყაროდ სწორედ ვაჭრობა მიაჩნია; სიმდიდრეს კი თავისთავად მოაქვს განათლება: „ისტორია გვიჩვენებს მრავალ მაგალითს, რომ იმ ერს, რომელსაც ჰქონია გაადვილებული მიმოსვლა სხვა ერთან, დაუწყია ვაჭრობა და ამის გამო ის გამდიდრებულია, ამისთანა ერს არ უცხოვრია თავის დღეში მონობის ქვეშ და კიდევაც ჩქარა მიუღია განათლება... აქედან შეგვიძლია გამოვიყვანოთ, რომ განათლებისათვის აუცილებლად საჭიროა სიმდიდრე, რომელიც იბადება ვაჭრობიდან“.

სტატის ავტორისათვის ცხადია, რომ ვაჭრობის კეთილდღეობისათვის საჭიროა მიმოსვლის აუცილებლობა სხვა ერების წარმომადგენლებთან. რაც უფრო ადვილი და აჩქარებულია ეს მიმოსვლა, მით უფრო სწრაფი ტემპით ვითარდება ვაჭრობა და სიმდიდრე უფრო მარჯვედ მოდის: „ახლა წარმოიდგინეთ, მკითხველნო, ის რკინისგზები, ნახევარი თვის სავალს ერთს ან ორ დღეში გაგარბენინებენ: წარმოიდგინეთ ის ცეცხლის გემები, რომელნიც ისე ჩქარა და მარჯვეთ დატრიალებენ ოკეანეებზე და თამამად ებრძვიან მათ ცივ ზვირთებს. აი, ვინ წასწია და მოჰფინა ქვეყანაზე ამ უკანასკნელ დროში განათლება, მაგრამ, როგორც იცის მკითხველმა, რკინის გზები და ცეცხლის გემები დატრიალებენ ქვის ნახშირის მოწყალებით დედამიწის ზურგზე“.

ამის შემდგომ ავტორი საგანგებოდ ჩერდება ქვანახშირის წარმოშობის ისტორიაზე, იმ რთულ ბუნებრივ პროცესებზე, რომელთა მეოხებით გაჩნდა დედამიწაზე ქვანახშირით მდიდარი საბადოები. ქვანახშირის წარმოქმნის ისტორიის საკითხების თვალსაჩინო მაგალითების მოშველიებით, უმაღლესი ქიმიური კანონების ღრმა ცოდნით ავტორი გვევლინება როგორც ნიჭიერი და ამ საქმის უბადლო მცოდნე

პიროვნება.

წერილის ბოლოს არის მინაწერი — „შემდგომი იქნება“, — მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო მისი ბეჭდვა „სასოფლო ვაზეთში“ არ გაგრძელებულა.

ზემოთხსენებული სტატიის ანალიზიდან გამომდინარე, ვასკენით, თუ რაოდენ საჭირო და საინტერესო იქნებოდა ის მეცნიერული სტატიები და გამოკვლევები დ. ჩქოტუასი იმდროინდელი ქართველი მკითხველისათვის, რომელიც, საუბედუროდ, ამ ვაზეთის ფურცლებზე ვერ დაიბეჭდა.

მომდევნო 1871 წელსაც დავით ჩქოტუა ოდესიდან ჩვეული ერთგულებით აწვდიდა სტატიებს „სასოფლო ვაზეთის“ რედაქტორს. ვაზეთის მე-7, მე-8, მე-9, მე-10 ნომრებში გამოქვეყნდა პუბლიცისტის სამეცნიერო-სოციოლოგიური ხასიათის ნაშრომი სათაურით: „საქმლის მნიშვნელობა ხალხის ცხოვრებაში“^{9,10,11,12} სტატია საკმაოდ დიდია და დაყოფილია რამდენიმე ნაწილად. აქ გაშუქებულია საკვების როლი ცხოველთა სამყაროში და მისი მნიშვნელობა ადამიანთა საზოგადოებაში. დასკვნით ნაწილში საუბარია იმ ცვლილებებსა და ზეგავლენებზე, რომელსაც ახდენს საკვები ადამიანის სხეულის აგებულებაზე. როგორც ვხედავთ, საკითხების არეალი ფართოა და იმდროინდელი საზოგადოებისათვის მეტად საჭირო. მეცნიერების მიღწევათა ზუსტი მონაცემებით შეიარაღებული მკვლევარი მკითხველთათვის გასაგები ენით გადმოგვცემს, „თუ საქმელი როგორ მოახდენს ცვლილებებს კაცის ხასიათში, სხეულის აგებულებაში“.

ავტორის აზრით, საკვებს დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის ფიზიკური, ინტელექტუალური და სულიერი განვითარებისათვის. სტატიაში ვკითხულობთ: „საქმელი არის მიზეზი ერის ზნეობითი და გონებითი

გახსნისა და მაშასადამე, მისი ისტორიული ბედის ტრიალისა“. ეს დასკვნა სპეციალური ფიზიო-ანატომიური კვლევის საგანს სცილდება და მიგვანიშნებს ადამიანთა სულიერი, ზნეობრივი და გონებრივი ყოფის კავშირს საკვებზე. ხალხის მშვიდობიანი ცხოვრება და კეთილდღეობა განპირობებულია საკვებით: „ცხადი საქმეა, — აღნიშნულია სტატიაში, — რომ, რაც უფრო ცოცხალი და ჯანიერია კაცი, ან ხალხი, მას უფრო შეუძლია თავისი სიცოცხლის გაუმჯობესება, მაშასადამე, კეთილდღეობისა და თავისუფლების დაცვა“.

ადამიანი პირველ რიგში გონებით უნდა იყოს მამაცი, ღონიერი და მშვენიერი, — ფიქრობს დავით ჩქოტუა, — მაგრამ ამისათვის აუცილებელია საკვების გარკვეული რაციონი. არ შეიძლება ადამიანი მუდმივ იკვებებოდეს ერთი და იმავე საკვებით, რადგანაც „ის ადამიანები და ველური ხალხები, რომელნიც იკვებებიან მუდამ ერთნაირი საჭმლით, არიან ერთნაირი ხასიათისა, ე. ი. ისინი არიან ან ძალიან მშვიდობიანნი, სუსტნი და ზანტნი და ძალიან მხეცი ხასიათისა“. ერთფეროვნებისა და გონებრივი სისუსტის მოსასპობად, ფიზიკური განვითარების მისაღწევად სტატიის ავტორს ერთადერთ აუცილებელ წყაროდ მატერიალური კეთილდღეობა ესახება. იქ, სადაც ადამიანთა საზოგადოება გონივრულად იყენებს საკვებს და მრავალფეროვანსაც, მაშინ ინტელექტი და ზნეობრივი დონეც მაღალია: „ჩვენ ვხედავთ, რომ ევროპელი ხალხები, რომლებიც იკვებებიან არეული საჭმლით, არიან ორივე ამ თვისებისა, ეს ხალხები დგანან კაცობრიობის თავზე გონებითი და ზნეობითი გახსნით და მილიონჯერ უფრო კეთილდღეობენ, ვიდრე აზიის ხალხები. მაშასადამე, ორივე ამ უძვირფასესი თვისების მოსაპოვებლად საჭიროა არეული საჭმლის ხმარება“.

დავით ჩქოტუას აზრით, საკვების რაციონალურად შერჩევა—გამოყენებაზე დიდად არის დამოკიდებული ადამიანის სისხლის

სიჯანსაღე: „ცხადი საქმეა, – წერს იგი, – რომ, რაც უფრო მთელი და ჯანიანი სისხლი უღულს კაცს ძარღვებში, ისე უფრო მთელი და ჯანიანია კაციცა. მაშასადამე, მას ისე უფრო შეუძლია მუშაობა როგორც აზრით, აგრეთვე სხეულითაც. ე. ი. მას შეუძლია უფრო ადვილად გააუმჯობესოს თავისი ცხოვრება! აქედამ შეგვიძლია გამოვიყენოთ, რომ კაცის გონებითი და ზნეობითი გახსნა არის დამოკიდებული მის საქმელზე, რომლისგანაც კეთდება მისი ცოცხალი სისხლი“.

სტატის დასკვნითი ნაწილი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეიცავს საკმაოდ ვრცელ მსჯელობას იმის შესახებ, თუ რა ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე ორგანული და არაორგანული ნივთიერებანი. გაანალიზებულია, თუ რა და რა ნივთიერებებისაგან უნდა შედგებოდეს საკვები და რა სახის ცვლილებები მიმდინარეობს ორგანიზმში... დიდი ყურადღება ეთმობა ნივთიერებათა ცვლის საკითხებს.

ავტორი იმთავითვე აღნიშნავს, რომ „ყოველი საქმელი უნდა იყოს შემდგარი სამნაირი ნივთიერებისაგან: არაორგანული, ქონისა და სისხლის მკეთებელი ნივთიერებისაგან. მაგრამ ძალიან ძვირფასია ისეთი საქმელი, რომელშიც იმყოფებოდეს სამივე ეს ნივთიერება. ერთს საქმელში მხოლოდ სისხლის მკეთებელია, მეორეში მარტოკა ქონისა და მესამეში ორივე ერთად და აკლია ერთგვარი ნივთიერებები. ამის გამო, ცხადია, რომ საქმელები ცალ-ცალკე ვერ არჩენენ სხეულს, ისინი უნდა აერიონ ერთმანეთში, რომ შეამსონ ერთმანეთი თავიანთი ნაწილებით“. თუ ცოცხალმა ორგანიზმმა ამ ნივთიერებებისაგან ერთ-ერთი ვერ მიიღო, მაშინ იგი განწირულია დასალუპავად, – ასკვნის დავით ჩქოტუა.

სტატიაში გამორჩეული ადგილი ეთმობა პროდუქტების დახასიათებას, მათი რაობისა და მნიშვნელობის გარკვევას, რომლებიც აუცილებელია

ადამიანის ჯანმრთელობისათვის. იმისათვის, რომ ერი ჯანსაღი, ფიზიკურად ძლიერი იყოს, აუცილებელია საკვები პროდუქტების მრავალფეროვნება, სიუხვე.

დავით ჩქოტუა ვრცლად ეხება რძის, კვერცხის, ხორცის, მწვანილის სამკურნალო თვისებებს, მათ შედგენილობებს. იგი უარყოფითად ახასიათებს კარტოფილს, რადგანაც „ყველაზე უფრო ბლომათ წყალი და ქონის მკეთებელია, ძალიან ცოტა სისხლის მკეთებელი და არაორგანული სრულებით არ არის. ამის გამო კარგს ჭკუას იზამს ჩვენი ხალხი, რომ ლობიოსა და მუხუდოს მოყვანა-გამოყენებას მიჰყოს ხელი“.

კუჭი, თირკმელი, ნაღვლის ბუშტი, ღვიძლი, თორმეტგოჯა ნაწლავი ის ძირითადი ორგანოებია, რომელთა სწორ ფუნქციონირებაზე დამოკიდებულია ადამიანის ორგანიზმის ჯანმრთელობა. ნაშრომში დაწვრილებით არის გაანალიზებული ამ ორგანოთა ფუნქციები და თვისებები.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ახალგაზრდა დავით ჩქოტუა ზედმიწევნით ფლობს სამედიცინო ტერმინოლოგიას და საკირო შემთხვევაში მოხერხებულად იძლევა მათ კლასიფიკაციას, ამასთანავე, ცდილობს ადამიანის ორგანოთა ლათინურ-რუსულ სახელწოდებებს შესაბამისი ქართული განმარტება—ტერმინი გამოუნახოს, მაგალითად... „კუჭის წვენი (желудочный сок)“ „... საჭმელი გადადის მაშინავე იმ წელში, რომელიც პირდაპირ აბია კუჭს და რომელსაც თავისი სიგრძისა გამო ეძახიან „თორმეტ გოჯიან წელს (двенадцатипершая кишка)“, „... ამ თორმეტს (გოჯიან) წელში ერევიან საჭმლის ნალველი და ერთნაირი წვენი, რომელიც შორდება ამ წელს ქვეშ მდებარე ზორბა ჯირყველს (поджелудочная железа) ... ცილათ გვარი ნივთიერებები (белковое вещество) .. და ა. შ.

გარდა იმისა, რომ აღნიშნული თემების მეცნიერული გაშუქებით ავტორი ხელს უწყობდა სამყაროზე მატერიალიისტური თვალსაზრისის გავრცელებას და ახალი სპეციალური გამოთქმებით ამდიდრებდა ენას („კუქის წვენი“, „თორმეტგოჯა ნაწლავი“ და ა. შ.), იგი პატრიოტულ მიმართულებას აძლევდა წამოჭრილ საკითხებზე მსჯელობას. წერილში დავით ჩქოტუა კონკრეტული ანალიზით აცამტვერებს ცრუმეცნიერთა მტკიცებას, თითქოს, ზოგიერთი ხალხი, კერძოდ, ქართველები, კვების თავისებურების გამო, გონებრივად ჩამორჩენილები იყვნენ და, ამიტომ, არ შეეძლოთ მისწვდომოდნენ საკაცობრიო კულტურის მონაპოვარს. მაშინდელი მკითხველი საზოგადოებისათვის ადამიანის ორგანოთა ასეთი გამოწვლილვითი დახასიათება და ახსნა-განმარტება აუცილებელი იყო.

მსგავსი ხასიათის სამეცნიერო წერილების გამოქვეყნება „სასოფლო გაზეთში“ მეტად საჭირო და სასარგებლო იყო. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ახალგაზრდა დავით ჩქოტუა, იმჟამად სტუდენტი, ერთგულად ემსახურებოდა ქართული პერიოდიკის ამ მეტად საინტერესო ორგანოს.

„სასოფლო გაზეთი“ ის ორგანო იყო, რომელმაც გარკვეული კვალი დააჩნია მე-19 საუკუნის მე-2 ნახევრის ქართული აზროვნების განვითარების ისტორიას. თავისი არსებობის მანძილზე მან მეტად საინტერესო მასალა მიაწოდა ქართველ საზოგადოებას. „სასოფლო გაზეთის“ გამოცემის საჭიროებას ასე ასაბუთებდა და ხსნიდა გ. წერეთელი: „გლახობის განთავისუფლებით ბატონყმური დამოკიდებულებისაგან... სოფლის მოსახლეობაში გადატრიალება მოხდა. მთავრობამ მას მისცა საკუთარი მმართველობა, რომელმაც წარუდგინა რა გლახურ ფენას უფლებები, იმავე დროს დაადო მას ვალდებულებებიც. იმისათვის, რომ მოსახლეობამ ისარგებლოს ამ რეფორმით,

აუცილებელია გარკვეული განვითარება ხალხის მასაში, აუცილებელია ორგანო ხალხისათვის გასაგებ ენაზე, რომელიც დაიყვანს მათს ცნობამდე მთავრობის ყველა წამოწყებასა და განკარგულებებს, რომლებიც შეეხება სოფლის მოსახლეობას, იმავე დროს აუწყებს მათ სხვა სასარგებლო ცნობებს“... ⁶¹

60-იანი წლების ბოლოს ქართულ ენაზე რამდენიმე პერიოდული გამოცემა გამოდიოდა, მაგრამ მოწინავე საზოგადოება ჯერ მაინც განიცდიდა „საქართველოს მოამბის“ დანაკლისს. გულისტკივილი გასაგებია, რადგანაც მხატვრულ ლიტერატურასა და კრიტიკას უშუალოდ მის მომდევნო გამოცემებში არ მიუღწევია თერგდალეულთა პირველი ჟურნალის დონისათვის.

„დროება“ და „მთაბი“ წინ უსწრებდნენ ჭრონოლოგიურად „კრებულს“, მაგრამ პრინციპული მასშტაბის გათვალისწინება ცხადყოფს, რომ „საქართველოს მოამბის“ პირდაპირ მემკვიდრეს სწორედ ეს ჟურნალი წარმოადგენს. მასში არა მარტო მთელი სისავსით შენარჩუნებულია, არამედ განვითარებული და ახალი ვითარების შესაბამისად მალალ ხარისხშია აყვანილი თერგდალეულთა პირველი გამოცემის დემოკრატიული ტრადიციები. ⁵⁰

„კრებულის“ პირველი რედაქტორი იყო ნიკო ნიკოლაძე – 1870 წლის ივნისიდან 1871 წლის აპრილამდე, „კრებულის“ ჟურნალად გამოცემაზე მთავრობის ნებართვის მიღებამდე, როცა იგი გაზეთ „დრეების“ დამატების სახით გამოდიოდა (პირველი ოთხი ნომერი). 1871 წლის აპრილიდან 1872 წლის ბოლომდე „კრებულის“ რედაქტორად ფორმალურად ითვლებოდა გიორგი წერეთელი. 1873 წლის იანვრიდან დეკემბრამდე – კირ. ლორთქიფანიძე.

ჟურნალის არსებობის მთელ მანძილზე ნ. ნიკოლაძე სათავეში ედგა ამ ორგანოს. „კრებულის“ 22 ნომრიდან 19 ნომერი უშუალოდ ნ. ნიკოლაძის მიერ არის მომზადებული.

„კრებული“ თავისი შედგენილობით და პერიოდულობით ყველა წინამორბედ და მის თანამედროვე ქართულ გამოცემებზე შეუდარებლად მაღლა იდგა. მას იშვიათად თუ დაურღვევია იდეური გეზის შესაბამისად მასალის მკაცრი შერჩევის პრინციპი. ყოველი ახალი ნომერი არა მარტო აგრძელებდა წინა ნომრის ხაზს, არამედ აღრმავებდა, აფართოებდა და მიზანსწრაფულად განამტკიცებდა მას. „ამაშია, უწინარეს ყოვლისა, მისი ჟურნალისტური ხასიათი და ცალკეული ნომრების დაგვიანებით გამოსვლა არავითარ საბუთს არ გვაძლევს აღმანახად ან „ღროების“ დამატებად გამოვაცხადოთ ის“.³²

სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებთან ერთად ჟურნალმა „კრებულმა“ საძირკველი ჩაუყარა და დაამკვიდრა ჩვენში საერთაშორისო ინფორმაცია და მიმოხილვა; პოლიტიკური ცნობიერების ვრცელი ასპარეზი გადაუშალა ქართველ კაცს.

აქ მოღვაწე ჟურნალისტებს კარგად ესმოდათ, რომ ისინი მომავლის თესლს აღვივებდნენ, დაჩაგრული ხალხს გათავისუფლების გზას უშუქებდნენ და საშინაო თუ საგარეო მდგომარეობის დახასიათებით, გაბედული მოქმედებისათვის ამზადებდნენ. მათ სწამდათ ხალხის ბედნიერი მომავლისა და თითქმის ყველა პუბლიცისტური ნაწერი ოპტიმიზმითაა განათებული.

„კრებული“ სოციალური ურთიერთობის თვალთახედვით აშუქებდა კაცობრიობის ისტორიის ძირეულ მოვლენებს და ქადაგებდა, რომ ეს ისტორია კლასთა ბრძოლის ისტორიაა. ამ აზრითაა გამსჭვალული ნ. ნიკოლაძის „ახალი საფრანგეთი“, ნ. ცხვედაძის „დასავლეთ ევროპის გონებითი და ეკონომიური მოძრაობა თავის მიზეზებით XVI საუკუნეში“, პ. უმიკაშვილის „იოსებ მაძინა“, დავით ჩქოტუას „იოანე გუსი“ და სხვა სტატიები.

დავით ჩქოტუამ მშვენიერი ისტორიული ნარკვევი „იოანე გუსი“ დაბეჭდა ჟურნალ „კრებულში“ 1873 წელს, მე-10 ნომერში.¹³ (ცნობილია, რომ 1873 წელს „კრებულის“ ცხრა წიგნი გამოვიდა, მე-10 ნომერი ფაქტიურად 1874 წელს დაისტამბა.). შემდგომ ეს ნაწარმოები ცალკე წიგნაკადაც გამოვიდა და დიდი პოპულარობით სარგებლობდა მე-19 საუკუნის II ნახევრის ქართულ საზოგადოებაში.

სტატია შეითხზა იმ დროს, როდესაც საქართველოში განუკითხავად თარეშობდა რუსეთის ცარიზმის კოლონიური მთავრეულური პოლიტიკა და ბატონყმობაც, ჯერ კიდევ მყარად ფესვგამდგარი, აასკეცებდა ისედაც დამონებული საზოგადოების ყოფას.

ამ ისტორიულ ნარკვევში ავტორი მკითხველს მოუთხრობს დასავლეთის ეკლესიის ერთ უდანაშაულო მსხვერპლზე, რომლის რეფორმატორული გამოსვლა მე-15 საუკუნეში პროგრესულ მოვლენად ითვლება მაშინდელი რომის კონსერვატორებთან შედარებით.

იოანე ჰუსის ჰუმანისტურ-გამათავისუფლებელი იდეების თაყვანისცემა და ქართველი მკითხველისათვის მისი გაცნობა იმის დასტურია, რომ დავით ჩქოტუას უნდოდა თავის ხალხში გაედრმავებინა ნაციონალურ-გამათავისუფლებელი იდეები.

ცნობილია, რომ იოანე ჰუსი იყო ჩხეთში ჰუსისტური მოძრაობის სულისჩამდგმელი და გამათავისუფლებელი ბრძოლების მოთავე.

XV საუკუნის დასაწყისში პრალის ერთ-ერთ ქუჩაზე მდებარე პატარა ეკლესია ბევრ ხალხს იზიდავდა. აქ ქალაქის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, გლეხები და რაინდები პრალის უნივერსიტეტის პროფესორის — იან ჰუსის მგზნებარე სიტყვების მოსასმენად მოდიოდნენ.

იოანე ჰუსი (1371-1415) დაიბადა და აღიზარდა გლეხის ოჯახში. ნიჭიერსა და შრომისმოყვარე ახალგაზრდას მრავალი გასაჭირისა

და სიძნელეების გადალახვა მოუხდა ცხოვრების გზაზე. დიდი მოთმინებითა და დაუზარელი შრომით მალე იგი პრალის უნივერსიტეტის წამყვანი პროფესორი გახდა, შემდგომ კი, ჩეხთაგან ერთ-ერთი პირველი, სათავეში ჩაუდგა პრალის უნივერსიტეტს.

თავისი მოღვაწეობის დასაწყისში ი. ჰუსი ასახავდა ჩეხ ბიურგერთა ქალაქების საშუალო ფენების ინტერესებს. იგი იმყოფებოდა XIV საუკუნის გამოჩენილი ინგლისელი ბურჟუაზიული რეფორმატორის ვიკლეფის ძლიერი გავლენის ქვეშ, რომლის აზრებსაც ქადაგებდა თავის ლექციებში.

ვიკლეფი ილაშქრებდა კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ, მისი მსხვილი მიწამფლობელების, კათოლიკური წესების ზედმეტი საზეიმო ხასიათის წინააღმდეგ. იგი მოითხოვდა სიმარტივეს, ეკლესიის ხალხთა მასებისათვის მისაწვდომად გახდომას. მოითხოვდა ქადაგებას და საღვთო წერილის გავრცელებას ეროვნულ, მშობლიურ ენაზე. ვიკლეფის მოძღვრების ყველა ამ მხარეებმა ჰპოვეს კარგი ნიადაგი ჩეხიაში. პრალის უნივერსიტეტი იმყოფებოდა გამუდმებულ ურთიერთობაში ოქსფორდის უნივერსიტეტთან, სადაც ასწავლიდა ვიკლეფი. პრალის უნივერსიტეტის ბევრი მასწავლებელი მიდიოდა ცოდნის გასაღრმავებლად პარიზისა და ოქსფორდის უნივერსიტეტებში. ოქსფორდში სწავლობდა ჰუსის მეგობარი იერონიმ პრალელი.

რით იზიდავდა იოანე ჰუსის სიტყვები მსმენელებს?—

იოანე ჰუსის ქადაგებანი, წარმოთქმულნი ჩეხურ ენაზე, იზიდავდნენ ქალაქის მოსახლეობის უმველებელ მასებს. ჰუსი დაუნდობლად აძვლდა ხარბ სამღვდელოებას. იგი აღშფოთებული იყო რომში საეკლესიო თანამდებობებით ვაჭრობით და პაპს მთავარ თაღლითს უწოდებდა: „ცოტა მოიძებნება მღვდელი, რომელსაც თავისი ადგილი ნაყიდი არ ჰქონდეს და მორწმუნეთაგან ღალა არ აეკრიფოს... უკანასკნელი

გრონააც კი, რომელსაც საწყალი მოხუცი ქალი შავი ღლისათვის ინახავს, უსირცხვილოდ გამოსტყუებს მღვდელმთავარი. როგორღა არა ვთქვათ ამის შემდეგ, რომ იგი ქურდებზე უფრო თაღლითი და ბოროტიაო“? – ამბობს ჰუსი.

სამღვდელოების სიხარბისა და საეკლესიო გადასახადების წინააღმდეგ ჰუსს სურდა განეხორციელებინა ეკლესიაში სახარებისებური სიღარიბის იდეალი. სამღვდელოების კრიტიკიდან ჰუსი ეკლესიის გარდაქმნის მოთხოვნაზე გადავიდა. იგი მოითხოვდა ეკლესიებისათვის წაერთმიათ ნაძარცვი სიმდიდრე, მიწები: „მორწმუნებს აღარ სჭირდებათ მღვდელმსახურთა არმია. ჩეხეთში უნდა იყოს საკუთარი ეკლესია, რომელიც დაემორჩილება არა პაპს, არამედ მეფეს. პაპის წინააღმდეგ უნდა გამოვიყენოთ ძალა: დადგება, ძმებო, დრო ომისა და მახვილისა“, – ამტკიცებდა იგი.

იოანე ჰუსი, ილაშქრებდა რა რომის პაპის წინააღმდეგ, სცნობდა ავტორიტეტად მხოლოდ „საღვთო წერილს“. იგი მოითხოვდა საეკლესიო წესების საფასურის გაუქმებას. ხალხისათვის მიმართვაში ის ამბობდა, „რომ ჩეხები სათავეში უნდა იყვნენ და არა კუდში მაჩანჩალო“ და გადაჭრით მოუწოდებდა უცხოელთა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. მაგრამ მას როდი სძულდა სხვა ხალხები: მისთვის, ჰუსის თქმით, კარგი გერმანელი უფრო ახლობელია, ვიდრე ცუდი ჩეხი. თუმცა ჰუსი არ იყო ფეოდალური წყობილების წინააღმდეგი, მაგრამ მას უმართებულოდ მიაჩნდა, რომ გლეხები სიღარიბესა და უუფლებობაში ცხოვრობდნენ: „პანები და ეკლესიის მსახურნი ძარცვავენ ღარიბებს და თავიანთ ღიპს ელოლიავენბიან, თუ ფეოდალები უსამართლოდ იქცევიან, ხალხს არა აქვს უფლება, არამედ მოვალეც არის, რომ აღსდგეს უსამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ“.²²

იოანე ჰუსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ვრცლად გადმოცემით გვინდა ვაჩვენოთ ინტერესთა ის სფერო, რომლითაც გარემოცული იყო დავით ჩქოტუას პიროვნება.

ამ მეტად საინტერესო ისტორიული პიროვნების დასჯით იწყება დავით ჩქოტუას ცნობილი ნარკვევი.

შესავალ ნაწილში საკმაოდ მხატვრული სურათია მოცემული გერმანიის ქალაქ კონსტანცაში მომხდარი ამ ტრაგედიისა და მსაჯულთა იმ შემადგენლობისა, ვინც იოანე ჰუსს კოცონზე დაწვის განაჩენი გამოუტანა.

იოანე ჰუსის გარშემო გაერთიანდა ჩეხიის ხალხის სხვადასხვა ფენა. მას თანაუგმობდნენ ზოგიერთი პანებიც კი, რომელნიც მიიზიდა საეკლესიო მიწების ჩამორთმევის პერსპექტივამ.

რომის პაპმა განკვეთა ჰუსი ეკლესიისაგან, მაგრამ ამან ვერ შეაფერხა მისი მოღვაწეობა. მიუხედავად საეკლესიო დევნისა, იგი ამ დროს თარგმნიდა ბიბლიას ჩეხურ ენაზე, ქმნიდა ჩეხურ სალიტურატურო ენას. ჰუსს ჰქონდა ვრცელი მიწერ-მოწერა. იგი ავრცელებდა თავის აზრებს სამხრეთ ჩეხიაში, სადაც ის იბუღებული იყო შეეფარებინა თავი. იოანე სარგებლობდა ძალზე დიდი გავლენით გლეხობაში, ქალაქის ღარიბ-ღატაკთა და მემლაროელთა შორის. რამდენადაც ასახავდა ფართო მასების განწყობილებას, მისი მოძღვრება ღებულობდა სულ უფრო და უფრო რადიკალურ ხასიათს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1414 წელს შეიკრიბა კონსტანცის საეკლესიო კრება, რომლის მიზანს შეადგენდა კათოლიკური ეკლესიის ავტორიტეტის ამაღლება, რომელიც შერყეული იყო ე.წ. „დიდი გათიშვით“, როდესაც ეკლესიის სათავეში მოექცა თავდაპირველად ორი, ხოლო შემდეგ სამი პაპი.

საეკლესიო კრებაზე გამოიხმეს იოანე ჰუსი. „მუდამ მიყრუებული

კონსტანცის ქალაქი უცბათ გაცოცხლდა, გაივსო დიდებულებით ევროპის კუთხიდან; აღედგა სიცოცხლე და მიიქცია ყურადღება 1414 წელსა. ამ პატარა გერმანიის ქალაქში ამ დროს იხადებოდა ისეთი ღრმაზროვანი საქმე, რომელიც სიზმარშიაც არ მოჩვენებით აქ შეყრილ დიდებულებს“, — წერს დავით ჩქოტუა. იმპერატორმა სიგიზმუნდმა უზრუნველყო ჰუსის პიროვნების ხელშეუხებლობა და უბოცა მას შესაფერისი დაცვის სიგელი. იოანე ჰუსი დარწმუნებული იყო იმაში, რომ, თუ მას მისცემდნენ საშუალებას თავისი აზრების განვითარებისა, იგი შეძლებდა თავის დაცვას საეკლესიო კრების წინაშე, მაგრამ მას არც კი მოუხმინეს. იგი საპყრობილეში ჩააგდეს და კოცონზე დაწვა მიუსაჯეს: „რომის (დასავლეთის) ეკლესიამ გამოჰფინა მთელი თავისი სიუხვე გაკვირვებული ხალხის თვალწინ. არასდროს ამდენი საკმეველი არ კმეულა, არასოდეს უმეტესის სასოების ხმით არ შეწირულა გალობა „*veni sancte spiritus*“. ჯვარი სუფევდა ყველგან, ის ჯვარი, რომელიც მუდამ იყო ცნობილი სიმბოლო (ნიშანი) ქრისტეს ცხოვრების, ტანჯვის და მოძღვრების“, — აგრძელებს პუბლიცისტი.

1415 წლის 6 ივლისს იოანე ჰუსი კოცონზე დაწვეს. ამ ტრაგედიის დღეს „აქ შეყრილა ორი მოსისხლე მტერი, ორი პრინციპი, რომელთა შორის ეხლაც სდრულს გამწვარებული ბრძოლა. ერთის მხრივ იყო მთელი ქვეყნიური ძალა: გერმანიის იმპერატორი, პაპა, ოთხი პატრიარქი, ოცდაორი კარდინალი, ას ორმოცდაათი ეპისკოპოსი, ათას რვაასი მღვდელი, ორას სამოცდათორმეტი დოკტორი. ურიცხვი კრება თავადთა, კურფირსთთა, ბარონთა, მარკგრაფებთა, ხალხისა და ათასი მორჩილი მონა გამხეცებულ სალდათთა, — ეს მხარე იყო ავტორიტეტის ანუ ბატონობის წარმომადგენლები. მათ წინააღმდეგ აღდგა ღარიბი მღვდელი იოანე გუსი. ის იყო ძმობისა და ქრისტეს მოძღვრების წარმომადგენელი“, — წერს დავით ჩქოტუა და არწმუნებს მკითხველ

საზოგადოებას, რომ მან, იან ჰუსმა, დაარღვია გაბატონებული ქრისტიანულ-კათოლიკური ეკლესიის დოგმატიკა და მოითხოვა მისი რეფორმა, წყობილების გამარტივება. ამ იდეას მთელი თავისი მრისხანებით წინ აღუდგა რომის პაპი.

დასჯის ცერემონიალის ჩატარების შემდეგ ავტორი აღწერს „ისტორიის იმ დღევას, რომელიც ამ დროს შეგუბებულა“. ეს მეტად საინტერესო თხრობა გახლავთ. ჩვენ აქ მოვიყვანთ იმ ადგილს ნარკვევიდან, რომელიც უფრო მკაფიოდ წარმოგვიდგენს 70-იანი წლების მოწინავე ქართველი ინტელიგენტის, რადიკალურად მოაზროვნე პუბლიცისტის – დავით ჩქოტუას შეხედულებებს საზოგადოებრივ საკითხებზე.

„აუცილებელი ისტორიული კანონების ძალით, – წერს ავტორი, – რომელიმე დროში იბადებიან მრავალგვარი პრინციპები, ანუ მოძღვრებანი, რომელთაც აქვთ უზომო მნიშვნელობა ცხოვრებაში, რომელნიც არიან გამოწვეულნი მისთვის, რომ გასწმინდონ კაცობრიობის და ხალხის ცხოვრება საუკუნეებით შეზრდილი ხორცმეტებისა და აბედებისაგან, რომელნიც ამძალებენ მის ცხოვრებას. ამის გამო ამ ახალმა მოძღვრებამ, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ცხოვრების ახალმა წყობილებამ უნდა მოსპოს, დაამხო და აღმოხოცოს ის, რაც მავნე და ურგებია ხალხის ცხოვრებისათვის. ცხადი საქმეა, რომ ამ მოსისხლე მტრებს შუა (ძველ და ახალ წესებს შორის) გაიმართება სასტიკი ბრძოლა, სადაც ერთი მათგანი უნდა დამარცხდეს, მოკვდეს და გაჰქრნეს ცხოვრებიდან“. ამ ბრძოლაში გვიან თუ ადრე იმარჯვებს და ფეხს იდგამს ის აზრი, ანუ პრინციპი, რომელსაც უფრო მეტი სინათლე და ჭეშმარიტება შემოაქვს ცხოვრებაში, ე. ი. ის, რომელსაც უფრო მაცხოველებელი ელემენტები აქვს თავის არსებაში, ხოლო ძველი დაფუტურებული ჩვეულება დამხოვის შემდეგ ჰქრება ცხოვრებიდან,

როგორც ყოველგვარი ხანდალეული არსება.“

როგორც ნათქვამი იყო, ასეთი ახალი მოძღვრება არის გამოწვეული თვით ცხოვრებიდან, ე.ი. მასში გამოხატულია ხალხის ცხოვრების მოთხოვნილება, მისი საჭიროება და მისი ტკივილი, როგორც ხალხურ სიმღერაში გამოხატულია ხალხის გრძნობა, მისი გულის ლტოლვილება და აზრი. მაგრამ ასეთი ლექსების გამომთქმელი არის ერთი პირი, ხალხისგანვე გამოსული, რომელსაც შეუკრებია ერთ სულ ქმნილებაში მთელი ხალხის გრძნობა, მისი სულისკვეთება და ყოველივე ის, რაც კი ღრმად უგრძნია ხალხს თავის სიცოცხლეში.

ასეთივე მნიშვნელობა აქვს ამ ახალი წესების შემოღებაში ანუ რეფორმაში იმ პირებს, რომელნიც ასორციელებენ ხალხის ცხოვრების მოთხოვნილებებს, ანუ იღეას და აძლევენ მას შესაბამის სახეს, რომ ყოველ კაცს იმისი დანახვა და გაგება ადვილად შეეძლოს. ამ უკანასკნელ პირებს ისტორიაში უწოდებენ რეფორმატორებს და პირველთ კი სახალხო პოეტებს. „ასეთ მოძღვრებას, — დასძენს ავტორი, — განხორციელებისთანავე უჩნდებიან ადებტები, მოწაფეები, ემხრობიან თანდათან დიდი ხნის განმავლობაში ისინი, ვისაც ეს მოძღვრება უქადის ბნელ ცხოვრებიდან გამოსვლას, სინათლეს და შვებას.

ამასთანავე უჩნდებიან მტრებიც, ისინი, ვისაც მთელი ქვეყნისა და კაცობრიობის სიკეთისათვის ეს ახალი მოძღვრება უპირებს დამხობას“, ე. ი. ძველი წესები და მათი წარმომადგენლები. უჩნდებიან მოწინააღმდეგენი, უმართავენ სასტიკ ბრძოლას. ბრძოლა მთავრდება და გამარჯვებული, ე.ი. ახალი მოძღვრება შედის ცხოვრებაში, იღვამს ფეხს და ვრცელდება საქვეყნოდ.

შემდეგ ავტორი მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ ხდება ადამიანთა დაჯგუფება ამათუ იმ ფორმაციის დროს, თუ როგორ ჩნდებიან ე.წ. პრივილეგირებული კასტები, ან გაბატონებული წოდება, რომელსაც

„შემოაქვს ცხოვრებაში უკანონობა, ჰფარავს სინათლეს და ჭეშმარიტებას ხალხის თვალთაგან, რადგან მათი გამოჩენა და ცხოვრებაში შემოტანა მოუსპობდა სარჩო-წყაროს იმ მუჭომჭამელებს, რომელნიც სიბნელის დროს სარგებლობენ“.

ავტორის აზრით, „ხალხისა და ჭეყენის ასეთი დაბრეყების დროს იბადებიან რეფორმატორები, რომელნიც წინ აღუდგებიან ამგვარ უკანონობას, უწესობას და ჭეშმარიტების დამახინჯებას“. გამოდიან ბრძოლის ველზე თავიანთი მომხრეებით, სწირავენ თავიანთ სიცოცხლეს საჭეყნო საქმეს და მრავალი საუკუნის შემდეგ მათი საქმე, მათი სიტყვა და სისხლი ათავისუფლებს კაცობრიობას სიბნელისა და მონობისაგან...

შეიძლება, — აღნიშნავს ავტორი, — ასეთი რეფორმატორები ხშირად იხოცებიან ამ ბრძოლებში, მაგრამ დავით ჩქოტუაა სამართლიანი მოსაზრებით „მათთან ერთად იღუპება მათი მოძღვრება. მათ რჩებათ მოწაფეები, რომელნიც ავრცელებენ და შეაქვთ ცხოვრებაში თავიანთი მოძღვრის სიტყვები. ეს სწავლა და სიტყვები თანდათან უბნელს თვალს და ყურს და ანახვებს მას იმ ძველი წყობილების სიბნელეს, სიფუჭეს, მავნებლობას და სიცრუეს... ამის შემდეგ ეს ძველი წესები და ჩვეულებები ხდებიან ჭეყენის სასაცილოდ და სამასხარაოდ, — მაშინ ის მკედარია, ან კბილში უჭირავს სული და ბოლოს თვით კაცობრიობა და ცხოვრება ივიწყებს მას“... უნდა გავითვალისწინოთ ის მდგომარეობა, რომ ზემოთ მოყვანილი სტრიქონები იწერებოდა 1873 წელს, ალექსანდრე მეორის აბსოლუტური მონარქიის მძვინვარების პერიოდში, როცა საქართველოს სინამდვილეში ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული კამათი და შეხლა-შემოხლა თავად-აზნაურთა და ლიბერალურად განწყობილ წრეებს შორის იმის შესახებ, რომ გლეხები უმიწაწყლოდ, უნაკვეთოდ მართლაც სრულიად გავათავისუფლოთ, თუ ცოტა ნაჭერიც მივცეთო.

დავით ჩქოტუა XIX საუკუნის 70-იანი წლების ჰუმანისტი მოაზროვნეა. მას ჩეხეთის XV საუკუნის ერთ-ერთ გამოჩენილ რეფორმატორად, სიბნელისაგან ხალხის გამათავისუფლებლად მიაჩნია იოანე ჰუსი, რომელიც ინკვიზატორებმა კოცონზე დაწვეს იმის გამო, რომ მთელ დასავლეთში უზურპატორულად გაბატონებული რომის პაპის ეკლესიის დოგმატიკა დაგმო და ძველი წესები დაარღვია. დავით ჩქოტუას სიტყვებით რომ ვთქვათ, „რომის ეკლესიის ისტორია წარმოგვიდგენს საშინელსა და საოცარ საქმეებს თავისი უზურპაციით, ინკვიზიციითა და უსამართლობით.“

საგულისხმოა და ყურადსაღები ისიც, რომ დავით ჩქოტუა, ამ საშინელი ისტორიით დაინტერესებული, მოკლედ აღწერს რა რომის ეკლესიის წესებსა და წყობილებას, უღმობელი მამხილებელია და სასტიკი საბრალდებულო ოქმის შემდგენიც; ამავე დროს ის მიუდგომელი ისტორიკოსია ამ საქვეყნოდ ცნობილი მოვლენებისა. პაპის ეკლესიის მხილებაში გარკვევით მოჩანს აღმოსავლური ეკლესიის მახინჯი სახეც. მართალია, ასე აშკარად გალაშქრება ქართველ ავტორს აღმოსავლეთის საეკლესიო დოგმების წინააღმდეგ არ შეეძლო, მაგრამ იმ პერიოდის კვალობაზე საკმაოდ ბევრია თქმული ავტორის სამეცნიერო ნარკვევში. იგი აღნიშნავს: „რომ თავიანთი მოქმედებითა და ხალხის წინააღმდეგ მიმართული რეაქციული, თანდათან ნაბიჯებით ეკლესია მოშორდა ქვეყნის ცხოვრებას, მისთვის კი არა, რომ იყოს თავისთვის, არამედ იმისთვის, რომ დაიმონოს ხალხი და იცხოვროს მეფურად ხალხის შრომითა და ქონებით. ასეთი აზრის ასასრულებლად მას მრავალი ბეჯითი საშუალება ჰქონდა ხელთ“.

დავით ჩქოტუა დაასკვნის, რომ ამგვარი საშუალებების და ღონისძიებების გატარებით, რომის პაპმა საუკუნეების მანძილზე დაჩრდილა ევროპის სამეფოები, თავისი თავი გამოაცხადა ყველაზე

90

უწმინდესად და უცოდველად. მაგრამ იოანე ჰუსმა ამხილა რომის პაპი. იგი თავის რეფორმის საფუძვლად უდებდა ინგლისელი მოღვაწის ვიკლეფის შეხედულებებს და ვაჟკაცურად ებრძოდა მოწინააღმდეგეებს. იოანე ჰუსმა სიკვდილის წინ პატიება არ ითხოვა, პირიქით. მან თქვა, რომ „სლოვიანურ ენაზე გუსი შინაური ფრინველია, ის არ ფრენს მაღლა, მაგრამ გამოჩნდება სხვა ფრინველი, რომელიც ერთი ფრთის დაქნევით ასცილდება თქვენს მახეებს“.

ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლის ამგვარი მაგალითების ჩვენება იმ ხანების საქართველოს ცხოვრებაში უთუოდ საჭირო იყო. დავით ჩქოტუამ ამ საერთო საქმეში მოკრძალებული წვლილი შეიტანა. მისი ნაშრომი გამოირჩევა ღრმა შინაარსით, ჭეშმარიტების მხატვრულად გადმოცემის გასაოცარი ალღოთი და უტყუარი ზომიერებით. ისტორიული ნარკვევის გაცნობით ჩვენ ვრწმუნდებით, რომ დავით ჩქოტუა იცნობს არა მარტო მშობლიურ ლიტერატურას, ხელოვნებას, ესთეტიკურ აზროვნებას და ფილოსოფიურ მიმართულებას, არამედ მსოფლიო ისტორიასაც.

დავით ჩქოტუას მუხლჩაუხრელი ღვაწლი ქართულ პერიოდულ ორგანოებში იმის დასტურია, რომ იგი მე-19 საუკუნის II ნახევრის გარდატეხისა და იდეური ძიების ხანაში მოღვაწეობდა, ზოგად დემოკრატიულ მოთხოვნათა მხურვალე დამცველად გამოდიოდა, ხალხის საყოველთაო ბედნიერებაზე ოცნებობდა. თავისი ჰუმანისტური მისწრაფებების შესაბამისად, სწრაფად ამოძრავებული ცხოვრების მიერ წამოჭრილ ახალ კითხვებზე პასუხს ხან ქართველ, ხან რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა მოძღვრებებში პოულობდა, ხან ევროპის მოაზროვნეთა წრეებში... ეს იყო გულწრფელი, ქვეყნისა და ერის ჭეშმარიტი ინტერესით შთაგონებული იდეური ძიება.

დავით ჩქოტუას საენათმეცნიერო შეხედულება

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დავით ჩქოტუას აზრით, განათლებას უდიდესი როლი ეკისრება საზოგადოებაში, ხალხის ეროვნულ ცხოვრებაში, მშრომელი ადამიანის ყოფისა და ცნობიერების განვითარებაში, კულტურულ წინსვლასა და პროგრესში. ამ აზრის განხორციელების უმთავრეს საშუალებად მას მიაჩნია მშობლიური ენის ძირფესვიანი ცოდნა.

დავით ჩქოტუა, ისე როგორც 60-70-იანი წლების მოწინავე ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები, არ უარყოფდა ენის დაუფლების აუცილებლობას, მაგრამ მშობლიური ენის შესწავლა, მისადმი თაყვანისცემა მას უპირველეს ამოცანად ესახებოდა. ერის ცხოვრებაში მშობლიური ენის როლის საკითხს დავით ჩქოტუა არაერთგზის შეეხო. გადასახლებაში მყოფი, განაწამები კაცი, თავის უახლოეს მეგობარს ვასილ პეტრიაშვილს 1886 წელს გამოგზავნილ ერთ-ერთ ბარათში, რომელშიც საუბარია ქართული ეროვნული კულტურისა და ენის განვითარების თავისებურებაზე, სწერდა: „ენა — ეს არის ხალხის სულის ხედვისა და სმენის ორგანო. მის შერყვნას და აღრევას ისეთივე შედეგი მოსდევს, როგორც გრძობათა ორგანოების მოშლას სხეულისათვის. ენის შერყვნასთან ერთად წყდება სულიერი კაპიტალის დაგროვება ხალხში, იფიტება მისი ძველი მარაგი, მაშასადამე, ქვეითდება ხალხის გონებრივი და ზნეობრივი დონე და ბოლოსდაბოლოს თავდება მისი (ენის) გადაგვარებით“.²⁶

ცნობილია, რომ დავით ჩქოტუა ახალგაზრდობიდანვე დაინტერესებული ყოფილა ქართული და ქართველური ენების განვითარების კანონზომიერებათა საკითხების შესწავლით; მისი

92

საენათმეცნიერო სტატია „ქართული ენის მოყვარულთა სა-
ყურადღებოდ“¹⁴ ზემოთ თქმულის ნათელი დადასტურებაა. აღნიშნული
ნაშრომი გამოქვეყნებულია სამეცნიერო-პედაგოგიურ და სალი-
ტერატურო ჟურნალ „განათლებაში“ 1913 წელს. უნდა ვივარაუდოთ,
რომ ეს სტატია ავტორის დიდი ჩანაფიქრის მცირე ნაწილს
წარმოადგენს. ამგვარი ფიქრის საშუალებას იძლევა ნაშრომის შესავალი
ნაწილი: „ჩვენი აზრით, ამ წერილში მოყვანილი ფაქტები საინტერესო
უნდა იქნეს ქართული ენის მოყვარულთათვის, რის გამო, ეხლა, ორმოცი
წლის შემდეგ, ვხედავ საჭიროდ გამოვაქვეყნო, მით უფრო, რომ
რამდენადაც ვიცი, ამაზე ქართული ენის მეცნიერებისაგან ყურადღება
არ ყოფილა მიქცეული. თუმცა, 1878-79 წლებში მათ შესახებ წერილი
იყო გადმოცემული განსვენებული პროფესორ პეტრიაშვილისაგან ა.
ცაგარელზე“. ფაქტები, რომლებზედაც სამეცნიერო სტატიაში არის
საუბარი, ავტორმა ორ ნაწილად დაყო: პირველი ეხება მეგრული ენის
განსაკუთრებულ თავისებურებებს, რომლებითაც ის აშკარად
ენათესავება ქართულს და მეორე კი „ეკუთვნის ჩინეთის ახლო-მახლო
ქვეყნებში დაკვირვებას“.

დავით ჩქოტუა დიდი გულისყურით ცდილობს გააჩვენოს
მეგრულ-ქართულის ურთიერთობა, მონახოს ის მსგავსება-განსხვავება,
რაც ამ ორ ენას შორის არსებობს როგორც ფონეტიკური,
ისე ლექსიკური და სინტაქსური თვალსაზრისით. ზოგიერთი მოსაზრება,
რომელიც დავით ჩქოტუამ წარმოადგინა, მიუღებელია იმდენად,
რამდენადაც მოკლებულია მეცნიერულ საფუძველს და პირად
დაკვირვებაზეა აგებული. მაგრამ „სტატია, როგორც ეტყობა,
დაწერილია იმ დროს, როდესაც მწვავე კამათი იყო მეგრულ-ქართულის
მიმართების საკითხებზე, როდესაც ზოგიერთი ჩვენებური „მოღვაწე“
ყოველნაირი საშუალებით ცდილობდა ხელი შეეწყოს მეფის მთავრობის

შავრაზმული პოლიტიკისათვის და რაც შეიძლება მეტი განხეთქილება შეეტანა ძმებს შორის, დაესაბუთებინა მეგრული ენის „დამოუკიდებლობა“ და „მეგრელი ერის“ არსებობა“.⁸³

დავით ჩქოტუას ამ ორი ენის საერთო გენეზისის დასამტკიცებლად მოჰყავს მეგრულისათვის დამახასიათებელი ბგერა – ც. „როგორც ვიცი, ყოველი ასო ქართული ალფაბეტისა წმინდად და სრულად გამოხატავს აგრეთვე მეგრული ენის ხმებსაც, გარდა ერთი ხმისა, რომელიც ისმის მეგრულ ენაში: ცუჯი – ყური, ცვალი – ყველი, ოქალეში – საყელო და სხვანი. ეს ხმა (ც) თუმცა ქართულ ალფაბეტში არ არის, მაგრამ ცოტაოდენ რომ დავუკვირდეთ, დავინახავთ, რომ იგივე ქართული ალფაბეტის ხმა ყ არის, ხოლო ძლიერ რბილად და მსუბუქად გამოთქმული“. ავტორის აზრით, ყოველი ქართული სიტყვა, რომელშიც ისმის თანხმოვანი – ყ –, როგორც საძირკველი სიტყვისა, პირდაპირ გადადის მეგრულ სიტყვებში მსუბუქ და სუსტ „ც“- არად. იმერული დიალექტისათვის დამახასიათებელი შორისდობული „იმე“ -ს თავდაპირველ ფორმად დავით ჩქოტუას „ც“-იმე მიაჩნია. ავტორის საყურადღებო დაკვირვებანი ამ დროისათვის ინტერესს არ არის მოკლებული.

მეგრული ენის კვლევისას სტატიის ავტორი გამოყოფს ზუგდიდურ და სენაკურ კილოკავებს: „იმ სოფლებში, რომელნიც მოსაზღვრენი არიან, ერთის მხრით, იმერეთისა და, მეორეს მხრით აფხაზეთისა, მეგრულ ენაზე ჰქონიათ დიდი გავლენა როგორც ქართულ, ასევე აფხაზურ ენებს. ხოლო ამ საზღვრებისაგან მოშორებით რაიონებში (ცენტრში) დაცულია ნამდვილი გამოთქმა მეგრული ენისა, ეს ცენტრი არის... ზუგდიდის მაზრა“.

მკვლევარი გვამცნობს საინტერესო ეტიმოლოგიურ დაკვირვებებს. მაგალითად, მეგრული სიტყვა „ოჭიში“ დაყოფილია ასე: ო- ჭ- იშ

-ი, „კ“ სიტყვის საძირკველია („კ“- მეგრულად ნაწლავს ნიშნავს), „ო“ და „შ“ თავსართ-ბოლოსართი. პრეფიქსი „ო“ მეგრულ ენაზე ნიშნავს ადგილს, სადაც რაიმე არის მოთავსებული, იმყოფება და უდრის ქართულ „სა“ პრეფიქსს. მაგალითად: ო-ცხენე – სა-ცხენე, ო-სიმიინდე – სა-სიმიინდე, და სხვა. ხოლო შ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია. ავტორის აზრით, რადგან „კ“ მეგრულად ნაწლავს ნიშნავს, ო-ჭ-იში იქნება ნაწლავისი, ე. ი. ის, რაზედაც მიმაგრებულია ნაწლავი.

დავით ჩქოტუა ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ მეგრულში ესა თუ ის ცნება მხოლოდ ერთი ბგერით არის გამოხატული. მაგალითად, „გ“ (ტყის ქათამი), „ც“ (მცენარე კოპიტე), „ტ“ (ჭიგარი), „კ“ (რკო), „წ“ (წლევანდელი წელიწადი), „ლ“ (ჩამოვარდნა, ჩამოცვენა), „ძ“ (დევს), „გ“ (გავს ის ვილაცას), „შ“ (სველი) და ა.შ.

დავით ჩქოტუა ნაშრომში ცდილობს მეგრულ-ქართულის მონათესავე ბგერათა კლასიფიკაციას, ვინაიდან მისი დიდი სურვილია მიაკვლიოს ამ ენათა საერთო ძირებს.

საენათმეცნიერო სტატიის მეორე ნაწილი „ჩინეთის ახლო-მახლო ქვეყნებში დაკვირვება“ ერთობ საინტერესოა იმ მხრივ, რომ დავით ჩქოტუა გვაძლევს ლინგვისტურ პარალელებს ქართულ და მონგოლურ-ჩინურ ენებს შორის. გადასახლებაში მკვლევარი ჩიტაში იყო და მანჭურიის საზღვრებთან ყოფნა უხდებოდა. დაკვირვებულ ადამიანს შეუნიშნავს ისეთი ენობრივი დამთხვევები, რომლებიც ბგერითი შედგენილობით ემსგავსებიან ქართულ სიტყვებს.

„ხშირად შეხვდებოდით გაზეთებში 1900 წელს ჩინეთის არეულობის დროს ისეთს მდინარეების საკუთარ სახელებს, რომელნიც ბოლოვდებოდა ხოლმე ხე-ზედ და აზრით ასოციაციის მოგონებით გვაგონებდნენ ჩვენს ქართულ სიტყვას ხევს“.

განსაკითრებული გულისყურით ეკიდება ავტორი იქაურ ტოპონიმებს: „ჩიტა“, „ციციკარი“, „შარაგული“, „ჯიხე“, „ხე“ და ა. შ. მკვლევარი, რასაკვირველია, კატეგორიული არ არის ამ დაკვირვების დროს, მხოლოდ ფაქტებს აღნიშნავს იგი და გამოთქვამს ვარაუდს, „ადვილი შესაძლებელია, რომ ყოველივე ეს იყოს მხოლოდ ხმათა მსგავსება... 1900 წელს ნერჩინსკის ოლქიდან იყო დაბეჭდილი კორესპონდენცია გაზეთ „Амурский край“-ში, სადაც, სხვათა შორის, მოხსენებულია ერთი მდინარე, რომელსაც ეძახიან ინგირს, სწორედ ინგირი და არა ენგური. სწორედ ასე ეძახიან ამ მდინარეს თავის სამშობლოში — სამეგრელოში“.

ნაშრომის ბოლოს ერთი საინტერესო თვალსაზრისია წარმოდგენილი: დავით ჩქოტუას აზრით, ინდური „ჯოჯო“ და ქართული „ჯოჯოხეთი“ რაღაც კავშირში უნდა იყოს. „ჯოჯოხეთი აღნიშნავს ადგილს, ქვეყანას, რომელიც უჭერია რომელსამე ერს, ანუ სხვა რამე არსებას; მაშასადამე, სიტყვა ჯოჯოხეთი ნიშნავს ადგილს, რომელიც სავსე არის საშინელ შხამიან გველებით — ჯოჯოებით“. დავსძენთ, რომ ავტორი სტატიაში უხვად წარმოაჩინს ინდურისა და ქართული ლექსიკის დამთხვევების მაგალითებს. დღეს ასეთი გაბედული აზრის დაბეჭდვა შეიძლება ზედმეტიც იყოს, ფიქრობდა ავტორი, თითქოს ბოდის იხდიდა კიდევ, მაგრამ თავისი კვლევის საგნისათვის თავი არ მიუხეზებია. იგი ხშირად მიმართავდა ახალ სიტყვებს, სამეცნიერო ტერმინოლოგიას, მანამდე უცხოს და უცნობს ჩვენი ენისათვის, მაგრამ იმ დროისათვის მეტად აუცილებელს. მას განსაკუთრებით იზიდავდა ენის განვითარებისა და ენობრივი სიწმინდის საკითხები. ამ გაგებით სტატიაში დავით ჩქოტუას ასეთი შენიშვნა აქვს გაკეთებული: „ამ უკანასკნელ დროში თითქმის ყველა ქართული გაზეთი ხმარობს სიტყვა „ბალკანეთი“. სიტყვა ბალკანი არის სახელი ადგილისა და არა ერისა. ამის გამო 96

არ შეიძლება ითქვას ბალკანეთი, რადგან ეს საწინააღდეგოა ქართული ეტიმოლოგიის კანონისა და ჰგავს იმას, რომ ვინმემ სთქვას: კავკაზეთი“.

როგორც ვნახეთ, არასდროს არ შენელებულა დავით ჩქოტუას ინტერესი მეცნიერულად შეესწავლა ქართული ეროვნული კულტურისა და ქართული ენის მთელი რიგი პრობლემები. მართალია, მკვლევრის საენათმეცნიერო მოსაზრებები არ არის ზოგჯერ მყარი და დადასტურებული, გამართლებული, მაგრამ მის ნაშრომებს თავის დროზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

დავით ჩქოტუას რუსთველოლოგიური ძიებანი

დავით ჩქოტუამ თავისი მოღვაწეობა პუბლიცისტური, ფილოლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილების გამოქვეყნებით დაიწყო. ახალბედა მწერლის სტატიები და წერილები ქართულ პრესაში პირველად 1870 წლისათვის გამოჩნდა. ამ დროიდან მოყოლებული მას კალამი ხელიდან არ გაუგდია და შეძლებისდაგვარად ემსახურებოდა მშობლიურ კულტურას, ენასა და ლიტერატურას.⁶¹

დავით ჩქოტუა დიდად იყო დაინტერესებული ძველი ქართული მწერლობის საკითხებით, განსაკუთრებით კი მისი ყურადღების საგანი გახდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც სერიოზული გამოკვლევა მიუძღვნა. ეს ის ნაშრომია, რომლითაც დავით ჩქოტუამ სამუდამო ადგილი დაიმკვიდრა ქართულ მეცნიერულ აზროვნებაში. გამოკვლევაში „რუსთაველის პოემის გმირები და მათი მსოფლმხედველობა“¹⁵ ჩამოყალიბებულია მწერლის რუსთველოლოგიური შეხედულებები. ჩვენი მიზანია გავაანალიზოთ დავით ჩქოტუას მეცნიერული ნაშრომი, მისი მიზანდასახულობა, ვაჩვენოთ, წარმოვაჩინოთ ის საყურადღებო მოსაზრებანი, რომლებიც მკვლევარმა გამოთქვა რუსთველოლოგიის ამა თუ იმ პრობლემაზე.

როგორც თვითონ გამოკვლევიდან, ისე სხვადასხვა ქართველი მოღვაწეებისადმი გაგზავნილ კერძო წერილებიდანაც ჩანს, რომ ავტორს ამ გენიალურ ქმნილებაზე მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე უმუშავებია. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია — დავით ჩქოტუას ამ მეტად საინტერესო ნაშრომის უმეტესი ნაწილი დაკარგულია.

ჩვენთვის ცნობილია მონოგრაფიის ერთი თავი თუ განაკვეთი, ისიც ავბედითობას გადარჩენილი აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას წყალობით. მკვლევარმა ეს ნაშრომი გამოაქვეყნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში („Д. Чкотуа, Герой поэмы Руставели и их мировоззрение“, труды Тифлисского государственного университета", I, 1937г.) და დაურთო შესავალი წერილი. შემორჩენილია აგრეთვე რამდენიმე კერძო ბარათი, რომლებშიც გამოკვეთილია დავით ჩქოტუას საოცარი ენერჯია, დიდი სიყვარული პოემისადმი, რუსთველოლოგიური პრობლემატიკისა და სამეცნიერო ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნა.

დავით ჩქოტუას მეცნიერული ნაღვაწის შესახებ გ. იმედაშვილმა თავის ცნობილ წიგნში „რუსთველოლოგია“ აღნიშნა: „მიუხედავად იმისა, რომ დავით ჩქოტუას ნაშრომი უფრო მეტად შთაბეჭდილებათა დალაგებას შეიცავს, ვიდრე აღებული საკითხების თანმიმდევრულ მეცნიერულ დამუშავებას, მაინც მასში მრავალი საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული, რომელსაც ანგარიში არ შეიძლება არ გაეწიოს“.³⁰

დავით ჩქოტუას ტრაგიკული ბიოგრაფია პირდაპირ კავშირშია მისი ნარკვევის წარმოშობის ასევე უცნაურ თავგადასავალთან. გადასახლებაში მყოფი მკვლევრის ცხოვრებაში დადგა უმძიმესი და მტანჯველი დღეები.

დავით ჩქოტუამ „ვეფხისტყაოსანი“, სიბრძნისა და გონების ეს უშრეტო წყარო, საკუთარი ტანჯვისა და განსაცდელის თანაზიარად გაიხადა. იგი „ვეფხისტყაოსანს“ კითხულობდა არა მხოლოდ სულიერი წონასწორობის აღსადგენად, არამედ სწავლობდა კიდევ. მსოფლიო მწერლობის სხვა ქმნილებებთან მიმართებაში გამოჰყოფდა ტექსტთან დაკავშირებულ რუსთველოლოგიურ საკითხებს და საინტერესო მოსაზრებებს აყალიბებდა თავის სამუშაო რვეულში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წლების მანძილზე დავით ჩქოტუა სამწერლო და სამეცნიერო მუშაობით იყო გართული და დაასრულა კიდევაც გადასახლებაში წამოწყებული 800 გვერდის მოცულობის სამეცნიერო ნაშრომი „ვეფხისტყაოსანზე“. იგი რუსულ ენაზე იყო შესრულებული. მკვლევარი ელოდა ეპს, როცა მისი მრავალჭირნახული ნაამაგარი სარგებლობას მოუტანდა მის მშობლიურ ხალხს. „წიგნის ბედი მეტწილად ავტორისას წააგავსო“, – გვასწავლის ლათინთა სიბრძნე და მის მაგალითზე კიდევ ერთხელ გაცხადდა ეს ჭეშმარიტება: უცნაური ბედი ერგო დავით ჩქოტუას ნაშრომს.

დავით ჩქოტუას ეს ვრცელი გამოკვლევა 1920 წელს საქართველოს მსახიობთა კავშირისათვის გადაუცია. მისი სურვილი ყოფილა, გამოექვეყნებინა იგი. შალვა დადიანის ცნობის თანახმად, ზემოთხსენებულ საზოგადოებაში განუხილავთ კიდევ ეს მეტად საინტერესო ნაშრომი, მაგრამ დაუდევრობის შედეგად იგი სადღაც გამქრალა და დღემდე დაკარგულად ითვლება. სიმონ ჯანაშიას მართებული დასკვნით, „დასანანია, ჭეშმარიტად დასანანია, რომ ჭერჭერობით არსად ჩანს ეს გამოკვლევა... გადარჩენილი ნაწილი შემთხვევით გადაურჩა დაღუპვას. ჩვენ ის მოვიპოვეთ ავტორის ძმისშვილის ოჯახში... ხელნაწერი უკვე დაშლილი იყო და სინესტისაგან საკმაოდ დაზიანებული. იგი საბეჭდ მანქანაზეა გადაბეჭდილი და ორ თავადაა გაყოფილი, რომელთაგან პირველის სათაურია „პოემა „ვეფხისტყაოსანი“ და მისი გმირები“, ხოლო მეორისა – „ვეფხისტყაოსნის გმირთა მსოფლმხედველობა“. პირველი სათაურის შემდეგ ფრჩხილებში აღნიშნულია: „Лекция читанная на съезде сельских учителей в Зугдиди“. არ ჩანს, ეს შენიშვნა ორივე თავს შეეხება, თუ მხოლოდ პირველს: ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ ხელნაწერი არ წარმოადგენს სტენოგრაფიულ ჩანაწერს ლექციისას, არამედ არის

100

ამ უკანასკნელის კონსპექტი. ციტატები პოემიდან ჩაწერილია ხელით, საფიქრებელია თვით ავტორის მიერ... ასე გვარწმუნებს ხელნაწერის ავტორიც, რომ ლექცია წაკითხული იყო თებერვლის რევოლუციის შემდეგ“.⁶⁶

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1917 წელს ზუგდიდში გახსნილა სოფლის მასწავლებელთა მოსამზადებელი პედაგოგიური კურსები. ადგილობრივი წერა-კითხვის გამავრცელებელი განყოფილებისა და მასწავლებელთა ზუგდიდის კავშირის თაოსნობით ამ კურსებზე მოუწვევიათ ზუგდიდის მაზრისა და სამურზაყანოს სახალხო სკოლის მასწავლებლები. აქავე საპატიო სტუმარი სწვევიათ თბილისიდან, ცნობილი საზოგადო მოღვაწე ლუარსაბ ბოცვაძე. საინტერესო მოხსენებები წაუკეთხავთ ლექტორებს. განსაკუთრებული ყურადღება მიქცევია ქართული ენის შესწავლის საკითხებს, არითმე-ტიკული ტერმინების შემუშავება—დამკვიდრების პრობლემებს და ა. შ. გარდა ლ. ბოცვაძისა ამ მშვენიერ საკრებულოს ამშვენებდნენ ცნობილი პედაგოგები, საზოგადო მოღვაწეები ე. ვ. მიქელაძე, ტ. შამალაძე, ვ. ბერიძე, ტრ. ხუნდაძე და დავით ზურაბის ძე ჩქოტუა. ამ უკანასკნელს მეტად საინტერესო ლექცია წაუკითხავს „ვეფხისტყაოსანზე“ . ლ. ბოცვაძე სინანულით გვაცნობებს: „... ჩემს ჩამოსვლამდე მოეწყოთ ზოგიერთ საგნებში ლექციების კითხვაც. მაგალითად, დ. ზ. ჩქოტუას წაეკითხა ლექცია „ვეფხისტყაოსნიდან“ და როგორც ამბობენ საინტერესო ყოფილა“.²³

საქართველოს ამ ძირძველ მხარეში ამგვარი ხასიათის ლექციების წაკითხვა საშური საქმე იყო სკოლის მასწავლებელთათვის. რუსთველისა და მისი გენიალური ქმნილების გაცნობა აუცილებელი იყო ქვეყნის ეროვნული თვითშეგნების აღორძინებისათვის: „განსაკუთრებით იმ კუთხეში, სადაც ვოსტორგოვ-აშორტიასა და მსგავსთა მათთა თარეში,

ცარიზმის ლოცვა-კურთხევით ბოლომდე გრძელდებოდა“.⁵⁴

ცარიზმის აგენტების მიერ გატიალებული მაშინდელი აფხაზეთის ჰორიზონტზე დავით ჩქოტუა ამ ლექციებში მოჩანს როგორც შესანიშნავი ქართველი ინტელიგენტი, თავისი ქვეყნის კულტურის იშვიათი მცოდნე, საქართველოს აღორძინების დიდი მოტრფიალე.

ქართველი ხალხის ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეები დიდად აფასებდნენ ხალხის ცხოვრების შესწავლას, ხალხთან დაკავშირებას და მისი მისწრაფებების უშუალო გაცნობას. დავითი დარწმუნებული იყო, რომ ხალხის სამსახური შეუძლებელია მისი ცხოვრების უშუალო და ღრმა შესწავლის გარეშე. ამიტომაც აქტიურად იყო ჩაბმული ამ საშვილიშვილო საქმეში. დავით ჩქოტუას აზრით, ქვეყნის კეთილდღეობისათვის ზრუნვა მოითხოვს მასებთან დაახლოებას, მათი ჭირ-ვარამის გაცნობას, ხალხის მისწრაფებებისა და ძალების უშუალო გათვალისწინებას.

როგორც უკვე აღინიშნა, დავით ჩქოტუას თავისი გამოკვლევა „ვეფხისტყაოსანზე“ გამოსაქვეყნებლად გამოუგზავნია თბილისში საქართველოს მსახიობთა კავშირისათვის. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო ცნობას გვაწვდის მკვლევარი ო.გ. ჭურღულია: „ამჟამად შალვა დადიანის არქივში (იგი ამას წინათ გადაეცა საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმს) აღმოჩნდა დავით ჩქოტუას ერთი წერილი მიწერილი შ. დადიანისადმი, 1920 წლის 20 ნოემბრის თარიღით რუსულ ენაზე:

„თითქმის ორი თვეა, რაც მე ანდრონიკოვს (რეჟისორი კონსტანტინე (კოწო) ანდრონიკაშვილი (1887-1954) იმ დროს იყო მსახიობთა კავშირის თავმჯდომარე), გავუგზავნე ჩემი ნაწერი (12 თაბახი), რომელიც მას, როგორც ჩანს მოეწონა და მწერს, რომ ის საინტერესოა და მასზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ჟურნალის გვერდები ღიაა მის-

თვის, მაგრამ აცხადებს, ეს ჩემი პირადი აზრიაო; ჩემს გარდა არის მთელი კოლეგია, რომლის წევრებზე გადაცემულია სტატია წასაკითხავად და იმედოვნებს, რომ ამხანაგები მას მხარს დაუჭერენ. ამასთან მთხოვს გავუზავნო დანარჩენი. მაგრამ გაგრძელება არ შეიძლება გაიგზავნოს მანამ, სანამ არ გავიგებ გავზავნილი სტატიის ბედს და არ მივიღებ მას უკანვე. ვინაიდან მე ის მჭირდება მთლიანი ნაშრომის შინაგანი ერთიანობის შესანარჩუნებლად, რომელსაც კიდევ დასჭირდება შესწორება, ასე ვთქვათ გაშალაშინება, ამიტომ გთხოვთ, ანდრონიკოვისაგან გაიგოთ სტატიის ბედის შესახებ და საჩქაროდ შემატყობინოთ მე. ეს აუცილებელია ჩემი შემდგომი მუშაობისათვის“.⁸

ეს წერილი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ დავით ჩქოტუას დაწერილი ჰქონია ვრცელი მეცნიერული გამოკვლევა გენიალური პროექტის შემოქმედებისა და თვით ნაწარმოების პრობლემური საკითხების გარშემო. მთლიანი ნაშრომი არსად ჩანს, და საექვოა, რომ იგი გადარჩენილი იყოს. შესაძლებლობა მქონდა, ვწვეოდი კონსტანტინე ანდრონიკაშვილის ოჯახს. ქალბატონი მზია ანდრონიკაშვილი (რეჟისორის ქალიშვილი) დამეხმარა ყოველნაირად. ჩემთან ერთად ეძებდა მამის არქივში დავით ჩქოტუას ნაშრომს, ან რაიმე ხელშესახებ ცნობას მისი ავტორის შესახებ, მაგრამ ამოდ. არც მსახიობთა კავშირის არქივში ძიებამ მოგვცა შედეგი. დასანანი, მაგრამ ეტყობა, დავით ჩქოტუას ნაშრომის ეს ნაწილი სამუდამოდ დაკარგულია.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ:

არსებობს წერილობითი თუ ზეპირი სანდო ცნობები იმის შესახებ, რომ დავით ჩქოტუას სხვადასხვა დროს შეუქმნია 800-გვერდიანი რუსთველოლოგიური ნაშრომი (რუსულ ენაზე). მისი შემოკლებული რედაქცია ავტორს წაუკითხავს 1917 წლის ზაფხულში მასწავლებელ-

თა კურსებზე ზუგდიდში. 800-გვერდიანი ნაშრომის რემინგტონის მანქანაზე გადაბეჭდილი 12 თაბახი (300 გვერდი) გაუგზავნია კონსტანტინე ანდრონიკაშვილის სახელზე თბილისში 1920 წლის შემოდგომაზე. დავით ჩქოტუას შემოქმედების ძიებით დაინტერესებულმა მკვლევრებმა არაერთგზის სცადეს ამ ნაშრომის აღმოჩენა, მაგრამ, სამწუხაროდ, უშედეგოდ.

განსახილველი ნაშრომი, როგორც უკვე აღინიშნა, ორი თავისაგან შედგება. აკადემიკოსმა ს. ჯანაშიამ ნაშრომის ეს ნაწილები გააერთიანა ერთი სათაურის ქვეშ – რუსთველის პოემის გმირები და მათი მსოფლმხედველობა (ნაშრომი რუსულ ენაზე არის გამოქვეყნებული, ქართული თარგმანი შესრულებულია ჩემ მიერ და პირველად იბეჭდება მთლიანად ამ წიგნში). იგი პირველი მკვლევართაგანია, რომელმაც დიდი ყურადღება დაუთმო დავით ჩქოტუას რუსთველოლოგიურ ნააზრევს.

შემდგომ ამავე ნაშრომის შესახებ წერდნენ: გ. იმედაშვილი, სოლ. ცაიშვილი, ალ. კალანდაძე, ო. ჭურღულია, ი. მეგრელიძე, ს. ცაიშვილი და სხვები.

დავით ჩქოტუა ბავშვობიდანვე ეზიარა რუსთაველის პოემას. ცნობილია, რომ დავითის პირველი მასწავლებელი დედა იყო (დადიანის ასული), რომელმაც თავის შვილს ქართული ეროვნული კულტურის საუნჯე შეაყვარა: „თავიდან ჩემი მშობლების სახლში ვისმენდი მის კითხვას, მოგვიანებით, თავად დავიწყე მისი გაცნობა, გადაკითხვა და ზეპირად დასწავლა; კვლავ და კვლავ ვუბრუნდები კითხვას და ასე დღევანდელამდე, თითქმის სამოცდაათი წლის განმავლობაში; მიუხედავად ამისა, შთაბეჭდილებათა სიცხოველე, ემოციური ძალა კითხვის ხანგრძლივობისაგან არა მარტო არ მცირდება, არამედ, საპირისპიროდ, თითქოს ყოველი წაკითხვის შემდეგ ძლიერი ხდება.

ვამბობ რა ამას, ვიმედოვნებ, გამოვხატავ ყოველი წიგნიერი ქართველის (ცხადია, ჩემი თაობის ადამიანების) გრძნობას და, ვფიქრობ, მთელი ქართველი ხალხისაც, რომელიც განიცდის იმასვე აი, უკვე შვიდასი წლის განმავლობაში“.⁶⁶

რუსთველის პოემა დავით ჩქოტუას ზეპირად შეუსწავლია. ამას ადასტურებს თვითონ და ის გარემოებაც, რომ რემინგტონზე გადაბეჭდილ ტექსტში ციტატები დავითის ხელითვე არის ჩაწერილი და ზოგან სიზუსტეს მოკლებულია. მართებულად ასკვნის სიმონ ჯანაშია, რომ დავით ჩქოტუა ამ ციტატებს ზეპირად წერდაო.

მისაღებია აკადემიკოს ს. ჯანაშიას დებულება იმის შესახებ, რომ დავით ჩქოტუას აზრები „ვეფხისტყაოსანზე“ მეტნაკლებად საერთო უნდა ყოფილიყო მთელი იმ წრისათვის, რომელთა შორისაც იგი იღვწოდა (ამის ნათელი დადასტურებაა ციტირებული ადგილი მისი შრომიდან — მ.ჯ.). მისი უახლოესი მეგობარი გიორგი შარვაშიძეც ზედმიწევნით იცნობდა რუსთველის პოემას და მანაც ზეპირად იცოდა ტექსტი. უნდა აღვნიშნოთ, რომ გიორგი შარვაშიძის გავლენა უეჭველია ნიჭიერ მკვლევარზე.

გ. შარვაშიძე და დ. ჩქოტუა ორივენი საქართველოს ერთი კუთხიდან, აფხაზეთიდან იყვნენ და ერთსა და იმავე საზოგადოებრივ-კულტურულ წრეს ეკუთვნოდნენ თავისი აღზრდითა და მსოფლმხედველობით. ორივენი აღზრდილნი იყვნენ ძველი ქართული ფეოდალური კულტურის ნიადაგზე და საუცხოოდ იცნობდნენ მას. ს. ჯანაშიას აზრით, „დავით ჩქოტუას შეხედულებები პოემის შესახებ ნაწილობრივ ნაყოფია მისი ახალი თვალსაზრისით განხილვისა. ამიტომ მის შეხედულებებს პირველყოვლისა, კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ისინი წარმოადგენენ საყურადღებო მასალას იმის გამოსარკვევად, თუ როგორ იყო გარდატეხილი ეს უდიდესი ლიტერატურ-

რული ძეგლი აღნიშნული სოციალური წრის ცნობიერების პრიზმაში“⁶⁶

„მე, როგორც ძეგლი ინტელიგენტური თაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი, – წერს დავით ჩქოტუა, – მსურს გაგიზიაროთ ის ფიქრები, გრძნობები და განცდები, რომელიც შემომპრჩა ამ დიად ნაწარმოებთან ჩემი მრავალწლიანი ურთიერთობით“, – გვპირდება იგი და ამის ნათელი დადასტურებაა მთელი გამოკვლევა.

დავით ჩქოტუას პოემის ავტორის ვინაობისა და ეპოქის შესწავლის ძირითად და უმთავრეს წყაროდ თვით „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი მიაჩნია. ივარაუდება, რომ მკვლევრის ნაშრომში იქნებოდა ტრადიციული, ზეპირსიტყვიერებითი ბიოგრაფია რუსთაველისა. გადარჩენილ ნაწილში ეს არ ჩანს.

აქ მხოლოდ ისაა ნათქვამი, „რომ ჩვენ დღემდე არა გვაქვს უდავო ისტორიული მონაცემები მწერლის პიროვნებისა და მისი ნაწარმოების შექმნის დროის შესახებ, რის გამოც დღემდე „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის ერთადერთ წყაროს თვით პოემაში დაძებნილი ფაქტები წარმოადგენს“.

დავით ჩქოტუას მოღვაწეობის დროს შესაძლებელი იყო ასეთი აზრის გამოთქმა, რადგან დადგენილი არ იყო პოემის შეთხზვის დრო: ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა სუფევდა. იმ მრავალფეროვან პრობლემათა შორის, რომლებიც შოთა რუსთაველისა და მისი „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო დააყენეს მე-19 საუკუნის მოღვაწეებმა, არის ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები. ამ საკითხთაგან ყურადღებას იქცევს მათი თვალსაზრისი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის შესახებ. ისინი ტრადიციულ თვალსაზრისს იზიარებენ და რუსთაველი მიაჩნიათ თამარის დროის მოღვაწედ, მეფე-ქალის კარისკაცად, მესხეთის სოფელ რუსთავიდან წარმოშობილად (ილია, აკაკი, გოგებაშვილი), რამდენადაც იმ დროისათვის მესხეთი

იყო დიდი კულტურულ-ისტორიული ცენტრი. ილია წერდა: „რუსთავის დაბა, რომელსაც თავის სამშობლოდ იხსენიებს რუსთაველი სამცხე-საათაბაგოში“.²⁷ ი. გოგებაშვილი მიუთითებდა, რომ შოთა სწავლობდა ტბეთში, გრემში, იყალთოში, ხოლო, აკაკის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი მესხეთიდან ყოფილა, განსწავლულია ათენში და გარდაიცვალა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, ოღონდ უცნობია თვითონ წავიდა იქ თუ მეფე-ქალმა გადაასახლაო. ამ შემთხვევაში აკაკი უცილობლად იმეორებს ხალხში რუსთაველის შესახებ გავრცელებულ ცნობებს. უფრო გვიან წერილში „სიზმარი“ დიდი მგოსანი მეტად საინტერესო გარემოებას უსვამს ხაზს, კერძოდ, ჯვრის მონასტრის კედელზე გამოხატული პორტრეტი შოთას ავტოპორტრეტიო.

ილია და აკაკი ეხებიან „ვეფხისტყაოსნის“ თარიღის საკითხს. ილიას, ტრადიციული შეხედულების თანახმად, „ვეფხისტყაოსანი“ თამარის დროს დაწერილად მიაჩნია. იგი „აჩრდილის“ პირველ ვარიანტში მიუთითებდა, რომ თამარის სილიადემ მისცა რუსთველს ის მშვენიერი აღმადგენა, რამაც შექმნა „ვეფხისტყაოსანი“. მისი აზრით, პოემა რუსთველს თამარისავე მეფობის პერიოდში დაუწერია მე-12 საუკუნის გასულსა და მე-13 საუკუნის დასაწყისში.

აკაკის აზრით, რუსთველი „ვეფხისტყაოსანში“ თავის თანამედროვე ეპოქას, საქართველოს მე-12 საუკუნეს გამოხატავს და ამავე საუკუნეში თამარის მეფობის ხანაშია დაწერილი.

უფრო მოგვიანებით, ს. კაკაბაძის მოხსენების გამო გამოქვეყნებულ წერილში აკაკიმ სხვა თვალსაზრისი განავითარა. საჭმე ისაა, რომ ს. კაკაბაძემ თავის ლექციებში (მოადწია თუ არა შავთელის „აბღულ-მესიამ“ ჩვენს დრომდის, თამარ მეფე და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში, როდის ცხოვრობდა შოთა რუსთველი) რუსთველი გვიანი ხანის მოღვაწედ გამოაცხადა, („თემი“, 1913, №117),

რამაც უკმაყოფილება გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში. კამათში ჩაება აკაკი. იგი მიესალმა ახალგაზრდა მკვლევარს და განაცხადა, არაფერი არ არის იმაში ტრაგიკული, რომ თამარი და რუსთველი სხვადასხვა დროს ეკუთვნოდნენ. თამარი ოქროს ხანამ წარმოშვა, ასევე რუსთველიც. და თუ მათ სხვასხვა დროში მოღვაწეობას დაამტკიცებს ვინმე, საწინააღმდეგო არაფერი უნდა გვქონდესო. „მე თვითონ არ ვარ დარწმუნებული, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თამარის დროს არის შეთხზული!.. ის უნდა იყოს დაწერილი არა ბედნიერების დროს, არამედ როცა უბედურებაში ჩავარდა საქართველო და ქაჯეთში დატყვევებულ ნესტან-დარეჯანის გამოსხნა ტარიელის, ფრიდონის და ავთანდილის შეერთების ძალით პროგრამა და წინასწარმეტყველება მომავლის!.. და არა მისთანა კაცისაგან დაწერილი, რომელიც თამარ მეფის ბედნიერ დროს მოსწრებია სიყმაწვილეში და რუსუდანის შავ ღლებსაც სიბერეში. მე მგონია, რომ რუსთველმა ნებით თუ უნებლიეთ იერუსალიმში ჯვრის მონასტერში დამწყვდეულმა სიბერის დროს დასწერა ეს საარაკო თხზულება“.²⁷ წერილიდან აშკარად იგრძნობა, რომ აკაკიამ მოსაზრებას გვთავაზობს როგორც ჰიპოთეზას: იგი წერს: „აი, ამ გვარი იტყვი იმას გვიმტკიცებენ, რომ ჯერ კიდევ არა გვაქვს გამოკვლეული: როდის დაიწერა „ვეფხისტყაოსანი“.“²⁷

ამგვარად, მე-19 საუკუნის მოღვაწეთაგან „ვეფხისტყაოსნის“ თარიღის საკითხს გამოკვეთილად ილია და აკაკი ეხებიან, და თუმცა იზიარებენ ტრადიციულ შეხედულებას პოემის თამარის დროს შექმნის თაობაზე, მაგრამ ჩანს, რომ ეს მოსაზრება სწორი არ არის. აკაკიმ შემთხვევისთანავე დაუშვა სხვაგვარი ვარაუდი და იმაზედაც მიუთითა, რომ ჯერ არ არის გამოკვეთილი „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის დრო.

ამ მსჯელობის ფონზე მართებულად მიგვაჩნია დ. ჩქოტუას დასკვნა,
108

რომ პოემის შესახებ ისტორიული პირდაპირი ცნობები არა გვაქვს და „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის ერთადერთი წყარო (უფრო სწორად – უძირითადესი) თვით ეს პოემაა. უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ დ. ჩქოტუა ზედმიწევნით იცნობდა ამ საკითხებთან დაკავშირებულ სამეცნიერო ლიტერატურას.

დავით ჩქოტუამ ერთ-ერთ კერძო წერილში (ბარათის აღრესატია მისი უახლოესი მეგობარი ვასილ პეტრიაშვილი) ჩამოაყალიბა საინტერესო მოსაზრება, კერძოდ, „რუსთველის ქმნილების სრული გაგებისათვის აუცილებელია ქართველი ხალხის ცხოვრების როგორც ისტორიული, ისე ყოფითი ვითარების ყოველმხრივი შესწავლა მთელი მისი არსებობის მანძილზე“.²⁶

ამასთან დაკავშირებით დ. ჩქოტუა თავის ნაშრომში ეხება „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარობის საკითხს ქართველ ერში. პოემის მნიშვნელობაზე საერთო აზრის დადგენა, ავტორის აზრით, არცთუ ისე ძნელი საქმეა. ნაწარმოები თითქმის ყოველმა წიგნიერმა ქართველმა იცის. მისი თქმით, რუსთველი ის პიროვნებაა, რომელმაც „მრავალი საუკუნის წინ საღვთო ცეცხლი დაანთო თავისი ხალხის სულში და იგი კაცობრიობის მაღალ სულიერ ინტერესებს აზიარა,— იხსნა სულიერი და ეროვნული გადაგვარებისაგან“...

დ. ჩქოტუას თანამედროვენი, მე-19 საუკუნის ქართველი მოღვაწენი, მაღალ შეფასებას აძლევენ შოთა რუსთველსა და მის „ვეფხისტყაოსანს“: ისინი რუსთველს თვლიან უდიდეს შემოქმედად, მხატვრული სიტყვის უბადლო ოსტატად. მათი აზრით, რუსთველი არის „სამართლიანად სახელოვანი“, „თავმოსაწონებელი“ (ილია), „სასიქადულო“ (ილია, გოგებაშვილი), „აღიღებულები და უკვდავი“ (აკაკი), „წარჩინებული, დაუვიწყარი, თავისი ღრობის განათლებული კაცი“ (გწერეთელი), „ერის ღვიძლი შვილი“, „ხალხის შვილი და ხალხიდან გამოსული, ხალხურად

მთქმელი (ვაჟა-ფშაველა) ...²⁷

მე-19 საუკუნის მოღვაწეთა აზრით, რუსთველი პირველი პოეტია, ხოლო „პოეტის სიტყვა ის ხელთუქმნელი საგანძურია, საცა ერი ჰპოებს ხოლმე თავისს ნააზრსა და ნაგრძნობს, თვის უკეთეს სულსწრაფვას, თვისს იმედს და სასოებას, თვისს თავმოსაწონებელს გულთა ძვრას, თვისს ჭირსა და ლხინსა, თვისის ენის და მეტყველების სიკეკლუცე მშვენიერებას და ერთობ თვისს სულიერ საუნჯეს, იმ საუნჯეს, რომლითაც ერი ერობს, ადამიანი ადამიანობს.“³⁴ (ილია). ქართველმა ხალხმა კი თავისი უკეთესი სწრაფვანი, იმედი და სასოება, თავისი ჭირი და ლხინი „ვეფხისტყაოსანში“ ჩააქოვა, რომლის სიტყვები „ბევრგან გაჭირვებაში გულს მოგფხანენ, ჭირს გაგიადვილებენ, გულსა და გონებას გაგიწვრთნიან და სიკეთისათვის წაგახალისებენ“³⁴(ილია). პოემა არის „ერის სიბრძნის ჭურჭელი, საიდანაც მოხუცი და ახალგაზრდა ყველა თანასწორად იღებდა თავის მეცნიერებას“³⁴ (გ. წერეთელი). იგია „გამომნატველი ქართველთა ერის გონების, ძალისა და შემოქმედებისა, გენიოსობისა“ (ი.გოგებაშვილი), „შესანიშნავი საბუთი ერის დიდებული წარსულისა, დიდებული და საკვირველი განძი, რომელმაც ენა და ეროვნება შემოგვინახა“³⁴ (აკაკი). შოთა რუსთაველი იგივე საქართველოა და საქართველო იგივე „ვეფხისტყაოსანი“.³⁴ ყოველივე ამან კი განაპირობა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ გახდა ქართველებისათვის ჭირისა და ლხინის აუცილებელი თანამგზავრი.

პრინციპულია და მისასალმებელი დავით ჩქოტუას აზრიავტორის პოპულარობასა და ნაწარმოების სიდიადეზე. იგი ამბობს: „თუ კი პრომეთე იმისათვის, რომ ადამიანებს ღვთიური ცეცხლის ხმარება ასწავლა უკვდავთა რიცხვში მოხვდა, მაშინ რუსთველი, რომელიც ბნელით მოცული საუკუნეების მანძილზე ამ ღვთიურ ცეცხლს ქართველი

ხალხის გულში ჩაუქრობლად ინახავდა, იმსახურებს უდიდეს მადლიერების გრძნობას; და ქართველი ხალხიც რუსთველს, დამსახურებისამებრ, მიუზღავს, როცა იგი შეიცნობს თავის თავს და თავის ისტორიას უფრო უკეთ, ვიდრე დღეს აქვს შეცნობილი“.²⁶

მკვლევარს პოემის მრავალჯერ გადაკითხვა და გაცნობიერება წარმტაც მომხიბვლელობას და მაღალ ესთეტიკურ-მხატვრულ სიამოვნებას ანიჭებს. ამასთანავე პოემასთან ყოველი მიახლება მომხიბვლელობას კი არ ანელებს, პირიქით, უფრო და უფრო აძლიერებს. ის „არ იფარგლება ერთი რომელიმე ეპოქით, არამედ გრძელდება მრავალი საუკუნის და მთელი ათასი თაობის მანძილზე“.²⁶

დავით ჩქოტუა საგანგებოდ ეხება „ვეფხისტყაოსნის“ ეროვნულ მნიშვნელობას.

„შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ ეროვნული მნიშვნელობა მთელი სიგრძე-სიგანით ჰქონდათ გააზრებული წინა საუკუნის ქართველ მოაზროვნეებს. ვაჟა-ფშაველას აზრით, პოემა „არის ღრმა ეროვნული ნაწარმოები“; ნაწარმოებს „მთელმა ერმა შიგ ჩაატანა თვისი ცრემლი და თავისი სიხარული, შიგ ჩაახვია თვისი სული და გული, თვისნი უკეთესნი ფიქრნი, ზრახვანი, გრძნობანი“ (ილია). აკაკი წერეთლის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ გარეშე დიდებული ოჯახი დიდებულათ არ იწოდებოდა, რაც უნდა სიმდიდრით სავსე ყოფილიყო; ის ქორწილი საქებრათ არ ჩაითვლებოდა და ის მზითვი მზითვად არ იხსენიებოდა, თუ რომ მზითვის სიაში პირველათ „ვეფხისტყაოსანი“ არ იქნებოდა მოხსენიებული“. ი. გოგებაშვილიც მიუთითებდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მზითვის აუცილებელ ნაწილს წარმოადგენდა“.^{27,34}

თანამედროვეთა აზრის გათვალისწინებით, დ. ჩქოტუა რუსთველს უპირველეს პოეტად, ღრმად ეროვნულ შემოქმედად მიიჩნევდა არა მარტო ქართველთა შორის, არამედ მსოფლიო მწერლობაშიც. მისაღებია დ. ჩქოტუას შეხედულება, რომლის თანახმადაც „ფეოდალიზმის უხეში ძალმომრეობისა და ზნეობის დაცემის დროსაც კი, გარეშე მტრების თავდასხმების ცეცხლისა და მახვილის მძვინვარების ეპოქაში, ქართველი ხალხის გულში არ ქრება მხოლოდ ორი ჩირაღდანი – „სარწმუნოება და მწერლობა“.²⁶ ამიტომ იცავდა ხალხი სულის ამ მარგალიტს, ამით ამკობდა თავის ასულთა ქორწინებას, პირველ ადგილს უთმობდა შვილთაშვილთათვის ჩატოვებულ ანდერძებში, იგი ითვლებოდა ოჯახის უკეთეს სამკაულად და მემკვიდრეთა სიამაყედ. დავით ჩქოტუა გამოკვლევაში და პირად მიმოწერაშიც არაერთხელ იმეორებს აზრს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ დაიცვეს და მომავალ თაობებს შემოუნახეს არა ცალკეულმა სწავლულებმა და ფილოსოფოსებმა, არამედ მთელმა ხალხმა“. თუ როგორი სიძნელებით დაიცვეს იგი, აქამდ დნელი მისაწვდომია ჩვენი გონებისათვის. „ვეფხისტყაოსანი“ დაიცვა მთელმა ხალხმა, რომელიც უფრთხილდებოდა მას, ისევე, როგორც თავის სიცოცხლეს და თავის სარწმუნოებას. ასე იქნა დაცული ქართველი ხალხის გულში დიადი სარწმუნოება და რუსთველის შემოქმედებითი გენიის დიდებული ნაყოფი – „ვეფხისტყაოსანი“. რამდენადაც მეტს ვფიქრობ ასეთ დამთხვევაზე, მით უფრო ღრმა მნიშვნელობა ენიჭება მას ჩვენთვის. მართლაც და დაცვა დიადი რელიგიისა, რომელმაც ღრმად გაიდგა ფესვები ისეთი სათნო და მშვიდობიანი ხალხის გულში, როგორც ძველი ქართველები იყვნენ, კიდევ გასაგებია, მაგრამ სახარებასთან ერთად „ვეფხისტყაოსნის“ დაცვა უწმინდესი საქმეა“.²⁶ აღსანიშნავია, რომ ისტორიკოსი ივ. ჯავახიშვილი საგანგებოდ უსვამს ხაზს, რომ რუსთვე-

ლის პოემა ხალხმა დაიცვა და ეს ამ ხალხის სალი აზროვნებისა და მაღალი მხატვრული გემოვნების მაჩვენებელიაო.

დავით ჩქოტუას რუსთველოლოგიური ნარკვევის შესწავლას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ იგი კარგად იცნობდა რუსთველს და მის უკვდავ პოემას. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს მკვლევარი თვლიდა უდიდეს შემოქმედად, მხატვრული სიტყვის შეუღარებელ ოსტატად. ქართველი ხალხის იდეურ მეთაურად. სათანადოდ ესმოდა რა პოემის კულტურულ-ისტორიული და მხატვრულ-ლიტერატურული ღირებულება, საგანგებოდ წარმოაჩენდა მის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას. ამასთანავე დ. ჩქოტუა სრულიად გარკვევით ჩერდება აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ საერთაშორისო მნიშვნელობაზე. მკვლევარ იოსებ მეგრელიძის აზრით, „დ. ჩქოტუა ერთ-ერთი პირველი მსჯელობს, შეგნებულად და არა შემთხვევით, „ვეფხისტყაოსნის“ ეროვნულსა და ინტერნაციონალურ მნიშვნელობაზე“.³⁵

იმ დროს, როცა დ. ჩქოტუა „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული საკითხებისადმი ავლენს მეტად ორიგინალურ მიდგომას, რუსთაველის მხატვრულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის მეცნიერულ-კრიტიკული შესწავლა ჯერ კიდევ არ იყო სათანადო დონეზე. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ სწორედ ამ დროს ავლენს დ. ჩქოტუა „ვეფხისტყაოსნის“ საფუძვლიან ცოდნას და დაუფარავად ამჟღავნებს უსაზღვრო სიყვარულს გენიოსი შემოქმედისადმი. მკვლევარი პოემას მიიჩნევს ქართული სინამდვილის მხატვრულ გარდასახვად და ერის სულიერ ზრახვათა ამსახველად. იგი საგანგებოდ წარმოაჩენს რუსთაველის სიბრძნეს და მისი შემოქმედებითი აზრის ძალმოსილებას, „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ სიღრმესა და მხატვრულ ელვარებას. მიუსაფარი მკვლევარი თავის საბრძოლო მოწოდებად რუსთველის ზოგადსაკაცობრიო იდეალებს მიიჩნევს და ქართველთა ეროვნულ-

კულტურული მოწიფულობის საბუთად აღიარებს „ვეფხისტყაოსანს“. თავისი რუსთველოლოგიური ნააზრევით დ. ჩქოტუა ხელს უწყობდა ქართველთა შორის ეროვნული გრძნობის განმტკიცებას. ქართველი პოეტი თავისი ჰუმანური იდეებით, ადამიანისადმი უსაზღვრო სიყვარულითა და ამქვეყნიური, მიწიერი ცხოვრების ერთგულებით ავითარებს და ამკვიდრებს მარადიულ, საყოველთაო, საკაცობრიო ჭეშმარიტებას. რუსთველის გენიის ეს საყოველთაო-საკაცობრიო ხასიათი ხდის მას პირველ უდიდეს პოეტად არა მარტო ჩვენი ხალხისათვის, არამედ ყოველი ადამიანისათვის, რა ეროვნებასაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, — ასკვნის მკვლევარი.

მისი სიტყვებით, „ვეფხისტყაოსანს“, როგორც მაღალმხატვრულ ნაწარმოებს, კითხულობენ და წაიკითხავენ ყველანი, რომლებსაც კი მასზე ხელი მიუწვდებათ და რომლებსაც მოსწონთ იგი, რომ პოემის მოქმედი გმირები არ არიან პესიმისტები და არც ქრისტიანული ასკეტიზმით უსაქმურდებიან, პირიქით, — რუსთაველი მოითხოვს ბრძოლას. ამით რუსთაველი არის ადამიანის ნუგეშისმცემელი მწუხარებაში და მბრძანებელი, რადგან იგი ნაწარმოებში ამკვიდრებს, როგორც უკვე აღინიშნა, საყოველთაო საკაცობრიო ჭეშმარიტებას.“²⁴

ავტორი ამავე ბარათში (ვასილ პეტრიაშვილისადმი კერძო წერილი — მ.ჯ.) ეხება „ვეფხისტყაოსნის“ უცხოელ კრიტიკოსს — ბარონ ზუტნერს (სუტნერი): „მისი ნაშრომი იმსახურებს ყოველ ქართველის მაღლობას თვისი მიუდგომელი, მიუკერძოებელი ცდით — გააცნოს მეცნიერთა სამყაროს რუსთველის ქმნილება“. მაგრამ ზუტნერს გამორჩა ჩვენი პოეტის გენიის ზემოაღნიშნული ზოგადსაკაცობრიო ხასიათი, რაც რუსთველს ხდის მსოფლიო მნიშვნელობის შემოქმედად.

„რუსთველის გენიის ეს საყოველთაო-საკაცობრიო ხასიათი, რომელიც გამორჩა რეცენზენტს, შესაძლოა, თარგმანის ნაკლებ გამო-

სახველობის გამო“...²⁶დ. ჩქოტუას ეპისტოლური მემკვიდრეობიდან ჩანს, რომ მას ხელთ ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები, საჭირო სამეცნიერო ლიტერატურა. კატორღაში მყოფ მეგობარს ვასილ პეტრიაშვილი ამარაგებდა ოდესიდან თუ საქართველოდან. როგორც ჩანს, ავტორს ხელთ ჰქონია იონა მეუნარგიას მიერ ფრანგულ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ ბარონ ზუტნერის წერილების სერია (წერილები ფრანგულ ენაზე იყო დაბეჭდილი – მ.ჭ.). სამეცნიერო-კრიტიკული წერილები სათაურით – უცხოელის აზრი „ვეფხისტყაოსანზე“ (პოემის გადათარგმნის გამო ფრანციცულ ენაზე (პირველად გაზეთ „კავკაზში“) 1884წ. № 265, 267, 268) დაიბეჭდა რუსულ ენაზე, ხოლო იმავე დროს ქართულად ჟურნალ „ივერიაში“ (1884წ., №XI, XIII) და გაზეთ „დროებაში“ (1884წ., №258, 259, 261, 262, 264, 265). ბარონი ზუტნერი „ვეფხისტყაოსანს“ თვლიდა თავისი დროის ვითარებითა და თავისი ერის თვისებებით გამსჭვალულ პოემად სადაურიც არ უნდა ყოფილიყო მისი შინაარსი – სპარსული თუ არაბული. „ვეფხისტყაოსანი“ ყოველთვის იყო და იქნება ქართული ნაწარმოები. „ვეფხისტყაოსანი“ ბარონ ზუტნერს მაღალ მხატვრულ ნაწარმოებად მიაჩნდა და თვლიდა, რომ ქართველებმა უნდა იამაყონ რუსთაველის პოემით, „რადგანაც მათი ეროვნული პოემა არ არის მიბაძვა არც ჰომეროსისა, არც ვირგილიუსისა, იგი პირველიდამ უკანასკნელ კაბადონამდე წმინდა რუსთველისებურია და მხოლოდ რუსთველისებური“.⁴⁸

ამ სიტყვებს არ შეიძლება აღფრთოვანებაში არ მოეყვანა მიუსაფარი მკვლევარი. ამიტომაც საგანგებოდ ახსენებს ბარონ ზუტნერს თავის წერილში.

„ვეფხისტყაოსნის“ ეროვნულ-საკაცობრიო მნიშვნელობას არერთგზის უბრუნდება დავით ჩქოტუა თავის გამოკვლევაში თუ

პირად წერილებში. თვალშისაცემია ის გარემოება, რომ მკვლევარი რუსთველის სილიადეს (სხვა მრავალ ფაქტორებთან ერთად) პოემის ენაში ხედავს: „ენა ეს არის ხალხის სულის ხედვისა და სმენის ორგანო. მის შერყვნას და აღრევას ისეთივე შედეგი მოსდევს, როგორც გრძობათა ორგანოების მოშლას სხეულისათვის. ენის შერყვნასთან ერთად წყდება სულიერი კაპიტალის დაგროვება ხალხში, იფიტება მისი ძველი მარაგი, მაშასადამე, ქვეითდება ხალხის გონებრივი და ზნეობრივი დონე და ბოლოსდაბოლოს თავდება მისი გადაგვარებით. ქართველი ხალხისათვის რუსთაველი დიდია, უწინარეს ყოვლისა მისი ენის სილიადით, მეტყველების სილამაზით და სიძლიერით, შეუღარებელი უნარით გამონატოს როგორც სულის უფაქიზესი და უნაზესი მოძრაობა, ასევე მრისხანე და ქარიშხლიანი ალტკინებანი. ამაშია მისი უკვდავება, რადგან ამით იგი ასახიერებს მთელი ხალხის გენიალურ მადლმოსილებას“.²⁶

დავით ჩქოტუას აზრით, რუსთველის ენა არის მდიდარი და სამაგალითო. მკვლევარს ხიბლავს რუსთველის ენის სიმტკიცე, გამძლეობა, ლექსიკური მრავალფეროვნება. ამასთან მკაცრად გვაფრთხილებს, რომ რუსთველის ენას განსაკუთრებული მოფერება, მოვლა სჭირდება. ერთი შეხედვით, ისე ჩანს, თითქოს დავით ჩქოტუა მხოლოდ რუსთველის ენაში ხედავს მის სილიადეს, მაგრამ ეს ასე არ არის. იგი „ვეფხისტყაოსნის“ იღვას და მხატვრულ ღირებულებასაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

დავით ჩქოტუას დაკვირვებულ მზერას არ გამოჰპარვია ისეთი რთული საკითხი რუსთველოლოგიაში, როგორცაა სილამაზის კულტიონ რუსთველისეული გაგების ანალიზი. მკვლევარი ამ შემთხვევაში თითქოსდა აგრძელებს კიდევ ილიას ანდერძივით დადებულ სიტყვას, რომ: „ვისაც რუსთაველზე უნდა წერა, იმან, უპირველეს ყოვლისა,

უნდა შეითვისოს იგი არა კეკელით მხოლოდ, არამედ გულითაც, უნდა იგრძნოს მისი გმირების სულისკვეთება, ჩასწვდეს ქართველის გულის სიღმეს, იგრძნოს მისი მაჯისცემა“. ³⁴ დ. ჩქოტუას აზრით, რუსთველის პოემის ზემოქმედება ყოველი ერის ადამიანზე შედგება იმ დიდი ფაქტისა, რომ პოეტის ესთეტიკის უმთავრესი საგანია უბადლო მშვენიერება. სილამაზის, მშვენიერების საშუალებით ახდენს რუსთველი მკითხველზე ზემოქმედებას, ხიბლავს მას და შეჰყავს თავის ესთეტიკურ სამყაროში. საბოლოოდ სიკვდილი ყველას ასწორებს, მაგრამ მანამ უნდა იყოს ადამიანი გულადი, სულიერად სპეტაკი, კაცთმოყვარე, ადამიანისადმი ერთგული და „არა ლაჩარი და მშიშარა, ზნედაცემული და სულმდაბალი“. ამ პრობლემაზე დაკვირვებითაც დ. ჩქოტუა ერთი პირველთაგანია რუსთველის მკვლევართა შორის.

მიუხედავად იმისა, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისათვის რუსთველოლოგიაში ჩატარებული იყო გარკვეული მუშაობა, დასმული და გაშუქებული იყო არა ერთი საკითხი, დავით ჩქოტუა მაინც უკმაყოფილოა იმ მუშაობით და იმ ყურადღებით, რასაც ქართველი ხალხი იჩენდა დიდი პოეტისადმი. იგი წერდა: „... უკანასკნელ დრომდე განათლებული ქართველი... ყოველივე იმის მიმართ, რაც რუსთველის ნაწარმოებს ეხება, იმყოფება ბალღის მდგომარეობაში, რომელსაც ჯერ კიდევ არ შესწევს უნარი ჩამოაყალიბოს თავისი გრძნობები და შთაბეჭდილებანი“ ... მკვლევარის აზრით, გაუშუქებელია პოეტის ეპოქის თავისებურება, კულტურული და სოციალური სამყარო, ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება, საზოგადოებრივი ცხოვრება...

საყვედური შეიძლება მთლად გამართლებული არ იყოს, რადგან გასული საუკუნის ინტელოგენციის ყურადღების საგანი გახდა ეროვნული თვითშეგნების მდგომარეობა ქართველ ხალხში. სამოციანელებმა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით მიზნად დაისახეს ეროვნული გრძნობის

გაღვივება, ამ თვალსაზრისით მათი ყურადღება მიპყრობილ იქნა ტრადიციული კულტურისადმი, განსაკუთრებით კი „ვეფხისტყაოსნისადმი“. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ჩვენმა სასიქადულო მოღვაწეებმა იგი გამოიყენეს თანანმემამულეთა შორის ეროვნული იდეების საქადაგებლად. „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ხასიათებში ეროვნული და ამასთან ზოგადსაკაცობრიო ნიშნები წამოსწიეს წინა პლანზე, თავიანთ სამეცნიერო და პუბლიცისტურ წერილებში განიხილეს პოემის ძირეული პრობლემები, პატრიოტულ მიზანდასახულობას დაუქვემდებარეს პოემის ანალიზი, წარმოაჩინეს „ვეფხისტყაოსნის“ დედააზრი.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ შეუძლებელია, არ განაცვიფროს დავით ჩქოტუას სწორმა პოზიციამ და პოემის ძირითადი საკითხების კვლევის პერსპექტიულმა მიმართულებამ ის, ვინც რუსთველოლოგიის ისტორიას ოდნავ მაინც იცნობს. მართალია, დავით ჩქოტუას პირადი მიმოწერები მეგობრებთან, სადაც საგანგებოდ არის „ვეფხისტყაოსანზე“ საუბარი, ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს და უფრო საკუთარ დაკვირვებებზე დამყარებულ შეხედულებებს გადმოგვცემს და არა „პოემის ძირითადი პრობლემების თანმიმდევრულ მეცნიერულ დამუშავებას“ (როგორც ამას აღნიშნავენ მეცნიერები: გ. იმედაშვილი, ი. მეგრელიძე, ა. კალანდაძე, ო. ჭურღულია და სხვები), მაგრამ, ჩემი აზრით, გაუმართლებელია საკითხის ასე დაყენება. პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ნაშრომი ფრაგმენტული ხასიათისაა და სრული წარმოდგენის შექმნა ჭირს. შემდგომ: დავით ჩქოტუას რუსთველოლოგიური ნააზრევი (პირველი ფრაგმენტის სახელწოდებაა „ვეფხისტყაოსანი“ და მისი გმირები, მეორისა – პოემის გმირთა მსოფლმხედველობა), ზოგიერთი პრობლემის გამოკლებით, წარმოადგენს ღრმა ცოდნაზე დამყარებულ უაღრესად საინტერესო მეცნიერულ დაკვირვებას, რაც ამ დროისათვის (არ უნდა დავივიწყოთ

ისიც, თუ რა პირობებში და როგორი სიმწრით იქმნებოდა შრომა) გაბედული, წინ გადადგმული ნაბიჯიც იყო და ახალი სიტყვაც პოემის კვლევაში.

მე-19 საუკუნის საზოგადო მოღვაწეთა ნაფიქრალი „ვეფხისტყაოსნის“ უძირითადესი საკითხების კვლევაში, შეძლებისდაგვარად, ზემოთ წარმოვაჩინეთ. მაგრამ აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ, როცა ჩვენი საუკუნის პირველ ათეულ წლებში, რასაკვირველია, თითო-ოროლა ნაშრომის გამოკლებით, ზოგი მკვლევარი გატაცებული იყო „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტური წყაროს აშკარად უსაგნო ძიებით, დავით ჩქოტუა ღრმად და საფუძვლიანად იკვლევს პოემის მშობლიურ ფესვებს და ქართული მითოლოგიის, ფოლკლორული მასალის გამომწვეურებით საყურადღებო მეცნიერულ დასკვნებს გვთვაზობს. კერძოდ, „ვეფხისტყაოსანი“ აშკარად ამჟღავნებს მემკვიდრეობით კავშირებს როგორც ძველი ქართული მწერლობის ძეგლებთან (მაგალითად „ამირანდარეჯანიანი“ და სხვა), ისე ქართულ ხალხურ ეპოსთან, ოღონდ იგი აღიჭმება როგორც სრულიად ახალი საფეხური ფილოსოფიურ თუ ესთეტიკურ ღირებულებათა წარმოჩენის დონით“.⁵⁷ მკვლევარს მოჰყავს უხვი მასალა ლიტერატურული ძეგლებიდან და განსაკუთრებით ქართული მითოლოგიიდან თუ ფოლკლორიდან (პოემის დევები, ჭაჭები, ცალკეული ფოლკლორული მოტივების ანარეკლი და ა. შ.), მაგრამ ამასთან ემიჯნება, და სრულიად სამართლიანადაც, იმ მეცნიერთ (მაგ. ალ. ხახანაშვილს და სხვ.), რომელთაც გამარტივებულად ჰქონდათ წარმოდგენილი ეს მიმართება და მზამზარეული მიგრაციის ტყვეობაში იმყოფებოდნენ. ნაშრომში დასმული ეს საკითხი ახალი და ყურადღაღები იყო, თან დღესაც იმსახურებს შეუწინაღებელ ყურადღებას.

დავით ჩქოტუა „ვეფხისტყაოსანს“ სწორად მიიჩნევს ძველი

ქართული კულტურის ბუნებრივ გაგრძელებად, მის გვირგვინად. ამიტომაც, ბუნებრივია, საკითხის კვლევას იწყებს იქიდან, თუ რა ურთიერთობაა პოემასა და „ამირანდარეჯანიანსა“, განსაკუთრებით „ვისრამიანს“ შორის. მკვლევარი გვაძლევს დაკვირვებულ პარალელებს. ჯერ საგანგებოდ მსჯელობს ნაწარმოების ფაბულაზე: „როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსანს“ ფაბულად აქვს ორი არაჩვეულებრივი ბუნების ადამიანთა მგზნებარე სიყვარული და მათი უმძლავრესი სულიერი განცდები ამ სიყვარულის განხორციელების გზაზე. ადამიანური ცხოვრების ორი მუდმივი თანამგზავრის (სიყვარულისა და ტანჯვის) მხატვრული განსახიერების განუმეორებლობა აქცევს ამ ნაწარმოებს უმაღლესი ესთეტიკური ტკობის უკვდავ და ამუწურავ წყაროდ, მაგრამ, ჩვენის აზრით, არა მხოლოდ ეს მხარე (ღირსება) ხდის პოემას ღიადად და უკვდავად, არამედ იდეაც, მის საფუძვლად დადებული, ფაბულა კი ემსახურება ავტორს, როგორც საშუალება, იარაღი, ამ იდეის განსახორციელებლად. ორივე ეს მხარე, ესთეტიკური და იდეური, ვეფხისტყაოსანს მემკვიდრეობით კავშირში აყენებს, როგორც მის წინამძველ ლიტერატურულ ნაწარმოებებთან, ისე ხალხურ ეპოსთან, რომლის მსოფლგაგებამ შემდგომი ფილოსოფიური მოტივირება მიიღო პოემაში“, — ასკვნის ავტორი.

დავით ჩქოტუა ერთმანეთს უდარებს „ვისრამიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულას: ტარიელის მიერ ნესტან-დარეჯანისა და რამინის მიერ ვისის დანახვის დროს ორივე ვაჟკაცისათვის თავბრუდახვევა და სხვა. კვანძი თითქმის ერთნაირად იკვრება ორივე ნაწარმოებში.

ავტორის აზრით, პოემის მთავარი გმირი ტარიელი ადამიანური მოდგმის უმაღლესი ტიპია, რომელიც გამოირჩევა ჩვეულებრივ

ადამიანთა მასისაგან, როგორც ვეფხვი და ლომი, რომელთანაც მას უყვარს შედარება თავისა და თავისი შეყვარებულისა, გამოირჩევა თავისი ბიოლოგიური ჯგუფისაგან. ტარიელი თავისი ფიზიკური სრულყოფილებით — სილამაზითა და ძალმოსილებით მკითხველზე ზედამიანის შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ იგი არაა ხალხური ეპოსის გმირი, სტიქიური ძალის განმასახიერებელი, როგორადაც ქართულ ლიტერატურაში ჩვენი წელთაღრიცხვის XI საუკუნის მწერლის — მოსე ხონელის ნაწარმოების გმირი — ამირან დარეჯანისძეა წარმოდგენილი. დ. ჩქოტუა ამ ორ გმირს ერთმანეთისაგან განასხვავებს არა ფიზიკურად, არამედ აქტივობის ფსიქოლოგიური მოტივებითაც. იმ დროს, როცა აქტივობის წამყვან მოტივად ამირან დარეჯანისძისათვის წარმოდგენილია სახელის მოხვეჭა, გმირული საქციელი და თავისი ნების სხვისთვის თავზე მოხვეჭვა, ტარიელს აქტივობის იმპულსად ემსახურება მხოლოდ ნესტან-დარეჯანისადმი მხურვალე სიყვარული, მის არსებას მთლიანად დაუფლებული, რომლის სისრულეში მოყვანა მისთვის ყოფნა-არყოფნის საკითხად უცეულა. ე. ი. „ამირანდარეჯანინი“ არ იცნობს მიჯნურობის, სიყვარულის იმ გრძნობას, რომლის განსახიერებაც „ვეფხისტყაოსანში“ ტარიელი (და სხვა გმირებიც) წარმოადგენს. ნაწარმოებისათვის უცნობია სიყვარული, როგორც წინასწარმოცემული პირობა სავაჟაკო კმედებისათვის. დ.ჩქოტუას აზრით, „ამირან დარეჯანისძისათვის ამგვარი მოტივი სრულიად არ არსებობს; მეფესთან სამსახურად მიწვეული, იგი სხვადასხვა რაინდთან ორთაბრძოლაში აღწევს წარმატებებს, რომ თავის ხელისუფალთა მემკვიდრეებს საცოლოები მოუპოვოს; ხოლო ისეთი წარმოუდგენელი გმირობის ჩადენის შემდგომ, როგორიცაა დევებზე გამარჯვება, ჯაღოსნური ტიპის წინააღმდეგობების გადალახვა და მისთანანი, თვითონ ქორწინდება, მაგრამ არა იმიტომ, რომ უყვარს არჩეული, არამედ

გამარჯვებულის უფლებით. ამასთან ირკვევა, რომ მის მიერ ძლეული ყველა წინააღმდეგობა იყო სხვა არაფერი, თუ არა გამოცდა, რომელსაც მეფის ასულები პირობად უდებდნენ თავიანთ ხელის მოხონელებს“.

საინტერესოა დ. ჩქოტუას მიერ დანახული მსგავსება „ვეფხისტყაოსანსა“ და „ამირანდარეჯანიანს“ შორის, როცა პერსონაჟი ქალები მიჯნურთ დავალებებს აძლევენ, გამოცდას უმზადებენ. ტარიელსა და ავთანდილს საგმირო დავალებებს აძლევდნენ უკვე შეყვარებული ნესტანი და თინათინი. ნესტანს საჭიროდ მიაჩნდა უკვე გამყვანებული სიყვარულის დადასტურება ტარიელის საგმირო საქმიანობით. ნესტანი მწვავედ განიცდიდა დავალების სიძნელეს და მიჯნურის განშორების სიძიმეს. ავთანდილის მხრიდანაც თინათინის სავაჟაკო დავალებას უნდა განემტკიცებინა და გამეყარებინა სიყვარულის ძალა. მაშინ, როდესაც „ამირანდარეჯანიანის“ პერსონაჟებს არ ამოძრავებთ სიყვარულის შინაგანი განცდა, ან უბრალო მგრძობელობა და აქედან გამომდინარე, სულიერი მღელვარება. „ეს მეტად თავისებური და დამაფიქრებელი მიდგომაა პოემის ერთ-ერთი საკვანძო საკითხისადმი. აქ სიყვარულის რუსთველისებური გაგების ამოხსნის ცდაა მოცემული და არცთუ უსაფუძვლოდ. მკვლევარის მსჯელობა მყარ ლოგიკურ საფუძველს ეყრდნობა და იქეთკენ არის მიმართული, რომ გვაჩვენოს ის თავისებურება, რაც დამახასიათებელია მიჯნურობისათვის“.⁶³

დ. ჩქოტუა, როგორც ზემოთ აღინიშნა, „ვეფხისტყაოსანს“ ადარებს „ვისრამიანსაც“. მათ შორის ავლებს პარალელებს. „ვისრამიანის“ დედანი სპარსულ ენაზე ჩამოყალიბდა მე-11 საუკუნის შუა წლებში. მისი ავტორია ფარ ხუდინ გორგანელი. „ვისრამიანი“ ქართულად ითარგმნა არა უგვიანეს მე-12 საუკუნის მეორე

ნახევრისა. ნაწარმოები სიყვარულის ქებათა-ქებაა. იგი სიყვარულს აღიარებს ადამიანის დამამშვენებელ მოვლენად და მისი არსებობა გამამართლებელ გარემოებად. „ვისრამიანში“ ასახულია ეროტიკული, ხორციელი სიყვარულის გრძნობა. ვისისა და რამინის პირველივე შეხვედრა მათი სქესობრივი კავშირით დასრულდა, ნესტანისა და ტარიელის პირველი შეყრა კი დიდებული უსიტყვო სცენით დაგვირგვინდა. მკვლევარი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ტარიელის, როგორც მიჯნური გმირის სრულყოფილებას და ასკვნის: „პოემის რომანტიკული ხასიათი — ტარიელს აახლოებს რამინთან, ირანულიდან ნათარგმნი „ვისრამიანის“ გმირთან, როგორც განცდათა სიღრმით, ისე მისი გამოვლენით“. ცნობილია, რომ ნესტანის ანაზღად თვალის მოკვრამაც კი ტარიელი დაბნოდა. იგი სამი დღე იმყოფებოდა სიკვდილ-სიცოცხლეს შორის. ზუსტად იგივე ემართება „ვისრა-მიანის“ გმირს — რამინს, „რომელიც განსაკუთრებულ ვითარებაში ვისის სახის დანახვით ცხენიდან გადმოვარდა და დიდხანს იწვა გონებაშიხდილი, რის მიზეზსაც გარშემო მყოფნი ვერ მიმხვდარიყვნენ“.

დ. ჩქოტუას აზრით, შედარების ეს დეტალები შემთხვევით არ ჰგვანან ერთმანეთს, რაც იმის დამამტკიცებელია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ქართული ლიტერატურის განვითარების გზაზე განკერძოებით არ დგას, როგორც რაღაც ეგზოტიკური, არამედ მემკვიდრეობით კავშირშია ყველა იმ თხზულებებთან, რომლებიც თვით პოემის ეპილოგშია მითითებული.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დ. ჩქოტუას აზრით, ტარიელი არის უმაღლესი ტიპი ადამიანის მოდგმისა თავისი სილამაზითა და ფიზიკური ძალით. იგი ზეადამიანურ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე, მაგრამ ტარიელი არ არის ებოსთა ისეთივე სტიქიური ძალა, როგორებიც არიან, მაგალითად, მოსე ხონელის ამირან დარეჯანისძე, „ვისრამიანის“ რამინი, შავთელის დავითის ვაჟაკი¹²³

და მაღალი სახელმწიფოებრივი აზროვნება, ანდა განუმეორებელი ფიზიკური და სულიერი სრულყოფილება თამარ მეფისა. მათაც ჰგავს ტარიელი და ყველა ამათგანაც განსხვავდება მით, რომ იგი სულიერი სიდიადით, ჰუმანურობით, სახის მხატვრული სრულყოფით ზოგადსაკაცობრიო იდეალამდე ამალელებული.

დ. ჩქოტუა რუსთველის კავშირს ხედავს არა მხოლოდ მწერლობასთან, არამედ ქართულ ხალხურ ეპოსთანაც: „ვეფხისტყაოსნის“ უკვდავი ავტორი თავისი გმირების სახით მაღალ-მხატვრულად განახორციელებს ყველა ამ იდეალის სინთეზს, ამავე დროს, თავად გვევლინება ქადაგად ცხოვრების ახალი იდეალისა და არსებობის აზრის ახალი ფილოსოფიური იდეისა, რაც მსოფლგაგების შემდგომი განვითარების გამოხატულებაა და მის პოემას ხალხურ ეპოსთან აკავშირებს“.

ნაშრომის ამ ღირსებას იმთავითვე მიაქცია ყურადღება გ. იმედაშვილმა. იგი წერს: „მიუხედავად დეფექტებისა, ჩქოტუას მსჯელობაში არ შეიძლება არ დავინახოთ ჯანსაღი აზრის ელემენტებიც, თუნდაც ქაჩეთის სამეფოს ქართული ეპოსიდან გამოყვანის ცდაში, მეგობრობისა, სიყვარულისა და სილამაზის იდეების ქართულ სინამდვილესთან დაკავშირებაში, „ვეფხისტყაოსნის“ მთავარ გმირთა პროტოტიპების მონახვაში და განსაკუთრებით მათი იდეალების შედარებით მისაღებ დახასიათებაში“.³⁰

გ. იმედაშვილის ეს თვალსზრისი დ. ჩქოტუას ნარკვევებზე მთლიანად გაიზიარეს ცნობილმა მეცნიერებმა, სოლ. ცაიშვილიმა, ო. ჭურღულიამ, ი. მეგერელიძემ და სხვებმა. თუმცა სამართლიანად მიუთითებდა ს. ჯანაშია, რომ პოზიტიური შეხედულებების გარდა, „დ. ჩქოტუას აქვს ისეთი მოსაზრებები, რომლებიც მიუღებელია როგორც მეთოდოლოგიურად, ისე ფაქტიურადაც“.⁶⁶ ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

ახლა განვიხილავთ იმ მისაღებ და უთუოდ მისასალმებელ მიგნებებს, რომლებითაც უხვია დ. ჩქოტუას შრომა.

დ. ჩქოტუა სვამს კითხვას: რა აკავშირებს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ ხალხურ ეპოსთან?

უდავოა ის ფაქტი, რომ რუსთაველმა „ამირანდარეჯანიანის“, „ვისრამიანის“ და „აბდულმესიანის“ ავტორების იდეალები წარმოსახა და ფილოსოფიურად გააზრებული მაღალი მხატვრული სახეები მოგვცა, რომლებიც, ამავე დროს, დაკავშირებულნი არიან ზეპირსიტყვიერებითი ეპოსის სახეებთანაც. როგორც უკვე ვნახეთ, დ. ჩქოტუას შეხედულებით, ხალხურ ეპოსსა და „ვეფხისტყაოსანს“ შორის ფაბულურ მსგავსებასთან გვაქვს საქმე. მისი აზრით, ისე, როგორც ხალხური ეპოსის ქმნილებებში, რუსთაველის ნაწარმოებშიც ორი საწყისი, ცხოვრების ორი ძალა არის ერთმანეთთან დაპირისპირებული — კეთილი და ბოროტი, „ქართულ ხალხურ ეპოსს განვითარების მთელ სიგრძეზე გასდევს სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა ადამიანსა და კანიბალურ არსებებს შორის, რომლებიც დევების სახელითაა ცნობილი და ბოროტ საწყისს განასახიერებენ. გამანადგურებელი ბრძოლა მათ შორის მიმდინარეობს, როგორც მზისქვეშეთში, ისე მიწისქვეშეთში. ეს მითიური არსებანი ცით გადასულნი ელვასა, ქუხილსა და ღრუბლებში, ახდენენ სასტიკ თავდასხმებს ადამიანთა დასახლებებზე და მთელი თემების განადგურებით იტაცებენ მეფის მშვენიერ ასულებს და მიჰყავთ ისინი თავიანთ მიუდგომელ თავშესაფარში, — ორ მთას შორის, რომელიც იღება და იკეტება, ორ ზღვას შუა მდებარე კუნძულებზე და მიწისქვეშა სამყაროში“. ამ ბრძოლაში ხალხურ ეპოსში მხსნელებად, ე. ი. ბოროტ ძალებთან გამმარჩევლებად, გამოდიან მზეკაბუკები, უშიშარი მეომრები, ისინი ებრძვიან დევებს, გოლიათებს, გველეშაპებს და კეთილმოქმედი ძალები გამარჩევლები გამოდიან. დ. ჩქოტუას აზრით, ანალოგიური

მოვლენები შეიმჩნევა „ვეფხისტყაოსანშიც“, მაგრამ ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის, ერთის მხრივ, ამირან დარეჯანისძისა და ტარიელის, ხოლო მეორეს მხრივ, წარმოშობით ირანული მითოლოგიის დევებსა და ქართული ზეპირსიტყვიერების ქაჯებს შორის, რუსთაველთან სრულდება არა ფანტასტიკური რაშების საშუალებით ზეცასა და ქვესკნელში, არამედ – დედამიწაზე.

ქართული ხალხური ფანტაზიით გადაგვარების გზაზე დამდგარი დევების მემკვიდრეები ქაჯები არიან და ამათი ბოროტების მატარებელი როკაპი ან როპაპი ქალი. მართალია, „დევები გაწყდნენ, – აღნიშნავს დ. ჩქოტუა, – მაგრამ მათ მიერ კაცთა ცხოვრებაში შეტანილი ჭირი ჩაენერგა ადამიანის სულს, ადამიანმა, – მათ შორის პირველი ქალი იყო, – თანდათან აითვისა დევთა ჯადოსნური ხელოვნება და საბოლოოდ ბოროტების იარაღად იქცა. ხალხს გამოეყო მთელი კლასი ადამიანებისა, წარმომადგენლები ჯადოქართა (მზაკვრობისა ან მეგრულად მაზაკვალობის), რომელთა მეთაური კავკასიონის ერთი მაღალი მწვერვალის რკინის ბოძზე ჯაჭვით მიბმული როკაპი ან როპაპი, ექვს გარეშეა – დევების მოდგმისაა, როგორც საოცრად მაზინჯი ადამიანისმაგვარი იერთ, ისე კანიბალური მიდრეკილებებით“.

მზაკვარი – ქართული ზღაპრული სახეა, მეგრულად – მაზაკვალი. იგი არის ავი სულების საქმის ხელისშემწყობი კუდიანი ქალი. ქალის ბოროტება, დ. ჩქოტუას დაკვირვებით, ემსახურება ტაბაკონის მთაზე მცხოვრებ როკაპს – „მისი თაყვანისმცემლები მთარმევენ ადამიანის გულს. წელიწადში ერთხელ, კერძოდ, 14 აგვისტოს ღამეს, როკაპის მოთაყვანენი მიემართებიან ტაბაკონში მდიდარი ძღვენით – იმით, რაც ძვირფასია ადამიანისათვის, მათი სიცოცხლისა და მცირეწლოვან ბავშვთა ჯანმრთელობის ჩათვლით“. როკაპი წინასწარ ავალებს ქალებს, (ქაჯებს, კუდიანებს) ამგვარ მზაკვრულ საქმეებს. ისინიც 14-15 აგვისტოს

126

შორის ღამეს შემზარავი ღრეობის ვაკხანალიაში ატარებენ და განთიადისას გაუჩინარდებიან. კონკრეტულად ასე წარმოსახავს ხალხური ფანტაზია დევთა მემკვიდრეებს. „პოემა „ვეფხისტყაოსანში“ ასეთებად უნდა მივიჩნიოთ ქაჯთა მთელი სამეფო, რომლებიც ისე სრულყოფილად ფლობენ დევთა ჯადოქრობას, რომ სურვილისამებრ შეუძლიათ გამოიწვიონ ძლიერი ჭარი და ზღვის ღელვა, დაბინდონ დღის სინათლე და დააბრმავონ მოწინააღმდეგე, – ასკენის მკვლევარი. როგორც ვხედავთ, „ვეფხისტყაოსანში“ კეთილის განსახიერებად პოემის დადებითი პერსონაჟები გვევლინებიან, ხოლო ბოროტისა – ქაჯეთის ციხე და იქ დასახლებული ავი სულელები. პოემის ძირითადი აზრიც კეთილის გამარჯვებაა ბოროტებაზე: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

უდავოა, რომ „ამირანდარეჯანიანსა“ და „ვეფხისტყაოსანს“ მოეპოვება ზოგიერთი მსგავსი სიუჟეტური მოტივი. ზემოთ მოყვანილი ელემენტების გარდა არის სხვაც, რაც ამ ეპოსთან „ვეფხისტყაოსანის“ ურთიერთობაზე მიუთითებს. გატაცებულ მზეთუნახავებს ხალხურ ეპოსში იხსნის ხოლმე თეთრ რაშზე ამხედრებული მეფის ძე (ბატონიშვილი). „ვეფხისტყაოსანში“ კი ტარიელი ათავისუფლებს ქაჯეთის ციხეში დატყვევებულ სატროფს – ნესტან-დარეჯანს. ამ მხრივ, აღნიშნავს დ. ჩქოტუა, ავთანდილისა და ტარიელის მეგობრობა მოგვაგონებს ხალხური ეპოსის დეტალებს. რომ არა ტარიელისა და ავთანდილის, ფრიდონის უანგარო მეგობრობა, ნესტანის ქაჯეთის ტყვეობიდან დახსნა შეუძლებელი იქნებოდა.

ცნობილია, რომ ხალხურ ნაწარმოებებში (ბევრგან) კვანძის შეკვრის საშუალებას წარმოადგენს მოულოდნელი ეპიზოდების არსებობა სიუჟეტურ ქსოვილში. მაგალითად, ტარიელის პოენის ეპიზოდი ჰგავს „ამირანდარეჯანიანის“ ასეთსავე ეპიზოდს. ზოგიერთ შემთხვევაში,

ხალხური ეპოსის გმირი ნადირობისას ხვდება უცნაურ ფრინველს, ოქროარქიან ქურციკს, რომლის ცოცხლად ჩაგდებას ცდილობს. მისდევს გმირი ცხოველს, ან ფრინველს, მაგრამ ისინი უჩინარდებიან. მეფისწული კი აღმოჩნდება დევთა ციხესთან, სადაც ტყვეობაში იტანჯება მშვენიერი ასული. დევს ჰკლავს და შემდეგ ათავისუფლებს მეფის ასულს გმირი, სახლში დაბრუნებისთანავე ქორწინდება მასზე. ბრძოლა ყოველთვის კეთილად მთავრდება.

დ. ჩქორტუა „ვეფხისტყაოსანშიც“ ანალოგიურ სურათს ხედავს; როსტევეან არაბთა მეფე და მისი სპასპეტი – ავთანდილი ნადირობისას წააწყდებიან საიღუმლოებით მოცულ ვეფხისტყაოსან რაინდს. უცნობს შავი მერანი ეყენა მარგალიტასხმული აკაზმულობით, თავად გარემოს შეგრძნების უნარი დაჰფანტვოდა, ღრმა მელანქოლიით შეპყრობილი, იჭდა წყლის პირას და ცრემლის ნიაღვარი სდიოდა.

როცა უცნობი ჭაბუკი ამ მდგომარეობიდან გარშემო შემოჯარული მეფის ამალის ხმაურმა გამოიყვანა, ჭაბუკი წამოდგა, ცხენს მოახტა, მათრახის მძლავრი მოქნევით დალახვრა მისი შეპყრობის მოსურნენი და ყველას თვალწინ ისე გაჰქრა, როგორც მიწაში დანთქმული დემონი.

ეს უჩვეულო შეხვედრა მეფეს დიდი მწუხარების საბაბად ექცა...

„ამირანდარეჯანიანის“ მიხედვით, აბესალომ ინდოთ მეფე დააქმუნა და „დაღრიჯა“ კოშკის კედელზე გამოხატული პირების ამბის უცნობობამ. მან შიკრიკები დაგზავნა ქვეყნის ყველა კუთხეში საქმის გამოსაძიებლად. ბოლოს და ბოლოს იპოვეს კედელზე გამოხატული მთავარი ჭაბუკის ამირან დარეჯანის-ძის ყმა სავარსამისძე, რომელმაც მოუთხრო აბესალომს ამირანისა და მისი მოყმეების საფალავნო თავგადასავალი. დ. ჩქორტუას აზრით, თითქმის მთელი ეს სცენა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მიერ აღებულია „ამირანდარეჯანიანიდან“, მაგრამ გამოთქმულია რუსთაველის ბრწყინვალე ენით.

მკვლევარი ფიქრობს, რომ ტარიელისა და ავთანდილის დაახლოება და მათი შემდგომი მოქმედებაც ხალხური ეპოსის გმირთა ურთიერთობის უეჭველ ნიშნებს ატარებს.

„ვეფხისტყაოსანს“ სხვა მსგავსებაც აქვს „ამირანდარეჯანთან“ და ხალხური ეპოსის ძეგლებთანო, — გვარწმუნებს დ. ჩქოტუა.

როგორც ქართული ეპოსის ზემოთხსენებული დ. ჩქოტუასეული დახასიათებიდან ჩანს, ადამიანი ებრძვის ბოროტი საწყისის წარმომადგენლებს — დევებს, მაგრამ ამ ბრძოლაში ადამიანი, როგორც მატარებელი ღვთაებრივი სიმართლისა — სიკეთისა, არა ჩართული როგორც უბრალო მოკვდავი, ადამიანი ბრბოთაგანი, არამედ აღბეჭდილია ღვთაებრივი ნიჭით, ზეცის რჩეულია, ერთი სიტყვით, გმირია ამ სიტყვის მაღალი გაგებით. „ვეფხისტყაოსნის“ გმირების ოპტიმიზმში, გამარჯვების უეჭველ რწმენასა და მათ მიმართებაში ღმერთთან, დ. ჩქოტუა ხედავს ერთგვარ ფატალიზმს, მაგრამ ეს გმირები უმოქმედონი არ არიან, იბრძვიან და იმარჯვებენ, არიან ხალხური ეპოსის გმირების ფიზიკური და სულიერი სილამაზის მატარებელნი, მათი შემდგომი სრულყოფა: „ვეფხისტყაოსნის“ გმირი მამაკაცები და ქალები, ყველა ისინი ამაღლებული, ზეადამიანთან მიახლოებული კაცთა მოდგმის წარმომადგენლებია, ფიზიკურ სრულყოფილებასა და სულიერ სილამაზეს მიღწეული ქმნილებანი და, როგორც ასეთნი, წარმოადგენენ ხალხური ეპოსის გმირთა ევოლუციის შემდგომ საფეხურს. ამ შემთხვევაში ტარიელი, უეჭველია, ინარჩუნებს ეპიკურ გმირთა მითიურობის ზოგიერთ თვისებას და, თავისი ფიზიკური ძალის ცალმხრივი განვითარებით, წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს, შემაკავშირებელ რგოლს იმ ეპიკურსა და სავსებით რეალურ ადამიანურ გმირებს შორის, რომელთაც მიუღწევიათ ადამიანური მოდგმის ფიზიკური და სულიერი ძალების ისეთი მაღალი ჰარმონიული

განვითარებისათვის, როგორც დაც პოემაში გვესახებიან ავთანდილი და ნაწილობრივ თინათინი“, – ასკვნის მკვლევარი. როგორც ვხედავთ, დ. ჩქოტუას ტარიელი მიაჩნია (ავთანდილისაგან განსხვავებით) ზეადამიანის მხოლოდ ცალმხრივი ფიზიკური განვითარების მქონე მხატვრულ სახედ და აქაც იგი რუსთაველზე მითოლოგიის გავლენას ხედავს. პოემაში ეპიკურ გმირებს ენაცვლებიან რეალური გმირები, მაგრამ ხალხის სურვილია, მითიური ხასიათი მიანიჭოს კონკრეტულად გამონათულ თავის აზრებსა და იდეებს. ამიტომ გადააქვთ დევებსა და ურჩხულებთან მებრძოლი ეპიკური გმირების იდეები, მათი განმსაზღვრელი ნიშან-თვისებანი ახალი კულტურული ეპოქის გმირებზე. „კვლავ ურჩხულებთან მებრძოლ წმინდა გიორგიზე, რომელსაც ერი ირჩევს ბოროტ ძალთაგან თავის დამცველად და რომლის კულტმა ქართველთა და მის მონათესავე ხალხების წარმოდგენაში დაჩრდილა არა მარტო ქრისტიანული წმინდანები, შეიძლება ითქვას, თვით ქრისტეც“.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დ. ჩქოტუა სამეცნიერო ნაშრომის პირველ თავშივე, ცდილობს, გაგვარკვიოს „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი პერსონაჟი ქალის – ნესტან-დარეჯანის სახელის ეტიმოლოგიაში. საგანგებოდ ეხება იგი სახელების დარეჯანისძისა და ნესტანის წარმოშობას და აღნიშნავს: „ქართული გენიალოგიის საპირისპიროდ ამირან დარეჯანისძე ცნობილია, როგორც დედის ძე და არა – მამის. ეს გარემოება იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის XI საუკუნის დასაწყისის მწერლის – მოსე ხონელის მიერ ლიტერატურული ფორმით განხორციელებული თქმულება ამირანზე განეკუთვნება ერის ცხოვრების მატრიარქალურ პერიოდს, როცა ოჯახისა და გვარის უფროსად იყო ქალი და არა კაცი, რომელიც თავის შვილების დედასთან სტუმრად ითვლებოდა. სიტყვა დარეჯანი უხსოვარი დროიდან

130

ინმარებოდა, როგორც ქალის საკუთარი სახელი, და დარჯან ფორმით ახლაც არის მეგრულში და ლამაზს, ტურფა ქალს ნიშნავსო, — მიუთითებს მკვლევარი, „ამის გამო „ვეფხისტყაოსნის“ წამყვანი გმირის ნესტან-დარეჯანის სახელი არ არის, როგორც ამას ზოგიერთი მწერალი მიიჩნევს, ვითომცდა ირანულიდან ნათარგმანები. რაც შეეხება თვით სიტყვას ნესტან-დარეჯანი, იგი გრამატიკული თვალსაზრისით, რთულია და წინდებული „ნესტან“, შესაძლოა, სხვა არაფერი იყოს, თუ არა ეპითეტი სიტყვისა დარეჯანი, რომლის მნიშვნელობაც დაკარგულია ენაში“. როგორც ვხედავთ, დ. ჩქოტუას მსჯელობა აღნიშნული სახელების ეტიმოლოგიის კვლევის საქმეში არ დგას ზუსტ და მკვიდრ მეცნიერულ დონეზე, ზოგი აზრი მცდარია, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ეპოქა, რომელშიც მოუწია მკვლევარს მუშაობა. თანაც ამ დროისათვის არ იყო სამეცნიერო შრომები, რომლებიც დ. ჩქოტუას ეპოქების გმირთა სახელების ეტიმოლოგიის კვლევის საქმეში წაადგებოდა. მისი კერძო დაკვირვება მცდარია და მეცნიერულ აზრს მოკლებული. მაგრამ ავტორის მტკიცება, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მასზე ადრინდელი ქართული ლიტერატურისა და ზეპირსიტყვიერების ბუნებრივი გაგრძელებააო, სწორია. მკვლევარს „ვეფხისტყაოსანი“ მიაჩნია საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრების გარკვეული პერიოდის მხატვრულ ხორცშესხმად, რომელშიც შეინიშნება წინა პერიოდის ლიტერატურული და სოციალური ცხოვრების ელემენტებიც.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ დ. ჩქოტუას მეცნიერული ნაშრომის მეორე თავი — „ვეფხისტყაოსნის“ გმირების მსოფლმხედველობა“ წარმოადგენს შოთა რუსთაველის ფილოსოფიური შეხედულებების შესწავლის საინტერესო ცდას. პოემის გმირთა მსოფლმხედველობის ფილოსოფიურ საფუძვლებზე გაკვრით პირველ თავშიც არის საუბარი.

დ. ჩქოტუას მტკიცებით, „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი იდეა არის დუალისტური, რაც სწორი არ არის. მკვლევარი ფიქრობს, რომ „ქართული ეპოსის მიერ ირანულიდან ნასესხები „ვეფხისტყაოსანში“ ფილოსოფიურად განზოგადებული დუალისტური შეხედულება სამყაროზე არც ისე უცხოა თანამედროვე კულტურული კაცობრიობისათვის, როგორც ეს პირველი შეხედვით ჩანს“. ბოროტისა და კეთილის – საწინააღმდეგო ძალების შექმნის აზრი, – ამბობს დ. ჩქოტუა, – რუსთველს ქრისტიანიზმიდან აქვს აღებული და იქვე შენიშნავს: „მაგრამ ამ შეხედულებამ ქართულ ხალხურ ეპოსში და შემდგომ პოემა „ვეფხისტყაოსანში“ უფრო წმინდა სახით შეინარჩუნა თავისი ირანული ბუნების პირველსახე, ვიდრე ქრისტიანობაში, სადაც ორივე საწყისის (სიკეთის და ბოროტების) შემოქმედი არის უზენაესი არსება – ღმერთი, მაშინ, როცა ირანული თვალსაზრისით და „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა წარმოდგენით, ისინი მომდინარეობენ ორი სრულიად საწინააღმდეგო, ერთიმეორის გამომრიცხავი საწყისიდან, რადგან, როგორც თინათინი ამტკიცებს, ღმერთი, კეთილის შემოქმედი, ვერ შექმნის ბოროტსა“, ამიტომაც ამბობსო რუსთაველი თინათინის პირით: „ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა“. „დ. ჩქოტუა პრინციპულად არ არის სწორი, როცა რუსთველის მსოფლმხედველობაში – კეთილისა და ბოროტის ორი საწყისის აღიარებაში – ხედავს დუალიზმს, მაგრამ ეს ნაშრომი დაწერის დროის მიხედვით უნდა განვსაზღვროთ – ავტორს ვერ მოვთხოვთ ახლანდელ დონეს. ამ ნაშრომს, როგორც კულტურულ მემკვიდრეობას, სათანადო ანგარიშის გაწევა შეუძფერის. დ. ჩქოტუას შეცდომებზე უნდა ვილაპარაკოთ, ოღონდ, რაც ავტორს დადებითი ეკუთვნის საკითხის მიხედვით, ის პრიორიტეტი არ უნდა დავეუკარგოთ“, – სამართლიანად აღნიშნავს იოსებ მეგრელიძე. ჩვენც სრულებით ვეთანხმებით მის აზრს.³⁵

რუსთველის მსოფლმხედველობის საკითხს არაერთგზის უბრუნდება დ. ჩქოტუა პირად მიმოწერაშიც. ვ. პეტრიაშვილისადმი გაგზავნილ წერილში, თარიღდება იგი 1885 წლის მეორე ნახევრით, (კერძოდ 9 აგვისტოთი -მ.ჯ.), დავითი რუსთველის სიტყვებს აგონებს მეგობარს: „გული კრულია კაცისა ხარბი და გაუძლომელი“, – გული „ჭირთა მთმო“ არის, „ლხინთა მდომელი“, მაგრამ მუდამ ლხინი არ იქნებაო – „საწუთრო ნაცვლად გვატირებს, რაც ოდენ გაგვიცინია“. მკვლევარის აზრით, რუსთველი მიდის იმ დასკვნამდე, რომ „ტანჯვა ადამიანის ხვედრია, ხვედრი, რომელიც მისივე ბუნებიდან გამომდინარეობს, ე. ი. ბედი ფატალური, რომლის შეცვლა არვის ძალეუძს“, მაგრამ ჩვენი პოეტი მაინც „არ ვარდება პესიმიზმში, არც ბედის ბრმა მორჩილებაში და არც ქრისტიანულ ასკეტიზმში და მოითხოვს ბრძოლას იმიტომ, რომ ტანჯვა ბოროტებაა, ხოლო გონიერება ბოროტებასთან ბრძოლას გვიკარნახებს, ბრძოლას გონების მთელი ძალებით და ენერგიით, კლდესავით მოუდრეკელი სიმტკიცით და შეუპოვრობით, რადგან სისუსტე, მერყეობა და სულმოკლეობა ბრძოლაში არ შეშვენის არც ბრძენს და არც ვაჟკაცს; პირველს ეს თვისებები ამცირებს, ხოლო მეორეს კი არცხვენს“. ამიტომაც, განაგრძობს დ. ჩქოტუა, პოეტი პირველისაგან მოითხოვს სიმტკიცეს:

„ჭირსა შიგან გამაგრება ისრე უნდა, ვით ქვითკირსა“, ხოლო მეორისაგან განსჯას, თავდაჭერას, ლოგიკურ აზროვნებას: „მიკვირს ნაღველი კაცისა ჭკუიანისა“. წუხილი და ცრემლთა დენა რას არგებს მას: „სჯობს გამორჩევა, აზრობა საქმისა დასამგვანისა“. დავითის აზრით, რუსთაველი გვიჩვენებს ბედისადმი დაუმორჩილებლობას, ბრძოლას სიცოცხლისათვის, „რადგან რა მწირიც და სასტიკიც არ უნდა იყოს იგი, რა უმნიშვნელონიც არ უნდა იყვნენ ბედნიერების ნამცეცები,

რომლებიც მიმოფანტულან სევდა-კაეშნის და ტანჯვის უფსკერო ზღვაში, სიცოცხლე მაინც ღირს იმად, რომ კაცმა მისთვის იბრძოლოს, იტანჯოს და მსხვერპლად შეეწიროს კიდევ:

„სჯობს სიცოცხლისა გაძლება, მისთვის თავისა დადება“.

რუსთველს სწამს კეთილის გამარჯვება ბოროტზე, ადამიანის გამარჯვება ტანჯვაზე, რადგან, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ: „ნუგეშის ღმერთი უხვია, თუმცა სოფელი ძვირია“. სწორედ ამაში ხედავს დ. ჩქოტუა რუსთაველის აზრის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას, უარყოფს პესიმიზმს და „გვევლინება არა სტოიციზმის მოციქულად უბედურების ჟამს ბოროტზე სიკეთის ძლევაშეიღებებისა და ტანჯვაზე ადამიანის გამარჯვების წინასწარმეტყველად, რუსთაველი ხდება ადამიანის ნუგეშისმცემლად გულის მფლობელი და მბრძანებელი, რადგან იგი თავის ნაწარმოებში ავითარებს და ამკვიდრებს მარადიულ, საყოველთაო, საკაცობრიო ჭეშმარიტებას“.⁶⁶

როგორც უკვე აღინიშნა, ორივეს ერთი ძალის მიერ შექმნაში ჩქოტუა ხედავს ქრისტიანიზმს, სხვადასხვაში — მაჰმადიანობას. რუსთველი, — განაგრძობს მკვლევარი, — ბოროტსა და კეთილს შორის ბრძოლის ცენტრში აყენებს ადამიანს, ამდენად, მისი ცხოვრება ტრაგიკულია, მაგრამ არა უიმედო, ბედნიერებისათვის კი ბრძოლაა საჭირო: „მარგალიტი არვის მიჰხვდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად, ვარდი უეკლოდ არავის მოუკრფდია. ამასვე გვასწავლის ტარიელი: „ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებიან“, — ე. ი. ბედს ადვილად არ ნებდებიან.

დ. ჩქოტუა „ვეფხისტყაოსანში“ ხედავს ფატალიზმსაც — ბედისწერის გარდღვეალობას, ფატუმის არსებობას. „თუმცა არაბთა სამყაროს გმირებმა, — აღნიშნავს იგი, — რომლებმაც არსებობის პრინციპად ბედნიერებისათვის ბრძოლა აღიარეს და ცხოვრების

ტრაგიზმი დაჩრდილეს ღმერთის სასოებით, რწმენით ბოროტებაზე სიკეთის ძლევისა და ამით გამოკვეთეს დამოკიდებულება ადამიანისა ღმერთთან, არ დაკმაყოფილდნენ ამით სრულად და წავიდნენ უფრო შორს, რაც, მათი მხრივ, იყო სავსებით ლოგიკური. სინამდვილეში, როგორც ეს წმინდა წერილში წერია, თუ ერთი თმის ღერიც არ ჩამოვარდება ადამიანს ღვთის ნების გარეშე, მაშინ ადამიანის მთელი ცხოვრება, მისი ბედი სიცოცხლესა და სიკვდილს შორის მის ერთ თმის ღერს არ აღემატება? აქედან ერთი ნაბიჯი აკლდა ფატალიზმამდე მისვლას და ეს ნაბიჯი მათ გადადგეს“. დავითის აზრით, მოსალოდნელი იყო, რომ ასეთ დასკვნამდე მისული პოემის გმირები დარჩებოდნენ თავისი ტრაგიკული არსებობიდან გადარჩენის პასიურ მომლოდინეებად, როგორც ეგვიპტის ტყვეობიდან გამოსული ებრაელები, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მათ აღიარეს ბრძოლა და საკუთარ ძალაზე დაყრდნობით, ღმერთის იმედით, გამარჯვების რწმენით, თამამად და მტკიცედ შეხვდნენ ბედის ყველა უკუღმართობას. სიცოცხლისათვის ბრძოლის ამ პრინციპმა მათგან მოითხოვა ფიზიკური და სულიერი ძალების მობილიზება, წარმოშვა ადამიანის სულისა და ხორცის ყოველმხრივი პარმონიული განვითარების აუცილებლობის შეგნება, ხოლო რწმენამ ბედის წინასწარგანსაზღვრულობის შესახებ, როგორც ეს ავთანდილის სიტყვებიდან ჩანს, შთააგონა ისინი შეუპოვარ მამაცობაზე:

„უგანგებოდ ვერას მიზმენ, შეცამებნეს ხმელთა სპანი,
განგებაა, არ დავრჩები, ლახვარნია ჩემთვის მზანი,
ვერ მიხსნიან ვერ ციხენი, ვერ მოყვასნი, ვერცა ძმანი.
ვინცა იცის ესა ასრე, ჩემებრვეა გულოვანი“.

„ამგვარად, ორივე მდგომარეობა: სიცოცხლისათვის ბრძოლის პრინციპი და გარკვეული დამოკიდებულება ადამიანისა ღმერთთან და ღმერთისა ადამიანთან პოემის გმირებს ცხოვრებისეულ ბრძოლაში

უძლეველ იარაღად და გამარჯვების საშუალებად გამოადგა“, – ასკენის მკვლევარი.

დ. ჩქოტუას მართებული მტკიცებით, რაკი ადამიანის ბელი წინასწარ გადაწყვეტილია, მას ველარაფერი შეცვლის, მოსახდენი მოხდება და ადამიანი გაბედულად ხედება ყოველივეს... მაგრამ იგი იქვე აღნიშნავს, რომ რუსთაველი ქადაგებს ბრძოლის მნიშვნელობასაც და ადამიანს არც გამარჯვების იმედს უკარგავს, ამიტომაც არსებობისათვის ბრძოლის პრინციპი ძალაში რჩება. ამ დასკვნას მკვლევარი უკეთებს შემდეგ შენიშვნას: „ამგვარია „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა მსოფლმხედველობა, მაგრამ იგი გაუგებარი იქნებოდა, რომ არ შევავსოთ იგი შეხედულებებით თვით ცხოვრების არსზე, რომელიც გამოთქმულია მშვენიერ სიმბოლურ ფორმაში არაბთა სამყაროს პირველი წარმომადგენლის – სამეფო ტახტზე ამ ფილოსოფოსისა და პოეტის – როსტევან მეფის მიერ“. როსტევან მეფის თვალთახედვით, ცალკეულ ინდივიდში სიცოცხლის გამოვლინება მსგავსია უმაღლესი სილამაზისა და ფართოდ გაშლილი ვარდის ეს სილამაზე – სიცოცხლე, მუდმივ განახლებაში მყოფი თაობათა შეცვლით და სიკვდილით, მუდმივ სინორჩეს ინარჩუნებს. ცხოვრების ეს მარადიული, თაობათა ცვლით, სიკვდილით მისი განახლების კანონი, მეფე როსტევანმა გამოხატა სიმბოლურად, თავისი სისადავით მშვენიერ სტროფში:

„რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამჰქნაროსა,
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“.

ასევე ხდება ბუნებაშიც, – განაგრძობს მკვლევარი, – მშვენიერ ბაღნარში ცალკეული ინდივიდები და მთელი თაობებია, რომლებიც უმაღლესი სილამაზით მოველინებიან ამ ქვეყანას, ვარდის მსგავსად, ასრულებენ თავისი განვითარების ციკლს და უმაღლესი ბრწყინვალეების მიღწევის შემდეგ იწყებენ დაქვეითებას, ჰქენებიან და გახმობის მერე,

ადგილს უთმობენ სხვებს. ასე მიმდინარეობს მარადიული შენაცვლება ერთი თაობისა მეორეთი.

ასეთია რუსთაველის ცხოვრებისეული ფილოსოფია, უფრო სწორად, ფილოსოფიური შეხედულება წუთისოფელზე; ამ ლოგიკური აზრის არსი იმაშია, რომ ადამიანი მოკვდავია, ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ, ამასთანავე აუცილებელია იმის შეგნებაც, რომ სიკვდილი აუცილებელია თვით ცხოვრების (სიცოცხლის) ინტერესებისათვის. ამგვარი ყოფილა ბრძენი მეფის — როსტევეანის აზრი ცხოვრების რაობაზე და ამიტომ იგი დაუნანებლად ამბობს, — მე მოვხუცდი, რაღა ფასი აქვს არსებობას, რომელსაც ახლავს ბნელი და ტახტსაც კი ადვილად თმობს:

„მე გარდავსულვარ, სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია, —
დღეს-არა, ხვალე მოვკვდები, სოფელი ასრე მქმნელია,
რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია!“

სახელმწიფო სათათბიროზე შეკრებილ თავის ვეზირებს, კერძოდ ბრძენ სოკრატს, აუწყებს გადაწყვეტილებას — გადასცეს თავისი სამეფო ტახტი უმშვენიერეს ასულ თინათინს, რადგან მას არ ჰყავს მემკვიდრე ვაჟი, რომელიც მის სახელმწიფოს დაიცავდა:

„კაცი არ არის, სითვანცა საბრძანებელი ჩენია,
რომე მას ჩემგან ესწავლნეს სამამაცონი ზნენია“.

დ. ჩქოტუას აზრით, (სავსებით სწორად), როსტევეანის მკმუნვარების მიზეზი მრავლისმთქმელია. მან კარგად იცის, რომ მის ასულს — თინათინს, მისი მაღალი სახელმწიფოებრივი გონებითა და ამალღებული ზნეობით, სავსებით ძალუძს შეცვალოს იგი ტახტზე და გახდეს ბრძენი მმართველი, მაგრამ ის, (ისიც ჭალი), ვერ ფლობს მებრძოლი ვაჟკაცის სიქველეს. როსტევეან მეფის იდეალს წარმოადგენს ისეთი ადამიანი, რომელიც აერთიანებს ფიზიკურ ძლიერებასა და სულიერ სიმტკიცეს, გამჭრიახობასა და შეუღრეკლობას. ასეთ იდეალს შეეფე-

რება სახელოვანი სპასპეტი, სიბრძნითა და ვაჟკაცობით გამოჩინებული გმირი ავთანდილი. „ვეფხისტყაოსნის“ გმირები იბრძვიან სახელისათვის, სიცოცხლისათვის.

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“. ეს სიტყვები მკვლევრის აზრით, გამომდინარეობს პოემის გმირთა ფსიქოლოგიიდან და მსოფლმხედველობიდან. „შერცხვენილ სიცოცხლეზე უმჯობესია სახელოვანი სიკვდილი,... ეს სიტყვები კეთილშობილური გრძნობების ამოხეთქვა ან ფუჭი თავმოწონების შესანიღბავი ლამაზი აზრი კი არაა, გმირთა მსოფლმხედველობიდან გამომდინარე ცხოვრების მათეული გაგების გამჟღავნებაა, რასაც ისინი ათვალსაჩინოებენ ყოველ ნაბიჯზე და რომლითაც ხელმძღვანელობენ ცხოვრებაში“.

ავთანდილმა იცის, — განაგრძობს მკვლევარი, — ყველა ადამიანი ერთნაირი არ არის: „კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცთა კაცამდის“, — მაგრამ ასევე კარგად უწყის, რომ არსებობს სიკვდილი, რომელიც თავისი ძღვევამოსილი მსვლელობის გზაზე არ ცნობს დაბრკოლებას, ბოლოსდაბოლოს აერთებს ყველას: დიდთა და მცირეთ, ძლიერთ და სუსტთ, ნორჩებსა და ხანდაზმულთ. შლის მათ შორის ყოველგვარ უთანასწორობას, ანიველირებს მათ.

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი, მისგან ყოველი გასწორდეს სუსტი და ძალ გულოვანი, ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი, სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი!“

ამასთან, ავთანდილის რწმენით, ადამიანში არის რაღაც, რაც არ ექვემდებარება მოსპობას და სიკვდილთან გათანაბრებას, — ეს სახელია, ადამიანის მიერ ცხოვრებაში შექმნილი, ამიტომ მას სწამს, რომ დიდების მოხვეჭა ცხოვრებაში სხვა შენაძენთა შორის ყველაზე

მნიშვნელოვანია: „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“! ამგვარ გმირულ თვალსაზრისზე მდგარ ავთანდილს ეზიზღება ადამიანი, რომელიც ებღაუჭება შესაბრალის არსებობას. რაა უარესი ომში შეშინებულსა და შეძრულ მამაკაცზე, რომელსაც სიკვდილის მოლოდინში სახე დაღმეჭია, რითი სჯობია იგი მშიშარა და სულმოკლე ქალს, სელის მქსოველს?! დიდების მოხვეჭა ყველაზე დიდი შენაძენია ცხოვრებაში.

დ. ჩქოტუას აზრით, რუსთაველის გმირები გმობენ ლაჩარსა და მშიშარას, ზნედაცემულსა და სულმდაბალს, სამაგიეროდ, ქება-დიდებას ასხამენ ჰუმანური იდეებით, კაცთმოყვარეობითა და მეგობრობის ერთგულებით გამსჭვალულ ადამიანებს. პოემის გმირთა ფილოსოფიური შეხედულებები ჰაერში უკვალოდ გაფანტულ ლამაზ სიტყვებად არ დარჩენილა. იგი ღრმად შეიჭრა ქართველი კაცის გულში და სამუდამოდ ჩაიბეჭდა მასში. „ეს იქიდან ჩანს,— განაგრძობს ავტორი — რომ შვიდასი წლის შემდეგ ეს იდეები კვლავ აჟღერდა საბრძოლო ველზე მყოფ თანამემამულეებისადმი მეცხრამეტე საუკუნის ერთი უნიჭიერესი ქართველი პოეტის — თავად გრიგოლ ორბელიანის მიერ ლექსით „სადღეგრძელო“.

„ვითარც ცეცხლი მარტოლა სჩანს ველსა ზედა შთობილი,
რომლისა კვამლი ჰაერში ქარის შებერვით არს მქრალი,
ეგრედ იქნების აღზოცილ არ სოფლით მისი სახელი,
გზა ცხოვრებისა ვინც განვლო და არ აღბეჭდა ნავალი“.

ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადი ხდება, რომ გმირული ცხოვრებისაკენ მოწოდება ქართველი ხალხის პოლიტიკური ყოფის ვითარებისამებრ ხან ძალუმად ეხმიანებოდა გულს, ხან სუსტდებოდა და ჩაკვდებოდა, მაგრამ არასოდეს არ ქრებოდა. რადგან მისი დაუშრეტელი წყაროდან მიღებული შთაგონება, ზნეობრივი ძალა და

გმირული განწყობილება განუწყვეტლივ მოქმედებდა სულზე.

რუსთველოლოგიური ნარკვევის ამავე მონაკვეთში დ. ჩქოტუა ვრცლად მსჯელობს მშვენიერების პრობლემაზე. მკვლევარის დაკვირვებით, სილამაზის კულტის გაგებას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა „ვეფხისტყაოსანში“. იგი რუსთაველის ესთეტიკის საკვანძო საკითხია.

ცნობილია, რომ რუსთაველის შემოქმედებას სამი ძირითადი მსოფლმხედველობრივი მომენტი უდევს საფუძვლად: ცნება ღმერთისა — თეოლოგია, მშვენიერებისა — ესთეტიკა, ზნეობისა — ეთიკა. პოემა სიბრძნისა და ზნეობის, მშვენიერებისა და სიყვარულის ხელთუქმნელი საგალობელია. დ. ჩქოტუა ერთ-ერთი პირველია რუსთველოლოგთა შორის, ვინც ყურადღება მიაქცია პოემის მშვენიერების — ესთეტიკის პრობლემებს. მისი მოსაზრებები ღღესაც არ არის მოკლებული მეცნიერულ მნიშვნელობას.

დ. ჩქოტუა სვამს მეტად საინტერესო კითხვას, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: როგორც ვიცით, ავთანდილი უარს ამბობს პირად ბედნიერებასა და სიხარულზე, ახლოს დარჩეს საყვარელ თინათინთან, რომელმაც მას გული გადაუშალა, არღვევს წმიდა-თაწმიდა მოვალეობას უზომოდ საყვარელი როსტევეან მეფის წინაშე, რომელსაც იგი შვილივით უყვარს. ბედის ანაბარა ტოვებს სამეფოს, თავის სამფლობელოს და განუმზადებს თავს ათასგვარ სიძნელეს, მარტოდ მოხეტიალის გასაჭირს. თვით სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებათ ისწრაფვის დაეხმაროს ტარიელს, რომ გადაარჩინოს მეგობარი. ყოველივე ეს, როგორც შემდეგში ირკვევა, ხდება არა ავთანდილის თავქარიანობით, არამედ იმის სრული შეგნებით, თუ რა მხვერპლს იღებს და ეს ჩანს ასმათთან საუბარში, როცა იგი ხელმეორედ ბრუნდება ტარიელთან გამოქვაბულში:

„ბროლ-სადაფნი მარგალიტსა ლალის ფერსა სცვენ და ჰბურვენ, მას მოვშორდი, ვერ ვიახლე, ვერ ვისურვენ, ვერ ვასურვენ, გამოპარვით წამოსვლითა ღმრთისა სწორნი მოვიმდურვენ, ნაცვლად მათთა წყალობათა, გულნი მათნი შევაურვენ“.

ასევე განსაცდელში იგდებს თავს ფრიდონიც. მან ზომ არ იცოდა საწუხარი და სანაღვლო, ღროს ნაღირობასა და სიამოვნებაში ატარებდა. ბედნიერად ცხოვრობდა თავის სამფლობელოში. რა აიძულებთ ავთანდილს და ფრიდონს – ამ ორ ცხოვრების ნებიერ ახალგაზრდას? რატომ იგდებენ ისინი თავს საფრთხეში, გასაჭირში? შეუძლია კი მეგობრობას ასეთი გრძნობის გამოწვევა? რა ბაღებს ასეთ ურთიერთობებს გმირებს შორის?

დ. ჩქოტუას ამგვარი ურთიერთობების და გრძნობების გამოწვევად მიაჩნია ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის ფიზიკური და სულიერი სიმშვენიერე, ლამაზი, მოწიბვლელი გარეგნობა, შინაგანი სითბო. ისინი ერთი შეხედვით ხიბლავენ, აჯადოებენ გარშემო მყოფთ.

ტარიელმა ქარივით მიმქროლავ ცხენზე ამხედრებული ფრიდონი დაინახა, გზა გადაუჭრა მას, სურდა მისი ვინაობა გაეგო.

მათ ერთმანეთს შეხედეს, ერთურთი მოეწონათ: „შემომხედა, მოვეწონე, სიარული დაითმინა“, – ყვება ტარიელი. თუ ტარიელი გაკვირვებული იყო ფრიდონის მოხდენილობითა და სიტურფით, ეს უკანასკნელი განცვიფრებული დარჩა ჭაბუკის ვაჟეცური სილამაზით. მან დაივიწყა რისხვა, ჭრილობები და ასე მიმართა ტარიელს:

„პირველ მითხრა არა ვიცი, რა ხარ, ანუ რას გამსგავსო?

ანუ ეგრე რამ დაგლია, ანუ პირველ ვინ გაგავსო?

რამან შეგქმნა მოყვითალოდ, ვარდ-გიშერი რომე ჰრგავსო?

ღმერთმან მისგან ანთებული სანთელი-მცა რად დაგავსო?“

ასეთ გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენდა ტარიელის შეუღარებელი სილამაზე მნახველზე.

მსგავს ვითარებასთან გვაქვს საქმე, როცა ტარიელი ხვდება ავთანდილს პირველად გამოქვამულში. ეს შთაბეჭდილება იმდენად დიდი იყო, გმირთა გარეგნული სილამაზის ურთიერთმიზიდვის ძალა იმდენად ძლიერი, რომ უცნობობის მიუხედავად, ელვარე სიხარულითა და თრთოლვით გაიწიეს ერთმანეთის მოსახვევად და გადაჭდობილებმა იტირეს:

„მათ აკოცეს ერთმანერთსა, უცხოობით არ დაპირდეს, ვარდსა ხლეჩედეს, ბაგეთაგან კბილნი თეთრნი გამოსჴვირდეს, ყელი ყელსა გადააჴდეს, ერთმანერთსა აუტირდეს! ქარვად შექმნეს იაგუნდნი მათნი, თუცა ლალად ლირდეს“!

ასე ღრმად განიცდიან და ეთაყვანებიან ერთმანეთს პოემის გმირები, როგორც მამაკაცები, ისე ქალებიც. დ. ჩქოტუა ფიქრობს, რომ „მშვენიერების ეს მთრთოლვარე განცდა — მუხლმოდრეკა მის წინაშე — დამახასიათებელია მარტოოდენ მათთვის, როგორც განსაკუთრებით მაღალი ბუნების მქონეთათვის, როგორც თავისი ხალხის კულტურის მაღალი წარმომადგენლებისათვის, მაგრამ ეს ასე როდია: სილამაზის ასე მთრთოლვარე განცდა ნიშანდობლივია მთელი ხალხისათვის, რომლისაგანაც გამოსულია პოემის ეს გმირები“. ამისათვის საკმარისია, — განაგრძობს მკვლევარი, — მოვიგონოთ, თუ როგორი აღტაცება ახლავს პოემის გმირთა გამოჩენას ხალხში, ან მათი მომწუხნველი მოქმედება, როცა ისინი ურთიერთობაში შედიან ცალკეულ ადამიანებთან. მნახველები მზად არიან დაემონონ მათ, ოღონდ ახლოს იყვნენ და ჰვრეტდნენ გმირთა მომაჯადოებელ სილამაზეს.

წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ნესტან-დარეჯანმა, როცა ზღვათა სამეფოს ხელისუფლის ბრძანებით იგი ფატმანისგან სასახლეში

მიყვანეს, მისი სილამაზის ხილვით გამოწვეული მღელვარება იმდენად დიდი იყო, რომ მცველებს ხალხის შეკავება გაუჭირდათ:

„ზედა მოატყდა მჭვრეტელი, გახდეს ზათქი და ზარები, ვერ იჭირებდეს სარანგნი, მუნ იყო არ სიწყნარები“.

ფატმანი და მისი ქმარი უსენი, როგორც კი გამონახავდნენ თავისუფალ ღროს, შედიოდნენ ნესტანის ოთახში, ისხდნენ და მღუმარედ შესცქეროდნენ მის მომხიბლაობას, განიცდიდნენ ესთეტიკურ ტკობას:

„მას უჭვრიტეთ დიდი ხანი, წამოვედით სულთქმა—ახით, შეყრა გვიჩნდა სიხარულად, გაყრა დიდად ვივაგლახით, ვაჭრობისა საქმისაგან მოვიცალით, იგი ვნახით, გული ჩვენი გაუშვებლად დაეტყვევნეს მისით მახით“.

ფრიდონის სამფლობელოში ხალხი აღფრთოვანებულია ავთანდილის სილამაზის ხილვით. როცა მზიური სიმშვენიერით გაბრწყინებული რაინდი გამოჩნდა მონადირეთა შორის და ძლიერი ხელით მოზიდული მისი ისრით განიგმირა ჰაერში მარბოლავი არწივი, მათ მოხსნეს წრე, გაოგნებულნი უვლიდნენ გარს და ვერ შეებედათ, ეკითხათ ვინაობა:

„იგი რა ნახეს, მესროლნი სროლასა მოეშლებოდეს, ალყა დაშალეს, მოვიდეს, მოეხვევოდეს, ბნდებოდეს, იქით და აქეთ უვლიდეს, ზოგნი უკანა ჰყვებოდეს, ვერცა ჰკადრებდეს: „ვინ ხარო?“ ვერცა რას ეუბნებოდეს“.

ფრიდონის ჯარისკაცთა სიხარულისა და აღტაცების ამგვარი განწყობილება გრძელდება მთელ გზაზე — ნადირობის ადგილიდან ფრიდონის სასახლემდე. მეფური ბრწყინვალეებით მორთულ ფრიდონის სასახლეში „... მონანი ტურფად მოსილნი წესითა იყვნეს სულითა! შეჰფრფინვიდიან ავთანდილს გულითა სულ-წასრულითა“. აი, კიდევ

ერთი გამაოგნებელი, გრძნობისაღმძვრელი მაგალითი გმირთა შეუდარებელი სილამაზის მომხიბვლელი ზემოქმედებისა ცალკეულ პიროვნებებზე, — ასკენის დ. ჩქოტუა.

სილამაზის, მშვენიერების საშუალებით ახდენს რუსთაველი მკითხველზე ზეგავლენას, ხიბლავს მას და შეჰყავს თავის ესთეტიკურ სამყაროში. „შემოვისაზღვრები მხოლოდ მოყვანილი ფაქტებით, — წერს დ. ჩქოტუა, — რომლებიც, ჩვენი აზრით, სავსებით ადასტურებენ ზემოთქმულ ჩვენს შეხედულებას, რომ სილამაზის მთრთოლვარე განცდა და თავყვანისცემა დამახასიათებელი იყო ქართველი ხალხისათვის, როგორც წინათ, ისე ახლაც, ეს მისი თვისება სხვა არაფერია, თუ არა სილამაზის იდეალებისადმი ამ ხალხის პატივისცემა“.

დ. ჩქოტუას მართებული მტკიცებით, რუსთაველი ქართველი ერის სულის სიდიადის ნაყოფია. „რუსთაველის შემოქმედებითი გენიის ნაყოფმა გაუძლო ყველაფერს და ყოველივეს, — ქართველი ხალხის ბრწყინვალე ეპოქასაც, თავდაცვისათვის უმტკიცეს ბრძოლასაც, წარმატებებსა და მარცხებსაც, სახიფათო, საშიშ კრიზისებსაც, ბოლოს თვით ხალხის დაცემასაც, მაგრამ ისე, რომ თვითონ არ დაცემულა. იგი ხალხის გულში, თვით მისი ცხოვრების უმძიმეს ეპოქებში, ინახავდა სულიერი ცხოვრების, სიყვარულის იმ უწმინდესი გრძნობის ნაპერწკალს, რომელიც მომავალი კულტურული ცხოვრების საწინდარია და შეიძლება უძლიერეს გიზგიზა ალად ავარდეს, რომ გაანათოს ერის გზა სულიერ ცხოვრებაში“.²⁶ ითვალისწინებდა რა ყოველივე ზემოთქმულს, დ. ჩქოტუა თანამედროვეთ და მომავალ თაობებს მოუწოდებდა დაეცვათ ჩვენი საუნჯე, დიდი შოთას „ვეფხისტყაოსანი“. ამიტომაც მას გადაუდებელ ამოცანად მიაჩნდა რუსთაველის პოემის შეუდარებელი სილამაზის მხატვრული სახეების მატერიალური ხორცშესხმა ფერწერასა და გრაფიკაში, რომ კულტურულმა მსოფ-

ლიომ დაინახოს სილამაზის ის იდეალი, რომელიც ამდენი საუკუნის განმავლობაში თავის სულში ატარა ქართველმა ხალხმა.

დღეს, რუსთველოლოგიის განვითარებია თანამედროვე დონეზე, შეიძლება მოკრძალებულად ჟღერდეს დავით ჩქოტუას შეხედულებები და მოწოდებაც, მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ სწორედ ასეთმა ადამიანებმა აიყვანეს ქართული ეროვნული კულტურა განვითარების მაღალ საფეხურზე. დავით ჩქოტუას თავისი მოკრძალებული, უპრეტენზიო შრომით გარკვეული წვლილი შეჰქონდა რუსთველოლოგიის წინსვლაში. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა, კერძოდ, რუსთველოლოგიური ძიებანი, უკვე განვლილი ეტაპია, ამჯერად ისტორიის კუთვნილებაა, მაგრამ ზოგიერთ მოსაზრებას მეცნიერული ინტერესი დღესაც არ დაუკარგავს. მართალია, ნაშრომში გვხვდება მოძველებული და რიგი აშკარად მცდარი აზრებიც და დებულებებიც, მაგრამ დავით ჩქოტუასავე აქვს გათვალისწინებული მეცნიერული მიხვედრები, რომლებშიც მისი პრიორიტეტი უნდა შევინარჩუნოთ.

ჩემი აზრით, მთავარი ის არის, რომ ამ ორი ფრაგმენტის შესწავლა უკვე აშკარად გვარწმუნებს, თუ რამდენად ფასეული იქნებოდა, ალბათ, დ. ჩქოტუას ვრცელი, აწ დაკარგული ნაშრომი „ვეფხისტყაოსანზე“.

სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, დ. ჩქოტუას რუსთველოლოგიურ ძიებაზე მთლიანი სურათის წარმოდგენა შეუძლებელია, რადგან ნაშრომის დიდი ნაწილი დაკარგულად ითვლება. ის ნაწილიც კი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, შემოკლებით გამოქვეყნდა. ს. ჭანაშიას ტექსტზე მუშაობისას შეუტანია მცირეოდენი ცვლილებები, ამოუღია ზოგიერთი დებულება, რომელსაც, მისი აზრით, თანამედროვე მკითხველისათვის არ ჰქონდა ფასეული ღირებულება. „რემინგტონზე ცუდად გადაბეჭდილ რუსულ ტექსტში აქა-იქ ორთოგრაფიული და სტილისტიკური შალაშინი გავჰყარით“, – აღნიშ-

ნავს მკვლევარი. სტროფების სათვალავი ს. ჯანაშიას იუსტ. აბულაძისეული (1926წ.) გამოცემის მიხედვით ჩაუსვამს, რადგან უზუსტობანი შეუწნევია ტექსტში, რაც, ალბათ, დ. ჩქოტუას მიერ პოემის ზოგიერთი ადგილის ზეპირად ჩაწერის ბრალი უნდა ყოფილიყო. ცნობილია, რომ დ. ჩქოტუამ პოემის ტექსტი ზეპირად იცოდა.

საკითხის გარკვევაში ხელს გვიშლიდა ის გარემოებაც, რომ ს. ჯანაშიას მიერ გამოქვეყნებული ჩქოტუასეული დედანი ხელთ არ გვქონია. ამიტომაც, ვარაუდის დონეზე შეიძლება დავასკვნათ, „ვეფხისტყაოსნის“ რომელი გამოცემით სარგებლობდა დ. ჩქოტუა. ადვილი შესაძლებელია, მკვლევარი „ვეფხისტყაოსნის“ იმავე გამოცემით სარგებლობდა, რომელიც გადასახლებაში ჰქონდა. თუმცა იმ დროისათვის, როცა მან თავის ნაშრომში (რუსულ ენაზე) ქართული ციტატები ჩაწერა, „ვეფხისტყაოსნის“ ძველ გამოცემებს გარდა არსებობდა დავით კარიჭაშვილის 1903 წლის გამოცემა, იუსტინე აბულაძისა და ს. კაკაბაძის 1913-1914 წლების გამოცემებიც.

საინტერესოა ის გარემოება, რომ დავით ჩქოტუა „ვეფხისტყაოსნის“ არა ერთ, არამედ რიგ სტრიქონებს თარგმნის რუსულ ენაზე და იგი ტექსტის გაგების მაშინდელ დონეზე დგას, — სტრიქონებს რიგ შემთხვევებში (ინტუიციით თუ სხვა საშუალებებით) საკმაოდ ზუსტად გადმოგვცემს, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაშრომშივე გვხვდება ნაკლებად ზუსტი სტრიქონები, ან ზოგან უთარგმნელი სტროფები და სტრიქონები.

და ბოლოს აღვნიშნავთ, რომ დავით ჩქოტუას ნაშრომში ჩანს ავტორის გაგება „ვეფხისტყაოსნის“ არა ერთი ტაეპისა, რიგ შემთხვევაში საყურადღებო, რაც ამ ნარკვევის დადებითი ღირსებაა.

დავით ჩქოტუა ერთი პირველთაგანია, ვინც ასეთი სიყვარულით მოეკიდა „ქართველთა გულის საუნჯეს“. მის რუსთველოლოგიურ

ნარკვევს დიდი შეფასება მისცეს ცნობილმა მეცნიერებმა: ს. ცაიშვილმა, თ. ჭურღულიამ, გ. იმედაშვილმა, ი. მეგერელიძემ, ალ. კალანდაძემ, ს. ცაიშვილმა და სხვებმა. მათი ნააზრევის გათვა-ლისწინებით და ჩვენი დაკვირვებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ შემდეგი დებულებები:

დავით ჩქოტუა შესანიშნავად იცნობს „ვეფხისტყაოსანს“ და რუსთაველის წინამორბედ ქართველ მწერალთა შემოქმედებას. იგი შოთა რუსთაველის პოემის ერთი ისეთი შემსწავლელთაგანია, რომელიც ამა თუ იმ პრობლემურ საკითხზე გამოთქვამს სხვათაგან დამოუკიდებელ აზრებს და კომპილაციით არ კმაყოფილდება. პოემის ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების განხილვის დროს იცავს და ავითარებს ქართველი სამოციანელების, — ილიას, აკაკისა და მათ თანამებრძოლთა თვალსაზრისს.

დავით ჩქოტუა ერთი პირველთაგანი ახასიათებს „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს შედარებითად. ავტორი სწორად მიიჩნევს პოემას ძველი ქართული კულტურის ბუნებრივ გაგრძელებად. ამიტომაც ნაწარმოების გმირებს უდარებს ხალხური ეპოსის, „ამირანდარეჯანიანისა“ და „ვისრამიანის“ მოქმედ პერსონაჟებს; სწავლობს რუსთაველის გმირების მსოფლმხედველობას და ცდილობს მათ ფსიქოლოგიურ დახასიათებას. აქ დუალიზმზე მსჯელობის გარდა ძირითადად სწორ დასკვნებს აკეთებს პოეტის ფილოსოფიურ შეხედულებებზე. გადმოგვცემს რუსთაველის ესთეტიკას — მშვენიერების რაობას, არსს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დავით ჩქოტუა ერთი პირველთაგანი თვლის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არის ძველი ქართული ლიტერატურისა და ხალხური ეპოსის გაგრძელება, გვირგვინი; მათი შემდგომი მაღალი საფეხური, ადრინდელი ტრადიციების გადრმავება, ფილო-

სოფიურად ახლებური დასაბუთება. ქართული კულტურის ახალი მენიჭყვევა რუსთაველი, მისი შემდგომი განვითარების საერთო ტონის მიმცემი.

დავით ჩქოტუა ერთ-ერთი პირველი მსჯელობს „ვეფხისტყაოსნის“ ეროვნულსა და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობაზე.

ზოგიერთი საყურადღებო მოსაზრება გამოუთქვამს დავით ჩქოტუას ვეფხისტყაოსნის ტექსტის გაგებაშიც.

დავით ჩქოტუას რუსთველოლოგიურ ნაშრომს აქვს ისტორიული და, ამავე დროს, სადღეისო, აქტუალური მნიშვნელობა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მისმა სამეცნიერო ნაშრომმა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ მოკრძალებული ადგილი უნდა დაიმკვიდროს რუსთველოლოგიური მეცნიერების განვითარების საქმეში.

დასკვნითი ნაწილი

დავით ჩქოტუა იყო ქართველ სამოციანელთა უმცროსი თაობის წარმომადგენელი, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე, რადიკალურად მოაზროვნე პუბლიცისტი, ნიჭიერი ჟურნალისტი, სწავლა-განათლების დაუცხრომელი პროპაგანდისტი, უზადო მეცნიერი.

სამწერლო თუ სამეცნიერო სარბიელზე გამოჩენისთანავე მან დიდი ავტორიტეტი მოიპოვა თანამედროვეთა შორის. დავით ჩქოტუას ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ... მან თავის თავზე გამოსცადა მთელი ის უკულმართობა, რაც ცარიზმის პოლიტიკის მუდმივი თანამგზავრი იყო ამიერკავკასიაში. სრულიად უდანაშაულო

148

ახალგაზრდა სწავლული ციმბირში გადაასახლეს. იქ დაჰყო მან მთელი შეგნებული ცხოვრების უმეტესი ნაწილი. იქაც გაუტეხელი სულითა და დაუოკებელი ენერგიით ეწეოდა მეცნიერულ მოღვაწეობას.

ჩვენს დროში დავით ჩქოტუას მოღვაწეობას, მის ნაამაგარს, დამფასებლები გამოუჩნდნენ როგორც აფხაზ, ისე ქართველ მკვლევართა შორის. ამ თვალსაზრისით დაუფასებელია ს. ჯანაშიას, სოლ. ცაიშვილის, ო. ჭურღულიასა და სხვათა ღვაწლი.

რუსთაველის კოემის გმირები და
მათი მსოფლმხედველობა

დავით ჩქოტუა

I თავი

„ვეფხისტყაოსნის გმირები“

დღეს, როდესაც ჩვენს თვალწინ უდიდესი მოვლენები ხდება, როცა მკვეთრად მიჯნავენ ზღვარს ძველსა და ახალ ცხოვრებას შორის, როცა ყოველი ერის წინაშე მისი თვითგამორკვევისათვის ფართო ასპარეზი იშლება, ჩვენ, ქართველებს, უწინარეს ყოვლისა გვმართებს, მოვიგონოთ ჩვენი დიდი მწერალი — რუსთაველი, რომელმაც, მრავალი საუკუნის წინ, საღვთო ცეცხლი დაანთო თავისი ხალხის სულში და იგი კაცობრიობის მაღალ სულიერ ინტერესებს აზიარა, — იხსნა სულიერი და ეროვნული გადაგვარებისაგან; გვმართებს, გვახსოვდეს ის დიდი აღმზრდელითი როლიც, რომელიც მისმა უკვდავმა ნაწარმოებმა შეასრულა ქართველი ხალხის სულიერი წრთობის საქმეში.

(გამოტოვებულია)

მე, როგორც ძველი ინტელიგენტური თაობის ერთ-ერთ წარმომადგენელს, მსურს გაგიზიაროთ ის ფიქრები, გრძნობები და განცდები, რომელიც შემორჩა ამ დიად ნაწარმოებთან ჩემი მრავალწლიანი ურთიერთობით.

(გამოტოვებულია)

იცრმიდან ვარ ამ დიდებულ ნაწარმოებთან ურთიერთობაში: თავღან ჩემი მშობლების სახლში ვისმენდი მის კითხვას, მოგვიანებით

თავად დავიწყე მისი გაცნობა, გადაკითხვა და ზეპირად დასწავლა; კვლავ და კვლავ ვუბრუნდები კითხვას და ააე დღევანდლამდე, თითქმის სამოცდაათი წლის განმავლობაში; მიუხედავად ამისა, შთაბეჭდილებათა სიციხოველე, ემოციური ძალა კითხვის ხანგრძლივობისაგან არა მარტო არ მცირდება, არამედ, საპირისპიროდ, თითქოს, ყოველი წაკითხვის შემდეგ უფრო ძლიერი ხდება. ვამბობ რა ამას, ვიმედოვნებ, გამოვხატავ ყოველი წიგნიერი ქართველის (ცხადია, ჩემი თაობის ადამიანების) გრძობას და, ვფიქრობ, მთელი ქართველი ხალხისაც, რომელიც განიცდის იმასვე აი, უკვე შვიდასი წლის განმავლობაში.

მარტო ეს გარემოება იკმარებდა სავსებით, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორისათვის ყველაზე საპატიო ადგილი მიგვეჩინა დიდ მხატვართა (შემოქმედთა) შორის, მაგრამ თუ ეს აქამდე არ მოხდა, იმიტომ, რომ იგი არაა შეცნობილი არა მარტო მისი სამშობლოს საზღვრებს გარეთ, არამედ მის შიგნითაც. ეს გასაგებიცაა. რომ შეაღწიო პოემით წარმოსახულ სამყაროში, რომელიც, მსგავსად ჩვენი კლდეში ნაკვეთი ვარძიისა, მოქცეულია მთელი წყება საუკუნეების ნაშრევების ქვეშ, მისი გაცოცხლება და იძულება გრძობათა, ფიქრთა და იდეათა, იმ დროის საზოგადოების გონებას რომ დაუფლებოდნენ, ალაპარაკო მე-20 საუკუნის ადამიანისათვის გასაგები ენით, გაარკვიო პოლიტიკური და სოციალური ურთიერთობანი როგორც მის შიგნით, ისე ამ სამყაროს გარეთ, — ამოცანაა, იმ ეპოქის კულტურის ისტორიის ჩვენეული მწირი ცოდნით ამოუხსნელი. უფრო მეტიც, ჩვენ დღემდე არა გვაქვს უდავო ისტორიული მონაცემები დიდი მწერლის პიროვნებისა და მისი ნაწარმოების შექმნის დროის შესახებ, რის გამოც დღემდე „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის ერთადერთ წყაროს დღემდე თვით პოემაში დაძებნილი ფაქტები წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, პოემა „ვეფხისტყაოსანს“ ფაბულად აქვს

ორ არაჩვეულებრივი ბუნების ადამიანთა მგზნებარე სიყვარული და მათი უმძაფრესი სულიერი განცდები ამ სიყვარულის განხორციელების გზაზე. ადამიანური ცხოვრების ორი მუდმივი თანამგზავრის (სიყვარულისა და ტანჯვის) მხატვრული განსახიერების განუმეორებლობა აქცევს ამ ნაწარმოებს უმაღლესი ესთეტიკური ტკობის უკვდავ და ამოუწურავ წყაროდ, მაგრამ, ჩვენის აზრით, არა მხოლოდ ეს მხარე (ლირსება) ხდის პოემას დიადად და უკვდავად, არამედ იდეაც, მის საფუძვლად დადებული, ფაბულა კი ემსახურება ავტორს, როგორც საშუალება, იარაღი, ამ იდეის განსახორციელებლად. ორივე ეს მხარე, ესთეტიკური და იდეური, „ვეფხისტყაოსანს“ მემკვიდრეობით კავშირში აყენებს, როგორც მის წინამავალ ლიტერატურულ ნაწარმოებებთან, ისე ხალხურ ეპოსთან, რომლის მსოფლგაგებამ შემდგომი ფილოსოფიური მოტივირება მიიღო პოემაში.

პოემის მთავარი გმირი, ტარიელი, უეჭველია, ადამიანური მოდგმის უმაღლესი ტიპია, რომელიც გამოირჩევა ჩვეულებრივ ადამიანთა მასისაგან, როგორც ვეფხვი და ლომი, რომელთანაც მას უყვარს შედარება თავისა და თავისი შეყვარებულის, გამოირჩევა თავისი ბიოლოგიური ჭკუფისაგან. ტარიელი, თავისი ფიზიკური სრულყოფილებით – სილამაზითა და ძალმოსილებით მკითხველზე ზეადამიანის შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ იგი არაა ხალხური ეპოსის გმირი, სტიქიური ძალის განმასახიერებელი, როგორადაც ქართული ლიტერატურის ჩვენი წელთაღრიცხვის XI საუკუნის მწერლის მოსე ხონელის ნაწარმოების გმირი ამირან დარეჯანისძეა წარმოდგენილი. ეს ორი გმირი განეკუთვნება განსხვავებულ, ერთურთისაგან შორს მდგომ კულტურულ ეპოქებს; ისინი ერთმანეთს არ გვანან არა მარტო ფიზიკურად, არამედ თავისი აქტივობის ფსიქოლოგიური მოტივებითაც.

იმ დროს, როცა აქტივობის წამყვან მოტივად ამირან დარეჯანის-ძისთვის წარმოდგენილია სახელის მოხვეჭა, გმირული საქციელი და თავისი ნების სხვისთვის თავზე მოხვეჭვა, ტარიელს აქტივობის იმპულსად ემახსურება შნოლოდ მზურვალე, მის არსებას მთლიანად დაუფლებული სიყვარული, რომლის სისრულეში მოყვანა მისთვის ყოფნა-არყოფნის საკითხად ქცეულა. ამირან დარეჯანისძისთვის ამგვარი მოტივი საერთოდ არ არსებობს. მეფესთან სამსახურად მიწვეული, იგი სხვადასხვა რაინდთან ბრძოლაში აღწევს წარმატებებს, რომ თავის ხელისუფალთა მემკვიდრეებს საცოლოები მოუპოვოს; ხოლო მისი ისეთი წარმოუდგენელი გმირობის ჩადენის შემდეგ, როგორცაა დევებზე გამარჯვება, ჯადოსნური ტიპის წინააღმდეგობების გადალახვა და მისთანანი, თვითონ ქორწინდება, მაგრამ არა იმიტომ, რომ უყვარს არჩეული, არამედ გამარჯვებულის უფლებით, ამასთან ირკვევა, რომ მის მიერ ძლეული ყველა წინააღმდეგობა იყო სხვა არაფერი, თუ არა გამოცდა, რომელსაც მეფის ასულები პირობად უდებდნენ თავიანთ ხელის მთხოვნელებს. ასე რომ, ხელის მთხოვნელთა მიმართ მეფის შშვენიერ ასულთა მიერ წაყენებულ ამ მოთხოვნებს, ცხადია, სქესობრივი შერჩევის ხასიათი ჰქონდა. ჩანს, რაც წესად ყოფილა იმ შორეულ ეპოქაში, რომელსაც ამირან დარეჯანისძის ამბავი განეკუთვნება და რომლის გამოძახილად აღიქმება რუსთაველის პოემაში ნესტან-დარეჯანის და თინათინის მიერ თავიანთი მიჯნურების — ტარიელისა და ავთანდილისათვის დავალების მიცემა.

აქ ჩვენ მცირედ გადავუხვევთ, რათა აღვნიშნოთ დიდი მნიშვნელობის ფაქტი აღებულ საკითხთან დაკავშირებით. ქართული გენიალოგიის საპირისპიროდ ამირან დარეჯანისძე ცნობილია, როგორც დედის ძე და არა — მამისა. ეს გარემოება იმაზე მეტყველებს,

რომ ჩვენი წელთაღრიცხვის XI საუკუნის დასაწყისის მწერლის –
ჰოსე ხონელის მიერ ლიტერატურული ფორმით განხორციელებული
თქმულება ამირანზე განეკუთვნება ერის ცხოვრების მატრიარქალურ
პერიოდს, როცა ოჯახისა და გვარის უფროსად ქალი იყო და არა
კაცი, რომელიც თავისი შვილების დედის სტუმრად ითვლებოდა;
მხოლოდ, შესაბამისად, სიტყვა დარეჯანი, როგორც ქალის სახელი,
უხსოვარი დროიდანაა ქართველთა შორის ხმარებაში და განაგრძობს
არსებობას დღემდე. ამ სახელით ცნობილია როგორც ისტორიული
პირები, ისე უბრალო ადამიანები საქართველოში და მონათესავე
ტომებში: ასეთია, მაგალითად, სამეგრელოში გავრცელებული ქალის
სახელი დარჯა, ამის გამო „ვეფხისტყაოსნის“ წამყვანი გმირის ნესტან-
დარეჯანის სახელი არ არის. როგორც ამას ზოგიერთი მწერალი მიიჩნევს,
თითქოს ესეხსოს მთარგმნელს ირანულიდან, არამედ ავტორის მიერ
აღებულია ხალხურიდან, რომელსაც იგი უხსოვარი დროიდან ჰქონდა
ხმარებაში. რაც შეეხება თვით სიტყვას ნესტან-დარეჯანი, იგი
გრამატიკული თვალსაზრისით, რთულია და წინდებული ნესტან,
შესაძლოა, სხვა არაფერი იყოს, თუ არა ეპითეტი სიტყვისა დარეჯანი,
რომლის მნიშვნელობაც დაკარგულია ენაში.

ასეთი გადახვევის შემდგომ ისევ მივუბრუნდეთ ჩვენი გმირების
შედარებას.

თუ ტარიელის ფიზიკურ ღონეს ჩვენ შევხედავთ, როგორც
შერბილებულ, ასე ვთქვათ, ადამიანისათვის სტიქიურ ძალას ამირან
დარეჯანისძიასს, მაშინ მისი (ტარიელის) სახით ჩვენ წინაშეა ქართული
ლიტერატურის ევოლუციის დიდად წინ გადადგმული ნაბიჯი.
რამდენადაც ტარიელისათვის მთელი მისი ფიზიკური სრულყოფილების

მიუხედავად, ნიშანდობლივია ამაღლებული და ღრმა სიყვარული, აგრეთვე მოწიწება ადამიანური სილამაზისადმი, რაც მას ხდის იმ სიმალლის ჭეშმარიტ გმირად რომანისა, რომელსაც, სინამდვილეში, პოემა „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს. ეს გარემოება – პოემის რომანტიკული ხასიათი – ტარიელს აახლოებს რამინთან, ირანულიდან ნათარგმნი „ვისრამიანის“ გმირთან როგორც განცდათა სიღრმით, ისე მისი გამოვლენით. ცნობილია, რომ ტარიელი ნესტან-დარეჯანის ერთხელ ანაზღად თვალის მოკვრამაც კი ძლიერი ელდენდაკრულივით ისე დაბნადა, რომ შეაშინა მეფე ფარსადანი, დედოფალი და მთელი სამეფო კარი. იგი სამი დღე იმყოფებოდა სიკვდილ-სიცოცხლეს შორის. ზუსტად იგივე დაემართა „ვისრამიანის“ გმირს – რამინს, რომელიც განსაკუთრებულ ვითარებაში ვისის სახის დანახვისას ცხენიდან გადმოვარდა და დიდხანს იწვა გონებამიხდილი, რის მიზეზსაც გარშემო მყოფნი ვერ მიმხდარიყვნენ. ტარიელი და ნესტანი ბავშვობაში ერთად იზრდებოდნენ და ამ, თანაცხოვრების დროს აღძრული ამხანაგური გრძნობების, სიმპათიებისა და ერთმანეთთან ბავშვური დამოკიდებულებებისაგან განვითარდა შემდგომი მათი მჭურვალე სიყვარული. ვისი და რამინიც ბავშვობაში ერთად იზრდებოდნენ, მერე, კრიტიკული ასაკის დადგომასთან ერთად, ერთმანეთს დაშორებულნი, როგორც ტარიელი და ნესტანი, შეხვდნენ ერთმანეთს, როგორც ზემოთ იყონათქვამი, განსაკუთრებულ ვითარებაში. ამასთან, სიყვარულის გრძნობის კატასტროფული გამოვლენის შემდეგ, ვისისა და რამინის შუამავლად წარმოგვიდგება ვისის ძიძა, ტარიელსა და ნესტან-დარეჯანს შორის – ამ უკანასკნელის მოახლე, სახელგანთქმული ასმათი.

ყოველივე ეს, ჩვენი აზრით, ამ ორი რომანის ფაბულათა შემთხვე

ვითი დამთხვევა არაა და მიუთითებს იმაზე, რომ რუსთველის დიდებული ნაწარმოები „ვეფხისტყაოსანი“ ქართული ლიტერატურის განვითარების გზაზე განკერძოებით არ დგას, როგორც რაღაც ეგზოტიკური, არამედ მემკვიდრეობით კავშირშია ყველა იმ თხზულებასთან, რომელიც თვით პოემის ეპილოგშია მითითებული. როგორც ცნობილია, პოემაში მოხსენიებული ყოველი ავტორი ქებას ასწამს თავის და თავისი ეპოქის იდეალს: მოსე ზონელი – სტიქიურ ძალას და ეპიკური გმირის – ამირან დარეჯანისძის გამარჯვებას დევებზე, „ვისრამიანის“ ავტორი – რამინისა და ვისის მხურვალე სიყვარულსა და მათ განცდებს, შავთელი – მეფე დავითის შეუღარებელ სიმამაცესა და გონიერებას, მაღალ სახელმწიფოებრივ ჭკუასა და განუმეორებელ ფიზიკურ და სულიერ სრულყოფილებას თამარ მეფისას.

„ვეფხისტყაოსნის“ უკვდავი ავტორი კი თავისი გმირებით მაღალმხატვრულად განახორციელებს ყველა ამ იდეალის სინთეზს, ამავე დროს თავად მოველინება ქადაგად ცხოვრების ახალი იდეალისა და არსებობის აზრის ახალი ფილოსოფიური იდეისა, რაც მსოფლგაგების შემდგომი განვითარების გამოხატულებაა და მის პოემას ხალხურ ეპოსთან აკავშირებს. ამის ნათელსაყოფად, წარმოვადგენთ ჩვენი ხალხური ეპოსის მოკლე მიმოხილვას.

ტარიელი და ასმათთან ერთად მათთვის წართმეულ გამოქვა-ბულში დასახლდებოდა.

დევები გაწყდნენ, მაგრამ მათ მიერ კაცთა ცხოვრებაში შემოტანილი ჭირი მიეთვისა ადამიანის სულს. ადამიანმა, — მათ შორის პირველი ქალი იყო, — თანდათან აითვისა დევთა ჯადოსნური ხელოვნება და საბოლოოდ ბოროტების იარაღად იქცა. ხალხს გამოეყო მთელი კლასი ადამიანებისა, — წარმომადგენლები ჯადოქართა (მზაკვრობისა ან მეგრულად მაზაკვლობის), რომელთა მეთაური, კავკასიონის ერთი მაღალი მწვერვალის რკინის ბოძზე ჯაჭვით მიბმული როკაპი ან როპაპი, ექვს გარეშეა, — დევის მოდგმისაა, როგორც საოცრად მახინჯი ადამიანისმსგავსი იერით, ისე კანიბალური მიდრეკილებებით. მას, როცა ის ქალია, — მისი თაყვანისმცემლები მიართმევენ ადამიანის გულს. წელიწადში ერთხელ, კერძოდ 14-15 აგვისტოს შორის ღამეს, როკაპის მოთაყვანენი მიემართებიან ტაბაკონაში მდიდარი ძღვენით — იმით, რაც ძვირფასია ადამიანთათვის, მათი სიცოცხლისა და მცირეწლოვან ბავშვთა ჯანმრთელობის ჩათვლით.

აქ ისინი — როპაპის ეს მოტრფიალენი, ეზიარებიან მასთან და მიიღებენ რა შექებას საქმეთა გულმოდგინებაში თუ საყვედურს დაუდევრობაში, გათენებამდე მონაწილეობენ ღამეული შემზარავი ღრეობის ვაკხანალიაში, და განთიადისას გაუჩინარდებიან. კონკრეტულად ასე წარმოსახავს ხალხური ფანტაზია დევთა მემკვიდრეებს. პოემა „ვეფხისტყაოსანში“ კი ასეთებად უნდა მივიჩნიოთ ქაჯთა მთელი სამეფო, რომელიც ისე სრულყოფილად ფლობს დევთა ჯადოქრობას, რომ სურვილისამებრ შეუძლიათ გამოიწვიონ ძლიერი ქარი და ზღვის ღელვა, დაბინდონ დღის სინათლე და დააბრმავონ მოწინააღმდეგე.

აი, სწორედ ამ ქაჯებთან, როგორც დევებთან, იღუმალი გზით ტყვედ მოხვდა მშვენიერი მეფის ასული ნესტანი და იტანჯება, მიუდგომელ ციხე-სიმაგრეში მყოფი. აქედან მას გაათავისუფლებენ ტარიელი და მისი მეგობრები — ავთანდილი და ფრიდონი.

ხალხური ეპოსიდან თავის თხზულებაში, ცხადია, ავტორის ნებით შეტანილი ზემოთმოყვანილი ელემენტების გარდა არის სხვაიც, რაც ამ ეპოსთან „ვეფხისტყაოსნის“ ურთიერთობაზე მიუთითებს. ზემოთმოყვანილ მაგალითებში ძნელი არ იქნებოდა შეგვეჩინია, რომ ხალხური ეპოსის გმირები, რომლებიც ებრძვიან დევებს, განსაკუთრებით პირველ პერიოდში — ამირან დარეჯანისძის გამოჩენამდე, უკლებლივ მეფისწულებია; თავიანთ რაშებზე ამხედრებულნი, ისინი გამოედევნებიან დევებს და მათი ტყვეობიდან ათავისუფლებენ მეფის ასულებს. ტარიელიც ხელმწიფის შვილია და თავისი ელვის უსწარფესი შავი მერნით დაეძებს არა რომელიმე შემთხვევით მოტაცებულ მეფის ასულს, არამედ თავის მიჯნურს — ნესტან-დარეჯანს, რომელიც საიდუმლო გზით ტყვედ ჩაუვარდა ქაჯებს და ამ დევთა მემკვიდრეებთან იტანჯება. შემდგომ მისი დაახლოება ავთანდილთან — პოემაში აღწერილი გმირობის მთავარ მონაწილესთან, ატარებს ხალხური ეპოსის ნიშნების უეჭველ კვალს.

ზოგიერთ შემთხვევაში, ხალხური ეპოსის გმირი ნადირობის დროს ხვდება უცნაურ გარეულ ფრინველს, ჩვეულებრივ, ოქროსრქიან ქურციკს, რომლის ცოცხლად ჩაგდებას ცდილობს. ქურციკი მიდის სულ უფრო შორს და მეფისწული მასთან ერთად. და ბოლოს ქურციკი მეფისწულს შეხვედრის ადგილიდან შორს გაიტყუებს და თვითონ გაქრება, მეფისწული კი აღმოჩნდება დევთა ციხე-სიმაგრესთან, სადაც ტყვეობაში იტანჯება მშვენიერი მეფის ასული. დევის მოკვლის შემდეგ

მეფისწული ათავისუფლებს ქალს და სახლში დაბრუნებისთანავე ქორწინდება მასზე.

სავსებით ანალოგიური ხასიათისაა ნადირობის დროს როსტევან მეფის შეხვედრა საიდუმლოებით მოცულ ვეფხისტყაოსან რაინდთან, რომელსაც შავი მერანი უყენია მარგალიტასმული აღკაზმულობით, თავად გარემოს შეგრძნების უნარი დაჰკარგვია და ღრმა მელანქოლიით შეპყრობილი, ზის წყლის პირად და ცრემლის ნიაღვარი სდის.

როცა უცნობი ჭაბუკი ამ მდგომარეობიდან გარშემო შემოჭარული მეფის ამალის ხმაურმა გამოიყვანა, — მათ მეფესთან მისი მიყვანა ენებათ, — ჭაბუკი წამოხტა, შეისწორა აბჯარი, ცხენს შემოახტა და სხვა მხარეს გაეშურა. მათრახის მძლავრი მოქნევით დალახვრა მისი შეპყრობის მოსურნენი და ყველას თვალწინ ისე გაქრა, როგორც მიწაში დანთქმული დემონი, რადაც მიიჩნია იგი როსტევანმა. ეს უჩვეულო შეხვედრა, როგორც ცნობილია, საბაბად ექცა როსტევან მეფის დიდ მწუხარებას — მისტიკური გაწყობილება მოეძალა; აგრეთვე ტარიელ-ავთანდილის შეხვედრასაც და ქაჭეთის ტყვეობიდან ნესტანის გათავისუფლებას.

თითქმის მთელი ეს სცენა უცხო ჭაბუკთან როსტევანის შეხვედრისა და მისი შედეგები, ჩვენი აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მიერ, აღებულია „ამირანდარეჯანიანიდან“, მაგრამ გამოთქმულია რუსთაველის ბრწყინვალე ენით.

როგორც ქართული ხალხური ეპოსის ზემოთხსენებული მოკლე დახასიათებიდან დავინახეთ, ადამიანი ებრძვის ბოროტი საწყისის წარმომადგენლებს — დევებს, მაგრამ ამ ბრძოლაში ადამიანი, როგორც მატარებელი ღვთაებრივი სიმართლის — სიკეთისა, ჩართულია არა რო-

გორც უბრალო მომაკვდავი ადამიანი ბრბოთაგანი, არამედ აღბეჭ-
დილია ღვთაებრივი ნიშნით, ზეცის რჩეულია, ერთი სიტყვით, გმირია
ამ სიტყვის მაღალი გაგებით.

როგორც ჩვენ ამას შემდგომში დავინახავთ, ზუსტად ასეთივე
ხასიათისაა „ვეფხისტყაოსნის“ გმირი მამაკაცები და ქალები: ყველა
ისინი ამალღებულნი, ზეადამიანთან მიახლოებული კაცთა მოდგმის
წარმომადგენლებია, ფიზიკურ სრულყოფილებასა და სულიერ
სილამაზეს მიღწეული ქმნილებანი და, ამდენად წარმოდგენენ ხალხური
ეპოსის გმირთა ევოლუციის შემდგომ საფეხურს. ამ შემთხვევაში
ტარიელი, უეჭველია, კიდევ ინარჩუნებს ეპიკურ გმირთა მითიურობის
ზოგიერთ თვისებას და, თავისი ფიზიკური ძალის ცალმხრივი
განვითარებით, წარმოდგენს გარდამავალ საფეხურს, შემაკავშირებელ
რგოლს იმ ეპიკურსა და სავსებით რეალურ ადამიანურ გმირებს
შორის, რომელთაც მიუღწევიათ ადამიანური მოდგმის ფიზიკური და
სულიერი ძალების ისეთი მაღალი ჰარმონიული განვითარებისათვის,
როგორებადაც პოემაში გვესახებიან ავთანდილი და ნაწილობრივ
თინათინი.

ამგვარად, პოემაში ეპიკურ გმირებს ენაცვლებიან რეალური
გმირები. მაგრამ ხალხს, ერთგულს თავისა და ჩვევის — მითიური
ხასიათი მიანიჭოს კონკრეტულად გამოხატულ თავის აზრებსა და
იდევს, გადააქვს დევებთან და ურჩხულებთან მებრძოლი თავისი
საყვარელი ეპიური გმირების იდეები, მათი განმსაზღვრელი ნიშან-
თვისებანი ახალი კულტურული ეპოქის გმირებზე. კვლავ ურჩხულთან
მებრძოლ წმინდა გიორგიზე, რომელსაც ირჩევს ბოროტ ძალთაგან
თავის დამხსნელად და რომლის კულტმა ქართველთა და მის
მონათესავე ხალხების წარმოდგენაში დაჩრდილა არა მარტო ქრისტი-

ანული წმინდანები, შეიძლება ითქვას, თვით ქრისტეც.

ქართული ეპოსის მიერ ირანულიდან ნასესხები და „ვეფხისტყაოსანში“ ფილოსოფიურად განზოგადებული დუალისტური შეხედულება სამყაროზე არც ისე უცხოა თანამედროვე კულტურული კაცობრიობისათვის, როგორც ეს პირველი შეხედვით ჩანს.

შეხედულება სამყაროში ორი საწყისის ბრძოლის თაობაზე, როგორც ცნობილია, ქრისტიანული მოძღვრების საფუძველში დევს და მასში ყველაზე წამყვანი თვალსაჩინო ადგილი უკავია. მაგრამ ამ შეხედულებამ ქართულ ხალხურ ეპოსში და შემდგომ პოემა „ვეფხისტყაოსანში“ უფრო წმინდა სახით შეინარჩუნა თავისი ირანული ბუნების პირველსახე, ვიდრე ქრისტიანობაში, სადაც ორივე საწყისის (სიკეთისა და ბოროტების) შემოქმედი არის უზენაესი არსება — ღმერთი, მაშინ, როცა ირანული თვალსაზრისით და „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა წარმოდგენით, ისინი მომდინარეობენ ორი სრულიად საწინააღმდეგო, ერთიმეორის გამომრიცხავი საწყისიდან, რადგან, როგორც თინათინი ამტკიცებს, ღმერთი, კეთილის შემოქმედი, ვერ შექმნის ბოროტს.

ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა!

ამგვარად, კეთილსა და ბოროტს, როგორც უკიდურესად ანტაგონისტურთ, აქვთ დამოუკიდებელი წარმომავლობა და დასაბამიდან ებრძვიან ერთმანეთს. ცხოვრების არსის თაობაზე თვით თანამედროვე ფილოსოფიური მოძღვრებანიც პესიმიტთა, შოპენჰაუერის მეთაურობით; რეალისტთა, ევოლუციის თეორიიდან გამომდინარე; და ბოლოს, რეალისტთა აზრით, დიდი ტოლსტოის ქადაგება ბოროტისადმი არწინააღმდეგომის შესახებ გამომდინარეობს სამყაროზე ფარული დუალისტური აზრიდან. აი, ყველა ეს შეხედულება ცხოვრებაზე, ბოროტისადმი არწინააღმდეგომის სწავლების გამოკ-

ლებით, ე. ი. პესიმისტური და რეალისტური, საფუძვლად დაედო „ვეფხისტყაოსნის“ ფილოსოფიურ ნაწილს, რაზედაც საუბარი გვექნება ქვემოთ.

II

„მეფხისტყაოსნის“ გმირთა მსოფლმხედველობა

ვა, სოფელო, რას შიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა?!
ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი ადით ძირსა,
მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა!

რუსთაველი (830)

პოემის გმირთა შეხედულებით, სამყაროში იბრძვის ორი საწყისი — კეთილი და ბოროტი, რომელიც დამოუკიდებელი წარმოშობისაა, რადგან ღმერთი, კეთილის შემოქმედი, ვერ შექმნიდა ბოროტს, მისსავე უარყოფელს:

ბოროტი-მცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა!

ამიტომაც ამ ორ, უკიდურესად ანტაგონისტურ საწყისებს შორის წარმოებს მუდმივი ბრძოლა, სადაც გამარჯვებულის სასწორი ხან ერთის, ხანაც მეორის მხარეს იხრება.

მაგრამ, რამდენადაც ამ ბრძოლის შუაგულში ადამიანია, ამდენად მისი ცხოვრება ტრაგიკულია, მაგრამ არა უიმედო, რადგან თინათინის თქმით, ბედნიერება გადაჯაჭვულია უბედურებასთან, როგორც ჭურჭელი — ავდართან:

საწუთრო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხდების,

ზოგჯერ ჰზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხდების! (600)

ამგვარად ტრაგიკულია ადამიანის ცხოვრება: ყოველი არსება სამყაროში გაჩენილია ცრემლისა და ტანჯვისათვის.

ვა, სოფელმა სოფელს მყოფი ყველა დასვა ცრემლთა დენად! (595)

მაგრამ არა უქასოო, რადგან ღმერთი, მოწყალე ყოველთა, არ მიატოვებს ადამიანს მის ტრაგიკულ არსებობაში და არ გაწირავს წუთისოფლისაგან აწირულს.

მაგრა ღმერთი არ დასწირავს კაცსა შენგან ჯანაწირსა (830).

ამიტომ სჯერათ პოემის გმირებს ძლევა მოსილება სიკეთისა — მისი გამარჯვება ბოროტებაზე, —

ყოლა ჰირი არ ეგების თუცა ღზინმან არ დასძლია! (544)

და ეს რწმენა საუკუნოვანი ჰიდლის ბედნიერად დასრულებისა, კეთილისაგან ბოროტის ძლევისა მათ სიცოცხლისა და ბედნიერებისათვის დაულალავი და შეუპოვარი ბრძოლისაკენ მოუწოდებს, — რადგან შვება აქვს სოფელსა თვით რად ვინ შეუწუხდების! (600)

ამ რწმენის, ამ მოწოდების გამართლებას ემსახურება გმირების წარმატებული ქმედება; მათ მძიმე განსაცდელის გავლითა და გაუგონარი ძალისხმევით ნესტან-დარეჯანი ტყვეობიდან გაათავისუფლეს, რასაც, როგორც მოსეს დამ — მარიამმა უგალობა წითელ ზღვაზე ებრაელთა გადასვლისას, ფატმანმა — ღმრთისადმი თავის საზეიმო ლოცვით მიმართვაში, ჰიმნში:

იტყვის: *ღმერთო, გეყვარება, გ-მადლობა და დაგაიხილო*

ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია შენი გრძელი! (1273)

ამგვარია ცხოვრებაზე პოემის არაბული სამყაროს გმირთა დუალისტური თვალსაზრისი. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ბრძოლისა და ცდის გარეშე არაა ბედნიერება, იგი უნდა მოიპოვო:

მარგალიტი არ ვის მიჰხვდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად (113)
ამიტომაც ცხოვრების მთავარ პრინციპად აღიარებული აქვთ
ბედნიერებისათვის ბრძოლა:

სჯობს სიცოცხლისა გაძლება, მისთვის თავისა დადება (615).

მართალია, ტარიელის სიტყვებში ისმის სხვაგვარი, პესიმიზტური
განწყობილების ნოტა, თითქმის, შოპენჰაუერისებური:

საწუთრო ნაცვლად გვატირებს, რაც ოდენ გავვიცინია,
ძველი წესია სოფლისა, არ ახლად მოსასმენია (798).

მაგრამ, ტარიელის რწმენით, ცხოვრება არამართო ტრაგიკულია,
არამედ მუხთალიც: შეიტყუებს ადამიანს, მასზე მინდობილს თავისი
მატერიალური ხასიათის საცდუნებელით, უმზადებს მას მოლაღატურ
დარტყმასა და უდიდეს სატანჯველს.—

მიმნდობნი საწუთროსანი მისთა ნივთთაგან რჩებიან,

იშვებენ, მაგრა უმუხთლოდ ბოლოდ ვერ მოურჩებიან! (267)

ამიტომაც ის ქედს იხრის ბრძენთა გონების წინაშე, რომლებიც
უარყოფენ საწუთროს, ეურჩებიან ცხოვრებას, —

ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებიან! (267)

ბოლოსდაბოლოს, როცა თავადაც დარწმუნდება თავისი
ტრაგიკული მდგომარეობის გამოუვალობაში, ტარიელი იქცევა
იგვარადვე — მისდამი ზეცის უსამართლობისათვის, პროტესტის ნიშნად,
გაეცლება სოფელს, ადამიანებს და ადამიანურ ცხოვრებას და,
ავთანდილის სიტყვებით, ცხოვრობს მხეცთა შორის, ცრემლით ნამავს
მინდორს:

საწუთრო და სოფელს ყოფა კაცი უჩნსო, ვით ნადირსა,
ოდეს ხელი მხეცთა თანა იარების მინდორს, ტირსა. (595)

მაგრამ სხვა ბანაკის გმირები, რომელთაც ცხოვრების პრინციპად აღიარებული აქვთ მისთვის ბრძოლა, ეკამათებიან მას: მართალია, ცხოვრება ტრაგიკულია, მკაცრი, ნაკლულოვანი და შურისმგებელი, მაგრამ არა უიმედო, რადგან იმედის ღმერთი დიდია და მოწყალე.

ნუ გეშის, ღმერთი უხვია, თუცა სოფელი ძვირია (810).

ამიტომ, ამბობენ ისინი, საჭიროა არა გარიდება ცხოვრებისაგან, სამყაროსაგან, არამედ სრული სულიერი წონასწორობა და მოთმინება, ბრძოლა და ამ ბრძოლაში შეუღრეკლობა და სიმტკიცე კლდისა:

ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა ვით ქვითტკირსა! (757)

რადგან მამაცის თვისება ჭირსა და უბედურებაში სიმტკიცე და მოთმინებაა.

წესი არის მამაცთაგან მოჭირვება, ჭირთა თმენა (680)

თუ ცხოვრება ტრაგიკულია, მკაცრი და ვერაგულად გვიხდის სამაგიეროს ყველა ჩვენი მაცდუნებელი ბედნიერებისა და სიხარულისათვის და ეს ასე მოდის საუკუნეთა სიღრმიდან, ძველია იგი, როგორც თვით სამყარო, —

ესე წესია სოფლისა, არ ახლად მოსასმინია (798)

ეს ნიშნავს, რომ ასეთია წუთისოფლის წესი, ცხოვრების არსი; შესაბამისად, აქ არაფერია გაუგონარი, უმაგალითო და არ ეგების მღურვა ცხოვრებისა და ბედის:

რად ემღურვი საწუთროსა, რა უქნია უარაკო? (760)

თუ ეს ასეა, მაშინ მითხარო, — ეუბნება ავთანდილი ტარიელს, — როგორ ვუშველით მწუხარებასა და უბედურებას, თუ არ აღვუდგებით ბედის უკულმართობას სიმტკიცითა და დაუცხრომელი მოთმინებით?

არ დავთმობთ, რა ვქნათ, სევდასა, მითხარ რა მოუგვაროთა? (615)

ამასთან, ისეთი მოთმინებით, რომელიც გამომდინარეობს არა პასიუ-

რობისაგან, არამედ სიბრძნის წყაროსაგან, ე. ი. ცხოვრების აზრისა და ფაქტების ძალის შეცნობისაგან,

... დათმობა ჰგვანდეს სიბრძნისა წყაროსათა (615)

ამიტომ ჭირსა და უბედობაში გვმართებს არა მოღუნება და მერყეობა, არამედ თამამი და მამაცური შეხვედრა ცხოვრების ყოველგვარ სიძნელესთან, როგორც ეს შეშვინის ვაჟეაცს, და ქედმოუხრელობა ამ ბრძოლაში:

ხამს თუ კაცი არ შეუღრკეს, ჭირს მიუხდეს მამაცურად (105)

წესი არის მამაცთაგან მოჭირვება, ჭირთა თმენა (680)

ან სხვა რაა სიმამაცე, თუ არ სიმტკიცე განსაცდელში? როგორ შეიძლება ამაში დაეჭვება ან დავა ამაზე:

ნეტარ, მამაცი სხვა რაა, არ გაძლოს, რაცა ჭირია,

ჭირსა გადრეკა რად უნდა, რა სასაუბრო ჭირია (810)

და ბოლოს, თუ ჩვენ განგებისაგან გვსურს მივიღოთ ბედნიერება და სიხარული, უნდა კიდევ ვიყოთ მტკიცენი, როცა უბედურებას მოგვივლენს ზენაარი:

თუ ლხინი გვინდა ღვთისაგან, ჭირნიცა შევიწყნაროთა (615).

ამიტომაც ამაოა ცრემლი და ჭმუნვა, რის მაქნისია? გამკვირვებია, – ამბობს ავთანდილი, – ბრძენი კაცის ცრემლის:

კვლა იტყვის: მიკვირს ნაღველი კაცისა ჭკუიანისა,

რა მჭმუნვარებდეს, რას არგებს ნაკადი ცრემლთა ბანისა (745)

ამაოა ცოდნა, თუ არ მიჰყევი ბრძენთა შეგონებას, ურგებია სიმდიდრე, თუ იგი დევს დაფარულად და არ მოიხმარ, –

არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა არ იხმარებ, რა ხელსა ჰხდი საუნჯესა დაფარულსა? (782).

თუ შენ ბრძენი ხარ, – ეუბნებიან ტარიელს არაბთა საწყაროს

გმირები, — შეისმინე, რა რჩევას გვაძლევენ ბრძენნი:

თუ ბრძენი ხარ, ყოვლი ბრძენნი აპირებენ ამა პირსა,
ხამს მამაცი მამაცური, სჯობს, რაზომცა ნელად ტირსა.

ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვეთკირსა,
თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა (757)

ისინი ამბობენ: სჯობს, როცა მამაკაცი ჩუმად და ნელა სტირის
თავის უბედურებაზე, ამჟღავნებს კლდის სიმტკიცეს, რამდენადაც
ცხოვრების თავისივე ცნობისაგან ვარდება კაცი გასაჭირში. შემდეგ
ისინი ეუბნებიან ტარიელს: განა არ იცი, რომ უშრომელად და
ძალისხმევის გარეშე ბედნიერება არ ეძლევა არავის:

მარგალიტი არვის მიჰხვდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად (113).
რომ ვარდი უეკლოდ არ არსებობს?

ვარდი უეკლოდ არავის მოუკრებიან (758)

ვარდსა ჰკითხეს: ვინ შეგქმნა შენ ტანით და სახით ასეთი
მომხიბლავი, მაგრამ რად აღჭურვილხარ შენ ეკლებით და შენი
მიწვდენა ასე რად ჭირს:

ვარდსა ჰკითხეს: ეგზომ ტურფა რამან შეგქმნა ტანად, პირად?

მიკვირს, რად ხარ ეკლიანი, პოვნა შენი რად არს ჭირად? (759)

სიტკბოს სიმწრის გავლით მიაღწევ, — უპასუხებს იგი, — რადგან
მით უკეთესია, რაც უფრო ძვირფასია:

მან თქვა: ტკბილსა მწარით ჰპოვებ სჯობს იქმნების რაცა ძვირად(759)

რადგან, როცა ტურფა გაიაფდება, ჩვეულებრივი და ყველასათვის
მისაწვდომი ხდება, კარგავს თავის ფასს, თავის ღირსებას:

ოდეს ტურფა გაიაფდეს, აღარა ღირს არცა ჩირად

თუ უსულო და უსხეულო ვარდი ამას ამბობს, ვინლა მოიპოვებს
ბედნიერებასა და სიხარულს უშრომელად, უტანჯველად?

რადგან ვარდი ამას იტყვის უსულო და უსააკო,
მაშა ლხინსა ვინ მოიმკის, პირველ ჭირთა უმუშაკო. (760)

II

თუმცა არაბთა სამყაროს გმირებმა, რომლებმაც არსებობის პრინციპად ბედნიერებისათვის ბრძოლა აღიარეს და ცხოვრების ტრაგიზმი დაჩრდილეს ღმერთის სასოებით, რწმენით ბოროტებაზე სიკეთის ძლევისა და ამით გამოკვეთეს დამოკიდებულება ადამიანისა ღმერთთან და ღმრთისა ადამიანთან, არ დაკმაყოფილდნენ ამით სრულად და წავიდნენ უფრო შორს, რაც მათი მხრივ, იყო სავსებით ლოგიკური. სინამდვილეში, როგორც ეს წმინდა წერილში წერია, თუ ერთი თმის ღერიც არ ჩამოუვარდება ადამიანს ღვთის ნების გარეშე, მაშინ ადამიანის მთელი ცხოვრება, მისი ბედი სიცოხლესა და სიკვდილს შორის მის ერთ თმის ღერს არ აღემატება? აქედან ერთი ნაბიჯი აკლდა ფატალიზმამდე მისვლას და ეს ნაბიჯი მათ გადადგეს. მოსალოდნელი იყო, რომ ასეთ დასკვნამდე მისული პოემის გმირები დარჩებოდნენ თავისი ტრაგიკული არსებობიდან გადარჩენის პასიურ მომლოდნელებად, როგორც ეგვიპტის ტყვეობიდან გამოსული ებრაელები,

მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

ამის ნაცვლად მათ, რუსული ანდაზის თანახმად: „ღმერთს მიენდე, მაგრამ თვით ნუ დაუდევრობ“, ცხოვრების ძირითად პრინციპად აღიარეს ბრძოლა და, ღმერთის იმედით, საკუთარ ძალებზე დაყრდნობით, გამარჯვების რწმენით თამამად და მტკიცედ შეხვდნენ ბედის ყველა უკუღმართობას.

ამასთან სიცოცხლისათვის ბრძოლის ამ პრინციპმა მათგან მოითხოვა მთელი ფიზიკური და სულიერი ძალების დაძაბვა, წარმოშვა ადამიანის სულისა და ხორცის ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარების აუცილებლობის შეგნება, ხოლო რწმენამ ბედის წინასწარგანსაზღვრულობის შესახებ, როგორც ეს ავთანდილის სიტყვებიდან ჩანს, შთააგონა ისინი შეუპოვარ მამაცობაზე:

უგანგებოდ ვერას მიზმენ, შეცამებნეს ხმელთა სპანი,
განგებაა, არ დავრჩები, ლახვარნია ჩემთვის მზანი,
ვერ მიხსნიან ვერ ციხენი, ვერ მოყვასნი, ვერცა ძმანი,
ვინცა იცის ესე ასრე, ჩემებრვეა გულოვანი (906).

ამგვარად, ორივე მდგომარეობა: სიცოცხლისათვის ბრძოლის პრინციპი და სავსებით გარკვეული დამოკიდებულება ადამიანისა ღმერთთან და ღმრთისა ადამიანთან პოემის გმირებს ცხოვრებისეულ ბრძოლაში უძლეველ იარაღად და გამარჯვების საშუალებად გამოაღდა.

ამგვარია „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა მსოფლმხედველობა, მაგრამ გაუგებარი იქნებოდა, რომ არ შეგავსოთ იგი შეხედულებით თვით ცხოვრების არსზე, რომელიც გამოთქმულია მშვენიერ სიმბოლურ ფორმაში არაბთა სამყაროს პირველი წარმომადგენლის – სამეფო ტახტზე ამ ფილოსოფოსისა და პოეტის – როსტევან მეფის მიერ. მეფე როსტევანი ფიქრობს, რომ ცალკეულ ინდივიდში სიცოცხლის გამოვლინება მსგავსია უმაღლესი სილამაზისა და ფართოდ გაშლილი ვარდის და ეს სილამაზე – სიცოცხლე, მუდმივ განახლებადი თაობათა შეცვლითა და სიკვდილით, მუდმივ სინორჩეს ინარჩუნებს.

ცხოვრების ეს მარადიული, თაობათა ცვლით, სიკვდილით მისი განახლების კანონი მეფე როსტევანმა გამოხატა სიმბოლურად, თავისი სისადავით მშვენიერ სტროფში:

რა ვარდმან მისი ყვაველი გაახმოს, დაამჟღავნოსა,
იგი წავა და სხვა მოვა ტურთასა საბაღნაროსა. (4)

როცა მშვენიერ ბაღში ჰქნება ვარდი, იგი ადგილს უთმობს მეორეს.

მეფე როსტევეანი სამყაროს მშვენიერ ბაღნარს ადარებს, სადაც ცალკეული ინდივიდები და მთელი თაობებია, რომლებიც უმაღლესი სილამაზით — სიცოცხლით მოველნიებიან ამ ქვეყანას, ვარდის მზავსად, ასრულებენ თავისი განვითარების ციკლს და უმაღლესი ბრწყინვალეების მიღწევის შემდეგ იწყებენ დაქვეითებას, ჰქნებიან და განმობისას ადგილს უთმობენ სხვებს. ასე მიმდინარეობს მარადიული შენაცვლება ერთი თაობისა მეორით და ცხოვრების განახლება სიკვდილის მეშვეობით.

ამგვარია როსტევეან მეფის ფილოსოფიური თვალთახედვა ცხოვრებაზე, რომლის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს არა მარტო რწმენა სიკვდილის გარდუვალობისა, არამედ მისი აუცილებლობაც თვით ცხოვრების ინტერესებისათვის. ეს ვითარება იძლევა საშუალებას სიკვდილის მოახლოებას შევხედოთ ამალღებულ გონებით, ცრურწმენული შიშის გარეშე, როგორც ამას აკეთებს მეფე როსტევეანი, უცხადებს რა სახელმწიფო სათათბიროზე შეკრებილ თავის ვეზირებს გადაწყვეტილებას — გადასცეს სამეფო ტახტი მის შემცვლელად მოსულ თავის ასულს:

მე გარდავსულვარ, სიბერე მჭირს, ჰირთა უფრო ძნელია, —
დღეს — არა, ხვალე მოვკვდები, სოფელი ასრე მქმნელია,
რალა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია! (5)

მე დავასრულე ჩემი ახალგაზრდობა და შეპყრობილი ვარ ჰირთაგან უმძიმესით — სიბერით: დღეს არა, ხვალ მოვკვდები, ასეთია ამქვეყნის წესი, და ბოლოს, რალა ის სიცოცხლე, რომელიც ჩრდილსაც მოიცავს.

III

ქმუნვარებს მეფე ფარსადანი იმის გამო, რომ არ ჰყავს მემკვიდრე და თავისი საყვარელი ასულის — ნესტან-დარეჯანისათვის სასიძოს ქვეყნის გარეთ ეძებს, რომ შვილის ხელთან ერთად გადასცეს მას ტანტი, უზრუნველყოს თავისი ხალხის უშიშროება და ქვეყანა მტრის ხმლისაგან მოსპობას გადაარჩინოს:

არ ამოვსწყდეთ, მტერთა ჩვენთა ხრმალი ჩვენთვის არ ვამახოთ.
(420)

ქმუნვარებს ამავე მიზეზით როსტევეანიც, მაგრამ მისი მწუხარების მიზეზი სხვა ხასიათისაა. მან კარგად იცის, რომ მის ასულს — თინათინს, მისი მალალი სახელმწიფოებრივი გონებითა და ამაღლებული ზნეობით, სავსებით ძალუძს შეცვალოს იგი ტახტზე და განდეს ბრძენი მმართველი, მაგრამ მას, როგორც ქალს, არ ძალუძს ფლობა მებრძოლი ვაჟყაცის ყველა სიქველის; იგი მწუხარებს იმის გამო, რომ მთელ მის ვრცელ სამეფოში არავინაა, ვინც მისგან სამამაცო ზნენი იანდერძა.

სამეფო კარის ზეიმზე, რომელიც მისი ქალიშვილის — თინათინის გამეფების გამო გაიმართა, იგი ეუბნება თავის წინ სასმისით ხელში მუხლმოყრით მდგარ ჰკვიან ვეზირს — სოგრატს: სხვა რამ კი არა, ვეზირო, არამედ მე ის მაღარდებს, რომ ჩემი ახალგაზრდობის წლები მიილია და, სიბერეში გადამდგარს, მთელს სამეფოში კაცი არ მეგულება, რომელსაც ჩემი სამხედრო სიქველე ემემკვიდრა:

ეგე არ მიძიმს, ვეზირო, ესეა რომე მწყენია:

სიბერე მახლავს, დავლიენ სიყმაწვილისა დღენია,

კაცი არ არის, სითვანცა საბრძანებელი ზენია,
რომე მას ჩემგან ესწავლნეს სამამაცონი ზენია. (28)

აქედან ჩანს, რომ როსტევეან მეფეს ადარდებს სამეფოში თავისი იდეალების შესაფერისი მებრძოლი მამაკაცის უყოლობა, ამიტომაც უზომოა მისი სიხარული, როცა თავისი იდეალის განხორციელებას იგი მის მიერ გაზრდილ ავთანდილში შეიცნობს; ამ აღმოჩენით გახარებული, მხიარული და მომღიმარი აცხადებს, რომ დარღმა დატოვა მისი გული:

სიცილით ლალობს, მიეცა გულით ამოსვლა დარღისა (45).

ამ წუთიდან ავთანდილი მისთვის უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ საყვარელი აღზრდილი. მეფისათვის იგი სულიერ ძედ იქცა. მეფის ცნობილ მოთქმაში, რომელიც ტარიელის დასახმარებლად სახიფათო გზაზე ავთანდილის გაპარვასთან დაკავშირებით ითქვა, ჩანს, რომ როსტევეანი ავთანდილში თავისი უკანასკნელი ნების განმახორციელებელს ხედავს:

მაგრა თუ მოვკვდე, გაზრდილო, ვისგანლა დავიტირები? (708).

მაგრამ თუ შენს არყოფნაში მოვკვდი, ვინლა დამიტიროს!

მეტიც: მეფე ხედავს მასში მემკვიდრეს, რადგან მოთქმის დროს მის დარღიან გულს აღმოხდება:

აწ უშენოდ რა გლახ უყო საჯდომსა და სრასა სრულსა (707).

რად მინდა უშენოდ ტახტი და სასახლის მშვენიერება!, ამასთან, გულის სიღრმეში ელოლიავება აზრს თავისი საყვარელი ქალიშვილის ავთანდილთან დაქორწინებაზე და როდესაც ეს ფარული ოცნება ტარიელის ჩარევით ასრულდება, როსტევეანი ღმრთის მიმართ ლოცვას აღავლენს:

ღია, ღმერთო, წინაშე ვარ, ესე ჩემგან დადასტურდა (1361).

ო, ღმერთო, შენს წინაშე ვარ, რომ ეს საქმე აღსრულდა.

როსტევეანი დიდ კმაყოფილებას განიცდის ავთანდილისა და თინათინის ქორწინებაზე დათანხმებით და აქვე თუ საყვარელი ასულის მისამართით ამბობს, ავთანდილის მსგავსს ვერ იპოვი, ცასაც რომ მისწვდე და ვარსკვლავები ჩამოზიდოო:

სხვა მისებრი ვერა პოვოს, ცათამდისცა აღცაფრინდეს (1359)
ადვილი მისახვედრია, რამდენად მაღალი აზრისაა როსტევეანი ავთანდილზე.

მთელი თავისი გარეგნული ბრწყინვალეობისა და მაღალი სულიერი ღირსებების მიუხედავად, თინათინი, როგორც ქალი, მოკლებულია მებრძოლი მამაკაცის სიქველეს, არ შეეფერება მეფის იდეალს. მას, ჩანს, არ აკმაყოფილებს ტარიელიც, რომელიც მიუხედავად მთელი თავისი ფიზიკური სრულყოფილებისა, ლამაზი გარეგნობისა, ღონისა და ღომებრი შემართებისა, მოკლებულია შესაბამის სულიერ ძალას, არის უმწეო, როგორც ბაღლი თავის ტრაგიკულ მდგომარეობაში, საიდანაც ახლა მას ავთანდილი იხსნის, როგორც ადრე ორგზის იხსნეს ? ამ შეპირისპირებიდან ჩანს, რომ როსტევეან მეფის იდეალს წარმოადგენს მებრძოლი მამაკაცი, ფიზიკური და სულიერი ძალების ჰარმონიული განვითარებით, როგორადაც მას ავთანდილი მიაჩნია, როგორიც ის სინამდვილეშიც არის.

(გამოტოვებულია)

IV

ამაყი დევიზია პომის გმირთა ალამზე, რომელთაც პრინციპად სიცოცხლისათვის ბრძოლა აუღიათ:

სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი! (684).
შერცხვენილ სიცოცხლეზე უმჯობესი არის სახელოვანი სიკვდილი, მაგრამ ჩვენი გმირების ალამზე აღბეჭდილი ეს სიტყვები კეთილშობილური გრძნობების ამოხეთქვა ან ფუჭი თავმოწონების შესანიღბავი ლამაზი აზრი კი არაა, გმირთა მსოფლმხედველობიდან გამომდინარე ცხოვრების მათეული გაგების გამეღვაწებაა, რასაც ისინი ათვალსაჩინოებენ ყოველ ნაბიჯზე და რომლითაც ხელმძღვანელობენ ცხოვრებაში.

ავთანდილი ამტკიცებს, რომ ადამიანები არ არიან ტოლნი, რადგან დიდია მანძილი მათ შორის:

კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძევს კაცით კაცამდის (830).

(გამოტოვებულია)

თუ ფარსადან მეფის სამეფოში, ტარიელისა და ნესტანის სახით, ჭარბობს კულტი გარეგნული სილამაზის, ზეადამიანურ საზღვრამდე მიყვანილი ფიზიკური ძალის, ლომისებრი შემართების, როსტევან არაბთა მეფის სამყაროში, ავთანდილისა და თინათინის სახით, ამას ემატება სულიერ ძალთა კულტიც. ამგვარად, აქ, როსტევანის სამეფოში, ადამიანური ბუნების ორივე მხარე — ფიზიკური და სულიერი — ცხოვრებისეულ ჭიდილში ერთნაირად აუცილებელ და თანაბარ ღირებულებად ცხადდება, ე. ი. აღიარებულია ადამიანის ინდივიდუალური ღირსების საზომი.

თუმცა ავთანდილი დარწმუნებულია, რომ ადამიანები ერთურთის სწორნი არ არიან, მან ასევე კარგად იცის, რომ

არსებობს სიკვდილი, რომელიც თავისი ძლევამოსილი მსველელობის გზაზე არ ცნობს დაბრკოლებას, ბოლოსდაბოლოს აერთებს ყველას: დიდთა და მცირეთ, ძლიერთ და სუსტთ, ნორჩებსა და ხანდაზმულთ, შლის მათ შორის ყოველგვარ უთანასწორობას, ანიველირებს მათ:

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი,
მისგან ყოველი გასწორდეს სუსტი და ძალ გულოვანი,
ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი,
სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი! (684)

ავთანდილის რწმენით, ადამიანში არის რალაც, რაც არ ექვემდებარება მოსპობას და სიკვდილთან გათანაბრებას, — ეს დიდებაა, ადამიანის მიერ ცხოვრებაში შეძენილი, ამიტომ იგი ამტკიცებს, რომ დიდების მოხვეჭა ცხოვრებაში სხვა შენაძენთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია:

სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა! (683)

ამგვარ გმირულ თვალსაზრისზე მდგარ ავთანდილს აღარ შეუძლია მოეპყრას ადამიანს, რომელიც ებლაუჭება თავის შესაბრალის არსებობას, სხვაგვარად, ვიდრე ზიზლითა და სიძულვილით და რასაც ასრულებს კიდევ:

რა უარეა მამაცსა, ომშიგან პირის მღმეჭელსა,
შემდრკალსა, შეშინებულსა და სიკვდილისა მეჭველსა!
კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა, ქსლისა მბეჭველსა?
სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა! (683)

რათა უარესი ომში შეშინებულსა და შეძრულ მამაკაცზე, რომელსაც სიკვდილის მოლოდინში სახე დაეღმიჭა და რით სჯობია იგი მშიშარა და სულმოკლე ქალს, სელის მქსოველს. დიდების მოხვეჭა ყველაზე დიდი შენაძენია ცხოვრებაში.

გმირული ცხოვრებისაკენ ეს მოწოდება ჰაერში უკვალოდ

გაფანტული ლამაზი სიტყვები, არამედ ღრმად შეიჭრა ქართველი კაცის გულში და სამუდამოდ ჩაიბეჭდა მასში, ჩანს იქიდან, რომ იგი შეიდასი წლის შემდეგაც კვლავ გაისმა ბრძოლის ველზე როგორც მოწოდება თანამემამულეებისადმი მეცხრამეტე საუკუნის ერთი უნიჭიერესი ქართველი პოეტის — თავად გრიგოლ ორბელიანის ლექსში „სადღეგრძელო“:

ვითარც ცეცხლი მარტოდა სჩანს ველსა ზედა შთობილი,
რომლისა კვამლი ჰაერში ქარის შებერვით არს მქრალი,
ეგრედ იქნების აღხოცილ არ სოფლით მისი სახელი,
გზა ცხოვრებისა ვინც განვლო და არ აღბეჭდა ნავალი.

როგორც მინდორში ქარით გაფანტული ცეცხლის ნაყოფი, ისე ქრება სახელი მისი, ვინც გაივლის ცხოვრებას და მასზე კვალს არ დატოვებს.

ცხადია, გმირული ცხოვრებისაკენ მოწოდება ქართველი ხალხის პოლიტიკური ყოფის ვითარებისამებრ ხან ძალუმად ეხმიანებოდა გულს, ხან სუსტდებოდა და ჩაკვდებოდა, მაგრამ არასდროს არ ქრებოდა, რადგან მისი დაუშრეტელი წყაროდან მიღებული შთაგონება, ზნეობრივი ძალა და გმირული განწყობილება განუწყვეტლივ მოქმედებს სულზე.

(გამოტოვებულია)

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ძალიან მწიარ ცნობას გვაძლევს პოემის მესამე გმირის — ფრიდონის პიროვნების შესახებ. ცნობილია ის, რომ იგი დამოუკიდებელი ფეოდალია, რალაც მნიშვნელობის მქონე თავადის ან პატარა მეფის მსგავსი, რომლის ზღვის პირად მდებარე სამფლობელო თუმცა მცირეა, მაგრამ როგორც ამას თვითონ ამტკიცებს,

შეუღარებელი:

ცოტა მაქვს, მაგრამ ყოველგან სიკეთე მიუწვდომელი (507).

ეს უშიშარი და დაუყვედრებელი რაინდი, რომელსაც ცხოვრებაში არ შეხვედრია სანაღვლო და საწუხარი, ტარიელისა და ავთანდილისაგან განსხვავებით, ყოველგვარი ღრმა განცდების გარეშე, ცხოვრობს აუღელვებლად სრულ სიმშვიდესა და სულიერ წონასწორობაში, სარგებლობს ყოველგვარი პირობებით: თავის ღროს ატარებს ნადირობასა და სიამოვნებაში. ასე რომ, მასზე თამამად შეიძლება გავრცელდეს ტარიელის მამის — მეფე სარიდანის შესახებ ავტორის მიერ ნათქვამი სიტყვები:

ნადირობდის და იშვებდის საწუთრო-გაუმწარავი (237),
ე.ი. არ იცოდა საწუხარი და სანაღვლო, ღროს ატარებდა ნადირობასა და სიამოვნებაში.

თუ ხანდახან კიდევ გამოჩნდება მუქი ღრუბელი მისი მშვიდი ცის კაბადონზე — ეს ქართველი ხალხის ცხოვრების ფეოდალური ხანისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა — სადავო სასაზღვრო მიწებისათვის სისხლიანი შეტაკებები ახლო ნათესავენს შორის. აი, ეს სიბარიტი, რომელსაც არ განუცდია შიში და ღელვა, არ სცოდნია დაეკვება და გულის გატეხა ცხოვრებაზე, უარს ამბობს მთელ ამ პატივზე: ტოვებს თავის სახელმწიფოს ღვთის ანაბარა და, თვით სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით, მიდის უზომოდ სახიფათო საქმეზე, — ეხმარება ტარიელს უსაშიშროეს მტერთან — ქაჭებთან ბრძოლაში.

ზუსტად ასევე იქცევა ავთანდილიც — ეს ბრწყინვალე ახალგაზრდა გმირი, რომელმაც ახლახან წარმატებით გადაჭრა თინათინის მიერ მასზე დაკისრებული ამოცანა ტარიელის პოვნისა და ახლა თავისი დიდებისა და ბედნიერების მწვერვალზეა. ავთანდილი უარს ამბობს პირად ბედნიერებასა და სიხარულზე — ახლოს

დარჩეს მისთვის სათაყვანებელ თინათინთან, რომელმაც მას გული გადაუშალა, არღვევს წმიდათაწმიდა მოვალეობას უზომოდ საყვარელი მეფე როსტევეანის წინაშე, რომელსაც იგი შვილივით უყვარს; უგულვებელყოფს მეფის რისხვას და მისი ნების წინააღმდეგ ტოვებს სამსახურსა და მის მალმერთებელ ჯარს, რომლის მთავარსარდლადაც იგი იწოდება: ბედის ანაბარა ტოვებს როსტევეანის სამეფოს, თავის სამფლობელოს და განუმზადებს თავს ათასგვარ სიძნელეს, მარტოდ მოხეტიალის გასაჭირს; თვით სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით, ისწრაფვის დაეხმაროს ტარიელს, რომ გადააჩინოს ეს შეუღარებელი გმირი.

ყოველივე ეს, როგორც შემდეგში ირკვევა, ხდება არა ავთანდილის თავქარიანობით, ან ტარიელის მოჭიბლავი ბუნებისადმი მისი წუთიერი გატაცებით, არამედ იმის სრული შეგნებით, თუ რა მსხვერპლს იღებს იგი. ეს ჩანს ასმათთან მის საუბარში, როცა იგი ხელმეორედ დაბრუნდება ტარიელის გამოქვამულში:

ბროლ-სადაფნი მარგალიტა ლალის ფერსა სცვენ და ჰბურვენ,
მას მოვშორდი, ვერ ვიახლე, ვერ ვისურვენ, ვერ ვასურვენ,
გამოპარვით წამოსვლითა ღმრთისა სწორნი მოვიმღურვენ,
ნაცვლად მათთა წყალობათა, გულნი მათნი შევაურვენ. (738)

ასე აფასებს ავთანდილი იმ უზარმაზარ მსხვერპლს, რომელიც მან უყოყმანოდ გაიღო ტარიელისათვის. ახლა ვკითხოთ საკუთარ თავს: რა აიძულებს ავთანდილს და ფრიდონს – ამ ორ ცნოვრების ნებიერს, ყველაფერი გაიღონ, რაც ძვირფასია მათთვის და საფრთხეში ჩაიგდონ საკუთარი სიცოცხლე? ვეცდებით პასუხი გავცეთ ამ კითხვას:

ტარიელის თქმით, ღამით ზღვის ნაპირით მგზავრობისას გამოჩნდა რალაც მშვენიერი ბალივით, რომელიც ქალაქს მოგაგონებდათ, მაგრამ მიახლოებულმა, დანგრეული კლდის ნატეხები შეიცნო. აქ ის შეჩერდა და ვიდრე მისი თანმზლებნი საქმელს შეექცეოდნენ, ხის ქვეშ წამოწვა დასასვენებლად. მალე მას გაეღვიძა დარდისაგან, რომელიც მძიმე ლოდად აწვა მის გულს. ამ დროს მას შემოესმა ყვირილი. მიიხედა იმ მხარეს, საიდანაც ხმა შემოესმა და დაინახა მერანზე ქარივით მიმქროლავი გასისხლიანებული მხედარი, ხელში გადატეხილი ხმლით, აგინებდა და ემუქრებოდა მტერს. ტარიელმა მიუგზავნა კაცები, რომ გაეგოთ მისი ამბავი, მაგრამ მან არავითარი ყურადღება არ მიაქცია მისულებს და ჩაიქროლა. მაშინ ტარიელმა ცხენით თვითონ გადაუჭრა გზა და დაღმართში დაწინაურებულმა, უთხრა: შეჩერდი, მომისმინე, შენი ამბავი მაინტერესებსო. მან, — ყვება ტარიელი, — მოთოკა ცხენი, შემომხედა და შეჩერდა, რადგან მოვეწონეო:

შემომხედა, მოვეწონე, სიარული დაითმინა (502).

თუ ტარიელი, როგორც თავად ყვება, გაკვირვებული იყო მისი მოხდენილობითა და სიტუაფით, ფრიდონი განცვიფრებული დარჩა ტარიელის ვაჟკაცური სილამაზით და დაივიწყა რისხვა, კრილობები და მიმართა მას შემდეგი სიტყვებით:

პირველ მითხრა: არა ვიცი, რა ხარ, ანუ რას გამსგავსო?

ანუ ეგრე რამ დაგლია, ანუ პირველ ვინ გაგავსო?

რამან შეგქმნა მოყვითალოდ, ვარდ-გიშერი რომე ჰრგავსო

ღმერთმან მისგან ანთებული სანთელი-მცა რად დაგავსო? (506).

ამგვარად, განრისხებულ და გაბოროტებულ კაცს, რომელსაც სისხლი და შურისძიება სწყუროდა, ტარიელის დანახვისთანავე გული

მოუღბა და დაწყნარდა.

ასეთ გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენდა ტარიელის შეუღარებელი სილამაზე ერთბაშად, მსგავსად მშვენიერი მუსიკისა, რომელმაც დააცხრო აღშფოთებითა და რისხვით ანთებული ფრიდონის გული, ასეთივე გამოუთქმელია შთაბეჭდილება, რომელსაც ტარიელი ახდენს ავთანდილზე გამოქვაბულში მათი პირველი შეხვედრის დროს.

ეს შთაბეჭდილება იმდენად დიდი იყო, გმირთა გარეგნული სილამაზის ურთიერთმიზიდვის ძალა იმდენად ძლიერი, რომ, უცნობობის მიუხედავად, ელვარე სიხარულითა და თრთოლვით გაიწიეს ერთმანეთის მოსახვევად და გადაკდობილებმა, იტირეს:

მათ აკოცეს ერთმანერთსა, უცხოობით არ დაჰკრიდეს,
ვარდსა ხლეჩდეს, ბაგეთაგან კბილნი თეთრნი გამოსჰვირდეს,
ყელი ყელსა გადააჰდეს, ერთმანერთსა აუტირდეს!

ქარვად შექმნნეს იაგუნდნი მათნი, თუცა ლალად ღირდეს! (212).

მომაჯადოებლად მოქმედებს ავთანდილისა და ფრიდონის ელვარე სილამაზე ნადირობის დროს მათ შეხვედრაზე.

როცა ცხენზე მჯდომი ფრიდონი ქედის სიმაღლიდან თვალს ადევნებდა ნადირობის მსვლელობას, ამბავი მოუტანა კაცმა, — რომელიც მიიგან გაგზავნილი იყო, შეეტყო, რატომ მოშალეს წრე და შეგზუფდნენ მონადირენი. კაცმა თქვა, რომ ნახა მზის ბრწყინვალეობა, რომელსაც შეუძლია თავისი სილამაზით ბრძენის მოხიბლვა, ტარიელის ძმადნაფიცად ასახელებსო თავს. ამის გაგონებაზე ფრიდონი დაეშვა ქედიდან და გაემართა უცნობისაკენ, რომლის დანახვაზე აღმოხდა:

ვინ არის ეს, თუ არ მზე! როცა ისინი მიუახლოვდნენ ერთმანეთს, დაქვეითდნენ და მიუხედავად იმისა, რომ არ იცნობდნენ, გადაფოვივნენ

ერთმანეთს და აკოცეს, რადგან უზომოდ მოეწონენ ერთმანეთს:

მოხევივნეს ერთმან-ერთსა, უცხოობით არ დაჰრიდონ,

თვით უსახოდ ფრიდონს ყმა და მოეწონა ყმასა ფრიდონ. (850).

ასე ღრმად განიცდიან და ეთაყვანებიან სილამაზეს პოემის გმირები. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მშვენიერების ეს მთრთოლვარე განცდა — მუხლმოდრეკა მის წინაშე — დამახასიათებელია მარტოდენ მათთვის, როგორც განსაკუთრებულად მაღალი ბუნების ადამიანთათვის, როგორც თავისი ხალხის კულტურის მაღალი წარმომადგენლებისათვის, მაგრამ ეს ასე როდია: სილამაზის ასე მთრთოლვარე განცდა ნიშანდობლივია მთელი ხალხისათვის, რომლის წიაღიდან გამოსულია პოემის გმირები.

საკამრისია მხოლოდ მოვიგონოთ ის შეკრთომა, რომელსაც ეს გმირები იწვევენ ხალხში, როცა მათ შორის გამოჩნდებიან, ან მათი მომწესხველი მოქმედება, როცა ისინი ურთიერთობაში შედიან ცალკეულ ადამიანებთან, რომლებიც, როგორც მონუსხულები, მზად არიან დაემონონ კიდევ, ოღონდ ახლოს იყვნენ მათთან და ჰკვრეტდნენ მათ მომაჯადოებელ სილამაზეს. ხალხის ასეთი შეშფოთება გამოიწვია ნესტან-დარეჯანმა, როცა ზღვათა სამეფოს ხელისუფლის ბრძანებით იგი ფატმანისაგან მიყვანილ იქნა სასახლეში: როცა იგი გამოჩნდა დახრილი ამაყი თავით, აუჩქარებლად და მღუმარედ, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით მომავალი, ჰაერში გაისმა აღტაცებისა და განცვიფრების ხმა; ხალხში მისი სილამაზით გამოწვეული მღელვარება იმდენად დიდი იყო, რომ მცველებს გაუჭირდათ შეკავება მოძალებული ხალხისა, რომელსაც მისი ხილვა სურდა:

ზედა მოატყდა მკვრეტელი, გახდეს ზათქი და ზარები,

ვერ იჭირვებდეს სარანგნი, მუნ იყო არ სიწყნარები. (1040).

აი, აუწერელი ზემოქმედება ნესტანის მომაჯადოებელი სილამაზისა ფატმანსა და მის ქმარზე — უსენზე, რომლებიც, როგორც კი გამონახავდნენ თავისუფალ დროთავეისი სავაჭრო საქმეებიდან, მიდიოდნენ მის ოთახში, ისხდნენ და მღუმარედ შესწეროდნენ მის მომხიბლაობას, განიცდიდნენ სულ ახალ და ახალ ესთეტიკურ ტკბობას, როგორც ეს ხდება თანამედროვე კულტურულ ხალხში რაფაელის მადონას ცქერისას:

მას უქვრივით დიდი ხანი, წამოვედით სულთქმა-ახით,
შეყრა გვიჩნდა სიხარულად, გაყრა დიდად ვივაგლახით,
ვაჭრობისა საქმისაგან მოვიცალით, იგი ვნახით,
გული ჩენი გაუშვებლად დაეტყვევენეს მისით მახით. (1023).

მოხიბლული არიან ავთანდილის სილამაზით ფრიდონის მონადირენი. როცა მზიური სილამაზის სხივით გაბრწყინებული ეს რაინდი გაჩნდა მათ შორის და ძლიერი ხელით მოზიდული მისი ისრით განიგმირა მონადირეთა თავზე ჰაერში მსრბოლავი არწივი, მათ მოხსნეს წრე, აირივნენ, მაგრამ ვერ გაბედეს ეკითხათ მისი ვინაობა, გაოგნებულნი გარს უვლიდნენ, რომ შეეხედათ მისთვის:

იგი რა ნახეს, მესროლნი სროლისა მოეშლებოდეს,
ალყა დაშალეს, მოვიდეს, მოეხვეოდეს, ბნდებოდეს,
იქით და აქეთ უვლიდეს, ზოგნი უკანა ჰყვებოდეს,
ვერცა ჰკადრებდეს: ვინ ხარო? ვერცა რას ეუბნებოდეს. (851).

ფრიდონის ჯარისკაცთა სიხარულისა და აღტაცების ამგვარი განწყობილება გრძელდება მთელ გზაზე ნადირობის ადგილიდან ფრიდონის სასახლემდე:

დაიშალა ნადირობა, მოეშალნეს მხეცთა სრვასა.
ავთანდილის ჰვრეტად სპანი იქით-აქეთ იქმან ჯრასა,

თქვეს: ასეთი ხორციელი შეუქმნია რაგვარ რასა! (859).

შევიდნენ ქალაქში, სადაც მეფური ბრწყინვალეობით მორთულ ფრიდონის სასახლეში მას აღტაცებული მზერით შეეგებნენ კოხტად მორთული, სრულ წესრიგსა და დისციპლინაში მყოფი მონები; შესცქეროდნენ ავთანდილს და სიამოვნებდნენ მისი სილამაზის განუმეორებელი ბრწყინვალეობით:

ქალაქს შევიდეს, მუნ დაჰხვდა სრა მოკაზმული სრულითა,
სახელმწიფოთა ყოვლითა გასაგებლითა სრულითა,
მონანი ტურფად მოსილნი წესითა იყვნეს რულითა!

შეჭფრფუტინვიდიან ავთანდილს გულითა სულ-წასრულითა. (879).

აი, კიდევ ერთი გამაოგნებელი, გრძობის აღმძვრელი მაგალითი გამირთა შეუდარებელი სილამაზის მომხიბვლელი ზემოქმედებისა ცალკეულ პიროვნებებზე.

როცა ნესტანის ამოა ძებნით ტარიელმა, როგორც თვითონ ამბობს, მთელი ხმელეთი მოიარა და დარწმუნდა თავისი მცდელობის უსარგებლობაში, გადაწყვიტა დარჩენილიყო მარტო და თავისი ტანჯვის განქარვება უკაცურ ადგილებსა და მხეცთა შორის ეძია; თანამდევებს თავის გადასარჩენად სახლებში დაბრუნება შესთავაზა, რომ მათ აღარ ეხილათ იგი, მუდამ ცრემლმდინარე.

აწ წადით და მე დამაგდეთ, ეტერენით თავთა თქვენთა,

ნულარ უჰკვრეტთ ცრემლთა ცხელთა, თვალთა ჩემთა მონადენტა (557).

ამ მკაცრი სიტყვების გაგონებით შეწუხებულმა თანმხლებმა პირებმა უპასუხეს:

ჰაი, რასა ჰბრძანებ, ნუ მოასმენ ყურთა ჩვენთა!

უშენოსა ნუმცა ვნახავთ ნუ პატრონსა, ნუ უფალსა,

ნუ თუ ღმერთმან არ გაგკყარნეს ცხენთა თქვენთა ნატერთალსა,

თქვენ გიჰკრეტდეთ საჰკრეტელსა შვენიერსა, სატურფალსა! (557-558)

შემოვისა ზღვროთ მხოლოდ მოყვანილი ფაქტებით, რომლებიც, ჩვენი აზრით, სავსებით ადასტურებენ ზემოთქმულ ჩვენს შეხედულებას, რომ სილამაზის მთრთოლვარე განცდა და თაყვანისცემა დამახასიათებელი იყო ქართველი ხალხისათვის, როგორც წინათ, ისე ახლაც და ეს მისი თვისება სხვა არაფერია, თუ არა სილამაზის იდეალისადმი ამ ხალხის პატივისცემა.

(გამოტოვებულია)

ჩვენ, სამწუხაროდ, კვლავ გვიხდება იმავე მწარე აზრის გამეორება, რაც ერთ წინა თავში გამოვთქვით, რომ თუ არ ბედუკუღმართი ისტორია, ქართველ ხალხს თავის წილში უნდა წარმოეშვა ფუნჯისა და საჰკრეტლის დიდი ხელოვანნი, რომლებიც ფერწერასა და პლასტიკაში მოახდენდნენ თავისი ხალხის სილამაზის მარადიული იდეალის მატერიალიზირებას, როგორც განხორციელდა იგი პოეზიაში დიდი სახალხო გენიის — რუსთაველის მიერ.

ამჟამად კი, ფუნჯისა და საჰკრეტლის ქართველ ხელოვანთა ახალი თაობა მოვალეა ფერწერაში და ქვაში განახორციელოს რუსთაველის პოეზიაში წარმოდგენილი გმირების შეუდარებელი სილამაზე, რომ კულტურულმა მსოფლიომ დაინახოს სილამაზის ის იდეალი, რომელიც ამდენი საუკუნის განმავლობაში თავის სულში ატარა ქართველმა ხალხმა.

ორი ჩვეულება ავსახაეთში

დავით ჩქოტუა

ფელეტონი

ბევრი ისეთი ჩვეულებაა დარჩენილი ხალხის ცხოვრებაში, რომლის უწინდელი აზრი და მწიგნულობა ახლანდელ დროში ჩვენ არ გვესმის, რომელიც თითქმის სასაცილოდ და სამასხარაოდ მიგვაჩნია. მაგრამ ცოტა რომ დააკვირდეს კაცი, ნახავს, რომ ამ ჩვეულებას თავის დროში დიდი მნიშვნელობა ჰქონია ცხოვრებისათვის, ნახავს, რომ მათში გამოხატულია ხალხის ცხოვრების პირობები, რომლის ქვეშ დაუწყია მას თავისი ცხოვრება.

მართლაც, რა არის ჩვეულება?

ჩვეულება არის ხალხის ანუ კერძო პირის ცხოვრების შედეგი, არის კვალი, რომელშიც აღბეჭდილია წარსული ცხოვრების პირობები. მაშასადამე, შესაძლო საქმეა, რომ, ამ ჩვეულების შემწეობით, რამოდენიც არის, წარმოდგინოს კაცმა ის წარსული ხალხის ცხოვრების სურათები, რომელნიც შთანთქმულან საუკუნეთა სიღრმეში.

ამ აზრით ჩვენ გვსურს ავსწეროთ აქ ორი ჩვეულება, რომელიც ახლა არსობს მარტო აფხაზეთში და სამურზაყანოში, და უჩვენოთ მათი უწინდელი მნიშვნელობა, რამოდენიც შესაძლოა ჩვენთვის.

როგორც ექნება გაგონილი მკითხველს, აფხაზეთში, სამურზაყანოში და სამეგრელოში, თუმც ამ უკანასკნელში უფრო სუსტად, სუფევს ორი ჩვეულება: პირველი გამზდელიობა და მეორე სტუმრობა (მინდობა). ეს ორი ჩვეულება არის ზნეობითი კანონი ხალხისათვის აფხაზეთში და სამურზაყანოში; აქ შეიძლება უღალატოს კაცმა

ყოველფერს, მაგრამ არასოდეს ამ ორ ჩვეულებას. აი რაში მდგომარეობს პირველი მათგანი: დაიბადება თუ არა ყმაწვილი ორივე სქესისა, ის მაშინვე მიყავს გამზდელს თავის სახლში, სადაც იმყოფება დიდხანს. აქ ყმაწვილი არის პირველი საზრუნველი საგანი: გამზრდელი არ ზოგავს, მისდა სანაცვლოდ არც თავს და აგრეთვე არც თავის შვილებსაც; მისთვის არის პირველი ლოცვა ამ ოჯახში, მას ეკუთვნის პირველი ადგილი ყველაფერში.

გაზდილი გამზდელის ოჯახთან არის შეკავშირებული უუწმინდესი ხალხისათვის კავშირითა; ის ამ ოჯახისათვის არ არის გარეშე პირი, რომელიც მოსულა თავის სარჩენად; არა, ის არის ზნეობითი ნათესავი მთელის ოჯახისა და გვაროვნობისა. სწანს, რომ ამ ჩვეულებას დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ხალხისათვის, რადგანაც ის არასოდეს არ ეკავშირება ასე გულწრფელად და ასეთი ზნეობითი კავშირით ისეთს საგანს ან ჩვეულებას, რომელთაც არ ჰქონია დიდი მნიშვნელობა მის ცხოვრებაში.

რაში უნდა მდგომარეობდეს ეს მნიშვნელობა ხალხისათვის? აი ის კითხვა, რომელზედაც უნდა ვუპასუხოთ ჩვენ ამ სტატიაში.

ასეთი დამოკიდებულება არის გავრცელებული უფრო თავად-აზნაურებსა და გლეხებს შუა; ამასთან ის არის შესანიშნავი, რომ ყოველი კაცი ცდილობს იმ კაცის შვილი გაზარდოს, რომელსაც უფრო გავლენა და ძალა აქვს თავის ქვეყანაში, ე. ი. სუსტი კაცი ეძებს კავშირს უფრო ძლიერ კაცთან. მაშასადამე ის ეძებს ძალას, რომლის შემწეობით მას შეუძლია დაიფაროს თავი. მაგრამ ვისგან უნდა დაიფაროს მან თავი?

რასაკვირველია, მტაცებლობის და უკანონობისაგან. მართლაც რომ ყოველი აბრაგი და ავაზაკი, რა რიგ გარყვნილი და გამხეცებული უნდა იყოს, მაინც ძალიან ძვირათ ერჩის ვინმე ძლიერი კაცის გამზდელს

(?) და სტუმარს (მინდობილს).

ასეთი ხალხის მოქმედებაში ჩვენ ვხედავთ, რომ ის ეძებს მშვიდობიანობასა და უშიშროებას. მაშასადამე ის არ ყოფილა უსახლკარო, როგორც ცხოველი და ველური ხალხები, რომელნიც დარბიან, საითაც თავი გაუძღვებათ, (აქ საუბარი იმ დროზეა, როცა პირველჯერ დაარსებულა ეს ჩვეულებად და არა ახლანდელზე). არამედ საფიქრებელია, რომ ის ყოფილა უშიშრათ დამჯდარი ერთს ალაგას, სახლ-კარში. ეს მშვიდობიანობა შეიძლებოდა მაშინ, როცა ყოველი ოჯახი იქნებოდა დაფარული როგორც გარეშე, აგრეთვე შინაური მტრებისაგან. მაშასადამე ყოფილა ისეთი დრო, როცა ამ ხალხს უცხოვრია უშიშრად და ამისა გამო მოუკიდია ხელი ოჯახობისათვის. ხოლო ასეთი მდგომარეობა შეიძლებოდა მაშინ, როცა მთელს საზოგადოებას ანუ ხალხს ექნებოდა პირობა შეკრული, რომ საზოგადო ძალით დაიფარონ თავი ყოველნაირ მტრებისაგან, ე. ი. როცა მათ ექნებოდათ საზოგადო მმართველობა, რომელიც იფარავდა, როგორც ცალკე პირს, აგრეთვე მთელს საზოგადოებას.

მაგრამ ამ მშვიდობიანობის დროს გამოჩენილან ისეთი პირები, რომელნიც, სხვა და სხვა მიზეზების გამო, გაძლიერებულან და დაუშლიათ ხალხში მშვიდობიანობა და საზოგადო კავშირი. ამგვარი პირების გამოჩენის მიზეზი იყო მრავალი სხვა და სხვა ისტორიული და ეკონომიური გარემოებები, რომლის გამოკვლევას ჩვენ არ შევუდგებით აქ, რადგან ეს საქმე ძალიან შორს წაგვიყვანს.

ამისთანა პირები ბევრს არ გამოეკიდებოდნენ სამართალს და პატიოსნებას, რადგანაც ძალა მათ ხელში იყო; მათ შეეძლოთ ექნათ ვისთვის კარგი და ვისთვის ავი, როგორც უნდოდათ. მაშასადამე, ხალხს რჩებოდა ერთი ღონისძიება თავის საშველად — მეგობრული დაკავშირება ამ პირებთან. ამგვარად სუსტი კაცი დაკავშირებია

ძლიერ კაცს. ცხადია, რომ, რაც უფრო ძლიერი იყო ეს კაცი, ისე უფრო ბევრი დამეგობრებოდა მას, რის გამოც ასეთი პირის მნიშვნელობა ისე დამყარდებოდა, რომ არა თუ უღონო ხალხი, არამედ უფრო ძლიერნიც დაიწყებდნენ მასთან კავშირის ძებნას, ამის გამოც მისი მნიშვნელობა ბოლოს უფრო ძლიერი შეიქნებოდა ამ ქვეყანაში.

ასეთივე აზრი და შედეგი ჭონდა მეორე ჩვეულებასაც ხალხისათვის. აი რაში მდგომარეობს ეს მეორე ჩვეულება (მინდობა).

რომელიმე გლეხი, რომელსაც მებატონემ გაუჭირვა საქმე უკანონობით, ანუ მეზობლებმა – შურით, სტოვებდა თავის ადგილს მალვით და ენდობოდა ვისმე ძლიერ კაცს, რომელსაც შეეძლო მისი დაფარვა მღევნელებისაგან. ამ შემთხვევაში ბევრი მათგანი იხსნიდა კიდევაც თავს მებატონისაგან.

რაც ვსთქვით, იქიდან ცხადათ სჩანს, რომ ეს ორი ჩვეულება შემოუღია ხალხს თავის დასაფარველად. მაგრამ ეხლა ვნახოთ რა შედეგი ჰქონდა ასეთს ხალხის პოლიტიკას.

ცხადი საქმეა, რომ ის პირები, რომელთაც მოუყრიათ თავი ასეთი ძლიერი კაცის ქვეშ, იჭებოდნენ ვალდებულნი თავიანთ მხრითაც გამოეჩინათ რაიმე ერთგულება ამ კაცის წინაშე, ე. ი. მოეტანათ რაიმე სარგებლობა თავიანთი ნებიერი სამსახურით. ასეთი ნებითი სამსახური თითქმის ჩვეულებათ გადაიქცეოდა დროის განმავლობაშიც.

ნათქვამია: ჩვეულება სჯულზე უმტკიცესიაო, და ეს ანდაზა ამ შემთხვევაში სრულებით გამართლდა: რამოდენიმე მოდგმის შემდეგ, როცა ყველას დაავიწყდა ის ზნეობითი კავშირი, რომლითაც იყვნენ მათი წინაპარნი შეკავშირებულნი, ეს ნებითი სამსახური და ერთგულება დაედვათ გადაუხდელ და სამუდამო ვალად, და ამ რიგათ ერთხელ თავისუფალი კაცები იქცნენ ყმებად და მასთან გაჩნდა ბატონ-ყმობა, ანუ გვაროვნობითი განხეთქილება ხალხში.

როგორც ვთქვით ეს ორი ჩვეულება არის აფხაზეთში და სამურზაყანოში; სამეგრელოში თუმცა არის, მაგრამ ხალხი ასეთს მნიშვნელობას არ აძლევს, როგორც აფხაზეთში და სამურზაყანოში. ხოლო იმერეთში კვალის მეტი არლარა დარჩენილა ამ ორი ჩვეულებისა.

საფიქრებელია, რომ ეს ორი ჩვეულება ოდესმე უნდა ყოფილიყო მთელს საქართველოს ხალხში, რომლის ძალით დაარსებულა ის ხალხის ზნეობითი ღირსების დამლუპავი და დამცემი წყობილება, რომელსაც მოვესწარით ჩვენ, ე. ი. ბატონ-ყმობა.

აი როგორ მოახდინა ეს ზნეობითი ხალხის დაცემა ბატონ-ყმობამ:

მებატონე უფრო კარგის თვალით შეხვდა მას, ვინც უფრო ერთგულებას და თავმდაბლობას გამოიჩინდა მის წინაშე; ეს საქმე რასაკვირველია, შეუნიშნავად არ დარჩებოდა სხვებისგანაც; ყველა მათგანი დაიწყებდა ცდას გაემარჯვა ამ გზაზე, თუმცა თავის მოძმის დაბრკოლებითაც, რადგან თავი ყველას უყვარს.

ცხადია, რომ ასეთი ერთგულება ათასში ერთი გულწრფელი და ნამდვილი არ იქნებოდა. მაშასადამე როგორც გლეხი აგრეთვე მებატონეც ეჩვეოდა პირმოთნეობას და მარტო თავისთავზე ზრუნავდა.

ამ რიგათ მთელი ხალხი გაირყვნა ზნეობით და, ამან მისს ისტორიულ ცხოვრებას ბოლო მოუღო...

ჩვენ აქ შეგვეძლო დაგვესრულებინა ჩვენი სტატია, მაგრამ როგორც ვფიქრობთ, ზოგიერთი მკითხველისათვის არ უნდა იყოს ცხადი ჩვენი სიტყვების ჭეშმარიტება. ამის გამო მოკლეთ ავხსნი ამ სიტყვების მნიშვნელობას:

უეჭველია, რომ როგორც დრო მიდიოდა, ისე თანდათან მრავლდებოდა ასეთი მებატონეების რიცხვი, მაშასადამე მათი გავლენაც

ვასა; მისთვის სულ ერთი იყო, რაც არ დამართოდა მის მეზობელს, ოღონდ თითონ ყოფილიყო კარგათ; ის მუდამ ყურებდაცქვეტილი იჯდა, რომ რამე წაეგლიჯა მეზობლისათვის მარჯვე შემთხვევაში. მაშასადამე ასეთ პირებს შუა ერთობა და თანხმობა რამე საზოგადო საქმისათვის მოუხერხებელი იყო; ხოლო ყოველი მათგანი მუდამ მზათ იყო, გაეყიდა და ეღალატნა მეზობლისათვის, ოღონდ რომ რგებოდა რამე მისი ქონებისგან. გარეშე მტერი მუდამ შოულობდა უმტკიცეს და უმარჯვეს საშუალებას ასეთ პირებში ქვეყნის დასამორჩილებლად.

მტერი პირდებოდა მათ გაკეთებას, თუ თავის მეზობელს დაიმორჩილებდა. ის სიხარულით მისდევდა ასეთ მტერს თავის მეზობელზე. აქ ის იჩენდა დიდ მამაცობას: კლავდა, სწვავდა და სძარცვავდა უფრო სასტიკად მეზობელს, ვიდრე გარეშე მტერი.

ხოლო გარეშე მტერი ეფერებოდა მას, სანამ ის გამოსადეგი იყო მისი პოლიტიკისათვის. ბოლოს, როცა მტერი ისე გაძლიერდებოდა ამ ქვეყანაში, რომ ასეთი პატიოსანი ბატონის წახმარება საჭირო არ იქნებოდა, მაშინ ამოჰკრავდა ერთ-ორ პანდურს და გააგდებდა კარში.

ამ პოლიტიკას ძალიან მკიდროდ ეკიდებოდნენ ძველ დროში საქართველოს მტრები და ყოველს ღონეს ხმარობდნენ, რომ უფრო გაებერთათ ის შური და განხეთქილება, რომელიც საქართველოს ხალხში უმისოთაც ჰსუფევდა.

აქედამ ძალიან ადვილად შეგვიძლია ავხანათ იმის მიზეზი, რომ საქართველოს მუდამ ჰყოლია ასი მეფე, ათასი მთავარი და ლეგიონი თავადები, რომელთაც გამოსწოვეს სისხლი და ტვინი საქართველოს ცხოვრებას...

„ზოგიერთი აზრები ჩვენს მდგომარეობაზე“

დავით ჩქოტუა

ის კითხვები, რომელიც ჩვენ გვსურს აღვძრათ აქ, რასაკვირველია, ყველას, ვისაც კი ცოტაოდენათ მაინც უმუშავებს ტვინი, მოსვლია აზრში.

ამ კითხვებში ახალი სრულიად არა იქნება რა. მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ჭეშმარიტად გაგება ესეთის საგნებისა, რომელზედაც ეხლა გვსურს ვილაპარაკოთ, დიდათ საჭირო და სასარგებლოა. იმისთანა საგნების გამოკვლევა, რომელზედაც დამოკიდებულია ხალხის არსებობა, მათზედ საუბარი და სხვა და სხვა აზრების გამოთქმა – არასოდეს მეტი არ იქნება, რაგინდ ბევრი და გონიერი რამ თქმულიყოს წინეთ.

ამ დროში, როცა არათუ მართო ჩვენი საზოგადოება სცდება იმის განმარტებაში, თუ რაშიდ მდგომარეობს განათლებული და საზოგადოთ კაცის მიზანი; ამ დროში, როცა უმრავლესობა ახალგაზრდობისა ყალბ საშუალებას ეპოტინება ხალხის გასაბედნიერებლათ; ამ დროში, როცა თითოეულს საზოგადოების წევრს უპირველესად თავის ბედის გაწყობა აქვს სახეშიდ – მეტი სიტკბოებისა და ნეტარების მოპოვება ცხოვრებაში, – ამ ნისლ გადაფარებულს დროში, ვამბობთ ჩვენ, მიუცილებელია ჩვენს სვეზედ გულდამჭდარათ დავფიქრდეთ.

ჯერ ავხსნათ ისა: თუ რაში მდგომარეობს ხალხის ბედნიერება და როგორი საშუალებები უფრო საფუძვლიანი იქნება იმისთანა ხალხისათვის, როგორს მდგომარეობაშიც ჩვენა ვართ, რომ ის ზნეობით და მატერიალურად დაინგრეს, გარდასხვაფერდეს? რადგანაც ამ კითხვებთან შეკავშირებულია მტკიცეთ და განუმეორებლად ჩვენი

მომავალი, იმისთვის შეუდგეთ ამათი ნამდვილი აზრის გაგებასა და მნიშვნელობას.

რაშიდ მდგომარეობს ხალხის ბედნიერება?

ჩვენის აზრით, როცა საზოგადოება ისეა გაწყობილი, რომ ყოველს მის წევრს შეუძლია საკმაოდ დააკმაყოფილოს ნორმალურათ გახსნილი თავისი ორგანიზმის მოთხოვნილება; მასთან, ზნეობით და გონებით იქამდინ არის მიღწეული, რომ ის თავისი სარგებლობისათვის, ან სიამოვნებისათვის არ დააბრკოლებს სხვას; ყველას მოქმედებებში ეხსომება მას სიტყვები ჩვენის მაცხოვრისა; რომლითა საწყაულითა მიუწყ-მოგეწყოსთ თქვენ. და ყოველ საზოგადო და ბუნების მოვლენაზედ სწორი და გონიერი შეხედულება ექნება — თუკი სადმე ვნახეთ ამისთანა ხალხი ჩვენს დედამიწაზედ — რასაკვირველია ამ ხალხს ბედნიერი და ნეტარი ხალხი ეთქმის: მაგრამ კაცობრიობის გონების სასირცხოთ, ამ მდგომარეობამდი არ მიულწევია ჯერ მას! ის დიდ ბრძოლაში და შეჯანყებაში არის აქამდის, არა თუ იმ საზოგადო განწყობილობისათვის, რომელიც ჩვენ წარმოვადგინეთ აქ, არამედ ლუკმა-პურისათვის.

ერთი ნაწილი კაცობრიობისა თხოულობს თავის ზვედრს ბუნების და საზოგადო სიმდიდრეში და მეორე მხარე კი მაგრად ჩაჰფრენია ახირებულ ვადა გასრულს უფლებებს. აქედგან საშინელი გაცხარებული ბრძოლაა ქვეყანაზედ. ერთნი იმას სცდილობენ, რომ შიმშილისგან სიკვდილი მოიშორონ სამუდამოთ და მეორე კი ნამეტანი ლუკმა, რომელიც მათ ხელში უპყრიათ, არა სურთ შეეღიონ. თუმცა ამ ჰემმარიტს აზრში: რომ ყოველი ადამიანი ზნეობით და მატერიალურათ უნდა იყვეს დაკმაყოფილებული, — სრულიად საწინააღმდეგო კაცის გონებისა და არს საზოგადო ეკონომიური კანონისა და ზნეობისა არა არის რა, მაგრამ ეს აზრი, ხალხის გაუნათ-

ლებლობის მიზეზით, ჯერაც არ მოსულა შესრულებაში. რასაკვირველია, დროს განმავლობით, ეს ჭეშმარიტება სულ უფრო და უფრო ძლიერდება, სულ უფრო და უფრო მომეტებულს მომხრეებს იძენს; რასაკვირველია, იმ მსხვერპლმა ხალხები შესწირა უსამართლობასა და ძალადობას, დასაპყრობად კუთვნილის მისდამი უფლებებითა, ბევრათ მოაახლოვა მოსალოდნელი მისთვის სანეტარო დღე.

თუმცა დაუთვალავი კერპობა და ბარბაროსობა შემუხრია ხალხსა, თუმცა ისტორია გასაოცარს თავგანწირულობას წარმოგვიდგენს, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი შრომა და სამოქალაქო სიმხნეა საჭირო, რომ მივალწიოთ იმ მიზნამდის, რომელსაც ალტაცებით შორიდან შევსცქერით.

რა არის ეს მიზანი?

ხალხის ნივთიერი, ზნეობითი და გონებითი საჭიროების სრულიად დაკმაყოფილება. როცა ხალხს ყველა ესენი აქვს, მაშინ ის მოშორებულია ათასნაირ ტანჯვას და წვალებას, მაშინ ის ბედნიერია.

კარგი და კეთილი, მაგრამ რა საშუალებებით უფრო საფუძვლიანი და მარგებელი იქნება, რომ ჩვენც რომელიმე ხარისხამდე კეთილდღეობას მოვესწროთ, — იკითხავს კაცი, — იმ სენს, რომელსაც ჰქვია უმეტერება და სიღარიბე, ექვი არ არის საუკეთესო წამლათ გამოდევნება: შკოლა და მეურნეობის გაუმჯობესება ევროპულ სისტემაზედ.

რომ გონიერათ და კეთილათ გაძლოლილი სახალხო სასწავლებლები დაარსებს ევრეთვე გონიერს და კეთილს თაობას, ამაზედ ლაპარაკს ნამეტნავათა ვთვლით. მართალია, ვინ არ იცის ეხლა, როგორი მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის განათლებას? ვინ არ იცის, რომ იმ სახელმწიფოში, სადაც უფრო გავრცელებულია სახალხო შკოლები, იქ მეტი კეთილდღეობაც არის და სადაც ნაკლებათაა, იქ ხალხი უფრო დავარდნილი და გაჭირვებულია? არც ეს არის

-საექვო ჭეშმარიტებათაგანი, რომ ხალხის ყოველგვარი ძლიერება შეიტყობა იმით, რაც მომეტებული წერა-კითხვის მცოდნე მოიძებნება მასში.

როგორც ცხოველს არ შეუძლიან იცხოვროს უსაქმელოთ და თავისი არსება გააგრძელოს, სწორეთ ასეა მთელი ხალხის საქმეც. იგი, უთუოდ, განქრება, მოისპობა, ე.ი. დაკარგავს თავის ტომობას, თუ არ შეიარაღდა განათლებით. უკანასკნელი ომი გვიჩვენებს ჩვენ გასაოცარ მაგალითს: იმის შემდეგ რაც ნაპოლეონ პირველმა თითქმის მიწასთან გაასწორა პრუსია, ვინ წარმოიდგენდა, რომ ეს პატარა სამეფო ოთხ მილიონ ნახევარი მცხოვრებით მაშინ, სასტიკად გასთელავდა იმავე ძლიერს, მტრის რისხვის დამცემს საფრანგეთსა სამოცი წლის შემდეგ? ვინ იფიქრებდა ამას?— მაგრამ რამ მოახდინა ეს საკვირველი ცვლილება, რომ პრუსია რამდენიმე ათი წლის შემდეგ, დამარცხებულისგან გამარჯვებული შეიქნა? — ხალხში განათლების გავრცელებამ, სახალხო სკოლებმაც, ამზობენ თვითონ ნემეცები. სახალხო სკოლები რომ ყოველს შეძლებელია ეს დიდი ხანია ამერიკაში გაიგო იქაურმა ხალხმა და იმიტომაც არის, რომ ევროპელები იმათ სახელმწიფო წესს შესცქერიან, როგორც მისაბაძველ მაგალითს.

აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს (ხალხში) ხალხის ცხოვრებაში მის სახლოსნობას; ის ახირებული ჩვენებური სამუშაო იარაღები, რომელსაც ვგონებ თარგამოსის დროიდან გამოუცვლელად ვზარობთ ერთსა და იგივეს, როგორი სასაცილო და გულსმომკვლელია იმისათვის, ვისაც ევროპული მიწის შესამუშავებელი და სხვა საოჯახო იარაღი უნახავს! იქ, სადაც ევროპელს სამი, ოთხი საათის მუშაობა სჭირია, ჩვენი გლეხი დღითგან საღამომდის ვერ მორჩება.

ნულარ ვიტყვით, იმას, რომ იქ, სადაც ორთქლის მაშინებით არის გამართული მუშაობა, იქ ხომ დღეში 50 კაცის ოდენს, ერთი კაცი აკეთებს.

ძრიელ უნუგეშო მდგომარეობაში არის ჩვენი ხალხის მეურნეობა; ძრიელ ბევრს მწარე ოფლსა ღვრის იგი მხოლოდ საზრდოს მოსაწევად; ძრიელ შევიწროებულია სიღარიბის გამო მისი ზნეობითი და ნივთიერი მოთხოვნილება... წლის მოსავალი ძლივს ჰყოფნის ჩვენს გლეხს. იმ გარემოებაში, როგორშიც ის ჩავარდნილია, შეუძლებელია მომეტებული ნამუშევარი მოიწიოს. არც ღრო და არც საჭირო მისთვის ცოდნა არა აქვს იმას. ყველამ ვიცით, როგორ დაცემულია ჩვენი სახლოსნობა, მაგრამ ყურსაც არ ვუგდებთ, თუმცა არ იყო ძნელი ამის შველა. ცხადია, თუ ამ მხრით ისეთ მდგომარეობაში დავრჩით, როგორც აქამდის ვართ, მაშინ არც ხალხის განათლება იზამს შესამჩნევ ნაბიჯს წინ. ისეთი კავშირი აქვს ხალხის ეკონომიურ მდგომარეობას განათლებასთან, რომ ერთი მეორეს უიმოსოდ მოუხერხებელი საქმეა. მხოლოდ განათლება და მეურნეობის განათლება შეჰქმნის ხალხს გონიერათ, სამართლიანათ და ძლიერათ. პირველი და უმთავრესი ხალხის ბედნიერებისათვის არის ეს საშუალებები (ნუ დავივიწყებთ, რომ აქ ქართველებზედაა ლაპარაკი), ყველანაირი სხვა მისთვის ზრუნვა შედარებით ამეებთან – უმნიშვნელო და უფერულიცაა. უნდა ვთქვათ, არაფრათ გვჯერა სხვა რეცეპტი.

კიდევ ვიტყვით, გარდა ხალხში განათლების გავრცელებისა და მეურნეობის გაუმჯობესებისა, სხვა წამლები არ გვესაჭიროება. იმ მეგობრებმა, რომლებიც ამ გზას აშორდებიან, უნდა იცოდნენ, ხალხი ღვაწლათ არ ჩაუთვლის მათ შრომას. ხალხი იტყვის: ავადმყოფზედ უფრო, ექიმს უხდება მისგან შეძლეული მალამო; გვატყუებენ ესენიო. ეს წინასწარმეტყველება დაიჯეროს მკითხველმა, ვარწმუნებ მას: ხალხი არასოდეს არ შეცდება და განარჩევს ცხოვართა თიკანთაგან.

როდესაც საზოგადო აზრი იცნობს რომელსამე საქმეს სასარგებლოთ, მაშინ საქმაო პირები გამოჩნდება მასშიდ, რომ ამა საგანზედ

ყოველგვარი შრომა გასწიონ. მაგრამ უბედურებაც იმაშია, რომ საზოგადო აზრი არაფრათ დასდევს, მაინც და მაინც, არც ხალხის წარმატებას და არც საშუალებას მის წარმატებისთვის.

„ღრუება“, 1872, 19/V, № 19

ჩვენ წავიკითხეთ გაზეთში, რომ ტყიბულას ქვის ნახშირი უყიდა უ. ნოვოსელსკის კანდელაკისგან და აგიაშვილებისგან 80 ათას მანეთად (80000მან): ამ საქმემ ჩვენ ძალიან გაგვაკვირვა, რომ ამოდენა ადგილი, სადაც არის ქვის ნახშირი, გაუყიდიათ ასე იათად.

ამასთანავე გავიგეთ, რომ უფ. კანდელაკი და აგიაშვილები ვითომც უნდა დაკითხებოდნენ ამ საქმის თაობაზე ერთს პირს ქუთაისში, რომელსაც უეჭველია, უნდა ცოდნოდა ქვის ნახშირის მნიშვნელობა ახლანდელს დროში და მაშასადამე მისი დაფასებაც. როგორც გავგივია, ეს ნასყიდობა ჯერ-ჯერობით შესრულებული არ არის და ჩვენ ვურჩევთ მებატონეებს ამ სტატიის შინაარსზე დაფიქრდნენ, სანამ ამ ნასყიდობას შეასრულებენ. ამისა გამო ჩვენ ვფიქრობთ, რომ უთუოდ ტყიბულის ნახშირი მეტი არ ღირებულა, თორემ ის პირი როგორ შეცდებოდა ასე ბავშვურათ.

ამ მოკლე დროში ჩვენ შეგვხვდა შემთხვევა წაგვეკითხა ერთი ძველი რუსული ჟურნალი („Горный Журнал“ 1847წლისა), რომელშიც შევხვდით ტყიბულის ქვის ნახშირის აღწერას ორი პირისაგან.

პირველათ აღუწერია ამ ნახშირის თვისებები და გეოლოგიური ხასიათი სამეცნიერო აკადემიის წევრს, უფ. აბიხს და მეორეთ ინჟინერს ანტი პოვს, მმართველობის ბრძანებით 1845 წელს.

უფ. აბაიხის სიტყვით, ეს ქვის ნახშირი ძალიან კარგი თვისებისაა და მაშასადამე კარგი გამოსაყენებელია ყოველ გვარ საქმეში, რაც შეეხება მეორე მხარეს უფ. აბიხის აღწერაში, ე.ი. გეოლოგიურ მხარეს, აქ შესანიშნავი ის არის, რომ უფ. აბიხს კარგად გამოკვლევის შემდეგ

შეუნიშნავს, რომ ქვის ნახშირში რეულა რკინის და სპილენძის მადნები; ამას გარდა კარგათ დავლის შემდეგ უნახავს რამოდენიმე ადგილებზე ამოთხრილი შახტები, საიდანაც ამოუტანიათ ძველ დროში რკინა და სპილენძი. შესახებ ამისა უაბიხი ამბობს, რომ ძველ დროში აქედამ უთუოდ ბლომათ ამოქონდა ხალხს რკინა და სპილენძი და ვაჭრობდა მითი სხვა ხალხებთანო. ამასთანავე შეუნიშნავს უაბიხს, რომ ეს შახტები (ჩათხრილები) იყვნენ, ისე მოხერხებულად გაკეთებულნი, რომ ეტყობა, ძველ დროში აქაური ხალხი კარგათ ყოფილა ამ საქმეში დახელოვნებულიო.

ჩვენის აზრით ეს ფაქტი ბევრს რასმეს განგვიმარტებს ჩვენ ისტორიაში, თუკი მოვიგონებთ გეროდოტის სიტყვებს, რომელიც ამბობს, რომ შავი ზღვის პირად ძველს დროში ხალხმა კარგათ იცოდა რკინეულობის ხელობაო. აქედამ უაბიხს გამოყავს ის, რომ ახლანდელ დროშიც უნდა იყოს მანდ რკინის ანუ სპილენძის მადნეულობაო.

ეს აზრი გვგონია კიდევაც მართლდება უსკანდელის სიტყვებით, რომელსაც უნახავს ტყიბულაში რკინეული წყალი.

აქედამ სჩანს, რომ უკანდელაკებსა და აგიაშვილებს ერთი მადნეულის მაგივრად, სამი ერთად გაუყიდიათ ოთხმოც ათასჯერ ნაკლებ ფასათ. რკინისა და სპილენძის მადნეულობა კი ტყუილად წაუღია უნოვოსელსკის, თუმცა უეჭველია, რომ უნოვოსელსკის კარგათ ეცოდინებოდა უაბიხის სტატია და თითონაც თავის თვალებითაც დარწმუნდებოდა ამ მადნეულის არსებობაში.

ამ სტატიის მიზანი ის არის, რომ უჩვენოს მკითხველს რა დიდი ჰერია უმეცრება და როგორ სარგებლობენ მით ზოგი ადამიანები, რომელთათვის, საუბედუროთ, ბედს მიუტია საშუალება, ცოტაოდენ მიხვდომილება და ნამეტანი დაუზოგველობა თავიანთი მახლობლებისა..

ახლა ჩვენ მოვიყვანოთ უანტიპოვის აზრს ამ ტყიბულის ქვის ნახშირზე. უ. ანტიპოვი იყო გამოგზავნილი ტყიბულის მმართველობისაგან 1845 წელს და ამ ნახშირის თვისების შესატყობლად. მისმა გამოძიებამ გამოაჩინა, რომ ეს ნახშირი ძალიან კარგი არის ყოველნაირ სახმარებლად.

ამა გარდა მისივე გამოძიებით იქაური ნახშირი სულ ცოტა რომ იყოს, 64, 806, 000, 000 ფული მაინც იქნება (სამოცდაოთხი ათას რვა ასი მილიონი ფული).

ახლა ვნახოთ: რა უნდა ელიროს ამოდენი ნახშირი?

ოდესაში მოაქვთ ინგლისიდან ნახშირი და ყიდვიან ფუტს 20-25 კაპიკათ.

ვსთქვათ, რომ ტყიბულის ნახშირი გაიყიდა ადგილზე 2 კაპიკათ (რომელიც ძალიან იაფი იქნება) ფუთი, მაშინ მთელი ნახშირი ელირება (1,296,000,000) ათას ორას ოთხმოცდათექვსმეტ მილიონ მანეთათ.

ვსთქვათ, რომ სამუშაოთ და გზების გასაკეთებლათ დაიხარჯა ხუთი მილიონი; მაინც შემდგ შთამომავლობას და მეპატრონეებს დარჩებათ ათას ორას ოთხმოცდა თერთმეტი მილიონი მანეთი!

აი რა სიმდიდრეს კარგავს უმეცრება!

ჩემის აზრით, ესეც კმარა მკითხველისათვის, რომ მიხვდეს რა ანგარიშის პატრონები უნდა იყვნენ უკანდელაქი და აგიაშვილები, და მათი მრჩეველი, და რა სიმდიდრეს უკარგავენ ისინი ჩვენს ღარიბ ქვეყანას.

„ღრომბა“, 1871.

ახლანდელი გაუნათლებელი ხალხი უფრო ბედნიერია ძველი საუკუნეების გაუნათლებელ ხალხზე, რადგანაც მას თვალის წინ აქვს განათლების გზა, რომელსაც რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში ეძებდა კაცობრიობა. ახლანდელ ხალხს უნდა გასვლა ამ მონახულ გზაზე და გადაუცილებლად სვლა სულ წინ, რომ ჩქარა დასტოვოს თავისი ბნელი ცხოვრების ქერქი. მაგრამ ნათქვამია: სტუმარი წყალს ვერ მიაგნებს, თუ მასპინძელმა არ ჩაუძღვია.

განათლებაშიც აგრე არის. სტუმრის ადგილი უჭირავს განათლებულ ხალხს და მასპინძლის კი მის განათლებულ წევრებს, რომელნიც ჩვენს გაუნათლებელ ხალხს განათლების გზაზე უნდა გაუძღვნენ.

მაგრამ ვნახოთ, ასრეა ეს თუ არა?

ამ კითხვის გასამართებლათ, ჩვენ ერთი თვალი უნდა გადავაავლოთ იმ მდგომარეობას, რომლიდგანაც გამოდიან ჩვენი ხალხის განათლებული წევრები, ე.ი. სასწავლებლებს, რომელნიც, ამზადებენ განათლების გზის მაჩვენებელ წევრებს.

მე ბევრჯერ მქონია შემთხვევა მელაპარაკნა ზოგიერთი სასულიერო და სასოფლო შკოლების ყმაწვილებთან და მუდამ შემინიშნავს, რომ ამ სასწავლებელში იმათ არ თუ არ გახსნიათ აზრი, არამედ ის ნიჭიც დაუკარგავსთ, რომელიც შესვლის დროს ჰქონიათ. იმათ არ შეუძლიათ გამოთქვან ქართულათ ან რუსულათ თუნდა ერთი აზრიანი წინადადება. მათ ლაპარაკზე დაკვირვებულ კაცს ეგონება, სუსტათ გაზეპირებულ რასმე კითხულობენო. ამისთანა აზრის

გასაგებად დანახინჯების ახსნა ადვილია. შკოლებში საგნებს რასაკვირველია რუსულ ენაზე ასწავლიან, მაშასადამე, საგნის შესათვისებლად, ყმაწვიმა უნდა იცოდეს ეს ენა, როგორც თვისი მშობლიური; მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ რუსული ენის სწავლა სასოფლო და ზოგიერთ სხვა სასწავლებელში, არ მიდის ხეირიანად.

ყმაწვილი შკოლაში ყოველდღე დაიარება, და რჩება შიგ მხოლოდ რამოდენიმე საათს, რომლის განმავლობაში ასწავლიან წერას, კითხვას და ლაპარაკს.

შემდეგ ყმაწვილი მიდის სახლში მეორე დღემდის; იქ ლაპარაკობს და თამაშობს თავის დედა ენაზე; ასე რომ ორი-სამი დაზებირებული სიტყვა ავიწყდება და მეორეჯერ სასწავლებლათ უბდება. ამნაირად მიდის ორი ან სამი წელი, სანამ ყმაწვილი დაწყობით ამოკითხვას ისწავლიდეს. მაშინ მისცემენ ხელში გრამატიკას და სხვა წიგნებს. შეუდგება საწყალი ყმაწვილი სწავლას; უხსნის მასწავლებელი, კითხულობს თვითონ დანიშნულს, მაგრამ არ ესმის რა. რასაკვირველია, რომ ერთი ღონისძიება რჩება საწყალს, — უაზროთ ზებირება, რადგანაც არ იცის კარგათ რუსული ენა. აი ეს არის მიზეზი, რომ სასულიერო და სასოფლო შკოლების ყმაწვილები მთელი დღე მოუსვენებლათ კაკანობენ, კვერცხის დამდებ დედალივით.

რასაკვირველია, რომ აქედამ გამოსული ყმაწვილს რამე საგანზე აზრიანი სჯა თავის სიცოცხლეში, გაუჭირდებათ. იმას თითქმის ეკარგება ცხოვრების საშუალება, რადგანაც მას შკოლაში დაუკარგავს ის გაუხსნელი აზრიც, რომლის შემწეობით ცხოვრობდა მამამისი. რაღა თქმა უნდა, რომ ამისთანა თავები ვერ გაუძღვებიან ხალხს განათლების გზის საჩვენებლად.

თუმც ეს ძალიან სამწუხარო საქმეა ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ უფრო სამწუხარო ისაა, რომ საზოგადოება არ აქცევს მას ყურადღებას და არ ეძებს არც მის მიზეზს, არც მის მომსპობელ საშუალებას.

ჩვენი აზრით, ვინემ ყმაწვილებს შინ რუსული ენის სწავლის

საშუალება არ ექნებათ, შკოლებში საგნების სწავლა მათთვის გასაჭირი იქნება.

ახლა ვნახოთ, ვისზე უნდა გვექონდეს იმედი ამისთანა საქმეში.

ყოველმა ძველმა და ახალმა ქართველმა გაიგოს სწავლის საჭიროება და კიდევაც ყველას სურს, რომ მათმა შვილებმა ისწავლონ რამე; ეს ასეთი ცხადი საქმეა, რომ ამის დამტკიცებას ჩვენ საჭიროთ არ ვრაცხავთ.

მაგრამ ვკითხავ: რას ხედვენ სწავლაში და რას მოელოან მისგან ჩვენი მამები?

ჩვენ რომ შევათანასწოროთ ერთმანეთში ჩვენი მამების ახლანდელი და ხუთი წლის წინეთ აზრები განათლებაზე, მივხვდებით, რას ხედვენ ისინი განათლებაში და რას მოელოან.

ხუთი წლის წინეთ, ყოველგან ისმოდა ბატონებისგან: რა განათლება? მამაჩემი თუ არ ყოფილა განათლებული, პურს იმიტომ ვერ სჭამდა საწყალი? და როცა განათლებულ კაცთან ლაპარაკი მოუვიდოდა ამ ბატონს, მაშინვე დაიკვებდა: რას მოგწონს თავი, ყმაწვილო? შენისთანა 40 ფეხის მბანელი მყავს. ამისთანა აზრები ბევრი გამიგონია სასწავლებელში მებატონეების შვილებისაგან.

ახლანდელ დროში გვესმის იმავე ბატონებიდან სულ სხვა: რა ვქნათ, ახლა სულ სხვა დროა. ყმები წაგვივიდნენ, ჩვენ თხოვნა არ შეგვიძლია; უნდა ვასწავლოთ შვილებს, რომ შიმშილით არ მოვკვდეთ.

აქილამ შეგვიძლია გამოვიყვანოთ, რომ ჩვენი მამები უყურებენ განათლებას, როგორც უწინ უყურებდნენ ყმებს, ე.ი. როგორც საკუთარ ნივთს, რომელსაც გაყიდვიან და შესჭამენ, როცა მოშივდებათ.

რასაკვირველია, ეს სრულებით უსაფუძვლოც არაა:

განათლებამ ყველას თავის რჩენის საშუალება უნდა მოუტანოს, მაგრამ ასეთი განათლების დაფსება იმას გავს, ვინმე რომ ამბობდეს:

მე მისთვის დავიბადე, რომ სადილ-ვახშამი ვჭამო.

ჩვენს მამებს არ აწუხებს ის საზოგადო სარგებლობა, რომლის მოტანა შეუძლია განათლებას; მათ ფეხებზე ეკიდა საზოგადო კეთილდღეობა, რაც კი პირდაპირ ლუკმა-პურს არ აძლევს. — კარგი იქნება სწავლა, თუ ავი, ოღონდ კი იმან ნასწავლს ფული შეაძენინოს, — მეტს ჩვენები არას ითხოვენ რას. ამგვარათ უყურებენ ჩვენი მამები განათლებას და ამის გამო ჩვენ არ შეგვიძლია ვიქონიოთ მათზე იმედი, რომ ისინი საზოგადო განათლების წინ წაწევას დაეხმარებიან.

ახლა ვნახოთ, რითი განირჩევიან ჩვენი მამები განათლებული ყმაწვილები თავიანთ მამებისაგან, ამ განათლების საქმეში.

ჩვენი გიმნაზიებიდან გამოდიან ყოველ წელ ბლომათ სწავლა დასრულებული ყმაწვილები, რომელთაც არ მიუღიათ არავითარი გონებითი და ზნეობითი გახსნა, შედიან მათზე უფრო უმეცარ საზოგადოებაში, სადაც მათ ურიგო მოქმედების გზა ეხსენებათ, ესენი ხალხის უმეცრების გამო, ატყუებენ მას და ყოველ წამში მზათ არიან ორი-სამი მანეთისათვის გასყიდონ პატიოსნება. და რასაკვირველია, მალე ხდებიან ყოველივე წინა წაწევის მტრათ, რადგანაც ხალხის განათლება მათთვის პურისა და პატივის მოკლებას ნიშნავს. ამგვარი მკამელი მატლები ყოველ წელ ბლომათ ემტერებიან საწყალ ჩვენ ხალხს, და თავიდან არ მოშორდებიან, სანამ არ მიექცევა ყურადღება ყმაწვილების აღზრდაზე.

ჩვენ ბოლოს გვრჩება საიმედო სახედ ის ყმაწვილები, რომელნიც გიმნაზიაში სწავლას ათავებენ და შედიან სულ სხვა და სხვა სასწავლებლებში. მათზეა ხალხში განათლების გავრცელების ვალი; მაგრამ ვნახოთ საქმე რას გვეტყვის. ჭერობით ჩვენს ახალგაზრდობას თითქმის ავადმყოფობათ აქვს გადაქცეული ერთი და იგივე მიმართულება...

საქმე გვიჩვენებს, რომ ჩვენი განათლების გზის მაჩვენებლები იმას სცდილობენ, რომ მარტო მათ გაუთბეს გვერდები და იცხოვრონ ჩვენებურათ, — ძველებურათ.

ხალხის საზოგადო საქმეზე, ე.ი. მის გონებითი და ზნეობითი გაუმჯობესებაზე და წინ წაწევაზე, ძალიან გავლენა აქვს მის განათლებულ წევრებს, რომელთაც აუღიათ თავიანთ კისერზე ხალხის სიძნელიდამ გამოყვანა და კიდევაც მოუმზადებიათ თავი ამისთანა დიდი საქმისთვის. ამისთანა ხალხის წევრების ხელში არის ლიტერატურა, როგორც საშუალება მათი აზრის გასაავრცელებლათ.

მაგრამ ხალხის განათლებაზე ლიტერატურას გავლენა მხოლოდ მაშინ აქვს, როცა მას ბევრი მკითხველები ჰყავს, ისეთი მკითხველები, რომელთაც შეუძლიათ იმ აზრების შეთვისება, რომელნიც ლიტერატურაში გამოითქმიან. წინააღმდეგ შემთხვევაში ლიტერატურის შრომა რჩება ფუჭათ და უნაყოფოდ...

ჩვენი ახალგაზრდები, ჩვენდა საუბედუროთ, არც ამნაირ მკითხველებს უმზადებენ ლიტერატურას, არც თავად ლიტერატურის წარმატებას ეხმარებიან; და ამ შემთხვევაში იმათ სურვილის გარდა, შეძლებაც აკლიათ: ისინი მომზადებული არ არიან ამისთანა საქმისათვის... ამის გამო ჩვენს პატიოსან ახალგაზრდებს რჩება ერთი სატრიალო მინდორი, ე.ი. სამოქალაქო სამსახური...

ასე, ჩვენდა საუბედუროთ, გამოვდივართ ჩვენ, რომელნიც უნდა ვიყოთ განათლების გზის მაჩვენებელი, ისევ იმ ცხონებულ პაპა-ბაბუების მსგავსნი, რომელთაც ქვეყნის დაქცევა არ ენაღვლებათ, თუ თითონ არ იქნებოდნენ ქვეყანაზე.

„დროება“, 1870, 17 (29)/VII, №28

ღავეთ ჩაოტუა

ყოველი ნაწილი კაცის სხეულისა არის თითქმის ჩამოსხმული თავის საქმის გასაკეთებლად, და ამისათვის ისინი განირჩევიან ერთმანეთში, თუ გინდ ერთ ნაირიც რო იყვნენ.

მაგალითად ავიღოთ კაცის ხელი. ხელი ყველას თითქმის ერთმანეთს გვიგავს, მაგრამ რო დავუკვირდეთ უფრო ახლოს სხვადასხვა პირების ხელებს, მაშინათვე შევნიშნავთ, რო ესენი ძალიან განირჩევიან ერთმანეთში თავიანთი აგებულებით. მაგალითად ავიღოთ ხელი მიწის მუშისა, მწერლისა, თუ უსაქმო კაცისა. პირველის ხელი გვიჩვენებს, რო ის არის მიჩვეული მძიმე მუშაობაზე, რომლისთვის საჭიროა მაგარი ძარღვები და ხორცი, მეორეს ე.ი. მწერლის, ხელი გვიჩვენებს, რო ის უფრო სუსტია პირველზე, მაგრამ თითების მოძრაობა უფრო აქვს გახსნილი; უსაქმო კაცის ხელს მაშინათვე შეატყობ, რომ ის არ არის არავითარი საქმის გაკეთების შემძლებელი, მისი საქმე თითქოს არის, რომ თფილათ და თეთრად იცხოვროს საწყალი მუშის ხელების ოფლით. ასე როგორც ხელავს მკითხველი, თითოეული ნაწილი ჩვენი სხეულისა ითვისებს თავის აგებულებას თავისი ხელოვნებისაგან.

ამ კანონის ძალით იზრდება ყოველი მწვერი ჩვენი სხეულისა. ამისა გამო, ცხადია, რომ ყოველი მათგანი უფრო ადვილად აღასრულებს თავის დაჩვეულ და შეზდილ ხელობას, ვიდრე სხვა შეუჩვეველს. ასე, მაგალითისათვის, თქვენ დააწერინეთ მიწის მუშას რამოდენიმე სიტყვა (თუ კი არ იცის წერა) მისი თითები კიდევაც ვერ მოახერხებენ კალმის დაჭერას, ისე შეაშეშდებიან მას, თითქოს ხისგან იყვნენ გათლილი. ამიტომაც ისე უწნო და გაშეშებული ხელი **почерркх** აქვს იმას, ვისაც

გვიან უსწავლია წერა-კითხვა. ანუ მიართვით თოხი იმ ზარმაცად შექმნილს და უნიჭო, უსაქმო კაცის ხელს და დააკვირდით რას იზამს. მას თავისი უმოქმედობით და ზარმაცი დროს გატარებით ისე აქვს დასუსტებული ძვალი, ხორცი და ძარღვები, რომ ორს წამს ვერ იმუშავებს.

კაცის ტვინის ანუ აზრის გახსნაც ემორჩილება ამ კანონს; ე.ი. ტვინი, იზრდება ამ კანონის ძალით და ღებულობს თავის ხასიათურ აგებულებას. მაგრამ შეიძლება ზოგიერთი მკითხველთაგანი გაკვირდეს და მკითხოს: განა ტვინიც აგრე მოძრაობს, აზრით მუშაობის დროს, როგორც ხელი მუშაობაში? დიახ, ჩემო ბატონო, ტვინიც აგრე იღალევა, აზრით მუშაობის დროს, და თხოულობს მოსვენებას, როგორც ხელი და ფეხი ბევრი მუშაობის დროს, ე.ი. მოძრაობს, როგორც ხელი. ამას გარდა ფიზიოლოგიას აქვს მრავალი მაგალითები ამის დამამტკიცებელი, მაგრამ მე იმათი აქ მოყვანას არ ვხედავ საჭიროდ.

ასე, ჩვენი აზრით, (ტვინი) ეჩვევა და ეზრდება რამე ერთნაირ მეცნიერებას და ამის გამო ის უფრო ადვილად იმუშავებს იმ მეცნიერებაში, რომელშიც უფრო გასულია. მაგალითად, ავიღოთ რომელიმე მეცნიერი, თუნდ ის მეცნიერი, რომელსაც უსწავლია ვარსკვლავთმრიცხველობა; ამისთანა მეცნიერისათვის აუცილებელი საჭიროა მათემატიკის ზედმიწევნითი ცოდნა, მან თითქმის თავისი სიცოცხლე უნდა გაატაროს აზრით მუშაობაში, რომ მათემატიკა შეითვისოს კარგათ. რასაკვირველია, რომ მისი ტვინი უფრო ნაყოფიერად იმუშავებს ამ მეცნიერებაში, ვიდრე სხვაში, ის იქნება კიდევაც ძალიან ნიჭიერი კაციც გამოდგეს ამ საქმეში; მაგრამ მიეცით ამ მათემატიკოსს რამე სხვა კითხვა, ვთქვათ ისტორიული ფაქტის ახსნა, ის ამ საქმეში თითქოს უნიჭო კაცად გამოდგება, ანუ და მიეცით გამოჩენილ ისტორიკოსს რომელიმე ძნელად ასახსნელი მათემატიკის მხარეს ახსნა,

ის დარჩება ამ საქმეში მშრალზე, როგორც მათემატიკოსი ისტორიაში. ვარსკვლავთმრიცხველს იმიტომ კი არ მოუვიდა ეს საქმე, რომ ის დაიბადა ვარსკვლავთმხედველობის ნიჭით, ანუ ისტორიკოსსა არ შეუძლია მათემატიკის კანონების გამოძიება, რომ ის დაიბადა ისტორიკოსის ნიჭიერებით: არა, ამ საქმის მოხთომის მიზეზი ის არის, რომ ვარსკვლავთმრიცხველს უმუშავნია აზრით ამ მეცნიერებაში ბევრი და ამის გამო მისი ტვინი უფრო ადვილად ასრულებს შეჩვეულ მუშაობას, ვიდრე შეუჩვეველს, როგორც მიწის მუშის ხელი უფრო ადვილად თოხნის, ვიდრე სწერს.

რაც ზემოთ ვსთქვით კერძო პირების აზრის გახსნაზე, ისევე ითქმის მთელი ხალხის აზრის გახსნაზეც. აქ გარჩევა იმაში მდგომარეობს, რომ კერძო პირების აზრის გახსნას უნდა მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე წელი, მაშინ როცა ხალხის აზრის გახსნას უნდება საუკუნეები და ათასი წლები. ხალხის ტვინი არის გახსნილი შესაბამ იმ სიბრძნისა, რომელიც გამოიხატება მის ენაში, ანუ ხალხის ენა არის გამოიხატველი მისი გონებითი გახსნისა. მაშასადამე ხალხის ენა ჩვენ შეგვიძლია შევათანასწოროთ რომელიმე მეცნიერებას და ხალხი კი მეცნიერს; მაგრამ მეცნიერება არის მომზადებული სხვებისგან, რომელიც უნდა ისწავლოს კაცმა თავისი შრომით, ხოლო ენა არის შედეგი ხალხის ცხოვრებისა; ხალხის ენას პირველი საფუძველი ედება იმ უამიღამ, როცა ეს ხალხი გამოყოფს თავს ცალკე თემათ ქვეყანაზე. ამ დროილამ იზრდება მისი ენა, როგორც თვითონ ხალხის ყოველ მოდგმის და ყოველი საუკუნის შემდეგ მისი ენა მდიდრდება; ამისა გამო ენის სიმდიდრე გვიჩვენებს ჩვენ მისი აზრის სიმდიდრეს. რაც უფრო ღარიბია ხალხის ენა სიტყვებით, ისე უფრო ღარიბია ზნეობითი და გონებითი გახსნა; მაგალითად, არიან ისეთი ველური ხალხები, რომელთა ენა არის შემდგარი რამდონიმე ათი სიტყვიდამ.

აქედამ დარწმუნებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ენა იზრდება, როგორც ხალხი.

ენის გაზრდაში, როგორც ხალხის გაზრდაში, არის ორი შესანიშნავი ეპოქა ანუ დრო.

პირველი ის დროა, როცა ხალხი ცხოვრობს ველური ცხოვრებით, ე.ი. ხუთი გრძნობის შემწეობით, როგორც ცხოველი; ამ ეპოქაში მისი ენა არის შემდგარი იმ სიტყვებიდან, რომელნიც გამოხატავენ იმ ბუნების მოვლენებს, რომელსაც ხედვენ თვალეზი, ესმის ყურებს და გრძნობს მთელი ტანი. ამისა გამო ამ დროს ხალხის ენა, და მაშასადამე მისი აზრი, ძალიან ღარიბი არის, როგორც გვიჩვენებენ ჩვენ ველური ხალხის ენები.

მეორე ეპოქა იწყება იმ დროიდან, როცა ხალხი დადგება ერთს ალაგს და დაიწყებს ცხოვრებას ისტორიული ცხოვრებით. ამ დროს ხალხის ენაში იბადებიან აბსრაქტური სიტყვები, ე.ი. ისეთი სიტყვები, რომელნიც გამოხატავენ ისეთს აზრებს, ანუ საგნებს, რომლის შეხება არ შეგვიძლია ჩვენ გრძნობით; მაგალითად, სიტყვა ღმერთი; ეს სიტყვა ნიშნავს ისეთ არსებას, რომლის დანახვა არ შეგვიძლია; მაშასადამე ეს სიტყვა არის აზრით დაბადებული არსება? რაც უფრო დაწინაურებულია ხალხი თავის ცხოვრებაში, ისე უფრო მდიდარია მისი ენა აბსრაქტული სიტყვებით, რადგანაც ეს ორი მიზეზები, ე.ი. ბუნების მოქმედება და სოციალური ხალხის ცხოვრება სულ სხვა და სხვა ხალხისათვის, ამისა გამო მათი ენებიც არ ემგავსებიან ერთმანეთს, მაშასადამე მათი ტვინის აგებულება სულ სხვა და სხვა თვისებების უნდა იყოს. ამისა გამო ერთი ხალხის აზრის გახსნა მეორე ხალხის გზაზე ისე გასაკვირი და ძნელია, როგორც მიწის მუშაკის ხელისთვის მარჯვეთ კალმის მოხმარება. ამისთანა ხალხის აზრი ისე გაშეშებული და გაფიჩხებული დარჩება, როგორც გვიან ნასწავლი მწერლის ხელი.

აი ეს საქმე როგორ მოხდება.

ყოველი სიტყვა გამონათავს რაიმე აზრს ანუ საგანს; წარმოვსთქვამთ თუ არა ჩემს სამშობლო ენაზე რამე სიტყვას, მაშინათვე ჩემს აზრში იხატება ის საგანი დაწვრილებულად თავიანთი ნიშნებით და ამის გამო მე ნათლათ მესმის ამ სიტყვის აზრი. როდესაც ჩემს ტვინში იხატება ამ ნაირად ეს საგანი, მხოლოდ მაშინ მესმის მე ის აზრი, რომელსაც ნიშნავს ჩემგან წარმოსთქმული სიტყვა; წინააღმდეგ შემთხვევაში მე არ მესმის ჩემგან წარმოსთქმული სიტყვის აზრი, მაშასადამე, ჩემი ტვინი რჩება უსაქმოდ და, რასაკვირველია, გაუხსნელად, რადგანაც უცხო ენა არის შემდგარი ისეთი სიტყვებისა ანუ აზრებისაგან, რომლის წარმოდგენა ნათლად შეუძლებელია.

ამისა გამო უცხო ენაზე განათლების მიღება ანუ ჭეშმარიტად აზრის გახსნა არს შეუძლებელი ხალხისათვის. თუ ჯერ თავის მშობლიური ენა არ შეუსწავლია იმას კარგათა.

ავხსნათ ეს მაგალითებით.

ვსთქვათ, ჩვენ გვეუბნებიან, რომ რუსული სიტყვა იზბა ნიშნავს ქოხს. წარმოსთქვამს თუ არა ამ სიტყვას ყოველი ქართველი კაცი, მის ტვინში მაშინათვე იხატება ჩვენებური გვერდმოქცეული ქოხი, რომლის გვერდებიდამ გამოქრის მუდამ ქარი (ვისაც არ უნახავს რუსული ქოხი), შუაგულ მიწაზე ცეცხლი დანთებულა, სადაც ზამთარ — ზაფხულს იფიცხებს გვერდებს ოჯახობა.

ანუ შეუძლია რუსს, რომელიც არ ყოფილა ჩვენში, წარმოიდგინოს ჩვენებური ქოხი და ამისთანა ქოხში მცხოვრები ზამთარში? რასაკვირველია არ შეუძლია მას ჩვენებური ქოხის წარმოდგენა, რადგანაც მას ესმის ეს სიტყვა თავისებურად.

ასე ძნელი გასაგებია ყოველი სიტყვა, მაშასადამე ყოველი აზრი უცხო ენაზე და ამისა გამო განათლების მიღება ანუ ნამდვილი აზრის

გახსნა უცხო ენაზე თითქმის შეუძლებელია და მოუხერხებელია თუ, როგორც ზემოთ ვსთქვით, თავის საკუთარი ენა არ იცის რიგიანათ.

“ღრობა“, 1870, 18 (30) /IX, №37

შესანიშნავი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში ყმების განთავისუფლება. ამ დროიდან მოელო ბოლო ოფიციალურად ჩვენს ქვეყანაში მონებასა. ამ შესანიშნავ შემთხვევამ მოატრიალა ჩვენი ცხოვრების ჩარხი და მისცა მის ბრუნვას სულ სხვანაირი მიმართულება.

უჭკველია, რომ ყველანი ხედვენ ამ ცხოვრების ჩარხის მობრუნებას, მაგრამ ხედვენ თუ არა ყველანი მას, თუ სად მიჰყავს ჩვენი ცხოვრება ამ მოტრიალებულ ჩარხს? ეგ ღმერთმა იცის.

უმალლესი მართებლობის ბრძანებით, ჩვენში განთავისუფლდნენ გლეხები და ამ კანონის ძალით, შემდეგ ორი წლისა გამოცხადებიდამ გლეხები მოშორდნენ მებატონეებს. მათ მიეცათ რამოდენიმე ქცევა მიწა თავის სარჩენათ, დანარჩენი კი ხვდა მებატონეს.

ცხადი საქმეა, რომ მებატონეს და გლეხს არას გზით არ შეეძლოთ გამოსვლა ერთმანეთის დამოკიდებულობიდან. ეს დამოკიდებულობა გლეხებსა და ბატონს შუა უფრო და უფრო უნდა გაძლიერდეს დროს განმავლობით.

ის მიწა, რომელიც ხვდა გლეხებს წილად, აძლევს მას თავის სარჩოს რამოდენიმე წელს, მაგრამ ბოლოს (მიწა) ის, როგორც ყოველი ნივთი, იხეხება, ცვდება ბევრის ხმარებისაგან; გლეხმა, რომელმაც არ იცის მიწის გონივრულათ ხმარება, შემდეგ რამოდენიმე წლისა, უნდა მიუბრუნდეს მებატონეს და გამოართვას ახალი მიწა თავის სარჩენათ; ამ შემთხვევაში, მებატონე, რასაკვირველია, აძლევს გლეხს ისეთ მიწას, რომელიც მებატონესთვის უფრო გამოსადეგია, — მაშასადამე გლეხისათვის უარესი. ცხადია, რომ ამნაირი გარემოება ხეირს არ დააყრის მიწის მჭირვებელს, მაგრამ ეს არც მიწის მებატონესთვის

იქნება სახეირო: მიწა ისეთი უხეირო დამუშავებისაგან, როგორც ჩვენში იციან, ბოლოს იქცევა უნაყოფო ველად. მაშინ მიწის პატრონი, რასაკვირველია, სულ უქონლობას ცალ უღელ ხარს არჩევს და მისყიდის თავის მიწას რომელსამე გარეშე კაცს, რომელმაც რიგიანად იცის მიწის მოხმარება და მისი დაკარგული ძალის მობრუნება. ეს ახალი მიწის პატრონი თავისი მეცადინეობით და ცოდნით მოუბრუნებს მიწას დაკარგულ ღონეს და ერთის წლის განმავლობაში ამოიგებს თავის ნახარჯს მიწიდან, გააშენებს სახლებს, ბაღებს, ვენახებს და სხვა; დაუწყებს მიყიდვას უწინდელ მეპატრონეს. თავისი უწინდელი მიწის ნამყოფს და შემოალევს იმ ფულებსაც, რომელიც იმან აიღო მამულში.

იქნება ვინმემ მკითხოს: რატომ ამდენხანს არ მოხთა ასეთი საჭმე ჩვენს ქვეყანაშიო?

როგორც ზემოთ ვსთქვით, გლეხების განთავისუფლების შემდეგ ჩვენმა ცხოვრებამ მიიღო სულ სხვანაირი მიმართულება; მაშასადამე ჩვენ უნდა გავჩნრიკოთ უფრო ახლო ის, თუ როგორ სარგებლობდნენ უწინ მიწით მეპატრონეები.

უწინდელ დროში მეპატრონემ კიდევაც არ იცოდა ნამდვილი სამზღვარი თავისი ადგილებისა; მას ღლეა აქ მოჰყავდა მოსავალი თავისი გლეხების ოფლით, ხვალ იქ და ხვალ ზევით სხვაგან. და ამ გვარად იცვლიდა სამუშაო ადგილებს ყოველ წელს, სანამ ვინმეს არ წაატყდებოდა თავზე.

გამოუჩნდებოდა თუ არა წინააღმდეგი ადგილზე, გაისვამდა ხმალზე ხელსა, და თუ გადენიდა იქილამ მტერა, თვითონ დადგებოდა მასზე და დაიწყებდა მუშაობას.

ამნაირად თითქმის ყოველ წელს იცვლიდა მეპატონე თავისი გლეხებითურთ, ყანების ადგილებს.

რასაკვირველია, რო მიწა ერთის წლის მუშაობისგან ბევრად

არ ღარიბდებოდა და თუ ცვთებოდა, მაინც ჰქონდა იმდენი თავისუფალი დრო, რო შეეძლო შეეძინა დაკარგული ღონე; აი რის გამო ძველად მიწა არ ფუჭდებოდა არც ჩქარა, როგორც ახლა და მაშასადამე არც ისეთი რამ მოხდებოდა როგორც ზევით ვთქვით.

თუმც ბევრ ადგილებში მიწები ასეთი უხვირო მუშაობის გამო კიდევაც კარგვიდნენ ნოყიერებას, მაგრამ იქილამ კაცი არ ესახლებოდა სხვაგან, რადგანაც გლეხები იყვნენ საკუთრება მებატონისა; მებატონეებს ფეხებზე ეკიდათ მათი საქმე; ოღონდაც გლეხს მოეტანა მათთვის სარჩენი პური და ღვინო, სხვა რისი დარდი ჰქონდათ.

ასეთი მომავლიდგან ხალხს იხსნის მხოლოდ სწავლა, რომლის შემწევობით მას შეუძლია მოხმარება თავისი სამშობლოს სიმდიდრისა.

ყველაზე უფრო საჭიროა ხალხისათვის, რომ მან იცოდეს იმ წყაროების მოხმარება, რომლიდგანაც შეუძლია თავის დარჩენა; ეს წყაროები არიან მისი სამშობლოს ბუნებაში, ე.ი. მიწაში, წყალში, ტყეში და ზღვაში.

მაგრამ ამ ბუნების სიმდიდრით სარგებლობისათვის საჭიროა მისი კანონების ცოდნა, ე.ი. სწავლა; უამისოთ შეიძლება მშვენიერ ბუნებაში მყოფი ხალხი შიმშილით ამოწყდეს. ბუნების კანონების უმეცარი ხალხი ჰგავს იმ კაცს, რომელიც კვდება შიმშილით და იცის, რო დაკეტილში არის საჭმელი, მაგრამ არ იცის როგორ გააღოს.

ამის გამო, ცხადია, რომ ხალხის განათლებაც უნდა იყოს მიწოლილი ამ მხარეს და არა სხვა რასმე. განსაკუთრებით ჩვენს ხალხს ეჭირვება ასეთი განათლება, რადგანაც მისი ცხოვრების ჩარხი მოტრიალებულა ისე, რომ მის ტრიალს ვერ გაუძლებს ჩვენეული ძველებური ცხოვრება. ჩვენშიც, ეტყობათ, უგვრძნიათ ასეთი ჩარხის მოტრიალება და მიზვდარან სწავლის საჭიროებას. ამისათვის აშენებენ შკოლებს სოფლებში. ამ შკოლებში ასწავლიან წერას, კითხვას და ღრამატიკულ ლაპარაკს. ყველას მიყავს შვილები შკოლაში.

რატომ მიჰყავთ შვილები შკოლაში? მითომ, რომ ისწავლონ რამე-მერე? მერე იქიდან გამოვლენ სწალულები. მერე? თავს ირჩენენ; რითი? რითი და სწავლით. ღმერთმაც ქნას, მაგრამ ვნახოთ. არავის არ შეუძლია დამტკიცებით სთქვას რომ შკოლებში ყმაწვილმა ისწავლოს კარგად რომელსამე ენაზე ლაპარაკი, წერა და კითხვა. არავის არ შეუძლია სთქვას, რომ იქილამ გამოსულმა ყმაწვილმა იცის რამე საგანი კარგათ. მაშასადამე, მას არ შეუძლია იქნეს რიგიან მწერლათ, მთარგმნელათ და განსაკუთრებით მასწავლებლათ. მაშ ის უნდა შეუდგეს მამა-პაპურ ხელობას. მაგრამ საეჭვოა, რომ მას შეეძლოს ამ ხელობის აღსრულება ისე კარგათ, როგორც მისი მამა-პაპა ასრულებდა, რადგანაც მის სხეულის და პირის აგებულებას მოაკლდა ბევრი საჭირო ნივთები შკოლაში ცხოვრების დროს.

ამისთვის, ჩვენის აზრით, ჩვენში ის შკოლები კი არ არიან საჭირონი, სადაც ასწავლიან მარტოკა კითხვას, წერას და ლაპარაკს ღრამა-ტიკულათ, არამედ ისეთი შკოლები – სადაც ასწავლიან ყმაწვილებს ისეთ რამე ხელობებს, რომ შემდეგ გამოსვლისა შეეძლოს შეგირდს თავისი ცოდნის მონმარება, როგორც თავათ, აგრეთვე საზოგადოების სასარგებლოთ. ასეთი შკოლები არიან სამეურნეო და სახელოსნო შკოლები.

განსაკუთრებით ჩვენს ხალხს ასეთი შკოლები მოუტანენ ორ ნაირს სარგებლობას.

პირველი იმას, რომ იქილამ გამოსულ შეგირდს შეუძლია მოიხმაროს თავისი ცოდნა, როგორც თავისთვის, აგრეთვე საზოგადო სასარგებლოთ. მეორე იმას, რომ ამ შკოლებში სწავლა მიდის უფრო პრაქტიკულათ, მაშასადამე ყმაწვილებს ისე არ გაუჭირდებათ ამ საგნების გაგება.

აი რატომ გაუადვილდება ყმაწვილებს ამ რიგათ რუსულ ენაზე სწავლა.

ყოველი სიტყვა გამოხატავს რასმე საგანს ანუ აზრს, მაგრამ ამ

სიტყვის აზრი ესმის კაცს მხოლოდ მაშინ, როცა მის აზრში იხატება ეს საგანი ნათლად. ისე, რომ თითქოს თვალის წინ ედვას და ხელით სინჯავდეს; წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ ესმის იმ სიტყვის აზრი, მაგრამ დამტკიცებულია, რომ სხვა ენაზე კაცს არ შეუძლია წარმოიდგინოს ასე ნათლად ყოველი აზრი და ამის გამო იმ ენაზე ძალიან ძნელია დასაწყისში რიგიანი სწავლის მიღება.

.... ასეთი შკოლების დაარსებაზე თავობა ჩვენი საზოგადოების ვალია. ძალიან ბედნიერება იქნებოდა, რომ ის კერძო პირები, რომელთაც უთავებიათ შკოლების დაარსებაზე, მიაქცევდნენ ყურადღებას ჩვენი ხალხის საჭიროებას და იქონიებდნენ სახეში ზემოხსენებულ აზრს.

„ღრომბა,, 1870, 14 (26)/ XI, №26

მუდამ მიყრუებული კონსტანცის ქალაქი უცბათ გაცოცხლდა, გაივსო დიდებულებით ყოველ ევროპის კუთხიდან; ჯალიღრა სიცოცხლე და მიიქცია ჭვეყნის ყურადღება 1414 წელსა. ამ პატარა გერმანიის ქალაქში ამ დროს იბადებოდა ისეთი ღრმააზროვანი საქმე, რომელიც სიზმარშიც არ მოჩვენებია აქ შეყრილ დიდებულებს.

ამ დროს აქ შეყრილია ორი მოსისხლე მტერი, ორი პრინციპი, რომელთა შორის ენლაც სდულს გამწარებული ბრძოლა.

ერთის მხრით იყო მთელი ქვეყნიერი ძალა: გერმანიის იმპერატორი; პაპა, ოთხი პატრიარხი, ოცდა ორი კარდინალი, ას ორმოცდაათი ეპისკოპოსი, ათასი რვაასი მღვდელი, ორას სამოცდათორმეტი დოქტორი; ურიცხვი კრება თავადთა, კურფირსთა, ბარონთა, მარკგრაფებთა, ხალხისა და ათასი მორჩილი მონა გამწეებულ სალდათთა, — ეს მხარე იყო ავტორიტეტის ანუ ბატონობის წარმომადგენელი.

მეორე მხარეს იდგა ღარიბი ვიფლეემის მღვდელი იოანე გუსი, ამდროს დატყვევებული, რომელიც უნდა წარმომადგარ იყო ამ დიდებული კრების წინ; ის იყო ძმობის და ქრისტეს მოძღვრების წამომამდგენელი.

რომის დასავლეთის ეკლესიამ გამოჰფინა მთელი თავისი სიუხვე. გაკვირვებული ხალხის თვალის წინ. არასდროს ამდენი საკმეველი არ კმეულა, არასოდეს უმეტესის სასოების ხმით არ შეწირულა გალობა, „Veni sancte stiritis“.

ჯვარი სუფევდა ყოველგან, ის ჯვარი, რომელიც იყო მუდამ სიმბოლო (ნიშანი) ქრისტეს ცხოვრების, ტანჯვის და მოძღვრების. აქ ცოტა შევეცადოთ და გადავხედოთ იმ ისტორიის დღევას, რომელიც ამ დროს შეგუბულა და აპირებს ჭვეყნის დარღვევას.

აუცილებელი ისტორიული კანონების ძალით რომელიმე დროში

იბადებიან მრავალ გვარი პრინციპები, ანუ მოძღვრებანი, რომელთა აქვსთ უზომო მნიშვნელობა ცხოვრებაში, რომელიც არიან გამოწვეულნი მისთვის, რომ განსწმინდონ კაცობრიობის და ხალხის ცხოვრება საუკუნებით შეზღვილი ხორცმეტების და აბედებისაგან, რომელნიც ამძალებენ მის ცხოვრებას.

ამის გამო ამ ახალმა მოძღვრებამ, ანუ უკეთ ვსთქვათ, ახალმა ცხოვრების წყობილებამ უნდა მოსპოს, დაამხოს და აღმოხოცოს ის, რაც მავნე და ურგებია ხალხის ცხოვრებისთვის.

ცხადი საქმეა, რომ ამ მოსისხლე მტრებს შუა (ძველ და ახალ წესებს შორის) გაიმართება სასტიკი ბრძოლა, სადაც ერთი მათგანი უნდა დამარცხდეს, მოკვდეს და განქრეს ცხოვრებიდამ. ამ ბრძოლაში გვიან თუ ადრე იმარჯვებს და იღვამს ფეხს ის აზრი, ანუ პრინციპი, რომელსაც უფრო სინათლე და ჭეშმარიტება შემოაქვს ცხოვრებაში, ე. ი. ის, რომელსაც უფრო მაცხოვრებელი ელემენტები აქვს თავის არსებაში, ხოლო ძველი დაფუტურებული ჩვეულება დამხობის შემდეგ ჰქრება ცხოვრებიდამ, როგორც ყოველგვარი ხანდალეული არსება.

როგორც იყო ნათქვამი, ასეთი ახალი მოძღვრება არის გამოწვეული თვით ცხოვრებისაგან, ე.ი. მასში არის გამოხატული ცხოვრების მოთხოვნილება, მისი საჭიროება და მისი სიკვდილი, როგორც სახალხო სიმღერაში გამოხატულია ხალხის გრძნობა, მისი გულის ლტოლვილება და აზრი. მაგრამ ისეთი ლექსის გამომთქმელი არის ერთი პირი ხალხისგანვე გამოსული, რომელსაც შეუყვარია ერთ სრულ ქმნილებაში მრთელი ხალხის გრძნობა, მისი სულის კვნესა, და სულ ყველაფერი, რასაც ხალხის გული აძლევდა ხმას და ყურს, — ერთის სიტყვით, რაც კი ღრმით უგრძნია ხალხს თავის სიცოცხლეში.

ასეთივე მნიშვნელობა აქვს ამ ახალი წესების შემოღებაში, ანუ რეფორმაში, იმ პირებს, რომელნიც ახორციელებენ ამ ხალხის

ცხოვრების მოთხოვნილებას ანუ იდეას და აძლევენ მას შესაბამ სახეა, რომ ყოველს კაცს დანახვა და გაგება შეეძლოს ადვილად. ამ უკანასკნელ პირებს უწოდებდნენ ისტორიაში რეფორმატორებს და პირველს კი სახალხო პოეტებს.

ასეთს მოძღვრებას განხორციელებიაათანავე უჩნდებიან ადეპტები, მოწაფეები, ემხრობიან თან და თან და დიდი ხნის განმავლობაში ისინი, ვისაც ეს მოძღვრება უქადის ბნელ ცხოვრებიდან გამოსვლას, სინათლეს და შვებას.

ამასთანავე ჩნდებიან მტრებიც, ისინი, ვისაც მთელი ქვეყნის და კაცობრიობის სიკეთისათვის ეს ახალი მოძღვრება უპირებს დამხობას ე.ი. ძველი წესები და მათი წარმომადგენელი. უჩნდებიან მოწინააღმდეგეები, უმართავენ სასტიკ ბრძოლას, ბრძოლა თავდება და გამარჯვებული ე.ი. ახალი მოძღვრება შედის ცხოვრებაში, იღვამს ფეხს და ვრცელდება საქვეყნოდ. გადის დრო, ძველი ჩვეულება და წესი ჰქრებიან; ხალხი ეჩვევა ახალი წესის წყობილებას; ავიწყდება წარსული ვაი-ვაგლახი, — სისხლის და ცრემლის ღვრა; ცხოვრება ჯდება თავის კალაპოტში და მიდის იმედოვანი ნაჩვევი გზით.

მაგრამ ხალხის იმედი არ სრულდება; გაჰმთბობელი სხივები ახალ მოძღვრებას თან და თან აკლდებიან. მატულობს სიციფე და სიბნელე ცხოვრებაში; ბოლოს ამ სისხლით და ცრემლით დაარსებულს ჰუმარიტებას ეფარება რალაც ბნელი ფარდა რა ეპართება ამ ნათელ ჰუმარიტებას? აი კითხვა, რომელიც ჩვენ მოგვდის თავში ამ დროს.

ახალს მოძღვრებას დაწყებისთანავე ყავს თავისი მოსამახხურე, ანუ წარმომადგენელი, რომელიც მუდამ მისი ხანის და ცხოვრებაში გავრცელების საქმეში არიან, რასაკვირველია, წინა პირველი ხალხი ღებულობს ამ საქმეში მონაწილეობას.

მაგრამ ხალხი, მუდამ შეცული თავის დარღებით, ჭაფით და უმეც-

რებით შორდება ამ მონაწილეობას და დროის განმავლობაში უფლება და ზრუნვა ამ საქმეზე რჩება მხოლოდ ერთს წოდებას, რომლისთვის ეს საქმე შეიქნება ცხოვრების წყაროთ. ამ რიგათ ხალხში ჩნდება ახალი წოდება, სულ განსაზღვრული საქმით და უფლებით, რომელიც ცხოვრობს ხალხის ხარჯით; ცხადი საქმეა, რომ ასეთი წოდებისათვის სასარგებლოა, რომ ხალხი არ ერეოდეს მის საქმეში და არ თხოვდეს მას ანგარიშს ე. ი. მუდამ იყოს სიბნელეში და უმეცრებაში, რომ უფრო მარჯვეთ გამოიყენოს ის თავის სასარგებლოდ, როგორც პირუტყვი.

ამ რიგად ეს ახალი წოდება ხდება ბატონად, შემოაქვს ცხოვრების უკანონობა; ჰფარავს სინათლეს და ჭეშმარიტებას ხალხის თვალიდამ, რადგანაც მათი გამოჩენა და ცხოვრებაში შეტანა (ამ ახალ წოდებას) მოესპო და სარჩო წყარო იმ მუქთამჟამელებს, რომელნიც ამ სიბნელის დროს სარგებლობდნენ.

ასეთი ხალხის და ქვეყნის დაბრეყების დროს იბადებიან რეფორმატორები, რომელნიც წინ უდგებიან ამ გვარ უკანონობას, უწესრიგობას და ჭეშმარიტების დამახინჯებას; გამოდიან ბრძოლის მინდორზე თავიანთ მომხრეებით, ჰსწირავენ თავიანთ ქონებას და სიცოცხლეს საქვეყნო საქმეს და მრავალი საუკუნის შემდეგ მათი საქმე, მათი სიტყვა და სისხლი ათავისუფლებს კაცობრიობას სიბნელისა და მონებისაგან.

თუმცა ასეთი რეფორმატორები კვდებიან ამ ბრძოლაში, მაგრამ მათთან არ ილუბება მათი მოძღვრება; რჩებიან მას მოწაფეები, რომელნიც ავრცელებენ და შეაქვთ ცხოვრებაში თავიანთი მოძღვრის სიტყვები. ეს სწავლა და სიტყვები, ჯერ მასხრობით და დაცინვით შეცთომილნი, თან და თან უხელს ხალხს თვალს და ყურს, — ანახვებს მას იმ ძველ წყობილების სიბნელეს, სიფუჭეს, მავნებლობას და სიცრუევს, რომელშიც ხალხი მუდამ მტკიცედ დამყარებული იყო, თაყვანს სცემდა

და სთვლიდა ურყევ ბოძად. ერევა ექვი ამ საგანზე საზოგადოება... ამის შემდეგ თითონაც უყურებს კრიტიკულის თვალთ მის ქვეყნა და სიტყვებს, აგრე მიდის საქმე რამოდენიმე მოღმის განმავლობაში, — ბოლოს მთელი ხალხი პირველიდამ უკანასკნელამდი ნათლათ ხელაჯა ამ წესების სისუსტეს და უვარგისობას.

ამის შემდეგ ეს ძველი წესები და ჩვეულებები ხდებოან ქვეყნის სასაცილოდ და სამახაროთ, — მაშინ ის მკვდარია, ან კბილში უჭირავს სული და ბოლოს თვით კაცობრიობა და ცხოვრებაც ივიწყებს მან.

ამრიგათ ათავისუფლებენ კაცობრიობას სიბნელისაგან ანეთი ნათელნი პირნი, როგორც იოანე გუსი, ცეცხლში დამწვარი პეტრე ბრუესი, ლიონელი ვალდო და ინგლისელი ვიკლეფი.

ზემო აღწერილ სურათებს ვხედავთ ჩვენ სრულად რომა (კათოლიკეს) ეკლესიის ისტორიაში; ის წარმოგვიდგენს ჩვენ საშინელს და საოცარს საქმეებს თავისი უზურპაციით, ინკვიზიციებით და უსამართლობით.

ეკლესიებით მოშორებისთანავე რომის ეკლესიამ გაიძლოლია დევიზად შემდეგი ფრაზა კურთხევა სულს და ანათემა ხორცს. ამ დევიზით ზომავდა ის კაცის სულს, ხორცს და ღირსებას; მან განიზრახა ასრულებდა ამ დევიზის ცხოვრებაში და მითი ქვეყნისა და კაცობრიობის დამონება, — ამისათვის მან მოაშორა მღვდელი ხალხს, ცხოვრებას, ოჯახს და სამშობლოს, რომ ეკლესიის მღვდელი უფრო ღირსეული ეყო ქრისტესადმი ერის კაცზე.

ამ რიგათ რომის ეკლესიამ მოახდინა განხეთქილება ქრისტიანებთ შუა, რომელნიც ღვთის წინაშე ქრისტესგან იყვნენ ნაცნობნი ძმებათ და თანასწორებათ, — მაშასადამე რომის ეკლესიამ დაარღვია პირველი მუხლი ქრისტეს მოძღვრების.

ამ პირველი ნაბიჯის შემდეგ ბნელი და ბრწყინ ხალხი დააჭერეს,

არის ქრისტეს ზიარების; ამ რიგათ მხოლოდ სასულიერო წოდება იცნო რომის ეკლესიამ ღირსეულად ორივე სახით (ხორციით და სისხლით) წმინდა საიდუმლოს მიღებისა, ხოლო ხალხი უნდა ზიარებულყო მარტოკა ერთის სახით (ქრისტეს ხორციით). ამ მეორე ნაბიჯმა მოახდინა სრული და შეურიგებელი განხეთქილება ერთა და სასულიერო წოდებას შუა, მაგრამ ეკლესია მოშორდა ქვეყნის ცხოვრებას მისთვის კი არა, რომ იყოს თავისთვის, არამეს მისთვის, რომ დაიმონოს ერი და იცხოვროს მეფურად ხალხის შრომით და ქონებით.

ასეთი აზრის ასასრულებლად მას ხელში ჰქონდა მრავალი ბეჯითი საშუალება; მთელი კაცის არსება იყო მღვდლის ხელში, ის იღებდა ახალს დაბადებულს, უწყობდა მას ოჯახს და ცხოვრებას ე.ი. აძლევდა ცხოვრებაში შესვლის ნებას; ის იყო მოწამე მომაკვდავის უკანასკნელის აზრის და ნატვრის, ის ილოცვიდა მის სულზე, ერთის სიტყვით ეკლესია იყო ხალხისათვის ბოძი ამ ქვეყნის და იმედი საიქიოს.

ცხადი საქმეა, რომ ასეთი უფლების მქონის წოდებას ბევრი არ გაუჭირდებოდა იმ აზრის გავრცელება მთელ ხალხში, სასულიერო წოდება უფრო მალლა დგას ღვთის წინაშე, ის არის ცით არჩეული, მაშასადამე მხოლოდ მას აქვს უფლება ქვეყანაზეც და მას უნდა მორჩილებდეს და მსახურებდეს ერი.

ამ რიგად სასულიერო წოდება გამეფდა ქვეყანაზე, შეიკრიბა მის ხელში ყოველი გვარი ძალი, სიმდიდრე, მამულები, სამეფოები და ურიცხვი ჯარი, ამის შემდეგ მას ადვილად შეეძლო ცეცხლის და ინკვიზიციის შემწეობით დაემორჩილებია ყოველი წინააღმდეგი და დაეფარა მტრებისაგან ის წესები, რომელნიც ერთს დროს მაცდურობით და ეშმაკობით დაუარსებია და გამეფებულა. ამრიგათ, რომმა დაჩრდილა ევროპაში სამეფოები; მისი შიში ჰქონდა მეფეებს და კოროლებს; პაპამ ამაყად გამოუცხადა ქვეყანას: პაპის სახელი არის

უმეტესი ქვეყანაზე და ამაში კიდევაც დააჭერა განცვიფრებული ქვეყანა.

ამრიგათ ქრისტიანობამ დაკარგა წინა პირველი თანასწორობა, ხალხს ჩამოერთვა თავიანთ მოძღვრების ამორჩევის ნება და იქცა მონად; ეკლესიამ მიიღო კერპთ ჩვეულება; ეპისკოპოსები დაესახლნენ პალატებში; პაპა დაჯდა ტახტზე, როგორც კეისარი და გამოაცხადა თავისი თავი უცოდველად; მაგრამ გამოჩნდა გარყვნილობა და მძიმე ცოდვები.

აი საილამ და ვისგან ჩამოეფარა ქრისტეს მოძღვრებას ბნელი ფარდა. აი რაში მდგომარეობს ავტორიტეტი, რომლის საბრძოლველად გამოუწვევია ცხოვრებას იოანე გუსი. მთელ საშუალო საუკუნეების განმავლობაში იყო გაუწყვეტელი და გამწარებული ბრძოლა ევროპაში ავტორიტეტის დასაპხოზლად. მთელი გერმანია იყო ცეცხლმოდებული, — ჯარი ასი ათასობით წყდებოდა ყოველ დღე ბრძოლის მინდვრებზე, ქალაქები და სოფლები დაცარიელდნენ, დაიარაღებული ხალხი ტოვებდა სახლკარს და მირბოდა საზარებით ბრძოლის ველზე.

ბრძოლა იყო სასტიკი და უწყალო, — სისხლი დიოდა ყოველგან; სოფლები, ქალაქები და მინდვრები კაცის ძვლებით იყვნენ გადათეთრებული; ქვეყანა გაველურდა; სოფლებში ხროთ დაზუოდა მგლები კაცის მძოვრს.

აი რა საშინელი განსაცდელი გამოიარა ევროპის ხალხმა, სანამდის ის ამ ასთავიან გველეშაპს, ავტორიტეტს დაახობდა! თუ კი მოგვიანებით ებრძოდნენ ყოველგვარ დამცირებას, რაც კაცობრიობას და ხალხებს დადგომია ამ ავტორიტეტისაგან, მაშინ ჩვენ არ უნდა გაგვიკვირდეს ეს საზარელი და გამწარებული ბრძოლის ვაი-უმველებელი, მისი უწყალობა და კაცთა უფლების შეგინება!

კაცის არსება იყო შეპყრობილი როგორც სულით აგრეთვე ხორციით და ქონებით, — მას გამოლლიტეს და მოსტყუეს ის ღვთის წინაშე,

რომ სასულიერო წოდება უწმინდესია ერზე, მაშასადამე ის უღირსიც თანასწორობა, რომელიც დამტკიცდა ქრისტეს სიხსლით და შეიმოწმებოდა სრული წმინდა საიდუმლოს ზიარებით.

ამრიგათ კაცობრიობას უნდა ამოეგო ეს დაკარგული უფლება.

ის უნდა განთავისუფლებულიყო, უნდა გათანასწორობოდა ღვთის წინაშე სასულიერო წოდებას, თუმცა მას უნდოდა თავის ცხოვრებაში განათლების, პროგრესის და სოციალური (საზოგადოების) თანასწორობის შემოტანა.

ეს ცხადიც არის: ხელ-ფეხს შეკრულმა კაცმა ჭერ აშევებაზე უნდა იფიქროს და მერმე სეირნობაზე და შვებაზე.

მაშასადამე აქ ბრძოლა იყო სიცოცხლის დაფარვისათვის, დამარცხებული უნდა მომკვდარიყო და მისი სახელი უნდა გამქრალიყო ქვეყნიდამ.

ამის შემდეგ კაცთ მოყვარეობას რა აღგილი უნდა ჰქონოდა ამ საშინელ ბრძოლაში?

აი, რა საქმეს აცხოველებდა ეს შესანიშნავი კოსტანცას კრება. დანიშნულ დღეს გუსი წარმოსდგა კრების წინაშე, მისი სახე იყო მშვიდობიანი, ამაყი და გონიერი; საშინელი განსაცდელის მოლოდინმა კიდევ უფრო განამტკიცა ის თავის აზრში; მან მაშინვე იგრძნო თავისი საქმის დიდი მნიშვნელობა, ამან მოუმატა ალი მის სულს და დაათრგუნვია სიკვდილის შიში. ის ამბობდა: გუსი შინაური მფრინველია, ის არ ფრინავს მაღლა, მაგრამ გამოჩნდება სხვა მფრინველი, რომელიც ერთი ფრთის დაქნევით აცილდება მტრების მახეს.

გუსის მოძღვრება იყო თითქმის იგივე, რაც ინგლისელი ვიკლეფის, წმინდა საიდუმლოს გარდა. აი, რას ამბობდა ჭერ ვიკლეფი და მერე გუსი:

ა) ქრისტე მართლა არ არის თავის ნამდვილი სისხლით და ხორციით წმინდა საიდუმლოში, გარნა ეს არის მხოლოდ ემბლემა (ნიშანი).

ბ) საღმრთო წერილი წინააღმდეგია, სასულიერო წოდებას სიმდიდრე და მამული ჰქონდეს.

გ) საჭირო არ არის მღვდელ-მონაზვნობა

დ) კათოლიკე ეკლესია არის სატანის სინაგოგა და პაპა მისი მოადგილე და არა ქრისტესი.

ე) აიბრიყვება ინდულგენციის დაჭერება

ვ) ხალხს შეუძლია გამოსცვალოს თავისი მოძღვარი, თუმც მას არა აქვს ქველის მოქმედება.

ამრიგათ, როგორც ვიკლეფი, აგრეთვე გუსიც ებრძოდნენ უპირატესობას, რომელიც სასულიერო წოდებას მიუთვინებია უღირსად და იმ ზარმაცი და მუქთმჭამელების მეფობას, რომელიც აბნელებდა ქვეყანას და ცხოვრებას. ერთის სიტყვით ისინი ჯადაგებდნენ ხალხის უფლებას:

შვიდ ივნისს იყო დანიშნული მეორე სხდომა ჩვენების ჩამოსართმევად.

ამ დღეს მზის დაბნელება იყო და კონსტანცა დაბნელდა ცოტა ხანს.

მეორე სხდომაზე გუსი ბრალდებულჰყვეს ზემო მოყვანილ ვიკლეფის მუხლების მიღებისათვის. მრავალგზით ურჩევდნენ მას უარი-ეყო ამ მუხლებზე, მაგრამ ის უკანასკნელ წამამდის მტკიცეთ იდგა თავის აზრზე.

მაშინ გუსს ჰკითხეს: ნუთუ პაპა, ეპისკოპოსი და პრელატი კარგავენ თავიანთ ღირსებას, როცა ისინი ვარდებიან მძიმე ცოდვაში?

მან მიუგო ამაზე დამტკიცებით და მოაგონა კრებას სამუილის სიტყვები საულისადმი: ვინაიდთგან შენ უარ — ჰყოფ ჩემს სიტყვებს,

მეც უარგყოფ; შენ დღეის იქით არ იქნები მეფედ.

ამ სიტყვებზე კამბერიის კარდინალმა მიაქცია ყურადღება და შებლავლა გუსს: შენ არ გყოფნის სასულიერო წოდების დამცირება და მეფეებსაც ამცირებ? ამ შემთხვევაში ეს სიტყვები კარდინალის მხრით უსინდისო და უწყალო იყო.

გუსმა თავისი საქმე შესარულა. მას დარჩა მხოლოდ მამაცურად სიკვდილის მიღება. თუმცა ავადმყოფობამ და სასტიკმა ტყვეობამ ძალიან მიხრწნა, მაგრამ თავის სიტყვებზე მაინც დარჩა შეურყეველი, — ისე მამაცურად შეხვდა სიკვდილს, როგორც კრება, რომელმაც იცის, რომ მისი სიცოცხლე ეკუთვნის მის საქმეს. მოაწია უკანასკნელი განსაცდელის ჟამმა; მაშინ გუსმა მიუბრუნდა იმპერატორს და მოაგონა სამფარველო ღრამატაზედ, რომლის იმედით გუსი გამოცხადდა კრებაში; ეგონა შეუხებელი იყო, მაგრამ იმპერატორის პატიოსანი სიტყვა უსინდისოთ იყო გატეხილი. ამ მოგონებაზე იმპერატორის პირზე იელვა სირცხვილის ფერმა, ვერ აიტანა გუსის თვალები და პირი სხვისკენ მიაბრუნა.

გუსმა მოიწოდა ქრისტე თავის სიმართლეზედ, რაზედაც კრებამ სიცილი დააყარა; ბოლოს დაახურეს თავზე ქალაღის მიტრა ზედ წარწერით: მე ბედნიერი ვარ, რომ მადგია ეს სასირცხვილო გვირგვინი ქრისტესთვის, რომელსაც ედგა ეკლის გვირგვინი.

ბოლოს სამღვდლოებამ გადასცა გუსი საქალაქო მმართველებს და წაიყვანეს დასაწველად. მისი მგზავრობის დროს კრების ბრძანებით წვაკდნენ მისი თვალის წინ გზებზე მის წიგნებს, რომ დაენახა მას თავის აზრის შეგინება სიკვდილამდის.

მოიყვანეს თუ არა დანიშნულს ადგილს, გუსმა მაშინვე მოიკეცა მუხლები და შეევედრა ღმერთს მალლის ხმით: ღმერთო, შეივედრე სული ჩემი.

ამ დროს ხალხი დამ მოისმა მწუხარების ხმით: რა დააშავა ამ კაცმა? გუსს აქნევინეს პირი აღმოსავლეთით და ისე მიაკრეს ხეს, მაგრამ ვიღამც შენიშნა, რომ ის ღირსი არ არის აღმოსავლეთით ცქერის, როგორც ერეტიკი, ამისათვის მოაბრუნეს დასავლეთით და ისე მოუკიდეს ცეცხლი შემოყრილ შემას.

დიდ ხანს გამოისმოდა გალობის ხმა წამებულის ალიდამ; ბოლოს შეკრიბეს დანახშირებული ძვლები და გაატანეს რეინის ტალღებს.

გუსი მოკვდა, მაგრამ დარჩნენ მისი სისხლის მაძიებელნი, მისი დატევებულნი ერეტიკები. გუსის წინასწარმეტყველება უნდა ამხდარიყო: მაგრამ მოვა მფრინველი, რომელიც აცილდება თქვენს მახეს.

ეს საქმე, რომელზედაც შეჰსწირა თავისი თავი გუსმა და მისმა მოწაფემ იოანე პრაგელმა იყო მთელი ქვეყნის და კაცობრიობის საქმე.

მთელი ბოღემია (გუსის სამშობლო) რაცხდა თავის თავს შეგინებულად. იმ დროს როცა გერმანიის იმპერატორს მიყავდა სადავით თეთრი ცხენი, რომელზედაც იჯდა ახლად ამორჩეული პაპა ანტონიო კალონა; როცა ამრიგათ იმპერატორმა უჩვენა მთელ ქვეყანას სასულიერო წოდების უმეტესობა ქვეყნის ხელმწიფეებზე და ერზე, მაშინ დაიარაღებულმა და აღტაცებულმა ხალხმა ბოღემიაში გამოაცხადა თავისუფლება და თანასწორობა სასულიერო წოდებასთან შემდეგი სიტყვების ძახილით: სრული ზიარება ხალხს. მაშინ ოცდაათი ათასმა ამორჩეულმა ვაჟკაცმა მოიყარეს თავი ჟიჟკის დროშის ქვეშ, დასტოვეს ქალაქი და დაბანაკდნენ თაბორის მთაზე.

ატყდა გამწარებული და უწყალო ბრძოლა. გამარჯვება მუდამ წინ მიუძღოდა ჟიჟკის დროშას; ურიცხვი გერმანიის ჯარი ამოჟლიტა ზედიზედ ჟიჟკამ.

ბრძოლა გაგრძელდა 16 წელს; ამ ბრძოლაში ჟიჟკამ გამოიჩინა

საოცარი ნიჭი და ენერჯია; ის იყო ბრმა ცალი თვალით; ბრძოლაში მეორეც დაკარგა, მაგრამ საუკუნო სიბნელემ უფრო აუნთო მას სული და ენერჯია.

მის შემდეგ მის ღირს მოადგილეთ იყო პროკოპი...

ჩვენებში იყვნენ ამ დროს ისეთნი, რომელნიც თხოულობდნენ მარტო თავისუფლებას და არა თავისუფლებას და ძმობას, როგორც გუსის მხედრები. ეს კალიესტინელები ამბობდნენ: ვიყოთ მარტო თავისუფალი. 1434 წელს კალიესტინელებმა უღალატეს გუსისტებს, დაეტაკნენ მთელი გერმანიის ჯარით და ამოწყვიტეს თითქმის. დანარჩენი ამოწყდა შემდეგ ბრძოლაში.

ამგვარათ გუსის მომხრეები გაწყდნენ, მაგრამ მათი მოძღვრება და მიზანი არ დალუპულა მათთან, გაქრნენ მხოლოდ ალტაცებული და გაბრაზებული მოწაფეები, მაგიერათ დარჩნენ უფრო მშვიდობიანი და დაწყნარებულნი, რომელთაც გაპყვდათ ცხოვრებაში თავის ნათელ მოძღვრის სწავლა და აზრები; დარჩნენ აგრეთვე ბოლემიის ძმობა და მათი მიზანი.

ვერც სისხლმა და ვერც ზნეობითმა ძალამ ვერ მიანიჭა გამარჯვება მათ, ვინც იდგნენ ძმობის და თავისუფლების პრინციპებზე.

ყველა ამ საშინელი ბრძოლისა და ტანჯვისაგან დაიბადა ინდივიდუალიზმი, ანუ ის პიროვანი თავისუფლება, რომელიც გვერდით უვლის თვალს აცილებს სიღარიბეს, უმეცრებას და მონებას.

მაგრამ ეს კიდევაც ასრე უნდა ყოფილიყო ისტორიული კანონების ძალით; ჯერ პიროვანი კაცი უნდა განთავისუფლებულიყო და მერმე სოციალური. გაჩნდა წიგნის ბეჭდვა და ბოსი უეტის სიტყვით დაგესლიანებულმა ქვეყანამ დაბადა ლიუტბერი.

საზოგადო უნივერსალი

ამ კონსტანციის კრებას ჰქონდა ერთი ძალიან გასაკვირველი შემდეგი, ამ კრებამ სულ უნებურად და წინ დაუხედველად დაეხმარა გუგის საწმენს თავის სტრუქტურით და ამით შეამოწმა გუგის მოქმედების ჰერმეტიკობა. აი საქმე რაში იყო: ასეთს საწმენებს (როგორც გუგის საქმე იყო) უწინდელ დროში ერთი პაპის სიტყვა ათავებდა ხოლმე.

ხოლო ამ შემთხვევაში მოიწვიეს კრება; ამ რიგად ეკლესიამ სცნა კრების მნიშვნელობა პაპის სიტყვებზე უმეტესად, მაშასადამე პაპის უწინდელი ძალა და მნიშვნელობა ამ საქმით დამცირდა.

ასეთი პაპის დამცირების მაგალითს ჩვენ ვხედავთ კონსტანციის კრების შემდეგ. ბაზელის კრებამ მთელი ქვეყნის თვალის წინ ჩამოაგდო ტახტიდამ პაპა იოანე XXIII ნათესაობის გატეხისათვის. აგრეთვე იქნა ის გაგდებული ეკლესიიდან შემდეგი სახარების სიტყვებით:

ამ რიგათ ბაზელის კრებამ მოჰკაფა ძირს პაპის უცოდველობის პრინციპი. გასაკვირველი არ არის, რომ კონსტანციის კრებამ დასწვა გუგის ცეცხლში იმ აზრისთვის, რაც თვითონ ჩამოდენივე ხნის შემდეგ სცნა ჰერმეტიკობად!

კრებულში, 1873წელში.

სამეცნიერო-კვლევითი და სალიტერატურო

ჟურნალი „ბანათლიბა“

ქართული ენის მოყვარულთა საყურადღებოდ

დავით ჩოტუა

ჩვენის აზრით, ამ წერილში მოყვანილი ფაქტები საინტერესო უნდა იქნეს ქართული ენის მოყვარულთათვის. რის გამო ეხლა თითქმის ორმოცი წლის შემდეგ ვხედავ საჭიროდ გამოვაქყვენო, მით უფრო, რომ რამოდენადაც ვიცი, ამაზე ქართული ენის მეცნიერებისგან ყურადღება არ ყოფილა მიქცეული, თუმცა 1878-9 წლებში მათ შესახებ წერილი იყო გადმოცემული განსვენებული პროფესორ პეტრიაშვილისგან ა.ცაგარელზე. ფაქტები, რომელზედაც აქ არის ლაპარაკი, ორნაირია: ერთი მათგანი ეხება მეგრული ენის განსაკუთრებით თვისებას, რომელიც გამოიხატვის ქართული ენის ალფაბეტში და მეორე კი ეკუთვნის ჩინეთის ახლო მახლო ქვეყნებში დაკვირვებას.

როგორც ვიცი, ყოველი ასო ქართული ალფაბეტისა წმინდად და სრულად გამოიხატავს აგრეთვე მეგრული ენის ხმებსაც, გარდა ერთი ხმისა, რომელიც ისმის მეგრულ სიტყვებში: ყუჭი – ყური, ყვალი – ყველი, ოყალეში – საყელო და სხვანი. ეს ხმა (ყ) თუმცა ქართულ ალფაბეტში დღეს არ არის, მაგრამ ცოტა ოდენ რომ დაუკვირდთ, დავინახავთ, რომ იგივე ქართული ალფაბეტის ხმა ყ – არის, ხოლო ძლიერ რბილად და მსუბუქათ გამოთქმული, ეს მტკიცდება იმით, რომ ყოველი ქართული სიტყვა, რომელშიც ისმის ხმა ყ, როგორც საძირკველი სიტყვისა, პირდაპირ გადადის მეგრულ სიტყვებში დასუბუქებული და სუსტი ყ -ად: ყურძენი – ყურძენი, ყვალი – ყველი, ოყალეში – საყელო და სხვანი. თუმცა დღეს ქართული ენა არ ხმარობს ამ ხმას, მაგრამ საფიქრებელია, რომ ოდესმე მასაც ჰქონია ის და, როგორც მგონია,

მისი ნაშთი ისმის ორიოდ იმერულ სიტყვაში (ყ) იმე! (ყ) ვენახთ!

აქ საჭიროა მეგრული ენის გამოთქმაზე ორიოდ სიტყვა ითქვას: მეგრული ენის გამოთქმულება (ВЫГОВОР) ორნაირია: პირველი ზუგდიდის მაზრის და მეორე კი სენაკისა. იმ სოფლებში, რომელნიც მოსაზღვრენი არიან ერთის მხრით იმერეთისა, და მეორეა — აფხაზეთისა, მეგრულ ენაზე ჰქონდათ დიდი გავლენა როგორც ქართულს, ასევე აფხაზურ ენებს, ხოლო ამ საზღვრებზე მოშორებით რაიონებში (ცენტრი) დაცულია ნამდვილი გამოთქმა მეგრული ენისა, ეს ცენტრი არის, საზოგადოდ რომ ვთქვათ, ზუგდიდის მაზრა, გაღმა-გამოღმა ენგურის ნაპირები ორ წყალთა შუა: ხობი და ერისწყლისა, გარდა ორ-სამ სოფლისა სამურზაყანოში. აქ მოვიყვანთ ორივე გამოთქმის მაგალითებს ერთის და იმავე სიტყვებისას:

სენაკის მაზრა

ზუგდიდის მაზრა

ტიბუ

ტბუ — თბილი

პატონი

პატნი — ბატონი

კინტური

კტრი — კიტრი

ტორხუ

ტრხ — ტყდება

ჰჰჰჰჰჰტია

ჰჰჰჰტია — ჰიანჰველა

როგორც ჩანს აქ მოყვანილი მაგალითებიდან, სენაკის მაზრის გამოთქმებში სიტყვებს ერთვის ხმოვანი ასოები და მასთან ძლიერ რბილათ გამოსთქვამენ.

რომ დავაკვირდეთ ზოგიერთ მეგრულ სიტყვის ეტიმოლოგიურ ხასიათს, დავინახავთ, რომ ისინი ერთობ დატვირთულნი არიან პრეფიქს — სუფიქსებით და რომ მოვაშორათ მათ თავსართ-დაბოლოებანი, დარჩება მხოლოდ საძირკველი (ძირი) სიტყვისა, რომელიც ხშირად

გამოითქმის ერთი რომელიმე ხმით ქართულ ალფაბეტისა. ავილოთ, როგორც მაგალითი, მეგრული სიტყვა ოქიში — წელი (СПИНА). სიტყვა ოქიში რთულია, ის არის შემდგარი სამი ელემენტისგან ო, ჰ, და შ, ჰ არის საძირკველი სიტყვისა, ო — თავსართი და შ დაბოლოება. პრეფიქსი ო მეგრულ ენაზე ნიშნავს ადგილს, სადაც რაიმე არის მოთავსებული, — იმყოფება და უდრის ქართულ პრეფიქსს სა-ნს, მაგალითად: ოც - ხენე — საცხენო, ოსიმინდე — სასიმინდე და სხვანი, ხოლო შ არის ნიშანი ნათესაობითი ბრუნვისა, ანდა ნიშანი ზედსართავის სახელისა.

მაგრამ ეს მეგრული სიტყვების თვისება მით არის საინტერესო, რომ მარტოკა ხმით გამოთქმულ სიტყვის საძირკველს თან დაყობა აზრიც და ზოგიერთ შემთხვევაში ორი და სამიც.

ეს განსაკუთრებითი ხასიათი მეგრული ენისა ეტიმოლოგიური ანალიზისა და ზოგიერთი ზმნის ფორმის გარდა გამოაშკარავდება ქართულ ანბანში, როცა ჩვენ თითო ანბანს გამოვსთქვამთ, აგრე წოდებულ სახმო მეთოდით, ამასთან ეს თვით აზროვანი ხმები არიან საძირკველად როგორც მეგრულის, აგრეთვე ქართული ენის სიტყვებისა. ამნაირად საძირკველ ჰ სიტყვა ოქიში ნიშნავს ნაწლავს და იგი — ჰ შეედრის ქართულ ხმას წ-ს.

როგორც ვიცით, 27 თანხმოვანი ასოა, ამ 27 თანხმოვან ხმათაგან 14 მეგრული ენის სიტყვებში არიან საძირკველად და გამოხატებიან თითო თან-აზროვან ხმებით. ხოლო თუ მოვიგონებ, რომ იტყვიან სხვა და სხვა ხმებთან ერთმანეთზე, როგორც მაგალითად შ=ს=რ=ც, ჩ=ც, ს, ძ, ჯ, დ და სხვანი, დავინახავთ რომ მათი რიცხვი უფრო მეტიც უნდა იქნეს. რომ კარგად დავაკვირდეთ ამ 14 ხმათა ხასიათს დავინახავთ, რომ 1) შვიდი მათგანი (ლ, ჭ, ღ, ხ, ჩ, ნ და ძ) არიან გამოხატველი მხოლოდ მოქმედებისა (ГЛАГОЛОВЬ) 2) ოთხი (კ, ც, ჯ და ჰ) მარტო სახელ არსებითი სიტყვისა, 3) ხმას წ-ს თან დაყვება როგორც

მნიშვნელობა სახელ არსებითი სიტყვისა, აგრეთვე ზმნისა, 4) გარნა უ და ვ არიან გამომხატველი სამ-სამ აზრისა: ა) უ ორ მოქმედებისა და ერთ ზედშესრულ სიტყვისა, ბ) გ ორ მოქმედებისა და ერთ სახელ არსებისა. ყოველივე ესე სჩანს ქვემო მოყვანილ ფაქტებიდამ

1) ლ — არის მესამე პირი მხ. რიცხვი აწმყო დროისა და ნიშნავს: ის ვარდება და არის საძირკველი იმ სიტყვებისა, რომელშიაც ასე თუ ისე გამოიხატებიან ლტოლვილება: ოლაფარე, ლაფა და აგრეთვე ისმის ქართულ სიტყვებში: ლაფა, სვლა, მოსვლა და სხვანი. აქ მოვიყვან მეგრულ ზმნის ფორმას, საიდანაც ნათლად დავინახავთ ზემო მოყვანილ ფაქტებს.

აწმყო

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
მა ბ ლ-ქ	ჩქ ბლ-თ
სი ლ-ქ	თაქვა ლ-თ
თინა ლ	თანეფი ლ-ნა

აქედამ სჩანს, რომ ხმა ლ არის საძირკველი სიტყვისა: ლაფა და მესამე პირში მხოლოდით რიცხვში გამოიხატვის მარტოკა ერთის ხმით ლ; რაც შეეხება ქ-ს, რომელზედაც ბოლოვდებიან ორი პირი მხ. რიცხვში ზემოთ მოყვანილი ზმნის ფორმაში, ჩვენის აზრით, ეს ნაშთი უნდა იყოს ზმნისა: ვ იქ — იბ ქ და თავის დროზე უნდა ყოფილიყო ზმნის ფორმა აგრე: ლა — ფას — იბ — ქ, ლაფას — იქ და სხვა.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ბოლო ხმა ზმნაში — ქ ხან ემატება და ხან არა, მაგალითად:

ბჰარ — ანუ	ბჰარნქ — ვწერ
ჰარ	ჰარნ-ქ — სწერ.

2) ძ არის მესამე პირი მხოლოდითი რიცხვი აწმყოსი და ნიშნავს: ის ძვეს. ეს ხმა როგორც საძირკველი არის ყოველივე იმ სიტყვებში, რომელშიაც გამოიხატება აზრი დადებულობისა: ძვეალი, ძირი, ბოძი, მეძობელი, ძუძუ, ძვეს და სხვანი. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხმა ძ იცვლება ზ-ნად, ს-ნად, ჯ-ნად. 3) ქ იმავე ხასიათისაა, როგორც ზემოთ მოყვანილი ხმები, ხოლო არა მესამე პირი, არამედ მეორე და ნიშნავს: შენ ბქვავ და როგორც სიტყვათა საძირკველი ისმის შემდეგ სიტყვებში: ქვირი, წისქვილი, და სიტყვაში: იბ ქ კიქ. ხ-ეს ხმა არის სრულიად იმათვისებისა და გრამატიკული ფორმისა, როგორც ხმა ქ და ნიშნავს: შენ ხევ და როგორც სიტყვის საძირკველი იპოვება შემდეგ მეგრულ-ქართულ სიტყვებში: ხულო – (დარღვევა), ხევა, ხევი, ხსნა, სახსარი და სხვანი.

აწმყო

მ. რ.	მ. რ.
მა ბ-ქ ანუ ბ-ქნ-ქ	ჩქ ბ-ქნთ
სი ქ ანუ ქნქ	თქვა ქნთ
თინა ქნც	თინეფი ქნა
მა ბ-ხ ანუ უბ ხნქ	ჩქ ბ-ხნთ
სი ხ ხნქ-	თქვა ხნთ
თინა ხნც -	თინეფი ხნა

5) „ნ“ ავანო გრამატიკული ხასიათით ეს ხმა არის მესამე პირი მხოლოდითი რიცხვი. აწმყო და იპოვება როგორც საძირკველი ყოველივე იმ სიტყვებში, რომელშიაც გამოიხატება აზრი ვნება: ვნებს, მავნე და ნაღველი – ნეე.

6) შესახებ ხმა ლ ნისა უნდა ვსთქვათ, რომ თუმცა მისი თვით მნიშვნელობა ისე ცხადი არ არის, როგორც ზემო მოყვანილი ხმებისა,

მაგრამ მის ზმნის ფორმებში ნამდვილად დავინახავთ, რომ ეს ხმა ნამდვილი სიტყვის საძირკველია, მაგალითად:

მი ლ — წა მი ლო

გი ლ — წა გი ლო

ი ლ — წა ი ლო

მოთავსებულია, როგორც საძირკველი შემდეგ სიტყვებში: ღალა — წაღება, ღალ — ღელე, ღმალა — ქონება და სხვა.

უკანასკნელი ხმა ზემოგარჩეულ ხმათა შორის ჩ ნიშნავს აქამა, ხოლო მისი ფესვი არის მოთავსებული ქართულ სიტყვაში რჩენა.

თუ მოვიგონებთ, რომ ხმა ჩ როგორც მეგრულში, აგრეთვე ქართულ სიტყვებშიც იცვლება ც ნად, როგორც მიცემა — მეჩამა, ცთომა — ჩილათა, ჩან — ცუნ (აცვია — ჩაჩრილია), მაშინ რასაკვირველია ამ ხმისგან წარმომდგარი სიტყვები უფრო მეტიც იქნება ორივე ენებში.

ხოლო მეორე რიგის ოთხნი ხმანი (კ, ტ, ც, ჭ), როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, არიან გამომხატველნი მხოლოდ სახელ არსებითი სიტყვებისა. ა) კ რკო არის როგორც საძირკველი ყოველივე იმ სიტყვებში, რომელშიაც ასე თუ ისე გამოიხატება აზრი, მნიშვნელობა სიმაგრისა, სიმტკიცისა, მაგალითად: კლდე, კაჯი და სხვა. ბ) ამა ხასიათის არიან ხმანი ტ და ც. ტ ნიშნავს: ჭიგარს და მეორე კი კვერცხის ცილს და ხეს კოპიტს. გ) რაც შეეხება ხმას ჭ-ს, რაც მაშზე ზემოთ ითქვას მას უნდა დაუმატოთ, რომ ეს ხმა ისმის როგორც საძირკველი ყველა იმ სიტყვებში, რომელნიც არიან გამომხატველი აზრთა სიმტკიცისა, სიწვრილისა და მიწვენილობისა ჭიჭე — პაწაწინა, ჭყე — წვრილი, ჭიკირკული — ქათმის კუჭი, მოჭიშაფა — მოწვენა, ნჭაფა — წვლენა და სხვა. ხმა ჭ, როგორც სჩანს ზემოთმოყვანილი სიტყვებიდან, პირდაპირ იცვლება წ-ად ქართულ სიტყვებში.

8) წ ამ ხმას თან დაყობა ორი მნიშვნელობა: მნიშვნელობა მოქმედებისა და სახელ არსებითი სიტყვისა. პირველ შემთხვევაში არის მეორე პირი მხოლოდითი რიცხვისა აწმყოისა და ნიშნავს: შენ სწოვ; ხოლო მეორე, როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, სახელ არსებითი სიტყვაა და ნიშნავს: წრევეანდელ წელიწადს.

9) ორ დანარჩენ ხმებს: გ და შ- ს თან დაყვება რამოდენიმე მნიშვნელობა როგორც მოქმედებისა და სახელ არსებისა, აგრეთვე ზედ შესრულ სიტყვისაც. ა) გ როგორც მოქმედება ნიშნავს: ის გავს, ასვია; ხოლო გრამატიკული ხასიათით არიან: მესამე პირი მხოლოდითი რიცხვისა აწმყოისა. ბ) როგორც სახელი არსებითი გ ნიშნავს: ტყის ქათამს. ამავე ხასიათისა არის ხმა შ ნიც, გარდა იმისა, რომ ორ მოქმედების გარდა ის გამოხატავს ზედ შესრულ სიტყვასაც. ა) პირველ შემთხვევაში შ არის მესამე პირი მხოლოდითი რიცხვისა აწმყო დროისა და ნიშნავს: მას ახსოვს, ხოლო მეორე შემთხვევაში მეორე პირი მხოლოდით რიცხვისა აწმყო დროისა და ნიშნავს: შენ ქსოვ რასმე. ბ) ამათ გარდა შ-ნს, როგორც ვსთქვით, თანდაყობა ზედ შესრული სიტყვის მნიშვნელობა და აღნიშნავს სოველს. თუმცა მოვიგონებთ, რომ ხმა შ, როგორც მეგრულში, აგრეთვე ქართულშიც იცვლება ხოლმე ს-ნად, ვნახავთ, რომ ის, როგორც საძირკველი, არის მოთავსებული მრავალ სიტყვებში ორივე ენებისა და მათ შორის მეგრულ სიტყვაში – შმორი.

შემთხვევითი უანიშნავანი

ხშირად შევხვდებოდით გაზეთებში 1900 წ. ჩინეთის არეულობის დროს ისეთს მდინარეების საკუთარ სახელებს, რომელნიც ბოლოვდება 236

ხოლმე ხე ზედ და აზრთა ასოციაციის მოგონებით გვაგონებენ ჩვენს ქართულ სიტყვას — ხევს. აქ მოვიყვანთ ჩვენ ზოგიერთ სახელებს: სინჩხე. ეს მდინარე არის 88 ვერსის მანძილზე ჩინეთურ ქალაქი აიგუნდამ, რომელიც მდებარეობს მარჯვენა ამურის ნაპირზე ოცი ვერსის სიშორეს ბლალოვესჩენსკიდან, აგრეთვე კუზ-ხე, კეტხე და სხვა. აქ სიტყვის დაბოლოება ხე ნიშნავს მდინარეს, რადგან ჩინურად მდინარეს ჰქვია ხუა. აქვე მანჯურიაში არის ქალაქი სახელად ჭიხე; ეს ქალაქი 1900 წელს იყო აღებული ღენერალი სახაროვისგან. ადვილად შესაძლებელია, რომ ყოველივე ეს იყოს მხოლოდ ხმათ მსგავსება, მაგრამ აგრეთვე ხმათ მსგავსება ჩვენ გვესმის შემდეგ სიტყვებშიც: ჩიტა, ციციკარი და შარაგული. შარაგული არის დიდი სათემო გზა ირკუტსკის გუბერნიაში. შეიძლება, როგორც ვსთქვით, ეს მარტო ხმათა მსგავსება იყოს ქართულ სიტყვებისა, მაგრამ ეს საექვო საქმე სინამდვილეს უფრო დაემსგავსება, რაც ჩვენ მოვიგონებთ ერთს გეოგრაფიულ სახელს, რომელიც ნამდვილი ჩვენებური მდინარის სახელია. 1900 წელს ნერჩინსკის ოლქიდან იყო დაბეჭდილი კორესპონდენცია გაზეთი ამურსკი კრაიში, სადაც სხვათა შორის იყო მოხსენებული ერთი მდინარე, რომელსაც ეძახიან — ინგირს. აქ შესანიშნავია ის კონსკრიპცია, რომელსაც ხმარობს კორესპონდენტი — ინგირი და არა ენგური. სწორედ ასე ეძახიან ამ მდინარეს თავის სამშობლოში — სამეგრელოში. აქ მოვიყვანთ ზოგიერთ ჩინეთურ სიტყვებს, რომელნიც ძლიერ გვაგონებენ ქართულ სიტყვებს: თო თავი (აგრეთვე ეს სიტყვა ნიშნავს ცას და მთას), თია — დღე მეგრული თეე — აღრე, სინთე — ნთ ანთია ცეცხლი; წოთ — თითი ეს სიტყვა ისმის, ჩვენის აზრით, ქართულ სიტყვაში: წვთა და მეგრულ — წვირთალი — წაშამფურებული: შუ — ხელი, მეგრულად ხეში შუშაფა — უბეში გაციებული ხელის გათბობა, თოხან მაღალი მთა, თოუჯა — ბალიში,

მეგრულად ყუჯიში ბალიში, ყედრო — ყური. მაგალითად, ყუჯი, ხუა — მდინარე — ხევი; თითო — მზე, მეგ. თუ — თა — სანთე; ჩფა — მეგ. ჩქვაფუა.

1870 წელში აი რა ნაირი ფაქტს შევხვთი სპენსერის იმ თხზულებაში, სადაც რელიგიის ევოლუციაზედ არის ბაასი.

ინდოეთში, როგორც ამბობს სპენსერი, ერთი რომელიმე ხალხი თავიანთს სცემს შხამიან გველს, რომელსაც ეძახიან ჯოჯოს და რომელსაც სხვერპლად სწირავენ კაცს.

საქმე ისაა, რომ ჯოჯო ქვემო იმერეთში, გურიაში და სამეგრელოში უცხო როდი არის: გურიაში ჯოჯოს ეძახიან მწვანე ხვლიკს და სამეგრელოში კი მამაკაცთა სახელია. საზოგადოთ, სამეგრელოში უყვართ მითოლოგიურ ან შესანიშნავ გმირთა სახელების დარქმევა (ქრისტიანულ სახელების გარდა). ეს ხალხური ჩვეულება დღემდის არის დაცული და ხშირად გაიგონებთ სამეგრელოში უკანასკნელი ინფორმაციის სახელებსაც, როგორც მაგალითად: ბებუთოვი, მირსკი, ვითგენშეინი, ლევაშოვი და სხვა. ამ ტრადიციას თუ ვიქონიებთ სახეში, მაშინ სხვათა შორის ჯოჯო, რომელიც ტრიალებს სამეგრელო — გურიაში და ინდოეთში, რაღაც კავშირი უნდა იყოს ეს ასე თუა, მაშინ ჩვენთვის ცხადია, რას ნიშნავს ჩვენი სიტყვა — ჯოჯოხეთი. სიტყვა ჯოჯოხეთი თავისი ეტიმოლოგიური ხასიათით უდრის სიტყვებს: რუსეთი, აფხაზეთი, სვანეთი, იმერეთი და სხვა. სადაც დაბოლოება ეთი აღნიშნავს ადგილს, ქვეყანას, რომელიც უჭერია რომელსამე ერს, ანუ სხვა რამე არსებას, მაშასადამე სიტყვა ჯოჯოხეთი ნიშნავს ადგილს, რომელიც არის სავსე საშინელ შხამიან გველებით — ჯოჯოებით.

აი სად აგზავნის ქართველი ერი თავიანთ ცოდვილთა სულებს!..⁵

P. S. ამ უკანასკნელ დროში თითქმის ყველა ქართული გაზეთები ხმარობენ სიტყვას — ბალკანეთი. სიტყვა ბალკანი არის სახელი ადგი-

ლისა და არა ერისა, ამის გამო არ შეიძლება ითქვას: ბალკანეთი, რადგან ეს წინააღმდეგია ქართული ეტიმოლოგიის კანონის და ჰგავს იმას, რომ ვინმემ სთქვას კავკაზეთი.

წარმოიდგინეთ ასეთი კვერცხი, რომელსაც თავ-ბოლო ძალიან რგვალი აქვს. ამისთანა კვერცხის მსგავსია დედამიწაცა. როგორც კვერცხი, დედამიწაც იმ ნაირათ არის შემდგარი სხვა და სხვა წყობისაგან, ამ წყობებს დავარქვათ ნაკეცები. კვერცხი, როგორც ვიცით, არის შემდგარი ოთხი წყობისაგან, ანუ ნაკეცისაგან. გარეთ არტყია მაგარი ნაჭუჭი, იმის შიგნით კანია, კანის შიგნით ცილი და მერე ყვითელი გული.

დედა მიწაც აგრეთვე სხვა და სხვა მიწის ნაკეცებისაგან არის შემდგარი. ჯერ ჩვენ ვხედავთ კლდიან მთებს, მას შემდეგ უფრო რბილ მიწას, რომელზეც ჩვენ ვცხოვრობთ, ამის შიგნით ნაკეცებს, რომელნიც ერთმანეთზე არიან შემორტყმულნი მიწის გულამდის; შუა გული კი არის ისეთი თხელი, როგორც კვერცხისა; მაგრამ, არ გეგონოს ჩემო მკითხველო, რომ ეს თხელი მიწის გული იყოს ისე ცივი, როგორც კვერცხისა; არა, აქ არის საშინელის სიციხისაგან გამდნარი ყოველივე მაგარი ნივთიერება, რომელსაც ჩვენ ვხედავთ დედამიწის ზურგზე; აქ ისეთი სიციხეა, რომ კაცისგან ძნელი წარმოსადგენია. რასაკვირველია, ამ ჩემს სიტყვებზე ზოგიერთ მკითხველთაგანს უთუოდ შეეპარება თავში ეჭვი და მეტყვის: — განა დედა-მიწის შუაგული გინახავს რომ ასე დაბეჭითებით მიმტკიცებ ამასო?

ნუ აჩქარდები, ჩემო მკითხველო, დამიგდე ყური. იმ ქვეყნებში, სადაც მადნებს და ღრმა ქვებს სთხრიან, შენიშნულია, რომ რაც უფრო ჩადრმავებულია ჰა, ან მადნის ძირი ისე სითბოსაც უფრო ემატება.

დიდი გამოძიებით და დაკვირვებით შეიტყვეს, რომ თხუთმეტსაყენ

საღრმეზე ერთი გრადუსი ემატება, ე.ი. ზევით მიწაზე თოთხმეტი გრადუსი სითბო რომ იყოს, თხუთმეტი საუენი რომ ჩააღდმაოთ იქ ერთი გრადუსით მეტი სითბო იქნება. ამ კანონით ჩვენ რომ ჩავიდეთ მიწაში ორი ათას საუენზე, ან ოთხი ვერსტის სიღრმეში, იქ ტერმომეტრი გვიჩვენებს ას ოცდა ცამეტ გრადუს ნახევარ სითბოსა. ამისთანა სითბოში წყალი ორთქლად გადაქცეულია და რომელიმე მადნეულიც სიცხისგან გაღზვალა. მეცნიერების გამოანგარიშებით მიწის სისქე ექვსი ათასი ვერსტია. ახლა შენ იფიქრე მკითხველო, თუ ოთხ ვერსტის სიღრმეში წყალი ორთქლად გადაქცეულია და რომელიმე მეტალებიც გამდნარია, როგორი სითბო უნდა იყოს ექვს ათას ვერსტის სიღრმეში!?

აქ, როგორც ხედავ, ჩემო მკითხველო, ისეთი სითბოა, რომ წარმოდგენა ძნელია კაცისათვის. ამ სიმზურვალის ძალით არამც თუ გამდნარია ქვა, რკინა, მიწა და სხვა მაგარი ნივთიერება, არამედ წყალივით ორთქლადაც არიან გადაქცეულნი ზოგიერთი მათგანი.

ახლა მოგახსენებთ ისეთ დამამტკიცებელს საბუთებს, რომ მართლაც — დათანხმდებით, რომ დედამიწის შუაგულში მომეტებული სიცხისაგან ყველაფერი გამდნარია.

ჩვენს ქვეყანაში ძალიან გახშირებულნი არიან თბილი წყაროები, რომელნიც ბევრს მკითხველთაგანს უნახავს, იქნებ ტანიც უბანია ამათში. ასეთი თბილი წყაროები ძალიან გახშირებულნი არიან დედამიწის ზურგზე და აქვს სხვადასხვა სითბო. მაგალითად ნეაპოლის ახლოს, იტალიაში, არის ისეთი ცხელი წყარო, რომელსაც შეუძლია ერთი წამის განმავლობაში კვერცხის მოხარშვა. ეს მაგალითი

საკმაოდ ამტკიცებს, რომ მართლა დედამიწის შუაგულში დიდი სითბო უნდა იყოს, სადაც ასე პატარა სიღრმეში ამისთანა ცხელი წყაროები არიან, მაგრამ მკითხველი მაინც ექვში რომ არ დარჩეს, მოვიყვან კიდევ ერთ ბუნებით მოვლენას, რომელიც უფრო საფუძვლიანად ამტკიცებს ამ ჩემს სიტყვებს.

არიან ისეთი მთები, რომელნიც ხან და ხან მიწის ძვრის შემდეგ, ამოისვრიან ხოლმე გალხვალს ნივთიერებებს, ამისთანა მთებს ეწოდება ვულკანები.

ეს უკანასკნელი მაგალითი გვიმტკიცებს, რომ დედა-მიწის შუა გული მართლა გამდნარია საშინელი სიცხისაგან, როგორც ვსთქვით ზემოთ.

ახლა ჩვენ რომ დავაკვირდეთ დედამიწის ზურგზე კლდეებს, მდნეულს და სხვა მიწის ნაკეცებს, შევატყობით, რომ ესენი ყოფილან როდესმე გამდნარნი და ბოლოს გაცივებულან.

ამ ზემოთ მოყვანილ საბუთებიდგან მკითხველის თანა-შემწეობით შეგვიძლია გამოვიყვანოთ, რომ ყოფილა ისეთი დრო, როდესაც დედა - მიწა სულ ერთიანათ გალხვალი ყოფილა, როგორც ამ ჟამად იმისი გულია.

ამ დროს წყლები, ე.ი. ოკეანეები, ზღვები და რასაკვირველია მდინარეებიცა იყვნენ ორთქლად გადაქცეულნი, აგრეთვე ზოგიერთი მდნეულიც და ერთჯა საშინელი ბნელი ნისლი დედა-მიწას თავზე, რომელიც თახთახებდა ამ საშინელ სიბნელეში.

მაგრამ ეს ჩემი ზემო სიტყვები ვიცი, რომ მკითხველის თავში დაბადებენ ორნაირ კითხვებს: თუ მართლა იმ მდგომარეობაში იყო მიწა, როგორც თქვენ ანბობთ, როგორ გაცივდა ასე, როგორც ახლა? და რამდენი ხანი მოუწდა ამის გაცივებას?

ეს კითხვები სწორედ კანონიერი არიან შენის მხრით, ჩემო მკითხველო და კიდევაც მოგახსენებ პაპუხს ამ თქვენს კითხვებზე.

მიწის გაცივების მიზეზები იყვნენ მრავალნი. მაგრამ თავი რომ არ მოგაწყინოთ მე მოვიყვან აქ მხოლოდ ორს მათგანს, რომელნიც იყვნენ უპირველესი მიზეზები მიწის გაცივებისა.

რადგანაც დედა მიწას ჰქონდა ასეთი საშინელი სითბო, როგორც ვნახეთ, გასაკვირველი არ არის, რომ ის ახურებდა იმ ჰაერს, რომელიც გარს ეხვია. მაშასადამე დედა მიწა ჰკარგავდა რამდენსამე სითბოს ნაწილს თავისას და ჰაერს აძლევდა.

ეს გაცხელებული ჰაერი, რადგანაც იყო უფრო მზატე ცივი ჰაერზე, გასწევდა მალლა და ამის ადგილს იჭერდა ცივი ჰაერი — რომელიც თავის მხრით ართმევდა მიწას სითბოს და მიდიოდა ზეცას.

ამისთანა მღელვარებაში იყო ჰაერი რამდენიმე ათას საუკუნეს, რომლის განმავლობაში დედა-მიწის ზურგი გაცივდა იმ ზომაზე, რომ მას მოერტყა თავზე თხელი ქერქი, როგორც მოერტყმება ხოლმე ცხელს რძესა გაცივების შემდეგ.

მეორე მიზეზი მიწის გაცივებისა იყო წყალი. აი როგორ. ყველამ ვიცი, რომ ჰაერი უფრო ცივია ამაღლებულ ადგილზე, ვიდრე ვაკეზე, დიდ მაღალ მთებზე, ვიდრე უბრალო გორაზე; აქედგან შეგვიძლია გამოვიყვანოთ, რომ ჰაერი უფრო და უფრო ცივია,

რამოდენსაც ზევით ავიწევთ.

მართლაც სწავლულებმა გამოინგარიშეს და ნახეს, რამოდენიმე ვერსტის სიმაღლეში ორთქლი წყლად იქცევა სიცივისგან.

ახლა წარმოიდგინეთ ის ორთქლად გადაქცეული ოკეანები და ზღვები, რომელთაც გასწიეს საშინელ სიღრმეში; აქ ეს ორთქლი იქცა სიცივისაგან უცბად წყლად და ერთბაშად ჩამოსცვინდა წვიმათ მიწაზე. მაგრამ რადგანაც მიწის თხელი ტყავი იყო კიდევ ძალიან გახურებული, ამისა გამო ეს ჩამოცვინული წყალი გაორთქდა ისევ და გასწია ზეცას, სადაც მეორეთ იქცა სიცივისაგან წყლად და ჩამოვარდა მიწაზე.

ცხადია, რომ ჩამოვარდნილი წყალი ართმევედა სითბოს მიწას ყოველ ახალ ჩამოვარდნაზე.

ამ ნაირ ბრძოლაში იყვნენ ეს ორი სტიქიონები, მანამდის, სანამ მიწა არ გაცივდა იმ ზომამდე, რომ მასზე შეეძლო წყალს დგომა.

ასეთმა წყალმა მოიცვა მთელი დედამიწის ზურგი ნაცვლად გავარვარებულ ცეცხლისა.

მაგრამ ეს პირველი ჩამოვარდნილი წყალი, რომელმაც მოჰფარა დედა მიწა ტრიალებდა ისე, როგორც ქვაბში აღუღებული წყალი, რადგანაც დედა-მიწის ზურგი იყო კიდევ ძალიან ცხელი.

ასეთ დუღილსა და ტრიალში იყო პირველად ჩამოვარდნილი წყალი რამოდენიმე ათასი საუკუნეების განმავლობაში.

შემდეგ, როცა მიწამ დაიწყო ნელ-ნელა გაცივება, წყალიც დაწყნარდებოდა ნელ-ნელათ და ბოლოს ის მოემზადა მცენარეების სხვადასხვა გვარი ხის და ბალახეულობის გასაზღვრელათ, აგრეთვე რომელიმე ცხოველების საცხოვრებლად.

როცა ოკეანე დაწყნარდა დუღილიაგან, მაშინ დაეფინა ძირს ქვიშა, რომელიც ტრიალებდა დუღილის დროს. ეს პირველი ჩამომჯდარი ქვიშაა — პირველი და ყველაზე უძველესი მიწის წყობა წყლის მეფობის უამიდგან.

ამ წყლის მეფობის დროს იყვნენ ძალიან გახშირებულნი ვულკანები, რომელთაც ამოსწიეს აქა-იქა დაბალი კუნძულები ოკეანეზე.

მეორე კითხვაზე მოგახსენებთ ერთ მაგალითს, ჩემო მკითხველო, რომლისგანაც ნათლად დაინახავ, რამდენი დროც მოუნდებოდა მიწას იმ ზომამდე გაცივებას, როგორც ახლა. ას თერთმეტი წელია მას აქეთ, რაც მექსიკაში (ამერიკაში) მოხდა 60 დღის განმავლობაში საშინელი მიწის ძვრა, შემდეგ მიწის ძვრისა ერთ მინდორში ამოხეთქა ორთქლმა, და იმ ადგილმა, საცა გამოჩნდა ორთქლი, დაიწყო ამოწევა, ბოლოს გაკეთდა კარგი მაღალი გორაკი; ამ გორაკის კუნძულებიდან ამოვიდა ჭერ კომლი, მერე ქვები ამოცვივდნენ და ბოლოს ამოდუღდა გალხვალი მიწა; ამ ცხელმა მდინარემ მოიკვა რამოდენიმე საუენი ადგილი ამ გორაკის მახლობლად.

ოთხმოც და შვიდი წლის განმავლობაში ეს ნაკადული კვლავ იმდენად ცხელი იყო, რომ კაცი იმის ნახეთქებში სიგარს მოუკიდებდა.

აქედან მკითხველს შეუძლია ადვილად წარმოიდგინოს, რამოდენი ხანიც მოუნდებოდა მიწის გაცივებას, რომლის სისქე ექვსი ათასი ვერსტია, თუ რომ რამდენიმე მტკაველი სისქის გაცივებას მოუნდა 87 წელიწადი წვიმის და თოვლის ქვეშ.

ამასთანავე გეტყვი, რომ მიწის გაცივებას სწავლულების გამოანგარიშებით, მოუნდა ოცდაცამეტ მილიონზე მეტი წელი.

ამ მოკლე მოთხრობითგან ხედავს მკითხველი, რომ მიწას აქვს თავისი ისტორია, რომელიც გვიჩვენებს ჩვენ როგორ ნელნელა კვდებოდა დედა-მიწა მილიონ საუკუნეების განმავლობაში. ახლა

ენახოთ აქვს თუ არა ასეთი ისტორია იმ არსებებს, რომელნიც ცხოვრობენ დედამიწის ზურგზე (რომელნიც ცხოვრობენ დედამიწის ზურგზე ისინი რასაკვირველია არიან ცხოველები და მცენარეები, - ავტორი).

... თფილისის ტროტუარები სულ ამისთანა ქვებით არის მოკირქვული; ამ ქვას აქ ალგეთის ქვა ჰქვია, რადგან ალგეთის მდინარის პირზე სჭრიან მას.

„სასოფლო ბაზეტი“, 1870, 31/1, №2

ნაწილი II

როგორც ზემოთა ვსთქვით, დედა- მიწა იყო დაფარული სრულებით წყლით ზოგიერთ დაბალ კუნძულების მეტი. ამისა გამო შესაძლო არ იყო, რომ ქვეყანაზე გაჩენილ იყვნენ ისეთი მცენარეები და ცხოველები, რომელნიც ცხოვრობენ მხოლოდ ხმელეთზე. ამ დროს შესაძლო იყო გაჩენილ იყვნენ მხოლოდ წყალმცენარეები და ცხოველები, პირველად მართლაც ესენი გაჩნდნენ.

როგორ გაჩნდნენ მკითხავს მკითხველი?

აი, როგორ გაჩნდნენ? ხშირად უნახავს მკითხველს, რომ როცა სტაქანში ანუ ღრაფინკაში დარჩენილა წყალი რამოდენიმე დღის განმავლობაში, ამ წყალში გაჩენილან, რაღაც მწვანე ძაფივით ბალახები, რომელთაც არ აქვს არც ძირი და არც ტოტები, ამ ბალახს ჩვენში ეძახიან ლოყობას (ბეწვიანს).

ამასთანავე შეუნიშნავს, რომ თუ რამოდენიმე ხანი დაცლია ამ ლოყობიან წყალს, მაშინ წვრილი მატლები გაჩენილან.

ეს ლოყობა გაჩნდა, როგორც ვხედავთ წყლიან სტაქანში, საცა არ იყო არც ერთი ნამცეცი მიწა, მაშასადამე ეს მცენარე არ

246

საჭიროებს მიწაში ფესვით ჩამაგრებას, როგორც სხვა ფესვიანი ბალახები და ხეები.

ეს მაგალითი გვიჩვენებს ჩვენ, რომ სადაც წყალია და სინათლე, იქ უთუოდ გაჩნდებიან მცენარეები და ცხოველები, რომელნიც არ საჭიროებენ სხვა საჭმელებს გარდა წყლისა და არიან ძალიან დაბალი ხარისხისა თავისი აგებულებით.

როგორც ხედავ ჩემო მკითხველო, შესაძლოა, რომ ზემო მოყვანილნაირად გაჩენილიყვნენ ოკეანეებში მცენარეები და ცხოველები. კიდევაც ამნაირად გაჩნდნენ იპინი (მცენარეები და ცხოველები) დედამიწის ზურგზე. ეს მცენარეები იყვნენ მიზეზი უფრო სრული აგებულების ანუ ორგანედიანი (ასოებიანი) მცენარეების გაჩენისა, რომელნიც საჭიროებენ მიწას თავის სარჩენათ. ეს პირველი წყლის ბალახი ანუ ლოყობა გაჩნდა საშინელის სიმრავლით ოკეანეებში, დროის განმავლობაში ბებერი ლოყობები ხმებოდნენ და ჩამოვდებოდნენ წყლის ძირს; აქ ეს ლოყობების ნარჩენი ლპებოდა, იქცევოდა მიწათ.

ამ ნაირი შრომით ლოყობამ გააკეთა რამოდენიმე საუკუნეების განმავლობაში ერთი პირი მიწის წყობისა, ანუ ერთი ნაკეცი.

ახლა როცა გაჩნდა ერთი პირი მიწისა, შესაძლო იყო გაჩენა ისეთი მცენარეებისა, რომელნიც საჭიროებენ მიწას თავის საზრდოდ და რომელთაც შეეძლოთ წყალში ცხოვრება.

ეს მცენარეები კიდევაც გაჩნდნენ; ესენი იყვნენ წყლის ხავსები, რომელთაც თავის ნარჩენით მოუმატეს მიწას კიდევ ერთი პირი წყობა და მითი შეიზარდეს ისა უფრო სრული და უკეთესი აგებულების მქონე

ბელი მცენარეების საზრდელათ.

მაგრამ, რაც დრო გადიოდა, ისე მიწამაც დაიწყო ვულკანების ძალით კუნძულებად ამოწევა ოკეანს ზევით. ამ კუნძულებს თან ამოყვანენ ის მცენარეები, რომელნიც ცხოვრობდნენ მასზე წყლის ქვეშ.

ეს წყლიდამ ამოსული კუნძულები შრებოდნენ ნელ-ნელა და მისი წყლის მცენარეები ღებოდნენ და ასუქებდნენ კუნძულის ჭაობებს (კენჭუობებს). ამ ჭაობების (კენჭუობის) გაჩენის შემდეგ გაჩენილან ჭაობის მცენარეებიც; მაგალითად კლიმატები (ლერწმის გვარი მცენარეები). ამ ნაირად მცენარეები გადავიდნენ წყლიდამ ჭაობებში.

ბოლოს ეს ჭაობებიც დაშრენ და დარჩა უფრო მშრალი მიწა. ახლა, რადგანაც მიწა გვარიანათ დაშრა, შესაძლო იყო გაჩენა კიდევ უფრო მაღალი აგებულების მცენარისა, ასეთი მცენარეებიც გაჩნდნენ; ესენი იყვნენ გვიმრები.

ამ აღწერილდამ ვნახეთ, რომ ჯერ ზღვაში, როცა არ იყო მიწა, გაჩნდნენ ლოყობები, (ძალიან უბრალო აგებულების მცენარეები), რომელთაც არა აქვსთ თითქმის არც ერთი ორგანო; ამის შემდეგ, როცა მათ თავის დანარჩენით გააკეთეს ერთი პირი მიწის წყობა, მაშინ გაჩნდნენ წყლის მცენარეები, ხავსები, რომელთაც აქვსთ ძირი საჭმლის ამოსაწოვად მიწისგან.

ბოლოს, როცა ხავსმა გააჭაობიანა კუნძულები თავისი ნარჩენებით, შემდეგ გაჩნდნენ კალამიტები, რომელთაც აქვსთ ძირისა და ტანის გარდა ფურცელებიცა.

და ბოლოს, როცა კუნძულები დაშრნენ უფრო მაშინ გამოჩნდნენ გვიმრები, რომელთაც აქვსთ მომატებული ორგანო ანუ ასოები ეი. ტოტები. ამ უკანასკნელი სიტყვებიდამ შეგვიძლია გამოვიყვანოთ ერთი ძალიან შესანიშნავი ბუნების კანონი: ყოველი დაბალი ანუ უბრალო

აგებულების სხეული ჩნდება წინათ, ვიდრე უფრო მაღალი და უფრო სრული აგებულების სხეული: დაბალი აგებულების სხეული არის მიზეზი მაღალი აგებულების სხეულის გაჩენისა.

შენ არ გეგონოს, ჩემო მკითხველო, რომ მარტოკა მცენარეები და ცხოველები ემორჩილებიან ამ კანონს, არა, ამ კანონის ძალით მოძრაობს თვითონ კაცობრიობის ცხოვრებაც. თქვენ რომ გადაშალოთ ისტორია, რომელიმე ხალხისა, ნახავთ, თითქოს ყოველ გვრდზე, რომ თვითონ ისტორია არის გამომხატველი ამა კანონისა. ეს კანონი მოქმედებს მიწის გაჩენის აქეთ და იმოქმედებს კიდევ უკუნითი უკუნიამდე.

აი, რა აზრი აქვს იმ სიტყვებს, რომელთაც ხშირად ხმარობენ ახალი მწერლები:

„აწმყო შობილი წარსულისაგან
არის მშობელი მომავალისა“.

ლაიბნიცი

რაც ზემოთ ითქვა, იმაზე ეჭვი ნუ მოგეცემა, მკითხველო, ვითომც ის მიღებ-მოღებით ყოფილიყოს წარმოთქმული. ბუნების ისტორია ასეთი სწავლაა, საცა სწავლული კაცების გონიერებას ყოველივე გამოუკვლევია დიდის დაკვირვების და დარწმუნების შემდეგ; სანამდის ისე არ დარწმუნებულა რამე ჭეშმარიტებაზე, როგორც თავის ხუთი თითის მყოფობაზე, მანამდის არც ერთი ბუნების წრეში ჭეშმარიტება არ მიუღია...

აი, რა საფუძველზე არის დამყარებული, რაც ზემოთ მოგახსენეთ. არიან ისეთი ადგილები, რომელნიც წყლისგან ჩამონგრეულან და იქ

მოჩანს ყოველი მიწის ქერქის შინა აგებულება თავიდან ბოლომდის.

ამისთანა ადგილებს, რომ დააკვირდეთ, შეატყობთ, რომ ისინი არიან შემდგარი სხვა და სხვა მიწის წყობისაგან, ნაკეცებისაგან. თითოეულს მათგანში იპოვებენ ისეთი გაქვავებული მცენარეები და ცხოველები, რომელნიც სხვა წყობებში არ არიან.

სულ ძირს მიწის წყობაში იპოვებიან გაქვავებული, ანუ განახშირებული ხავსები და ლოყობები, რომელთაც ეძახიან „ანტრაციტს და გრაფიტს“. ახლანდელ დროში აკეთებენ მათგან კარანდაშებს. მეორე წყობაში იპოვებიან გაქვავებული კალამიტები (ლერწმეულობა), მას ზევით გვიმრები, რომელთაც შერჩენიათ კიდევ ფურცლები.

რაც შეეხება ცხოველებს, ისინი დაბალ ნაკეცებში, წყობებში არ იპოვებიან, რადგანაც მათ პირველჯერ არ ჰქონდათ არც ხტილი და არც ძვალი; ზევით წყობებში იპოვებიან გაქვავებული ლოკოკინები და თევზები, რომელთაც ძვლის მაგიერად აქვსთ ხტილი ტანში.

„სას(ო)ზლო ბაზიტი“, 1870, 21/II №3

ნაწილი III

წინა თავებში მოვილაპარაკე მკითხველთან ორ პერიოდზე: პირველი იყო ცეცხლის მეფობის ჟამი და მეორე კი წყლისა.

ამ უკანასკნელ პერიოდში, როგორც იცის მკითხველმა, გაჩნდნენ ოკეანეში ორგანოსნები (სხეულები); ამას გარდა დაიწყო სულ სხვანაირ მიწის ფენამ ჩამოჯდომა ოკეანეს ძირში და ამის გამო ამ პერიოდს უწოდებენ გადაბიჯებით პერიოდს.

ეს გადაბიჯებითი პერიოდი შეიცავს რაოდენსავე მოკლე პერიოდებს, ანუ ფორმულებს; მაგრამ მკითხველს თავი რომ არ მოვაწყინო მრავალ ფორმაციების აღწერით მე ამ თავში მოვილაპარაკებ ერთ შესანიშნავ პერიოდზე, რომლის მოწყალებით ასე კეთილდღეობს ახლანდელ დროში განათლება და რომელმაც ძალიან ააჩქარა მისი გავრცელება ქვეყანაზე.

ეს შესანიშნავი დრო ქვის ნახშირის პერიოდია ანუ ის დროა, როცა გაჩნდა ქვის ნახშირი დედამიწის ზურგზე.

მაგრამ, მგონია, კიდევ ვერ მიხვდა მკითხველი მას, თუ როგორ ააჩქარა ქვის ნახშირმა განათლების გავრცელება ქვეყანაზე.

აი, როგორ:

ისტორია გვიჩვენებს მრავალ მაგალითებს, რომ იმ ერს, რომელსაც ჰქონია გაადვილებული მიმოსვლა სხვა ერთან, დაუწყია ვაჭრობა და ამის გამო ის გამდიდრებულა; ამისთანა ერს არ უცხოვრია თავის დღეში მონობის ქვეშ და კიდევაც ჩქარა მიუღია განათლება.

აქედამ შეგვიძლია გამოვიყვანოთ, რომ განათლებისათვის აუცილებლათ საჭიროა სიმდიდრე, რომელიც იზადება ვაჭრობიდან.

ცხადია, რომ ვაჭრობის კეთილდღეობისათვის საჭიროა მიმოსვლა სხვადასხვა ერებთან და რაც უფრო ადვილი და აჩქარებულია ეს მიმოსვლა, ისე ვაჭრობა და მასთან სიმდიდრე უფრო მარჯვეთ მოდის.

ახლა წარმოიდგინეთ, მკითხველო, ის რკინის გზები, რომელნიც ნახევარი თვის სავალს ერთს ან ორ დღეში გაგარბენინებენ; წარმოიდგინეთ ის ცეცხლის გემები, რომელნიც ისე ჩქარა და მარჯვეთ დატრიალობენ ოკეანეზე და თამამად ებრძვიან მათ ცივ ზვირთებს.

აი, ვინ წასწია და მოჰფინა ქვეყანაზე ამ უკანასკნელ დროში განათლება, მაგრამ, როგორც იცის მკითხველმა, რკინის გზები და ცეცხლის გემები დატრიალებენ ქვის ნახშირის ძალით დედა-მიწის

ზურგზე. ის იპოვება ყოველგან, როგორც სამხრეთში, საცა ძალიან სიცხეებია, ისე ჩრდილოეთის ქვეყნებში, სადაც მთელი წელიწადი თოვლი და ყინული არ დნება. ამასთან შენიშნულია, რომ ის მცენარეები, რომლიდანაც ქვის ნახშირი, არიან ერთი და იგივე გვარისა ყოველგან.

ამ მცენარეების უმეტესი ნაწილი არიან გვიმრები, კალამიტები და სხვა დაბალი მცენარეები.

ახლანდელმა სწავლულებმა მიიხედ-მოიხედეს ქვეყნის ზურგზე და ნახეს, რომ ამგვარი მცენარეები იზრდებიან იმ ქვეყნებში, საცა უფრო თბილი და ნოტიო ჰავაა. აქედამ გამოიყვანეს, რომ ქვის ნახშირის პერიოდში ყოფილა თბილი და ნოტიო ჰავა, როგორც სამხრეთში, აგრეთვე ჩრდილოეთის ქვეყნებშიაც.

მართლაც, ეს აზრი მართლდება უფრო იმით, რომ ამ დროს ძალიან გახშირებული იყვნენ ვულკანები, ან ცეცხლ-მქშინავი მთები, რომელთაც ამოსწიეს ოკეანეებზე კუნძულები. ეს კუნძულები შრებოდნენ ნელ-ნელა, დროის განმავლობაში და ანოტებდნენ ჰაერს.

ეს ისეთი ცუდი და მაწყინარი ჰავა იყო, რომ იმაში არ შეეძლო ცხოვრება ისეთ ცხოველებსა და მცენარეებს, რომელნიც საჭიროებენ წმინდა ჰაერს და მზის სხივებს.

ამისთანა მცენარეები და ცხოველები მართლაც არ იპოვებიან აქ. ამ პერიოდის მიწის წყობებში იპოვებიან, როგორც ზემოთ ვსთქვით, კალამიტები, გვიმრები და სხვა დაბალი აგებულების მცენარეები.

ცხოველთაგან აქ იბადებიან მხოლოდ ქვემძრომის (ქვემძრომს ეკუთვნის: გველი, ბაყაყი, კუ, ხვითქი და სხვა), დანარჩენი, რომელნიც ყოფილან ძალიან დიდები, როგორც გვიმტკიცებენ მათგან დარჩენილი ძვლები.

ახლანდელ დროში სწავლულები დარწმუნებული არიან, რომ ამისთანა ჰავის მდგომარეობის მიზეზი იყო ორი: პირველი მდგომარეობს

იმაში, რომ ამ პერიოდში არ ყოფილან ისეთი დიდი და ვრცელი ხმელთაგანი, როგორც ახლა, მაშინ მხოლოდ კუნძულებად იყო ზღვებში ამოჩრილი მიწა იქა-აქა ოკეანეებზე; ამასთან ამ კუნძულებზე არ ყოფილან არსად მთები, რომელთაც შეეძლო რამდონიმე მაინც გაეციებინა კუნძულების ჰავა. ეს კუნძულები იყვნენ შემორტყმული ოკეანებით, რომელნიც უფრო ანოტიებდნენ და ათბობდნენ კუნძულების ჰავას; ასეთს მდგომარეობაში იყვნენ ყოველგან კუნძულები, და ამის გამო იყო ერთი და იგივე ჰავა, როგორც ჩრდილოეთის, აგრეთვე სამხრეთის კუნძულებზედაც. მეორე მიზეზი ჰავის სითბოსი ამ პერიოდში იყო ის, რომ მიწას კიდევ ჰქონდა იმოდენი თავისი სიმზურვალე, რომ მას შეეძლო გაეხურებინა ის ჰავა, რომელიც ერტყა მას. ახლა, ვნახოთ, თუ როგორ გაკეთდა ეს ქვის ნახშირი. სწავლულებმა დიდის მეცადინეობის შემდეგ გამოაჩინეს, რომ ეს ქვის ნახშირი არის მცენარეები, რომელნიც წყლის ქვეშ გადაქცეულან ნახშირად.

ისინი სრულებით დარწმუნებული არიან, რომ ის ადგილები, საცა ახლა იპოვება ქვის ნახშირი,ჯერ ყოფილა ხმელეთი მოცული ტყეებითა; ბოლოს ამ ალაგს დაუწევია ისე, რომ სულ ზღვაში ჩამალულა და ყოფილა დაფარული რამოდენსამე ათას საუკუნეს, რომლის განმავლობაში ტყეები, რომელნიც დაყვნენ თან ამ ადგილებს, გადაქცეულან ქვის ნახშირად ქიმიკური კანონის ძალით.

ეს ადგილები ბოლოს ისევ ამოწვევენ ოკეანეზე, მოცულან ხელახლა მცენარეებით, ბოლოს ისევ დაწეულან. ასეთს ვითარებაში ყოფილა ამ პერიოდში დედა-მიწის ზურგი.

ასეთი მიწის ამოწვევა და დაწვევა შესაძლო რომ არს, ამას გვიმტკიცებს ჩვენ ახლანდელ დროში მრავალი მაგალითები.

მაგალითად, სამხრეთის მხარე შვეციისა და გრელანდიისა სულ იწვევა ძირს ასე, რომ ზოგიერთი კლდეები დგანან ახლა ზღვაში, რომელნიც უწინ იდგნენ ხმელეთზე.

ამასთან არიან ისეთი ადგილები, რომელნიც ხან დაიწვევენ ძირს და დაიფარებიან წყლით და ხან ისევ ამოჩნდებიან ზევით. ამის მაგალითს ჩვენ ვხედავთ იტალიაში.

ნეაპოლის ახლოს დგანან რამდენიმე მარმარილოს სვეტები, რომელნიც არიან დარჩენილნი ძველი კერპების დროის ტაძრებისგან. ეს სვეტები ნახევარს ზევით დაბურღულია გარშემო, სადაც უცხოვრიათ, როგორც დაამტკიცეს სწავლულებმა, ზღვის წვრილ ცხოველებს (მატლებს), რომეთაც არ შეუძლიან ცხოვრება არსად ზღვის გარეშე.

აქედგან შეგვიძლია ეს ვიფიქროთ; საცა ეს საკეტები დგანან ჯერ ყოფილა ხმელეთი, სადაც ხალხს აუშენებია საყდარი, მერე დაწეულა და ყოფილა ზღვის ქვეშ და ბოლოს ისევ ამოუწეულა — ზღვიდგან. ძალიან შესაძლებელი და ჭეშმარიტიცაა, რომ ამ ნაირად იწვევოდა მიწა ქვის ნახშირის პერიოდშიაც.

ჩვენ ზემოთ ვსთქვით, რომ ქვის ნახშირი გაკეთდა წყლის ქვეშ ქიმიკური კანონების ძალით. აი, როგორ მოხდა ეს საქმე. ყოველი რთული სხეული არის შემდგარი რამდენიმე მარტივ სხეულისაგან, ანუ ელემენტისგან.

თუ როგორმე მოაკლდა, მოშორდა რომელიმე ელემენტი ამ რთულ სხეულს, მაშინ ის ირღვევა. ასე მოხდა აქაც: ყველა მცენარეები არიან შემდგარნი სამ მარტივ სხეულითგან ანუ ელემენტებისგან: ნახშირ-თავა, წყალ-თავა და ძმარ-თავასაგან.

როდესაც ხე, ანუ სხვა მცენარე მოკვდება, დაიწყებს ის ლბობას, ანუ რღვევას მიტომ, რომ ძმარ-თავა, რომელიც არის ჰაერში შეერთდება დამპალი ხის ნახშირ-თავასთან და გამოაცლის მას (ხეს) შეადგენს გაზს ანუ ნახშირ-ძმარას, რომელიც ძალიან მავნებელია კაცის სიმრთელისათვის. როცა ამგვარათ გამოეცლება ხეს ნახშირ-თავა მაშინ დარჩებიან მხოლოდ ორი მარტივი სხეულები: წყალ-თავა და ძმარ-თავა.

მაგრამ ისინი მაშინათვე მოშორდებიან ხეს წყლათ, რადგანაც მათ მოშორდა ის მარტივი სხეული (ნახშირ-თავა), რომელნიც შეადგენდნენ ხეს.

ამნაირათ მოხდა ქვის ნახშირის გაკეთება ოკეანეებს ქვეშ. ის ტყეები, რომელნიც იყვნენ წყლის ქვეშ, დაირღვენ ამ კანონის ძალით და იქცნენ შავ მიწად. ეს შავი მიწა შეზავდა სხვადასხვა ზღვის მარილებით (მარილს ეძახიან ყველა იმ ნივთებს, რომელნიც არიან გამდნარი ზღვის წყალში) და იქცა ქვის ნახშირათ საშინელის წყლის სიმძიმის ქვეშ.

„სასიუზლო გაზეთი“, 1870, 25/III, 2

საჯმლის მნიშვნელობა ხალხის ცხოვრებაზე

დავით ჩოტუა

როგორც იყო ნათქვამი, ყოველი საკმელი უნდა იყოს სისხლის მკეთებელი ნივთიერებისგან. მაგრამ ძალიან ძვირათაა ისეთი საკმელი, რომელშიაც იმყოფებოდეს სამივე ეს ნივთიერება. ერთს საკმელში მხოლოდ სისხლის მკეთებელია, მეორეში მარტოლა ქონის და მესამეში ორივე ერთად და აკლია კირთ გვარი ნივთიერებები. ამის გამო, ცხადია, რომ ეს საკმელები ცალ-ცალკე ვერ არჩენენ სხეულს, ისეთი უნდა აურიონ ერთმანეთში, რომ შეამსონ ერთმანეთი თავიანთი ნაწილებით.

ასეთი სრული საკმელი, როგორც არეული, რომელშიაც იმყოფებოდეს ყოველი გვარი სისხლისათვის საჭირო ნივთიერებები ძალიან ძნელად იპოვებიან ბუნებაში.

მხოლოდ კვერცხს და რძეს შეუძლიან შედარება ამ შემთხვევაში არეულ საკმელთან. მეცნიერების გამოანგარიშებით გამოდგა, რომ 54 გრამი კვერცხის ცილში და გულში არის ერთი მეორედი გრამი არა ორგანული ნაწილები, 38 გრამი წყალი, 6 გრამი ქონის და 5 სისხლის მკეთებელი ნაწილები. აქედამ ცხადად სჩანს, რომ სამივე სისხლისათვის საჭირო ნივთიერებები იმყოფებიან კვერცხში.

ამას გარდა შეიძლება კიდევ უფრო ნათლად დამტკიცდეს კვერცხის სიკეთე.

ყველამ ვიცით, რომ კვერცხისგან იზადება სულიერი, წიწილი, რომელსაც აქვს ხორცი, ძვლები, სისხლი, ტვინი და ბუმბული, მაშასადამე კვერცხი შეიცავს ყოველივე სხეულისათვის საჭირო ნაწილებს.

მეორე ადგილი უჭირავს რძეს, კვერცხის მერე ამ შემთხვევაში მასში არის 5 გრამი სისხლისა მკეთებელი, 4 გრამი ქონის მკეთებელი, 48

გრამი არაორგანული ნაწილები.

ასეთი მეცნიერების გამოძიების გარდა ჩვენ ყოველს დღე ვხედავთ, რომ რძეს მართლაც ასეთი ადგილი უჭირავს საქმელთ შორის.

ყოველი ახალდაბადებული ცხოველი რამოდენიმე თვეს რძით იზრდება; მაშასადამე აძლევს ყოველგვარ საჭირო ნაწილებს სხეულს.

ზემო მოყვანილ საქმელების გარდა არიან ისეთი საქმელებიც, რომელნიც ძალიან უახლოვდებიან მათ თავიანთ ნაწებთ, ანუ ნოყიერებით.

ასეთ საქმელებს ეკუთვნიან: მუხუდო, ლობიო და ცერცვი. გამოჩენილი სწავლულის სიტყვებით: მუხუდო, ცერცვი და ლობიო თავიანთი ნოყიერებით წარმოგვიდგენენ საქმელს რძეს. მაშასადამე მათ შეუძლიათ დააკმაყოფილონ სხეულის მოთხოვნილება. აი, რას ანბობს მეორე გამოჩენილი მეცნიერი საქმელზე: რასაკვირველია, რომ სასიამოვნო იქნება კარტოფილის მაგიერათ რომ ლობიოსა და მუხუდოს ხმარებას იწყებდნენ ირლანდიაში და გერმანიაში უღონისძიებო ერის გასაკვებათ, ამისთანა ცვლილება უეჭველია გააუმჯობესებდა ერის შთამომავლობას, გაამაგრებდა ერის კეთილმდგომარეობა და უკეთეს — გრძობას გაუღვიძებდა ერს თავის თავზე.

ამ მეცნიერის სიტყვებისგან ცხადათ სჩანს, რომ შეიძლება ხალხი რჩებოდეს ზემომოყვანილ საქმელთ და ამასთანავე იყოს იქამდის ნიჭიერი, რომ შეეძლოს განათლების მიღება.

ზემო მოყვანილ სიტყვების მერე, შეიძლება მოვაგონოთ ჰრელ ფილოსოფოზებს, რომელნიც ამტკიცებენ ჩვენი ხალხის უნიჭობას ასეთი საქმლის ხმარების გამო; ერთი გონიერი ანდერძისადაც ყური ჩივის ამრიგათ: მთელი ქვეყნის სიფართე შევიქნებოდით, რომ საკვირველი ანბავები არ მესმოდესო. მაგრამ საფიქრებელია, რომ იმ ყურებს, რომელთაც არ გაუგონია ზემო მოყვანილ მეცნიერის საკვირველი

სიტყვები, თუ არა ქვეყნის სიფართო, ათი გოჯის სიგრძე მაინც უნდა იყოს, მატრიონის დასამშვენებლად.

ყველაზე უფრო სხეულისათვის უსარგებლო საკმელი უეჭველად კარტოფილია. მასში ყველაზე უფრო ბლომით წყალი და ქონის მკეთებელია, ძლიან ცოტა სისხლის მკეთებელი და არა ორგანული სრულებით არ არის.

ამისა გამო კარგს ჭკუას იზამს ჩვენი ხალხი, რომ არ მიაწვებოდეს კარტოფილის გაშენებას და ისევე ხელს მოუწყობდეს თავის ძველ ნაცნობ ლობიოს და მუხუდოს, სანამდის მათ ნაცვლად სუფრაზე დაიდგმებოდეს ხორცის საკმელი.

ყველასათვის ცხადი საქმეა, რომ საკმელი სანამდისაც დაიდგმებოდეს სუფრაზე გამოივლის სხვა და სხვა ნაირ შეცვლას, რომელიც არის აუცილებელი მოთხოვნილება კაცის სტომაქისა.

უპირველი საკმელის შეცვლა, რომელსაც საჭიროებს ჩვენი სტომაქი, მდგომარეობს მოხარშვაში და შეწვაში. ჩვენ რომ დავაკვირდეთ უმთ საკმელის თვისებას შენიშნავთ, რომ ეს სტომაქისა მოთხოვნილებს იწვევს. სრულებით კანონიერია უმთ შექმული საკმელი ძნელი და თითქმის მოუხერხებელი მოსაწებელია. მაგალითად, ავიღოთ კარტოფილი და ვნახოთ, რად ხარშავენ მას, სანამდის სუფრაზე დაიდგმებოდეს.

პაწაწინა კარტოფილის ნაჭრები, რომ დაათვალიეროს კაცმა მიკროსკოპის ქვეშ შენიშნავს, რომ ის არის შემდგარი (მრავალ პაწაწინა ბუშტებისგან რომელთაზედ ნათლად) ორი შემდეგი ნაწილებისაგან, გარეგანი მაგარი ძნელად დასარღვევი კანისაგან და შინაარსისაგან, სახამებლის მარცვლებისაგან.

მოხარშვის დროს ეს გარეგანი მაგარი (ტყავი) კანი ირღვევა მდულარეში და რჩება მხოლოდ შინა არსი. სჭამს კაცი, რომელსაც

მისი კუჭი ადვილად ინელებს, რადგან გარეგანი მაგარი და ძნელად დასარღვევი ტყავი დაირღვა მღულარეში.

უმათ შექმული კარტოფილი უძნელებს კუჭს საჭმეს, დაშლის თითქმის მის აგებულობასვე, ამ შემთხვევაში კუჭმა ჯერ უნდა დაარღვიოს გარეგანი მყარი, კარტოფილის ტყავი, რომელსაც უნდა ჯაფიანი მუშაობა და მერე მოხარშოს შინაარსი. მაშასადამე ამ შემთხვევაში კუჭს ორჯერ უფრო უძნელდება საჭმე.

ამ ზემომოყვანილი მიზეზისა გამო ხარშავენ ხორცსაც. ვინც კარგათ იცის ხორცის საჭმელების კეთება, მისთვის ცხადია, რომ კარგი წვნის გასაკეთებლად სულ სხვანაირად უნდა მოიხარშოს ხორცი.

აი, როგორ იქცევიან ამ შემთხვევაში:

პირველ შემთხვევაში, ე.ი. როცა უნდა კარგი წვნის მიღება, მაშინ ხორცს ჰყრიან ცივ წყალში და მერე ადუღებენ; მეორე შემთხვევაში კი სულ წინააღმდეგად იქცევიან, ე.ი. ხორცსა ყრიან ცხელ წყალში.

აი, როგორ ახსნა მეცნიერებამ ასეთი ხორცის მომზადების მიზეზები. ხორცში სისხლის გარდა არიან სხვა და სხვა წვენებიც, რომელთა შორის არის უფრო ბლომათ ცილთგვარი ნივთიერება.

ყველამ ვიცით, რომ ქათმის კვერცხი ჩავსტეხოთ ცხელ წყალში, მისი ცილი მაშინათვე გათეთრდება, ე.ი. გასქელდება და შემოერთების გულს ისე მაგრა, რომ არ შეუძლია მას გამოდინდეს. სწორედ ასეთ საჭმეს შვრება ცილთგვარი ნივთიერება ხორცშიც, როცა ხორცს აგდებენ ცხელ წყალში.

ეს ცილთგვარი ნივთიერება შემოერთდება ცხელ წყალში ჩაგდებულ ხორცს — გარე ისე მაგრა, რომ არ გამოუმშობს არც ერთ წვეთ წვენს, რომელიც აპოხირებს წვენს. სულ წინააღმდეგ საჭმე ხდება წვენის გაკეთების დროს. ცივ წყალში ჩაყრილი ხორცი იბერება ნელნელა წყლით, მაშასადამე მისი პოხიერი წვენი ერევა წყალს.

ბოლოს, დუდილის დროს, — ირღვევა ნაწეწ-ნაწეწად ეს ხორცი და მისი ქონი და პოხიერი წვენები ერევიან მდულარეს, რის გამო თვითონ ხორცი რჩება რალასათვის და ნახარში კი პოხიერდება როგორც ხორცი.

სწორედ ასეთივე აზრისაა ჩვენი ხალხიც ამ საგანზე, რომელიც ამბობს თავის გონიერ ანდაზაში: „თხის ხორცს სჯობს კალმახი, კითხვის ნახარშიო“. მე ბევრჯელ გამიგონია ბაასი ამ ანდაზაზე ლაზათიან გაძღომის შემდეგ, რომელშიაც სწამობდნენ ჩვენს ხალხს უაზრო ანდაზების გამოგონებას.

ჩავიდებთ თუ არა ლუკმას პირში, მაშინათვე ყბები გაიგდებენ უკანა კბილებშვა და გახრეხვენ წისკვილის ქვებივით. ამასა გარდა პირში საჭმელს ერევა ნერწყვი, რომელიც ასრულებს ... ორს ძალიან საქმეს: პირველად ის არბილებს საჭმელს და მითი უადვილებს გადაყლაპვას კაცს, მეორედ ის აქცევს სახამებელს შაქრად.

ამნაირად შეცვლილი საჭმელი მიდის საჭმლის სატანით კუჭში. ეს საჭმლის სატანი რძევს ყორყის უკან კისრის ძვლებზე; მაშასადამე ხარხაში არის ორი ნახვრეტი: სასულე ანუ ყორყის ნახვრეტი, რომლიდანაც ჩადის ჰაერი ფილტვებში და მეორე საჭმლის სატანი, რომელიც მიდის კუჭში. ეს ორი (თვალები) ისე ახლოს არიან ერთმანეთზე, რომ ძალიანი შესაძლოა ლუკმა ჩავარდეს სასულეში, რომ მის ნაპირზე არ იყოს მიზრდილი ძაღლის ენასავით ხტილი, რომელიც ფარავს სასულეს, ლუკმის გადაყლაპვის დროს. ჩავარდება თუ არა ლუკმა კუჭში, ის მაშინათვე მოყვება თავის ანგარიშის სწორებას.

კუჭი საჭმელში ახდენს ბევრი შესანიშნავ ცვლილებებს. ამ ცვლილებებს ახდენს კუჭი საჭმელში ერთნაირ წვნითა, რომელსაც ეძახიან მეცნიერები კუჭის წვენს.

ეს წვენი არის გემოთი მყავე; მისი მოქმედება მდგომარეობს მაში, რომ ზოგიერთ საკმლის ნაწილებს აღნობს, მაგალითად ცილგვარ ნივთიერებას, და ზოგიერთს კი არღვევს ნამცეც-ნამცეცათ.

ეს კუჭის წვენი ოცდაათი წლის კაცის კუჭში გროვდება დიდი სტაქანზე მეტი 24 საათის განმავლობაში.

მაგრამ შეიძლება იკითხოს მკითხველმა: საიღამ გროვდება ასე ბლომათ ეს კუჭის წვენი?

კუჭის შინაგან ნაზ ტყავს ქვეშ არიან მრავალ პაწაწინა ჭირყვლები, რომელთაც შორდება მუღამ კუჭის წვენი და ერევა საკმელს კუჭში. ამ წვენის ზემოქმედებით საკმლის ნაწილები დნებიან, დაირღვევიან კუჭში იქამდის, რომ ბოლოს მთელი საკმელი დაემგვანება თხელ ქაშს. იმის დასამტკიცებლად, რომ კუჭის წვენს აქვს ასეთი მოქმედება საკმელზე მეცნიერებმა მოახდინეს ამაზე ამგვარი გამოცთა: გააკეთეს პაწაწინა ვარცხლის კოლოფი, რომელსაც ჰქონდა გვერდები დახვრეტილი, როგორც საცერს; ეს კოლოფი გაამსეს საკმლით და გადააყლაპეს ძალს. ორ ან სამ საათის შემდეგ ამოათრიეს ეს კოლოფი ძაფით, ძაღლის კუჭიღამ და ნახეს, რომ მასში არც ერთი საკმლის ნარჩენი არ დარჩენილიყო.

აქედამ გამოიყვანეს, რომ კუჭის წვენი შედინდა კოლოფში, სადაც დაადნო და დაარღვია საკმელი, რომელიც, რასაკვირველია, გათხელებული, გამოდინდა კოლოფიღამ. მაშასადამე, უმთავრესი ოსტატი კუჭში საკმლის მონელების დროს არის კუჭის წვენი.

ამნაირად შეცვლილი საკმელი გადადის მაშინათვე იმ წელში, რომელიც პირდაპირ აბია კუჭს და რომელსაც თავისი სიგრძისა გამო ეძახიან თორმეტგოჯიან წელს.

ამ თორმეტს (გოჯიან) წელში ერევიან საკმლის ნაღველი და ერთნაირი წვენი, რომელიც შორდება ამ წელს ქვეშ მდებარე ზორბა

ჭირყვალს. ეს ორივე შერეული წვნები ახდენენ დანარჩენ ცვლილებას საჭმელში.

მეცნიერების გამოძიებით ნაღვლის დანიშნულება ორგვარია: პირველად ის იცავს საჭმელს წილებში დაღობისაგან და მეორედ ეხმარება ქონს სისხლში გადასვლას.

გამოცადეს ამ აზრის დასამტკიცებლად მეცნიერებმა ეს საქმე ამ ნაირად.

ძალს გაუჭრეს ღვიძლთან მკერდი და აგრეთვე ნაღვლის ბუშთი, რომელსაც მისცეს მილი ისე, რომ ნაღველი გამოდიოდა გარე მილიდან და არა წილებში. ამ შემთხვევაში მათ შენიშნეს ძალის ცხოვრებაში შემდეგი: ძალმა იცოცხლა რამოდენიმე ხანს მაგრამ, ძალიან დამჭლევდა, თუმცა აუარებელ საჭმელს ჭამდა, ამის გარდა ძალს ამოსდიოდა საშინელი დაღობის სუნი პირიდან და აგრეთვე მის განავალს უდიოდა ისე მყრალი სუნი, რომ კაცი ვერ მიეკარებოდა ახლოს.

აქედამ ცხადათ სჩანს, რომ ნაღველი ასრულებს მართლაც იმ ორ ზემოხსენებულ დანიშნულებას. როგორც იცის მკითხველმა ნაღვლის ბუშტი აბია ღვიძლს. ახლანდელი მეცნიერების გამოძიებით გამოდგა, რომ ნაღველი კეთდება ღვიძლში: მაშასადამე ღვიძლიც ეხმარება კუჭს და წილებს საჭმლის მონელებაში. ამისა გამო ის ეკუთვნის, როგორც პირი, კუჭი და წილები საჭმლის მომნელებელ ორგანოებს. ნაღვლის მომზადების გარდა ღვიძლი ასრულებს საქმეს — სხეულისათვის ის, როგორც ყარაული დაყენებულია გზაზე და არ უშვებს სხეულისათვის მავნებელ სისხლს ფილტვებში.

ყოველგვარ სხეულისთვის მავნებელ სისხლს არღოვს ღვიძლი და არ უშვებს იქიდან. მაგალითად, ყველამ ვიცით, რომ როცა გველი უკბენს კაცს მაშინ ის სივდება, ე. ი. უხმება სისხლი და კვდება, თუ 262

დროზე არ უსწრო იმ წამალმა.

მაგრამ იგივე გველის შხამი რომ გადაულაპოს კაცმა სრულებითაც არ აწყენს.

ასეთი გასაკვირალი საქმე მეცნიერებამ ახსნა ამგვარად: გადაულაპული შხამი მიდის კუჭში, აქედამ წელებში და წელებიდან სისხლთან გადადის ღვიძლში, სადაც ის კარგავს თავის მომწამლავ თვისებას.

ამის გამო, ცხადია, რომ გველის ნაკბენის პირველი და თავი წამალი მდგომარეობს მაში, რომ მაშინათვე ამოწოვოს შხამი ნაკბენიდან და თუ პირის შინა კანი არა აქვს სადმე გაფხაჭნული.

თორმეტგოჯიან წელიდამ საკმელი გადადის წელებში; აქაც ერევა მას სხვადასხვა წვენები, რომელნიც სრულებით არღვევენ საკმელს და აქცევენ რძის წვნად. ამ რძის წვენს სწოვენ პაწაწინა ძაფებივით ბინბილთები, რომელნიც არიან წელებს შინა. ნაზი ტყავზე მიბმული ამნაირად შესმული რძის წვენი გადადის რძის მილებით ღვიძლში, სადაც როგორც იყო ნათქვამი იწმინდება და გადადის ფილტვებში. აქ მას ემატება ძმართავა ჰაერიდამ და მიდის გულში, საიდანაც გაემგზავრება მთელ სხეულში.

ამნაირად თორმეტ გოჯით წელიდამ დაწყებული უკანასკნელი წელამდის ყოველგვარი ნოყიერი საკმლის ნაწილები, რძის წვნად გადაქცეულნი, გადადიან რძე წვენი ჭურჭლებით, ხოლო ღვიძლში უსარგებლო და მოუნელებელი, ნაწილები გადიან კარში მიწის სასუქებლათ.

დავით ჩოტუას
წერილები ვასილ კეტრიაშვილს

მაპატიე ძვირფასო მეგობარო ვასო, რომ ამდენხანს ვერ გამოგიგზავნე დაპირებული ჩემი მუშაობის ანგარიში, ვიმედოვნებ შემდგომ წერილში შევეუდგე ამ საქმეს, ახლა კი რამდენიმე სიტყვა რუსთაველზე. ერთადერთი ქართული წიგნი, რომელიც ახლა ხელთა მაქვს, „ვეფხისტყაოსანია“. ვსწავლობ, რა მას ენის თვალსაზრისით, გამომაჭვს რამდენიმე შთაბეჭდილება, რომელიც მინდა გაგიზიაროთ იმ ვარაუდით, რომ შენც მათ საინტერესოდ მიიჩნევ. რა თქმა უნდა, რუსთაველის ქმნილების სრული გაგებისათვის აუცილებელია ქართველი ხალხის ცხოვრების, როგორც ისტორიული, ისე ყოფითი ვითარების ყოველმხრივ შესწავლა მთელი მისი არსებობის მანძილზე. ამიტომ გასაგებია, რომ ამჟამად ასეთ შესწავლაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. მაგრამ ქართველი ხალხის ცხოვრებაში ამ ნაწარმოების მნიშვნელობაზე საერთო თვალსაზრისის დადგენა, მგონია, არც თუ ისე ძნელი საქმეა.

ამ წერილში მინდა მივუთითო ერთ-ერთ ასეთ თვალსაზრისზე, რომელსაც ქართველი ხალხის ცხოვრებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ძნელია იპოვო ისეთიწიგნიერიქართველიგონებრივ-ზნეობრივი განვითარების რა საფეხურზეც არ უნდა იდგეს იგი, რომელიც არ განიცდიდეს წარმატაც მომხიბვლელობას და მალალ ესთეტიკურ-მხატვრულ სიამოვნებას, რასაც ამ უკვდავი ქმნილების კითხვა აღძრავს. ამასთან, როგორც ფაქტი, აღიარებულია ყველას მიერ, რომ როცა მას ხელახლა ვკითხულობთ, მომხიბვლელობა არა თუ არ ნელდება, პირიქით, უფრო და უფრო ძლიერდება. ეს არის ფაქტი უაღრესად მრავლისმეტყველი, რაც ღრმა ყურადღებას მოითხოვს, მითუმეტეს

264

რომ ის არ იფარგლება ერთი რომელიმე ეპოქით, არამედ გრძელდება მრავალი საუკუნის და მთელი ათასი თაობის მანძილზე.

მიუხედავად ამისა, უკანასკნელ დრომდე განათლებული ქართველი ამ საკითხისა და ყოველივე იმის მიმართ, რაც რუსთაველის ნაწარმოებს ეხება, იმყოფება ბალღის მდგომარეობაში, ბალღისა, რომელსაც ჭერ კიდევ არ შესწევს უნარი ჩამოაყალიბოს თავისი გრძნობები და შთაბეჭდილებანი, გამოხატოს ისინი სხვებისათვის გასაგებ სახეებსა და ფორმებში. ამიტომ იმ სერიოზული კითხვის წინაშეა, თუ რა არის ამ ნაწარმოების ესოდენ ძლიერი და ხანგრძლივი ზეგავლენის მიზეზი, თუ რით არის ქართველი ხალხი რუსთაველისგან დავალებული, თუ რა შემეცნება და მსოფლგაგება შეიტანა რუსთაველმა ხალხის ცხოვრებაში. ამ კითხვის წინაშე იგი იძულებულია შემოიფარგლოს ან საერთო ფრაზებით, ან მიაპიტი ღიმილით, რომელიც გამოხატავს ხვეწნა-ვედრებას, შემწყნარებლად მოვეკიდოთ შატერულ სიამოვნებას, რომელსაც იგი გრძნობს, მაგრამ რომელიც არ შეუძლია გამოთქვას სხვებისათვის გასაგები (ენით) ფორმით. რა თქმა უნდა, ეს მოვლენა დროებითია და გაპიროვნებულია მკითხველი საზოგადოების ჭკუის იმ ფელეტონური მიმართულებით, რომელიც მას თავზე მოახვია ცნობილი ლიტერატორების მადლიანმა ხელმა. მაგრამ დრო და ისტორია იტყვის ამის შესახებ თავის სიტყვას; ჩვენ კი განვაგრძოთ.

რუსთაველის თავზე გადაიქროლა ქართველი ხალხისათვის შავმა და მრისხანე შვიდმა საუკუნემ, მაგრამ ამისდა მიუხედავად, დღემდე მისი უკვდავი სახე ქართველთა გულში ცოცხლობს ისევე ცხოვლად, როგორც შვიდი საუკუნის წინათ, როგორც მისი მოვლენების დასაწყისში. აი ფაქტი, რომელიც უნდა გახდეს გამოსავალი წერტილი ამ პოემის მნიშვნელობის შესაცნობად.

როგორც ცნობილია, თამარ მეფის სიკვდილის შემდეგ, იწყება

საქართველოს ისტორიის შავბნელი პერიოდი, დგება ცეცხლისა და მახვილის ეპოქა, როცა ძალმომრეობისა და უხეში ძალის წინაშე უკან იხევს ყოველივე ადამიანური. ხალხის ერთადერთ სასიცოცხლო ინტერესს შეადგენს მხოლოდ თავდაცვა. ასეთი მდგომარეობა გრძელდება ათასი თაობის სიცოცხლის განმავლობაში; ხალხი გადაეჩვია მშვიდობიან ცხოვრებას; კულტირული ცხოვრების გონებრივი ან ზნეობრივი ინტერესები დგება უკანა რიგში, უხეში ძალისა და პოლიტიკურ-მოქალაქეობრივი უფლებების ზეგავლენით ფეოდალიზმის უკიდურესი გაძლიერების ეპოქაში. ირყვნება ზნეობა და ამ შავბნელ ეპოქაში არსებობისათვის სასტიკი ბრძოლის, ცეცხლისა და მახვილის მძვინვარების ეპოქაში ქართველი ხალხის გულში არ ქრება მხოლოდ ორი ჩირაღდანი — სარწმუნოება და მწერლობა. პირველი სულდგმულობს ქრისტეს ხელით, — მეორე — რუსთაველის შემოქმედებით. ჩაკვდა ყველაფერი. ცხოვრებას გადაეცვა უმეცრების განუქვრეტელი ქერქი, დავიწყებას მიეცა გონებრივი და ზნეობრივი სიმდიდრე. მხოლოდ ღვთაებრივი სახე ქრისტესი და უკვდავი სახე რუსთაველისა არ წარხოცილა ხალხის მეხსიერებაში. როგორც წარსულის აღქმას და მომავალი კულტურული ცხოვრების საწინდარს, ქართველი ხალხი მტრებისა და დროისაგან იცავს და უფრთხილდება თავის შემოქმედებითი სულის ამ მარგალიტს, იმით ამკობს თავის ასულთა ქორწინებას; იგი ითვლება ოჯახის უკეთეს სამკაულად და მემკვიდრეთა სიამაყედ.

ძნელია ვიპოვოთ ამის მსგავსი რამ სხვა ხალხების ლიტერატურის ისტორიაში. მართალია, ჩვენამდე მოაღწია კლასიკური სამყაროს უდიდესმა ნაწარმოებებმა, მაგრამ მოაღწია სულ სხვა გზით. ისინი თავიანთ გადარჩენას უნდა უმადლოდნენ თავგამოდებულ სწავლულებს და ფილოსოფოსებს, რომელთა მთელი სასიცოცხლო

266

ინტერესი ამ ნაწარმოებით იფარგლებოდა. ასეთი ბედი როდი ჰქვდა რუსთაველის ქმნილებებს. იგი დაიცვა და მომავალ თაობებს შემოუნახა არა ცალკეულმა სწავლულებმა და ფილოსოფოსებმა, არამედ მთელმა ხალხმა, რომელიც უფრთხილდებოდა მას, ისევე, როგორც თავის სიცოცხლეს და თავის სარწმუნოებას. ასე იქნა დაცული ქართველი ხალხის გულში დიადი სარწმუნოება და რუსთაველის შემოქმედების გენიოსობის დიდებული ნაყოფი – „ვეფხისტყაოსანი“. რამდენიც მეტს ვფიქრობ ასეთ დამთხვევაზე მით უფრო ღრმა მნიშვნელობა ენიჭება მას ჩვენთვის. მართლაც და, დაცვა დიადი რელიგიისა, რომელმაც ღრმად გაიდგა ფესვები ისეთი სათნო და მშვიდობიანი ხალხის გულში, როგორიც ძველი ქართველები იყვნენ, კიდევ გასაგებია. მაგრამ სახარებასთან ერთად ვეფხისტყაოსნის დაცვა ამჟამად ძნელად მისაწვდომია ჩვენი გონებისათვის.

ამბობენ და ეს, რა თქმა უნდა, უეჭველია, რომ რამდენიც რომელიმე მხატვრული ნაწარმოები სრულად ასახავს ხალხის ნამდვილ ცხოვრებას გარკვეულ ეპოქაში, იმდენად დიდია მისგან მონიჭებული ბედნიერება:

გული კრულია კაცისა,
ხარბი და გაუმადლომელი
გული ჟამჟამათ ყოვლისა
ჭირთა მთმო, ლხინთა მდომელი
გული ბრმა ურჩი ხილვისა
თვით ვერას ვერ მხედველი
სიცხე წვაეს, ყინვა დაახმობს
წყლულნი ორჯერვე გვტკივიან.
აგრეთვე გული კაცისა
მოსაგვარებლათ ძნელია

ჰირთა და ლხინთა ორზედვე

ზედან ვითარცა ხელია.

რუსთაველი მიდის რა იმ დასკვნამდე, რომ ტანჯვა ადამიანის ხვედრია, ხვედრი, რომელიც მისივე ბუნებიდან გამომდინარეობს, ე.ი. ხვედრი ფატალები, რომლის შეცვლაც არავის ძალუძს, მიდის რა ამ დასკვნამდე, რუსთაველი არ ვარდება არც ჩვენი დროის უკიდურეს პესიმიზმში, არც ბედის ბრმა მორჩილებაში და არც ქრისტიანულ ასკეტიზმში და მოითხოვს ბრძოლას იმიტომ, რომ ტანჯვა ბოროტებაა, ხოლო გონიერება ბოროტებასთან ბრძოლას გვიკარნახებს, ბრძოლას გონების მთელი ძალებით და ენერგიით, კლდესავით მოუდრეკელი სიმტკიცით და შეუპოვრობით, რადგან სისუსტე, მერყეობა და სულმოკლეობა ბრძოლაში არ შეშვენის არც ბრძენს და არც ვაჟკაცს; პირველს ეს თვისებები ამცირებს, ხოლო მეორეს კი არცხვენს ამიტომ პირველისგან მოითხოვნოს სიტკიცეს: ჰირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსა , ხოლო მეორეისგან განსჯას, თავდაჰერას, ცივ ლოგიკას:

კვლავ იტყვის მიკვირს
ნალველი კაცისა ჰკუიანისა,
რა ჰმუნვარებდეს, რა არგებს
ნაკადი ცრემთა ღვარისა,
სჯობს გამორჩევა,
ახრობა საჰმისა დასამგვანისა.

და ორთავეს იგი ურჩევს იბრძოლონ სიცოცხლისათვის, რადგან რა მწირიც და სასტიკიც არ უნდა იყოს იგი, რა უმნიშვნელოც არ უნდა იყვნენ ბედნიერების განცდები, რომლებიც მიმოფანტულან სევდა-კაეშნის და ტანჯვის უფსკერო ზღვაში, სიცოცხლე მაინც ღირს იმად, რომ კაცმა მისთვის იბრძოლოს, იტანჯოს და მსხვერპლად შეეწიროს

კიდევ:

სჯობს სიცოცხლისა გაძლება,
მისთვის თავისა დადება.

რუსთაველს სწამს კეთილის გამარჯვება ბოროტზე, ადამიანის გამარჯვება ტანჯვაზე, რადგან მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ: „ნუგეშის ღმერთი უხვია, თუმცა სოფელი ძვირია“.

ამრიგად, გვევლინება რა სტოიციზმის მოციქულად უბედურების ჟამს ბოროტებაზე სიკეთის ძღვევამოსილება და ტანჯვაზე ადამიანის გამარჯვების წინასწარმეტყველად, რუსთაველი ხდება ადამიანის ნუგეშისმცემელი მწუხარებაში და მისივე სინარულის თანაზიარი, ე.ი. ადამიანის გულის მბრძანებელი, რადგან იგი თავის ნაწარმოებში ავითარებს და ამკვიდრებს მარადიულ საყოველთაო საკაცობრიო ხასიათს (რომელიც გამორჩა რეცენზენტს, შესაძლოა, თარგმანის ნაკლების გამომსახველობის გამო), ხდის რუსთაველს პირველი სიდიდის პოეტად არა მარტო ჩვენი ხალხისათვის, არამედ ყოველი ადამიანისთვის, რა ეროვნებისაც არ უნდა იყოს იგი.

რუსთაველის გენიის ყველა ეს მაღალი თვისება, ჩემი პირადი აზრით, არაფერია იმ ისტორიულ როლთან შედარებით, რომელიც რუსთაველმა ითამაშა ქართველი ხალხის ისტორიულ ცხოვრების უიღბლო მსვლელობაში. ამ როლზე, რუსთაველის გენიის ზოგიერთ თვისებებთან დაკავშირებით შეიძლება კიდევ მოვასწრო შენთან საუბარი.

დასასრულ, შევნიშნავ, რომ ბარონ ზუტენერი იმსახურებს ყოველი ქართველის თავის მიუდგომელი, მიუჯერძობელი ცდით — გააცნოს მეცნიერებათა სამყაროს რუსთაველის ქმნილება.

მინდოდა უფრო დაწვრილებით მელაპარაკა რუსთაველზე; ამჯერად, მგონია, კმარა, შეაძლოა, ესეც მოსაწყენად მოგეჩვენოს.

უწინარეს ყოვლისა ძვირფასო მეგობარო, შემინდე ასეთი ხანგრძლივი ღუმილისათვის. სიმართლე რომ გითხრა, ამ მხრივ რამდენადმე წავიზარმაცე; რაც მთავარია, ვვარაუდობდი მომეწერა დღესასწაულის წინ, როცა შენ უფრო მეტი თავისუფალი დრო გექნება, როგორც ჩემი წერილის წასაკითხად, ასევე მასზე პასუხის გასაცემად. შენი ყოველი წერილის მიღება ჩემთვის არის მთელი სასიხარულო მოვლენა, რადგან შენ ხარ ერთადერთი კაცი, რომლის საშუალებით მე დაკავშირებული ვარ წარსულ ცხოვრებასთან და მოგონებებთან. არ ვიცი, რა დამემართებოდა, რომ მე, ბედის ახირებით, მოკლებული ვყოფილიყავი ამ კავშირსაც, მაგრამ ნულარ გავაგრძელებთ ამაზე ლაპარაკს, გვახსოვდეს სიტყვა რუსთაველისა:

„ესე წესია სოფლისა, არ ახალია, ძველია“.

მე, მადლობა ღმერთს, ცოცხალი ვარ და ჯანმრთელად. ახლა მხოლოდ და მხოლოდ ინგლისურ ენაში ვმეცადინებო. მეტისმეტად გამიტაცა მისმა შესწავლამ და მივდივარ სწორი ნაბიჯით, მივერეკები ჩემს ბეხრეკ მენსიერებას, რომელიც არ უარობს სამსახური გამიწიოს; მადლობა მას ამისათვის.

მაგრამ, აი, რა შია საქმე, ძვირფასო ვასო! ახალი წლიდამ ვიწყებ სახელმძღვანელოს მესამე ნაწილის შესწავლას, სადაც ახსნა-განმარტებამოცემულია ინგლისურ ენაზე, ამიტომ უკიდურესი საჭიროება მაქვს ლექსიკონისა თუნდაც ჯიბისა, ოღონდ გამოითქმის წერილით. გონია ასეთი ლექსიკონი არსებობს თუ არ ვცდები, სმიტისა, და შენც სანახევროდ შემიძსუბუქებ შრომას, თუ რამე ლექსიკონს გამომიგზავნი.

ველი შენს წერილს და ცოტაოდენ ფულს ახალი წლისათვის, თუ ეს არ შეგაწუხებს.

გეხვევი ძმურად, შენი ერთგული მეგობარი დავით ჩქოტუა.

გულწრფელი მადლობა ძვირფასო მეგობარო ვასო, შენი წერილის გულითადი ტონისათვის; ამ წერილის თვითეული სიტყვა სუნთქავს წმინდა მეგობრობის და გულითადობის გრძობით. შენი წერილები ყოველთვის სიცოცხლით მავსებს და ენერგიას მიახლებს, მაგრამ უკანასკნელი შენი წერილი განსაკუთრებით სამახსოვროა მისი გულითადი ტონის გამო. მართალია, მას ჩემთვის არ მოუტანია სასიხარულო ამბები, მაგრამ თუ სახარების სიტყვებს ოდნავ შევცვლით, უნდა ვთქვა, რომ უბედურებაში არა მარტო სასიხარულო ცნობებით ვნუგეშობთ, არამედ მეგობართა მხრივ მეგობრული გრძობების და თანაგრძნობის ყოველი გამოვლინებით, რადგან მეგობრული გრძნობის გამოვლინება, მართლაც სიცოცხლის მინიჭებას უდრის გარკვეულ შემთხვევაში.

მე მეგობარო კი კვლავ ვცოცხლობ ზნეობრივი და გონებრივი სიცოცხლით და არ გავბოროტებულვარ სიცოცხლის, ადამიანებისა და თვით ჩემი თავის მიმართ, ამას მე უნდა ვუმაღლოდე შენს მეგობრობას., რომელიც ჩემთვის ზნეობრივი დასაყრდენია ჩემს უბედურებაში. ყოველივე ეს შეიძლება დააფასო მაშინ, როცა ნამდვილად გრძნობ ასეთი მხარდაჭერის საჭიროებას და აუცილებლობას.

ხოლო შენ, ჩემო კეთილო, როგორც ხედავ, ადრე დაგიწყია ჩივილი სიბერეზე, რაკი მეფე როსტევეანის მსგავსად გაიძახი: „სიბერე მახლავს, დავლიე სიყმაწვილისა დღენია. ამას ამბობ 42 წლის ვაჟაკი“! მინდა დავიჭერო, რომ შენ დაიღალე ხანგრძლივი დაძაბულობით, და დროებითი მდგომარეობა მიიჩნიე სიბერედ. ზაფხულს სამშობლოში

წადი, დაისვენე და დაინახავ, რომ სიბერე შენგან ჯერ შორსაა. თუნდაც მე შემომხედდე; წლებით ოდნავაც არ ჩამოგრჩები და მიუხედავად ამისა ყოველ დილას სიცილით ვეგებები თმის თვითნებულ ღერს, რომელსაც ეყო თავხედობა გაჭალარავებულისყო ჩემს თავზე ერთი ღამის განმავლობაში. ვფიქრობ, რომ მხნეობა კიდევ დიდ ხანს მეყოფა, თუმცა (გუებნები ამას საიდუმლოდ) დროდადრო თვითონ ვგრძნობ რომ დავლიე სიყმაწვილისა დღენია, მაგრამ ახლა ესეც იკითხე, როგორი იყო ჩემი ცხოვრება ამ ათი წლის მანძილზე!

გეხვევი რა, ძვირფასო მეგობარო ვასო, შენი ჩივილის მეორე პუნქტის გამო შევნიშნავ, რომ სამშობლოს მოშორებული, შენს სამეცნიერო კაბინეტში მას უფრო მეტ სარგებლობასა და სახელს მოუხვეჭ, ვიდრე იქ რომ ცხოვრობდე, მით უფრო ახლა, ჩვენს დროში, როცა პატიოსან ადამიანს შეუძლია ნუგეში ჰპოვოს მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერებაში.

ძალიან შემაწუხა გიორგის ამბავმა, თუმცა არ მჯერა იგი მის ასაკში ასეთ უმსგავსო ცხოვრებას ეწეოდეს, როგორსაც ამას ამბობენ ადამიანები, რომლებიც სხვის თვალში ბეწვს ხედავენ, ხოლო საკუთარში ღირესაც ვერ ამჩნევენ. მაგრამ ჩემთვის უეჭველია ის, რომ იგი (გიორგი) თავისი ხასიათის ინერტულობის გამო, მეტისმეტად ჩაება გარემოცულ წრეში და ყველა წარუმატებლობისა და იმედგაცრუების შემდეგ, გზააბნეულ ცხოვრებას ეწევა.

რაც შეეხება ელენეს ხანგრძლივ ყოფნას ოდესაში, ალბათ, ამას უფრო სერიოზული მიზეზი აქვს, რაც ძალიან მწყინს, როგორც მის მოყვარულსა და პატივისმცემელს, რადგან იგი, რაც არ უნდა იყოს, უფრო უკეთეს ხვედრს იმსახურებს.

საწყალი ნინა ერასტოვნა! რომ შეეძლოს შეიტყოს თუ რამდენი ადამიანი გაუბედურდა მისი მიზეზით!

ძალიან მოხარული ვარ, ძვირფასო მეგობარო ვასო, რომ შენ საინტერესოდ მიიჩნიე ჩემი შენიშვნები რუსთაველის მსოფლმხედველობის შესახებ. სიხარულით გავაგრძელებ ამ განხრით წერას, რათა ამით გასიამოვნო, თუმცა ამაზე მუშაობა შემძლია დროგამოშვებით, მხოლოდ სულიერი წონასწორობის დროს, როცა, ასე ვთქვათ, ჩემი თავი ჩემს განკარგულებაშია, მაგრამ მაინც იმედი მაქვს, კიდევ ცოტა რამეს მოვასწრებ. ახლა ერთი პატარა ნიმუში, რომლის მიხედვით შემძლია ვიმსჯელო რუსთაველის ღრმა დაკვირვებულობის შესახებ. როგორც ცნობილია, დარვინი თავის ცნობილ თხზულებაში „შეგრძნების გამოსახვა ადამიანებსა და ცხოველებში“, ამბობს, რომ ადამიანის ღრმა მწუხარებას გამოსახავს ნადისებური ნაოკის გამოჩენა შუბლზე და წარბების შიგნითი კიდეების ზევით აწევა. ცოცხალი პირების და ფოტოგრაფიული სურათების გამოკვლევის შემდეგ. იგი უკვირდებოდა რა მუზეების (გამოხატვას) გამოსახავს მხატვრულ ლიტერატურაში და ხელოვნებაში, იპოვა იგიმხოლოდ ლაოკონის ჩგუფში და კიდევ ერთი თანამედროვე მხატვრის ნაწარმოებში. რამდენიმე საუკუნით ადრე დარვინის გამოკვლევაზე, რუსთაველისთვის ცნობილი იყო ღრმა მწუხარებით შეპყრობილი კაცის სახის გამომეტყველება.

აბა, დაუგდე ყური, როგორ გვიხატავს რუსთაველი ადამიანის სახის გამომეტყველებას იმ წუთებში, როცა ფატმანს და მის ქმარს მოსვენებას არ აძლევენ კითხვებით:

რაცა ვპკითხეთ, არა ვიცი, ესმა, ანუ არ ისმენდა.

ვარდი ერთგან შეეწება, მარგალიტსა არ აჩენდა,

გველნი მოშლით მოეკეცნეს, ბალი შეღმა შერაშენდა,

მზე ვეშაპსა დაებნელა, ზედა რადმცა გაგვითენდა.

თუ ამ ხატოვან თქმას უბრალო ენაზე გადავთარგმნით,

მივიღებთ შემდეგ სურათს: მოკუმული ტუჩები ფარავდა კბილების მარგალიტთა რიგს, გარე კიდეებით ძირს დახრილი წარბები აწეულიყო შინგანით, რომლის ზემოთ გაშენდა ბალი (ე.ი. გაჩნდა ნაოჭი). მწუხარებამ ვეშაპის მსგავსად, დააბნელა მისი თვალების ციური ნათება.

გთხოვ გადასცე შენს ცოლს ჩემი მეგობრული მოკითხვა.

შენი მოყვარული დავით ჩქოტუა.

P. S.თუ რაიმე განსაკუთრებული გარემოება არ დაგაბრკოლებს, როდისმე შეიარე ელენესთან და იმის მიხედვით, თუ რა გუნებაზე დაგხვდება... გადაეცი ჩემი მოკითხვა და დარწმუნება, რომ მე მის შესახებ მუდამ საუკეთესო აზრის ვარ, რა დამოკიდებულებაც არ უნდა არსებობდეს მასა და გიორგის შორის.

მაპატიე მეგობარო, რომ ასე დაგვიანებით გწერ, მაგრამ შენი წერილიც სხვადასხვა გარემოების მიზეზით, მესამე დღეა, რაც მივიღე. ლექსიკონი ჯერ არ ჩანს, შესაძლებელია, ამ ფოსტით მივიღო.

1886 წელის პირველი ნახევარი

გმადლობ, ძვირფასო მეგობარო, წიგნისათვის. უკვე წავიკითხე და, გერმენული თქმის არ იყოს, ვჩქარობ დაუყოვნებლივ გაგიზიარო ჩემი შთაბეჭდილება. სრულიად ვერ გამოვიცა, საღ გამოჩნობა ბატონმა ჰავკავაძემ ასეთი უნო მთარგმნელი, რომელსაც თავში ასეთი დიდი სიყვარული აქვს სიტყვებისა და ფრაზებისა, რომლებიც სრულიად ერთმანეთთან ვერ დაუკავშირებია. პირველად ალაპარაკდნენ რუსთაველზე და ახლაც ვერ შესძლეს გადმოეცათ აზრები პატივცემული ავტორისა... ენა — ეს არის ხალხის სულის ხედვისა და სმენის ორგანო. მის შერყვნას და აღრევას ისეთივე შედეგი მოსდევს, როგორც გრძობათა ორგანოების მოშლას სხეულისათვის. ენის შერყვნასთან ერთად წყდება სულიერი კაპიტალის დაგროვება ხალხში, იფიტება მისი ძველი მარაგი, მაშასადამე, ქვეითდება ხალხის გონებრივი და ზნეობრივი დონე და ბოლოს და ბოლოს თავდება მისი (ენის) გადაგვარებით.

ქართველი ხალხისათვის რუსთაველი დიადია, უწინარეს ყოვლისა მისი ენის სიდიადით და სიძლიერით, შეუდარებელი უნარით გამოხატოს როგორც სულის უფაქიზესი და უნაზესი მოძრაობა, ასევე მისი მრისხანე და ქარიშხლიანი ალტკინებით. ამაშია მისი უკვდავება, რადგამ ამით იგი ასახიერებს მთელი ხალხის გენიალურ მადლმოსილებას. მაგრამ რუსთაველის ეს ძლიერი, თავისი სისადავით გასაოცარი ენა ამჟამად იშრიტება და ხუნდება გულისა და უღრმესი გრძობების ენიდან, იგი იქცა ენის წვერის ენად; უნაზესი და კეთილშობილი გრძობების ენიდან თბილისური სომხურ-სპარსულ ზეგავლენით იგი გახდა თბილისელი ტაკი-მასხარების ცინიკური ორაზროვნებისა და უნამსი ოხუნჯობის ენა.

ბოლოს, იგი სამუდამოდ დამახინჯდა თანამედროვე ლიტერატორთა ხელში, დაემგავსა უკიდურესად მოშლილ არღანს, რომლის

გულის შემადრწუნებელ წივილსა და ღრქიალს გადმოსცემს. ეს ფრიად სამწუხაროა ყველა ქართველისათვის, და ენის ეს სავალალო მდგომარეობა რამდენიმე საუკუნის წინათ იგრძნო და იწინასწარმეტყველა რუსთაველმა, როცა ბრძანა, არ შეამოკლოთ ქართველი, არა ჰქმნათ სიტყვა-მცირობა.

მაგრამ საბედნიეროდ, რუსთაველის მშვენიერი ენა დღემდე დაცულია იქ, საიდანაც არის წამოღებული, იმასთან, ვინც ის შექმნა და გადაარჩინა შერყენას და მოშლას, სახელდობრ უბრალო ხალხში, რომელიც სომხურ-სპარსული კულტურის შემლახველი გავლენის მიღმა დგას, ხალხში, რომელიც კვლავ მზად არის გაამდიდროს იგი, შეაკეთოს და გაასწოროს დროისა და ცხოვრებისაგან შებღალული შენობა ენისა. მაგრამ იმისათვის, რომ ხელმეორედ შევავესოთ ენა მისივე წყაროდან, დავეუფლოთ მას და გავხადოთ იგი კულტურისა და ცივილიზაციის ენად, საჭიროა არა უბადრუკი ბრძანებები, რომლებიც სხვისი აზრებითა და გრძნობებით იკვებებიან, არამედ ადამიანები, რომლებიც აზრებსა და გრძნობებს პოულობენ საკუთარ თავსა და გულში, ადამიანები, რომლებსაც შესწევთ უნარი იკითხონ არა მარტო სხვისი წიგნები, არამედ ხალხის ცხოვრება მისი ისტორიული არსებობის მანძილზე. სანამ ეს ასე არ არის, სანამ ქართველები, მით უფრო ახალგაზრდა თაობა, ცნობილი მწერლების ფელეტონური აზრების გავლენას თავს არ დაადწევს, მანამდე არ შეიძლება ვიქონიოთ მოლოდინი რაიმე სერიოზული წარმატებისა ქართველი ხალხის გონებრივ-ზნეობრივ განვითარებაში.

მაგრამ ამის შესახებ კმარა ლაპარაკი. გადავიდეთ უფრო მნიშვნელოვან საკითხზე. ჩემს უნიშვნებს რუსთაველის მსოფლმხედველობის შესახებ მისივე სიტყვებიდან ვიწყებ:

ვა, სოფელმან სოფელს მყოფი ყოვლი დასვა ცრემლთა დენად!

რუსთაველის შეხედულებით, ადამიანი დაბადებიდანვე განწირულია ცრემლისა და ტანჯვისათვის, რადგან ეს ცრუ და დაუდგრომელი წუთისოფელი აღსაკესა მუხანათობით და ბოროტებით;

ბედნიერება მოჩვენებითია, ლხენა და სიხარული ხანმოკლე, რადგან ყოველივე თავდება მწუხარებით და იმედგაცრუებით. ეს არის წუთისოფლის მუდმივი კანონი და ცხოვრების უცვლელი წყარო, ასეთად შეცნობილი ბრძენთაგან, რომელთაც მართებულად ძაგთ ეს ქვეყანა სწორედ ასეთი წესრიგისათვის:

ბრძენნი იცნობენ, სწუხობენ მით, მათგან საწუნელია;
ცრუ და მუხთალი სოფელი, მიწყივ ავისა მქმნელია...
საწუთრო ნაცვლად გვატირებს, რაც ოდენ გავციინია,
ძველი წესია სოფლისა, არ ახლად მოსასმენია .

ცხოვრება მიწიერ სიამეთა სახით ხლართავს მუხანათურ ქსელს, მოჩვენებითი სიამოვნებით და ბედნიერებით აცდუნებს, და თითქოს ნეტარებას განაცდევინებს ადამიანს, მაგრამ უცებ მზაკერულად გლეჯა ქსელს და ბედნიერების ეფემერული სიმაღლიდან ძირს ანარცხებს მასზე მინდობილ მსხვეპლს, რომ უფრო ძლიერი გახადოს მისი ტანჯვა და უფრო ღრმა მისი გულის იარები.

მიმდონი საწუთროსანი მისთა ნივთთაგან რჩებიან
იშვებენ, მაგრა უმუხთლოდ ბოლოდ ვერ მოურჩებიან...
მისთა ნაკვესთა წინწალი დამეცეს, ხანგრძლად მწველია...
ამიტომაც, — ამბობს რუსთაველი: —

იგი მიენდო სოფელსა, ვინცა თავისა მტერია! პოეტს წუთისოფელი მიაჩნია ვარამისა და ოხვრია-ვაების მიზეზად:

მით ვხედვ, ბოლოდ სოფელისა ოხრად სჩანს ყოვლი, სად არე.

ამრიგად, რუსთაველი თავისი მათემატიკური თეორიით პეიზაჟისტიკა, მაგრამ მისი პეიზაჟიზმი მომდინარეობს არა მარტო უიღბლობისა და წარუმატებლობისაგან, არამედ ადამიანისა და ცხოვრების ღრმა შეცნობისაგან, სადაც ბედნიერებას ფატალურად სჭარბობს ბოროტება, რაც ადამიანის გულის ბუნებით არის გამოწვეული. გული ადამიანისა ურჩი და აჩქარებულია თავის მისწრაფებებში, ხარბი, გაუძლომელი და ახირებულია თავის სურვილებში, ბრმა და განუსჯელია თავის ვნებებში,

და მარად მიისწრაფის რა ბედნიერებისაკენ, მუდამ იტანჯება ცხოვრების უკმარობისგან.

სიცოცხლისუნარიანობით გამოირჩევა იგი, მაგრამ როგორც ჩანს, ვერ მიეუსადაგებთ ამ აქსიომას, რადგან მისი (რუსთაველის) გავლენა, იფარგლება არა ერთი რომელიმე ისტორიული ეპოქით, არამედ იგი ვრცელდება რიგ საუკუნეებზე და ათას თაობაზე, რომლებიც ერთმანეთს ნაკლებად გვანან, როგორც მსოფლმხედველობათა ხასიათით, ასევე მათი ეპოქების ისტორიული თავისებურებებით.

მართლაც და, რა სასწაულის და გრძნობების ძალით შესძლო რუსთაველის ქმნილებამ საუკუნეთა მანძილზე სულიერად გაერთიანებინა ესოდენ სხვადასხვა ხასიათის ისტორიული ეპოქები და ათასი თაობა, რომელთაც ერთმანეთ შორის არა აქვთ მსგავსება. რატომ არის, მაგალითად, რომ უშიშარნი, მაგრამ ცხარე ცრემლის მღვრელი გმირები პოემისა, წესიერებისა და სამართლიანობის ღრმა გრძნობით გამსჭვალულნი, ხელმწიფის ავტორიტეტისადმი (ღრმა გრძნობით, უხმო მორჩილებით) შეპყრობილნი, მაღალი, სულიერად აღგზნებადი, ასეთი სიყვარულით და პოპულერობით სარგებლობენ ფეოდალიზმის უკიდურესი განვითარების ეპოქაში, ძალმომრეობის და უხეში ძალის ბატონობის ეპოქაში, ხელმწიფის, როგორც გამაერთიანებელი ძალის, ავტორიტეტის დაცემისა და უფლება-სამართალზე ძალადობის უპირატესი ბატონობის ეპოქაში?! ყოველივე ეს, ჭერჭერობით გარკვეული არ არის. ეს გაურკვეველობა კიდევ უფრო საგრძნობი ხდება, თუ რუსთაველის ქმნილებას შევუპირისპირებთ „ამირან-დარეჯანიანის“ ან მის მსგავს ნაწარმოებებს, რომლებიც გამოხატავენ იმ ეპოქაში გაბატონებულ სულისკვეთებას. მიუხედავად იმისა, რომ „ამირანდარეჯანიანში“ და მის მსგავს ნაწარმოებებში აისახა უკიდურესად განვითარებული უხეში ძალის ბატონობა, მიუხედავად ამ ნაწარმოებთა მხატვრული ღირსებებისა, როგორც ამას მოწმობს თვით რუსთაველის სიტყვები, ყველა ისინი გაქრნენ, გამოვიდნენ ხმარებიდან ისე, რომ არაფერი დატოვეს ხალხის მეხსიერებაში, გარდა მცირეოდენი

ბუნდოვანი ნაწყვეტებისა. ყველა ეს და ამისდაგვარი საკითხები, ვიმედოვნებ, ამჟამად გადაუწყვეტელი რჩება, რადგან არ მოგვეპოვება ქართველი ხალხის ისტორიული და ყოფითი თავისებურებების მაუწყებელი მასალები.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ქართველი ხალხის სულის სიღიადის ნაყოფმა — რუსთაველის შემოქმედებითი გენიის ნაყოფმა გაუძლო ყოველივესა და ყველაფერს, — ქართველი ხალხის ბრწყინვალე ეპოქასაც, თავდაცვისათვის უსასტიკეს ბრძოლასაც, წარმატებებსა და მარცხებსაც, სახიფათო საშიშ კრიზისებსაც, ბოლოს თვით ხალხის დაცემასაც, მაგრამ ისე რომ თვითონ არ დაცემულა. იგი ხალხის გულში, თვით მისი ცხოვრების უმძიმეს ეპოქებში, ინახავდა სულიერი ცხოვრების სიყვარულის იმ უწმინდესი გრძობის ნაპერწკალს, რომელიც მომავალი კულტურული ცხოვრების საწინდარია და შეიძლება უძლიერეს გიზგიზა ალად ავარდეს, რომ გაანათოს ხალხის გზა სულიერ ცხოვრებაში.

თუ კი პრომეთე იმისათვის, რომ ადამიანებს ღვთიური ცეცხლის ხმარება ასწავლა უკვდავთა რიცხვში მოხვდა, მაშინ რუსთაველი, რომელიც ბნელით მოცული საუკუნეების მანძილზე ამ ღვთიურ ცეცხლს ქართველი ხალხის გულში ჩაუქრობლად ინახავდა, იმსახურებს უდიდეს მადლიერების გრზნობას; და ქართველი ხალხიც რუსთაველს, დამსახურებისამებრ მიუზღავს როცა იგი შეიცნობს თავის თავს და თავის ისტორიას უფრო უკეთ, ვიდრე დღეს აქვს შეცნობილი.

მე თუ მკითხავ, ვცოცხლობ და ჩანმრთელად ვარ. ამას კი მნიშვნება აქვს ჩემს მდგომარეობაში. არ ვცდილობ უკან მივიხედო იმის შიშით, რომ (ბიბლიური პერსონაჟის) ლოთის ცოლის მსგავსად, მარილის სვეტად არ გადავიქცე. არც წინ მომელის აღქმული მიწა, ხოლო როგორია ჩემი აწმყო, შენ კარგად მოგეხსენება. რა მძიმეც არ უნდა იყოს იგი, მე მაინც შევძლებ ვიცხოვრო შეგნებულად, ისე რომ

არ ვგრძნობდე ჩემი მდგომარეობის მთელ სიმძიმეს, რისთვისაც უნდა ვუმაღლოდე უწინარეს ყოვლისა ჩემამდი აქაური უფროსების ჰუმანურ მოპყრობას. ისინი ჩემთვის აკეთებენ ყოველივე შესაძლებელს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში.

შენ კი როგორ ხარ, ძვირფასო ვასო? გენვევი დაუსწრებლად და გითვლი გულითად მადლობას ჩემდამი შენი მეგობრობისთვის.

მერწმუნე ძვირფასო მეგობარო, რომ ჩემი განსაკუთრებული მდგომარეობის გამო, ჩემზე უკეთ მას ვერავინ დააფასებს და უფრო ძვირფასად ვერ მიიჩნევს. ეს მეგობრობა, იქნება, ალბათ, ერთადერთი მასულდგმულელებელი ნუგეში ჩემს შემდგომ მწუხარე ცხოვრებაში.

გთხოვ გადასცე შენს ცოლს ჩემი მეგობრული მოკითხვა, კეთილდღეობის და ჯანმრთელობის ჩემი სურვილები. იყავ ჯანმრთელი და ბედნიერი, ძვირფასო მეგობარო. ერთხელ კიდევ გენვევი, დავრჩები შენი მოყვარული დავით ჩქოტუა.

P. S. გთხოვ, ვასო, არ დაგავიწყდეს, შემატყობინე მისამართი იმ გერმანული წიგნის მალაზიის დერიბასოვის ქ.; მინდა გამოვიწერო ბელცის გერმანული ენის სახელმძღვანელო. ამასთან, თუ ხელთა გაქვს ან ხელი მიგიწვდება, გამომიგზავნე ბაქრაძის საქართველოს ისტორია.

არავისგან არავითარი ცნობა არ მიმიღია.

ნაწილი III

უღანაშაულო დამნაშავე

ნინა ანდრეევსკაიას მკვლელობის
სასამართლო ოქმები

სხდომა პირველი

1878 წლის 27 თებერვალს

საზოგადოებისათვის ადრევე იყო ცნობილი ანდრეევსკის ქალის სიკვდილის ამბავი.

სასამართლო პროცესზე დასასწრებლად გაიყიდა 300 ბილეთი, მაგრამ მსურველების რიცხვი უფრო მეტი იყო. ამიტომაც გაზეთის რედაქცია თავს ვალდებულად რაცხს საზოგადოებას ვრცლად გადმოსცეს სასამართლო სხდომების მკვლელობის ანგარიში.

სხდომა 10 საათზე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ელოდებოდნენ ბრალდებულ ზურაბ ქორიძეს, რომელიც საავადმყოფოში იწვა. იქიდან მოვიდა ცნობა, რომ მას არ შეუძლია პროცესზე დასწრება, რადგან ღღეს თუ ხვალ მოკვდებაო.

ამის გამო 1 საათსა და 45 წუთზე გაიხსნა სხდომა.

სასამართლო შედგება: თავმჯდომარე ელენინი, წევრები: უ. პოლოტორაძე, ადვოკატები: ბრალდებულების დავით და ნიკო ჩქოტუებისა თ.ნ. ორბელიანი და პეტრე გაბისონიასი —უფ. ტიხამიროვი, პროკურორი ხლოდოვსკი.

უმეტესობას დარბაზისას ქალები შეადგენდნენ. მოუთმენლად ელიან ბრალდებულების, განსაკუთრებით დ. ჩქოტუას გამოჩენას. სხვათა შორის აქ არის ბრალდებულ ჩქოტუების მამაც.

2-ის ნახევარზე სამივე ერთად შემოიყვანეს. დავით ჩქოტუას

დანახვამ არავითარი განსაკუთრებული შთაბეჭდილება არ მოახდინა; ვისაც ადრე ენახა, ამბობდა, რომ იმაში არავითარი ცვლილება არ მომხდარაო. ის შემოვიდა თამამად თითქო აქ არა არის-რაო, თითქო სრულებით ბრალდებულად არ გრძნობს თავის თავსო. ის არის 29 წლის ყმაწვილი კაცი, შავ-თვალ-წარბა, შავ-წვეკებიანი, შავი, გრძელი თმა ღიაკვანით ჩამოუშვია უკან. გაწკიპინებული ულვაშებით რომ იტყვიან იმერლები, ისეთი ულვაშები აქვს, ტუჩებს როგორღაც აცმაცუნებს.

უმცროსი ძმა ნიკო ჩქოტუა არაფრით იყო შესანიშნავი. მესამე ბრალდებული, მეგრელი პეტრე გაბისონიას (27 წლის) დაღონებული, მოწყენილი სახე აქვს. ბრალდებულებს გამოკითხეს ვინაობა. საქმის განხილვას შეუდგნენ, მიუხედავად იმისა, რომ ქორიძე ზურაბი არ იყო.

შეუდგნენ გამამტყუნებელი აქტის კითხვას, რომელშიც აღწერილი იყო როგორც საქმის გარემოება, აგრეთვე ის სასჯელი, რომელიც უნდა მიესაჯათ ბრალდებულთათვის.

გაზეთში ამ აქტის შინაარსი გადმოცემული არ არის. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ამ აქტის წაკითხვამ ბრალდებულებზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა; მხოლოდ უმცროსმა ჩქოტუამ ერთ-ორ ალაგის წაკითხვის დროს თითქმის გაჯავრებით მოკმუნა სახე.

შვიდ საათზე დამთავრდა კითხვა:

- ბრალდებულო დ. ჩქოტუა, დამნაშავეთ აღიარებთ თავს თუ არა...
- მე ჩემ თავს არ ვაღიარებ დამნაშავედ და არავითარ დანაშაულობას ამ საქმეში ვერ ვხედავო, – გაცხარებით სთქვა დ. ჩქორტუამ და თან მომეტებული მღელვარებისგან სტოლზე მუშტი დაარტყა.

ასევე უპასუხა ნ. ჩქოტუამაც.

მესამე მოწმე ერთი კვირის მოსული ყოფილა ანდრეევსკის ოჯახში

და თქვა: დ. ჩქოტუა არც კი მიცნობდა და ამისთანა ამბავს არც დამენდობოდნენო...

შემდეგ მოწმეები დააფიცეს. მოწმეთა რიცხვი 100-მდე იყო, მაგრამ ნახევარი არ გამოცხადებულა. სხვათა შორის არ მოსულან არც თ.გ. შარვაშიძე, არც ანჩაბაძე და არც მოკლულის ნინო ანდრეევსკაიას დედა.

სასამართლო მოწმეების დაკითხვის შემდეგ დაიხურა და გაგრძელდა მეორე დღეს 28 თებერვალს.

ბაზენტი „ღრობა“, 1878წ, VIII, ოთხშაბათი, №43, გვ.3-4.

სამართალი

ანდრეევსკის ქალის საქმე

სხდომა მეორე, 28 თებერვალს

სხდომა დილის 11 საათზე გაიხსნა. ყველაზე პირველი დაკითხეს ქ-ნა ქეთევან ორბელიანისა, მან სთქვა: „რომ სამოცდაათი წლის მოხუცებული ქალი ვარო, არაფერი არ მახსოვსო, რაც მაშინ ვთქვი, ისიც აღარ მახსოვს ახლათ“.

2) ქ-ნა ბარბარე თუმანოვისა — ამ ქალმა დიდ ხანს და გაბრტყელებით ილაპარაკა. მომრიგებელმა მოსამართლემ ი. წინამძღვრიშვილმა მითხრაო, რომ ვითომც ერთი ბიჭი გატყდაო, რომ ნინო ანდრეევსკის ქალი ჩვენ მოვკალით, დჩქოტუას დარიგებითაო და თითქოს ამ საქმეში ბარბარე თუმანოვაც ერიაო. მე და გამომძიებელი ფიფინოვი ვიყავით დ. ჩქოტუასთან და ვკითხეთ ეს ამბავი, მაგრამ იმან სთქვა, რომ სულ ტყუილი არის ესაო.

3) პლიუსჩევსკიმ — სთქვა, რომ იმ ხანებში ის მოდიოდა ბორჯომიდან

და შეხვდა დ. ანჩაბაძეს, რომელმაც უთხრა, რომ თბილისიდან ტელეგრაფი მივიღე, ნინო ავადმყოფობსო და სანახავად მივდივარო. — მე უთხარი იმას, რომ ნინო ანდრეევსკაია, ავად კი არა, როგორც ამბობენ, დაალრჩევსო.

4) ჰმცროსმა პოლიცემისტერმა მელიქ ბეგლიაროვმა დაწვრილებით აღწერა დაშაულის ადგილზე ნახული ფაქტის შესახებ.

იმისი ჩვენებიდან გამოდიოდა, რომ ღამით კი არა დღისით არ შეეძლო კაცს იმ ადგილზე ჩასვლა წყლის პირას, სადაც პირველათ ნახეს ანდრეევსკის ქალის ტანსაცმელი. ჩვენ თოკებით ჩაგვიყვანესო.

5) მომრიგებელი მოსამართლე ილია წინამძღვაროვი ამბობს, რომ საღამოს 12 საათზე ვიღაც ბიჭი მოვიდა მსახური და შეგვატყობინა ნინოს დახრჩობა. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა ანდრეევსკის სახლის მამულების მმართველი დავით ჩქოტუა, ამანაც იგივე ამბავი შემატყობინაო. ანდრეევსკის სახლში მისვლისთავე მას ბიჭები ცალკე დაუმწყვდევია და ქალები ცალკე. დ. ჩქოტუა ამ დროს ძალზე აღელვებული და გაყვითლებული იყო. გვანახეს ის ადგილი, სადაც ნ. ანდრეევსკისას თითქოს უბანავია, მაგრამ მას აქ ჩასვლა არ შეეძლო. უეჭველია, მოუკლავს ვისმე და შემდეგ მოუტანიათ აქ განგებისათ იმისი ტანისამოსი. დიდ ხანს ილაპარაკა მოწმემ ნინოს ხასიათებზე და ჩვევებზე.სოფ. ოქროყანაში ყოფნისას მითხრაო, მიკვირს, იმისთანა მღვრიე წყალში, როგორიც მტკვარია, როგორ ბანაობს ხალხიო. უხაროდა კავკასიაში (თბილისში) მამულის ყიდვა.როგორც კი ერგო მამული დ. ჩქოტუა არ უყვარდა და მოიშორაო, ჩამოართვა მისი მამულების გამგეობის უფლებათ საზოგადოდ: მისი ჩვენებიდან ცხადათ გამოდიოდა, რომ ნინო ანდრეევსკის მოკვლა უეჭველად ჩქოტუას საქმე არისო.

სხდომა საღამოს 6 საათზე შეწყდა.

„დროება“, 1878, №44, 2/III, ხუთშაბათი, გვ. 3-4

სხდომა მმსამე

1 მარტს

მოწმეების ჩვენების გაგრძელება

1) ონიკოვი ალექსანდრე – მე, ივანე პოლტარაკიმი და ბესარიონ დოლობერიძემ, ანდრეევსკის ქალისა და გ. შარვაშიძის თხოვნით გავყავით ამათ შუა მამულები. როგორც ეტყობოდა, ორივე მხარეები კმაყოფილნი იყვნენ. მას კითხეს ნინოს დედა თუ გინახავთ შემთხვევის შემდეგო. მან უპასუხა – ვნახე ხაშურის სტანციაზედ, მაგრამ ისე არეულად ლაპარაკობდა, ვერაფერი გავიგეო .

2) პეტრე ლევანიძე (ა.ონიკოვის ბიჭი) – იგი წილისურას დასწრებია ანდრეევსკის სახლში. ბატონმა მიბრძანა პატარა ბიჭი ამომეყვანა წილის ამოსადებად, როცა ბიჭმა გ. შარვაშიძის წილი ამოიღო, მან ჩაის სმა მიატოვა და ხმა ამოუღებლად წავიდაო .

3) სოფიო ბეზირგანოვისა – კ. თუმანოვთან მისი ცვლიას მოუტანიათ თეთრეული, რომელიც სისხლის ლაქებით ყოფილა დასვრილი. მაგრამ ბარბარე ანდრეევსკისას არაფერი უთქვამს იმის გამო, რომ მისი ქალი მოკლეს ან დაახრჩეს.

4) ფეშია ზუფვისა – (მრეცხავი). ანდრეევსკის ცოლისა და ქალის საცვლების მრეცხავი. უკანასკნელი თეთრეული ნინოსი სისხლით იყო დასვრილი.

5) ბესარიონ დოლობერიძე – 23 ივლისს 1876 წელს მივიღე ქუთაისში თფილისიდან ტელეგრამა, რომელშიც ეწერა, რომ ნინო ანდრეევსკაია ძან ავით არისო და გადაეცით გ. შარვაშიძეს, რომ მოვიდესო. მეორე დღესვე გ. შარვაშიძე და ანჩაბაძე თბილისში ჩამოსულან. ცოტა ხნის შემდეგ თვითონაც თბილისში ჩამოსულა, მაგრამ გ. შარვაშიძესთან საუბარი არ ჰქონია. დ. ჩტოტუა ამ დროისათვის უკვე დაპატიმრებული ყოფილა.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ დააზუსტა (დ. ჩქოტუას ჰკითხა) იყო თუ არა ბრალდებული ნ. ანდრეევსკის ქალის მამულის გამგებელი, მან უარით უპასუხა, რადგან სხვა საქმეები მქონდაო.ლოლო-ბერიძისათვის დ. ჩქოტუას გაუგზავნია ქუთაისში ტელეგრაფი, ნინო დაიხრჩოო იმიტომ არ დაუწერია, რომ გ. შარვაშიძე ძლიერ შეწუხდებო.

6) სტეფანე ავთანდილოვი – იგი იცნობდა ანდრეევსკის ოჯახს ოდესაში 1876 წლიდან. ნინოს უკვირდა, ამისთანა მღვრიე წყალში ბანაობა, როგორ შეიძლებაო .

7) ესტატე ჰიაბეროვი (მცურავი-მეთევზე) – ესტატეს და მის ამხანაგ ფიდოს ყარაიზისაკენ წასულებს უნახავთ ქალის გვამი, რომელსაც მტკვარი მოაუტრებდა. შემდეგ ბიჭს მეთევზესთვის დაუბარებია ქალაქში, პატარებს რასაც მისცემდნენ, თანაბრად გაყოფა დაუთქვამთ. ცალი ხელი ჰქონდა დალურჯებულიო, ტანზე ეცვა პერანგი და მისი ამხანაგიო.

სხლომა 6 საათზე დამთავრდა.

„ღრობა“, №45, 3/III, პარასკევი, გვ., 2-3

ანდრეევსკის ქალის საქმე

სხლომა მმოთხე 2 მარტი

1) ჩვენება ბარბარე ანდრეევსკისა: შემთხვევის სალამოს სტუმრად ყოფილან. შინ დაბრუნებისთანავე ნინოს ჩაუცვამს ძველი კაბა და 10 საათზე გავიდა ბაღში.

იმის მერე დედას ის არ უნახავს. ერთი საათის გასვლის შემდეგ დედას მოუკითხავს ქალიშვილი. ზურაბ ქორიძე მოსულა და უთქვამს, რომ ის და ნ. ჩქოტუა ვნახეო ერთად მიდიოდნენ კრუჟოკის ლობესკენაო. რატომ იმწამსე არ მოხვედ ვკითხე ზურაბს, იმან მითხრა უფროს ჩქოტუას ტანისამოს ვხდიდო. კ-ნა ორბელიანისგან რომ

დავბრუნდი დ. ჩქოტუა შინ არ იყო, უმცროსი ძმა კი ცხენით წასულიყო სასივრთო.

ნინოს წყალში ბანაობა არ უყვარდაო. ოდესაში ყოფნისას ორი წელი წყალში არ ჩასულა. თუ ჩავიდოდა პერანგისა და მისი ამხანაგის გარეშე არა. იმ დღეს ძაღლების ყეფა არ გაუგონია... ძალიან მაწუხებს, რომ ამ საჭმეს ჩემს სიძეს (გ. შარვაშიძეს) და დ. ჩქოტუას აბრალებენ. დ. ჩქოტუამ თქვა იმ დღეს, რომ ხვალ ქუთაისს უნდა წავიდეო, გ. შარვაშიძისგან დეპეშა მომივიდა, ხმალი უნდა წავულოო. არაკითარი უკმაყოფილება ნინოს დ. ჩქოტუასთან არ ჰქონია.

თავმჯდომარე დ. ჩქოტუას – როგორ გაატარეთ თქვენ ის დღე, როდესაც ეს საქმე მოხდა?

2) დავით ჩქოტუა – 8 საათზე შინიღამ მინდოდა გასვლა, მაგრამ ამ დროს მოვიდნენ ნინო ანდრეევსკისა და დედაძისი, ცოტა ხანს დავრჩი კიდევ და ბალკონზე ვმუსაიფობდით. მერე ისინი წავიდნენ ოთახში და მე კი ჭალაქში წამოველი. შევიარე კაპანაძესთან ჩემი ძველი შარვალი უნდა წამომეღო. მაგრამ მალაზია დაკეტილი იყო. შემდეგ შევიარე აფთიაქში ქინა და მაზოლის წამალი ვიყიდე. აქედან ავიყვანე დროჯკა და ევროპის სასტუმროში წავედი ვახშმის საკმელად. სასტუმროდან ათის ნახევრისთვის სახლში დავბრუნდი. ჩემს ოთახში ავედი და რადგან დალეული ვიყავი ტანთ გავიხადე და დავწექი. ცოტა ხნის შემდეგ ანდრეევსკის დედის ყვირილი შემომეამა, საჩქაროთ გადავიცვი პერანგზე სერთუკი და ჩამოვედი ძირს. მე მოვკიდე ხელი მოხუცებულ ქალს და ერთად წავედი. შემდეგ ჩემი ძმა დავინახე, იმას უთხარი, რომ ხელი მოეკიდნა შეწუხებული დედისათვის და მე კი ვიფიქრე, იქნება წყალში გადავარდა მეთქი, და ამის გამო მე და ზურაბ ქორიძე ჩავედით წყლის პირას. იქ იყო იმისი ტანისამოსი, ჯერ ხელი მოვკიდე და მერე

ისევ დავაწყვე როგორც იყო დადებული. თან კაცი დავაყენე. შემდეგ მე და მგელაძემ მეპარომეს ვკითხეთ, მაგრამ იმან თქვა, არაფერი მინახავსო. შემდეგ იოსემ სულხანოვთან გავაგზავნე კაცი ამბის შესატყობინებლად; მეც წაველ; სულხანოვი გზაზედ შემხვდა, შინ მოვიყვანე და მე კი ტელეგრაფის სტანციაზე წავედი, სამი დეპეშა გავაგზავნე: ორი ქუთაისს და ორი ფოთს. აქედამ მომრიგებელ მოსამართლესთან გამოვიარე. ძაღლები მე დავამწყვდიე. რადგან ერთი იმათგანი გაცოფდა და მეშინოდა სხვები არ დაეკბინა. ამ ნაჯახით ერთი ძაღლი მოვაკვლევენიე .

3) ნ. ჩქოტუა — იმ საღამოს ჩვეულებისამებრ ცხენით უსეირნია, შინ მიბრუნებულს დაუსვენია, ქალბატონთან ულაპარაკია და მერე დასაძინებლად წასულა. ყვირილის გაგებაზე ნინოს საძებრათ წასულა.

4) მოწმე ანდრია კაპანაძე — დ. ჩქოტუას შარვალი ნამდვილად ყოფილა მის მალაზიაში.

5) გაბრიელ ჩარახჩიანი — ყელსახვევის თაობაზე

6) სერგეი მესხი — დ. ჩქოტუას ადრეც ვიცნობდი. 1875 წელს გავიცანი, მაშინ პირველად ჩამოვიდა პეტერბურლიდამ. ორი-სამი თვის განმავლობაში იდგა ჩემთან.

პროკურორი: ფული უყვარდა თუ ძუნწი იყო?

პასუხი: არ ვიტყვი ძუნწი იყო-მეთქი; მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ ფულის ფასი იცოდა. საზოგადოთ ჩვენ ქართველებმა, ფულის დაფასება არ იციან, დ. ჩქოტუამ კი კარგად იცოდა.

შემთხვევის შემდეგ დ. ჩქოტუა ვნახე დამარხვის დღეს. ძალზე შეწუხებული და აღშფოთებული იყო. გასაგებია მისი მდგომარეობა.

7) პეტრე უმიკაშვილი — დილით უნახავს (ანდრეევსკის ქალის მოკვლის დღეს) დ. ჩქოტუა. ის ძალიან მხიარულ ხასიათზე ყოფილა.

ხვალ ქუთაისის მივდივარო. შემთხვევის შემდეგ უნახავს და შემოჭრივლათ თფილისის მოამბე ჩვენ გვაწამებს ანდრეევსკის ქალის მოკვლას და თავის გამართლების საშუალებას კი გვისპობსო .

8) სტეფანე მელიქიშვილი – ქალის დალუპვის მეორე დღეს ყოფილა ანდრეევსკის ოჯახში. დ. ჩქოტუას უთქვამს: ამ დროს მე ოთანში ვიწეკი და წიგნს ვკითხულობდიო, ძაღლებიც მე დავამწყვდიე, რადგან ცოფმა დაკრაო.

9) პოლკოვნიკმა ბელიკმა – (იმ დროს პოლიცმეისტერმა) ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ გამოტეხა პოლიციის ოფიცერმა ლოლაძემ ზურაბ ქორიძე, პეტრე გაბისონია და ივანე მგელაძე. ყველა ესენი (ჩქოტუას ბიჭები) ამბობდნენ, რომ ჩვენ დავენმართე იმ დროს, როცა ნ. ანდრეევსკია მოკლესო, ვილაც ოთხი უცხო კაცი მოვიდნენ, დააღრჩვენო და წაიყვანესო, ჩვენ მონაწილეობა არ მიგვიღია ამ საქმეში, განკარგულება დ. ჩქოტუასი იყოვო და სხვა...

დავით ჩქოტუა – თუ ერთი სიტყვა ან ერთი გარემოება მართალი გამოდგება აქ ბელიკმა ილაპარაკა, მაშინ რაც გერჩიოსთ, ის მიყავით...

შემდეგ წაიკითხეს თ. გ. შარვაშიძისა და თ. დ. ანჩაბაძის ჩვენება.

სხდომა დაიხურა საღამოს 7 საათზე.

ბახუთი „დროება“, №46, 4/III, შაბათი, გვ.3

სამართალი
ანდრეევსკის ქალის საქმე
სხდომა მეოთხე
3 მარტს

სხდომა დაიწყო დილის 11..30

პირველად წაიკითხეს ჩვენება ივანე ჯაიანისა, ალექსი კეკეთაშვილის და ია სულხანოვისა: ამ უკანასკნელის ჩვენება ეთანხმება მომრიგებელ მოსამართლის წინამძღვაროვის ჩვენებას. წაიკითხეს აგრეთვე ჩვენება ასსან ბაირაშვილისა, რომელიც იმ დროს ანდრეევსკის მამულში იყო დაყენებული; ამან თქვა: „როცა დღეს ტყის დასახედვად იყვნენ, დ. ჩქოტუა კვნესოდა და მოწყენილი იყო“.

ამ გარემოების თაობაზე დ. ჩქოტუამ უპასუხა: რომ ჩემზე ძალზე ცუდი მოქმედება ჰქონდა იმ გარემოებასო, რომ გლენებმა იჩივლეს ნინო ანდრეევსკის ქალთანო, რომ ვითომც მე ვაწუხებდე იმათ და დადებულს გადასახდზე მეტს ვართმევდე.

1) ტუსადი მუსსა-იზმაილ-ოდლი — ტუსადი, რომელსაც, პოლიციის აფიცრის ლოლაძის სიტყვით გაუტყდა პეტრე გაბისონია. ლოლაძე მისულა საავადმყოფოში, სადაც მუსსა, წერეთელი და პეტრე გაბისონია იწვნენ. მას მუსსასთვის დარიგება მიუცია, თუ გაბისონიას გასტეხ ბელიკი კნიაზს ვთხოვ, რომ დანაშაული გაპატიონო. ბევრჯერ ცდილა იგი გაბისონიას გამოტეხვას, მაგრამ იგი სულ ტიროდა და არაფერ შუაში ვარო, ცხარობდა. მეორეჯერ მისულ ლოლაძეს დაუბარებია მისთვის ტყუილი ელაპარაკა, ასე თქვი და უეჭველად გაგანდობსო. მერე მეტენის ციხეში ზურაბ ქორიძის დაკითხვაც დაავალეს. თან დამპირდა ლოლაძე რომ ათას მანეთს მოგცემო და ნამესტნიკსაც ვთხოვ რომ განგათავისუფლონო, თუ გამოსტეხ მაგათ, ან მე როგორც

დაგარიგებ ისე იტყვიო. გამომძიებელს მე ვუამბე ისე, როგორც
ლოლაძემ მითხრა, ნამდვილათ კი ერთი ამათგანი არ გატეხილა ჩემთან.
2) ნიკოლაი პრინცი — 22 ივლისს 1876 წელს მე და ჩემი ცოლი
საზაფხულო კრუეოკში მივდიოდით; ვორონცოვის ქუჩაზე ჩვენს
ფაიტონს დაეჭახა მეორე ფაეტონი, რომელშიც იახდნენ ოთხნი: ერთი
ქალი და ორ კაცს შუა და ერთი კაციც ძირს იჯდა; კაცები ჩოხებში
იყვნენ.

ლოქტორებმა გლავიცკიმ, გარალევიჩმა, ბლიუმ, ბერგმა და
პავლოვსკიმ, რომელთაც მესამე დღეს გაეჭრად ყარაიაზში წყლიდამ
ამოდებული გვამი ნინო ანდრეევსკისა, ერთხმად გამოაცხადეს, რომ,
როგორც ეტყობოდა, ნინო ანდრეევსკის ქალი ჭერ ხელით ყელზე მაგრა
დაეჭირათ და გულზე დაჭერით წამღჩვალყო და მერე კი წყალში
ჩაგდებულიყო.

„დროება“, 1878, №47, VIII, კვირა. გვ.2-3

სამართალი

ანდრეევსკის ქალის საქმე

სხდომა მიხუთე

სხდომა დაიწყო შუადღეზე

პროკურორის სიტყვა: ანდრეევსკის ქალის სიკვდილმა
აალაპარა არა მარტო თბილისი, არამედ მთელი კავკასია. პერიოდულ
პრესაში, ყველგან იწერებოდა ამ მკვლელობის შესახებ მოწინავე
სტატიები, ფელეტონები, შენიშვნები. საზოგადოების ინტერესიც დიდი
იყო ამ მკვლელობისადმი. დღესაც ასეთივე ინტერესით აღევნებდა
თვალს საზოგადოება ამ საკითხს. პროკურორი მოკლედ ვვება საქმის
ისტორიას: ოდესიდან ჩამოდის დედა-შვილი მამულების გასაყოფად,

რომელიც ნინო ანდრეევსკაიას საერთო ჰქონდა თავის დასთან კ-ნა ელენე შარვაშიძესთან. ამ დროსვე ჩამოვიდნენ თბილისში თ.გ. შარვაშიძე და მისი ვეჟილი თ. დ. ანჩაბაძე. ანდრეევსკისამ თავის მხრით დანიშნა უფ. ონიკოვი. გაყოფის შედეგად თითქოს კმაყოფილები დარჩნენ.

ამის შემდეგ თ. გ. შარვაშიძე წავიდა ქუთაისში და დედამისი გ. შარვაშიძის მამულში სასტუმროდან, მტკვრის პირას. 22 ივლისს ნასადილევს, ანდრეევსკები იყვნენ კ-ნა ბ. თუმანოვისას. დედის ჩვენებით მისმა ქალმა სალამოს 9-10 საათამდე გამოიცვალა კაბა, გავიდა გარეთ ბაღში და შემდეგ აღარ დაბრუნებულა. მეორე დღეს ნახეს დამხრჩვალნი თბილისიდან 40 ვერსის დაშორებით.

თქვეს: 1) ანდრეევსკას არ შეეძლო ბანაობა იმ ადგილზე, ტანსაცმელი მერე დაულაგებიათ აქ. მორცხვი იყო და კაბას არ გაიხდიდა, რადგან მეორე მხარეს სხვები ბანაობდნენო. თვითონ მრავალჯერ უთქვამს ამისთანა მღვრიე წყალში როგორ ბანაობდნო.

2) ნინო ანდრეევსკისა ძალად მოკლულია: ადასტურებს გვამის გაჭრა. მეთევზეები, მენავეები და მცურავები ამტკიცებენ, რომ თბილისში დამხრჩვალ კაცს 40 ვერსტზე ასე მალე ვერ გაიტანს წყალი.

3) ნინო მხოლოდ შინაურებისგან არის მოკლული. სხვას ვერ დასწამდება მისი მოკვლა., რადგან აქ ისეთი ძაღლები იყო, რომ სხვა პირის მოსვლას ისინი უსათუოდ გაიგებდნენ.

ვინ არის ამ საქმეში დამნაშავე?

1) იმ დღეს, როცა ეს ამბავი მოხდა დ. ჩქოტუას მოქმედება ყველას გასაკვირვებლად მიიჩნდა. აღელვებული და გაფითრებული იყო. ყველაზე პირველი მივარდა იმ ადგილს, სადაც მისი ტანსაცმელი იყო (ჭალის). რაღა თქმა უნდა მან ადრევე იცოდა სად იყო ეს ტანსაცმელი.

2) გამოძიებამ და მოწმეებმა დაამტკიცეს, რომ დ. ჩქოტუამ იმ დღეს

მოაკვლევინა ერთი ძალი, რომელიც უფრო ავი იყო და დანარჩენი ძალები დაამწყვდევინა. იმ განზრახვით, რომ გარეშე ვინმე შემოვიდოდა ამ საქმეში მონაწილე, ამ ძალებს არ შეეტყოთ.

3) დ.ჩქოტუა ამბობს, რომ იმ საღამოს ის ქალაქში იყო. 8 საათზე გამოვიდა შინიდან. იყო ანდრია კაპანაძესთან, რომლისგანაც თავისი ძველი შარვალი უნდა წამოეღო, შემდეგ ჩარახჩიანის მალაზიაში ყელსახვევი იყიდა, აფთიაქში ხინა და მაზოლის წამალი და 10 საათზე შინ დაბრუნდა. ყველაფერ ამით ჩქოტუას სურს თავისი ალიბი დაამტკიცოს, ე.ი. ანდრეევსკისას სიკვდილის დროს არ ყოფილა. პროკურორმა თქვა: მე არ მინდა ვისარგებლო აგრეთვე აღრინდელი პოლიცემისტერის ბელიკის წინაშე წარმოთქმულ იმ აღსარებით, რომელიც პ.გაბისონიამ, ზურაბ ქორიძემ და ივანე მგელაძემ წარმოსთქვეს. მათ დ. ჩქოტუას მიუთითეს როგორც მოთავე პირის. უიმისოდაც არის საბუთები, რომლებიც ამტკიცებენ ბრალდებულ დ. ჩქოტუას და პ. გაბისონიას დანაშაულის დასამტკიცებლად.

ამ ნაირად ცხადი და დაურღვეველია საქმის გარემოება.

1) ნინოს არ უბანავია,

2) რომ ის ძალად მოკლულია,

3) შინაურების მოკლულია: მოთავეობა ეკუთვნის დ.ჩქოტუას და ამის დასახმარებლად იყვნენ: ჩქოტუა ნ. და გაბისონია პ. რომელნიც აქ სხედან ახლა და სხვებიც.

არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ჩემთვის იმას, თუ რისთვის, რა ინტერესით მოკლეს ის ბრალდებულთა. საზოგადოებაში სხვადასხვა მიზეზს ამბობენ, სხვათა შორის, თ. გ. შარვაშიძეს მიაწერდნენ მონაწილეობას; მაგრამ ვიმეორებ, ამას ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენთვის მხოლოდ ის არის საკმაო, რომ ამათ მოკლეს ნ. ანდრეევსკისა.

„ღროება“, 1878, №48, № III, ოთხშაბათი, გვ.1-3-4.

მთელი კვირის განმავლობაში, 27 თებერვლიდამ დაწყებული ვიდრე მარტის 6-მდინ, თითქმის მთელი ქალაქის საზოგადოება თფილისის ოლქის სასამართლოს კარზედ იყო მოგროვილი. სასამართლოს ზალაში შესვლის მსურველები ათასობით იყვნენ; ბილეთები კი 300-ზე მეტი არ ყოფილა. დილიდამ საღამომდინ არ გამოდიოდნენ ზალიდამ ის ბედნიერნი, განსაკუთრებით ქალები, რომელთაც ბილეთი ეშოვნათ და ამ საქმის გარჩევაზე ესწრებოდნენ. ბევრს შიშშილით გული მისდიოდა; ერთ სტაქან წყალში ნახევარ სამეფოს იძლეოდნენ; ბევრნი, რომელნიც წყნარ, წესიერ ცხოვრებას, მუდამ თავის დროზე სადილის მირთმევას იყვნენ დაჩვეულნი, ერთი კვირის განმავლობაში ან სრულებით არ გაიხლებდნენ არაფერსა ან მარტო კელბერის პირაჟკებით კმაყოფილდებოდნენ...

ამას წინათაც ვთქვით — თუ რატომ იყო საზოგადოებაში აღძრული ამისთანა უჩვეულებრივო ინტერესი ანდრეევსკის ქალის მკვლელობის საქმისადმი. ყველას უნდოდა შეეტყო — თუ მართლა ამ უმაღლეს სწავლა მიღებულს ყმაწვილს კაცს ჩაუდენია ეს საძაგელი საქმე. ყველას ჰსურდა შეეხედა ბრალდებულისათვის და იმის სახეში, იმის თვალეში ამოეკითხა — შეეძლო იმას ამ ბარბაროსული საქმის ჩადენა, თუ არა?

ამ ერთი კვირის განმავლობაში ყველა ერთმანეთს ეკითხებოდა გაამტყუნებენ თუ არა დ. ჩქოტუასო. ერთ დღეს გამამტყუნებელი აქტის წაკითხვას მოუხდა სასამართლო. ოთხ დღეს მოწმეების ჩვენების ჩამორთმევას, ორი დღე პროკურორისა და ადვოკატის სიტყვებს. საზოგადოება სამ ნაწილად იყო გაყოფილი: მცირე ნაწილი აცხადებდა იმას, რომ ჩქოტუები ამ საქმეში დამნაშავენი არ არიანო. ამაზე უფრო მცირე ნაწილი ამტკიცებდა, რომ ანდრეევსკაია ბანაობდა და მაშინ დაიხრჩოო.

მომეტებული ამბობდა, რომ წაახრჩვეს და გადაადგესო შინაურებმა ჩქოტუებმა.

დანაშაულის ჩადენის პირველ ხანებში ხალხი განრისხებული იყო ჩქოტუებზე. მერე, როცა სასამართლო პროცესის დროს შეხედეს მათ ეს ბრაზი ამავე საზოგადოებისა, შებრალებად, თითქმის თანაგრძნობად შეიცვალა. განსაკუთრებით ქალები. თვალეებზე ცრემლები მოსდიოდათ, როცა ბრალდებულებს ხედვიდნენ.

„დ. ჩქოტუას თითქმის ერთხელაც არ მოუბრუნებია საზოგადოებისაკენ პირი. სულ მოსამართლეებისაკენ იყურებოდა. უმცროსი იქეთაც იყურება, აქეთაც. წყნარის, მშვიდობიანის სახით. მხოლოდ პეტრე გაბისონიას შეატყობთ თვალეებში, რომ რაღაც მოუსვენრობს, რაღაც აწუხებს“ ...

„...მაგრამ ამ ორ ძმათ მაშინ ეტყობათ მღელვარება, რომ ეს ამათი მშვიდობიანობა გარეგანი მშვიდობიანობაა და გულში კი ჭოჭონეთი აქვთ, როცა ხმის ამოღება დასჭირდებათ ხოლმე, როცა რამე უნდა სთქვან. განსაკუთრებით დ. ჩქოტუას სულ უცახცახებს ხმა, ორი სიტყვა ერთმანეთზე ვერ მოუბამს, ენა ებმება და ტუჩები უთრთიან მომეტებულის მღელვარებისაგან“.

ამათი ადვოკატებიც გულდამშვიდებულები არიან. თ. ორბელიანი დარწმუნებულია თავისი კლიენტების უმანკობაში. — „შეუძლებელია, რომ ისინი სასამართლომ გაამტყუნოსო“!

უფ. ტიხამიროვი მზიარულობს, თითქოს ამ საქმის არა აინტერესებს რაო. მაგრამ უფრო სიტყვის წარმოთქმის დროს დაამტკიცა, რომ ეს გულგრილობა უფრო გარეგანი გულგრილობა იყო, რომ ის მხურვალე მონაწილეობას იღებს ამ საქმეში, რომ იმას მგრძნობიარე გული აქვს. ექსპერტების ჩვენებამ ყველას დასწყვიტა გული. საზოგადოებამ დაამტკიცა, რომ ანდრეევსკის ქალი დამხრჩვალა წინასწარ, მერე ქალაქს გარეთ არის წაღებული და მდინარეში ჩავდებული.

პროკურორი ხალადოვსკი ჯერ სულ ახალგაზრდა კაცია, 30 წლის თუ იქნება. მაგრამ ჰკუა, საქმის ცოდნა და გული კი მოხუცებულისა აქვს. როცა მან მოაგროვა ჩქოტუების გასამტყუნებელი საბუთები, საზოგადოებას წამოცდა — საქმე ცუდათ მიდისო! საუბედუროდ ვერც ადვოკატთა დაცვამ ანუგეშა ისინი. ორბელიანი კარგად ლაპარაკობს, თუმცა როგორც ეტყობა უკეთაც შეუძლიან ლაპარაკი, მაგრამ ერთობ დაღალულია, ერთობ აღელვებულია. ბევრი ისეთი წვრილმანი საკითხები დაისვა, რომელიც საქმის მსვლელობას არავითარ შედეგს არ აძლევდა.

ამ მხრივ ტიხომიროვი უკეთესად გამოიყურებოდა. ბევრი არ უთქვამს, მაგრამ რაც სთქვა, კარგად, დამაჯერებლად. სასამართლოს თავმჯდომარემ თავიდანვე შეაჩერა და დააფრთხო, თორემ უკეთესადაც იტყოდა:

ერთი ორჯელ თავისი სიტყვის წარმოთქმის დროს იმან გამოიჩინა ნამდვილი ორატორული ნიჭი. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმან, როცა წარსდგა წინ, აიმაღლა ხმა, მოჰკიდა ხელი ნ. ანდრეევსკის ქალის კაბასა და კოფტას და გრძნობით სავსე სიტყვებით წარმოსთქვა შემდეგი:

— უფალნო მოსამართლენო! თქვენ გითხრესთ აქ, რომ ნ. ანდრეევსკისა მხნე და ძალიანი ქალი ყოვო! შეხედეთ აბა ამ კოფტას! ნახეთ აკლია სადმე თუნდაც ერთი ღილი? გახეულია სადმე? მხნე და ძალიანი ქალი ბრძოლას არ დაიწყებს, როცა დასახრჩობად მივარდებიან?

განა ხელებს გულზე დაიწყობს და ისე დანებდება? და თუ ბრძოლა იყო, სად არის მისი კვალი? და სხვა...

... მაგრამ, ამბობენ, რომ სუსტ საფუძველზედ დაამყარეს ადვოკატებმა ბრალდებულთ დაცვაო; ამბობენ, იმის დამტკიცება, რომ ნ. ანდრეევსკისა ბანაობადა მტკვარში და უცაბედათ დაიხრჩვაო, ამის დამტკიცება არ შეიძლებოდაო. უნდა დათანხმებულ იყვნენო,

რომ ვსთქვათ არ დაიხრჩვა, ვთქვათ სხვისი ხელით იყო დამხრჩვავი და მოკლული, მაგრამ დაამტკიცეთ რომ ჩქოტუებმა დაახრჩვესო და სხვა.

კვირას სამ საათზე დამთავრდა სასამართლო და გავიდნენ მოსამართლენი მეორე ოთახში განაჩენის გამოსატანად.

სალამოს 7 საათზე ბრალდებულები შემოიყვანეს და სკამებზე დასვეს. თითქოს ცოტა უფრო აღელვებულია დ. ჩქოტუა; მაგრამ შინც არ ეტყობა, რომ იმას რისამე შიში აქვს; უმცროსი ძმა კი ჩვეულებრივად მშვიდობიანად დაჯდა და მხნეთ უსურებს ყველას .

სასამართლოს შემოსვლისთანავე ეტყობოდა, რომ კარგი განაჩენი არ მოჰქონდა...

სასამართლოს ზალაში, რომელშიც ოთხასამდინ აულია, ისეთი მყუდროებაა, რომ ბუზის გაფრენას გაიგებთ... ხმა თავმჯდომარისა, რომელსაც განაჩენის ფურცელი უჭირავს ხელში და ჰკითხულობს, ისე გაისმის ზალაში, თითქოს ეს ხმა სამარადამ მოდისო.

პირველი სიტყვებიდანვე ცხადად მოჩანს, რომ ამ ხმით წაკითხულს განაჩენს დაახლოვებული კავშირი უნდა ჰქონდეს სამარესთან...

– სასამართლო აღიარებს – რა დ. ჩქოტუას დ. ჩქოტუას დამნაშავედ იმაში, რომ ...

სხვა საჭირო აღარ არის. ყველას თავები ერთბაშად დ. ჩქოტუასაკენ მობრუნდა...

ჩემ დღეში ამისთანა სახე, ამისთანა თვალები არ მინახავს... უეცრად, სანამ თვალს მოვასწრებდი, გაფითრდა კაცი,, ტუჩები ისე გაუთეთრდა, როგორც ეს ქალაღია, რომელიც თქვენ ამჟამად გიჭირავთ ხელში; თვალები სრულებით გაუშტერდა, ერთს წერტილს შესჩერებთან, იმ ქალაღს, რომელიც თავმჯდომარეს ხელში უჭირავს და რომელმაც გაუთხარა ორგვარი სამარე; მთელი ადამიანი გარეტანებულია, გაფითრებული, ასე გგონია გაქვავებული... საშინელი ამბავი უნდა ყოფილიყო მაშინ იმის მდგომარეობა... კაცის ოცნება,

რასაკვირველია, ვერ წარმოიდგენს იმ ცეცხლს, იმ ჭოჯოხეთს, რომელიც უტრიალებდა მაშინ იმას გულში.

ნამდვილი მხეცი, სრულებით გულგაქვავებული, უგრძნობი უნდა იყოს ის პირი, რომელმაც ტაში დაჰკრა სასამართლოს ამ გვარ განაჩენს... რაც უნდა სამართლიანი მოსჩვენებოდა იმას ეს განაჩენი, თუ იმან შეხედა ამ დროს დ. ჩქოტუას და მაინც ტაში დაჰკრა, უეჭველია იმას ადამიანის გული არ ჰქონია...

სოლოლაკელი

სერგეი მესხი

ამავე ნომრის – 86 – 3,4 გვერდებზე ბრძილება ნ.ანდრეევსკის ძალის საქმე..

სამართალი

ანდრეევსკის ძალის საქმე

სხდომა მიუშვიდე და უკანასკნელი

5 მარტი

უკანასკნელი სხდომა თბილისის ოლქის სასამართლოსი ნინო ანდრეევსკის ქალის მკვლელობაზე იყო გასულ კვირას. ამ დღეს ადვოკატებმა და პროკურორებმა თითო სიტყვა კიდევ წარმოთქვეს; უადგილობის გამო ჩვენ ვერ მოგვყავს ვერც ადვოკატის და ვერც პროკურორის სიტყვა. შემდეგ მოსამართლეებმა დაადგინეს კითხვები,

298

რომელზედაც იმათ პასუხები უნდა გამოეტანათ და ცალკე ოთახში გავიდნენ და სალამოს 7 საათზე გამოიტანეს შემდეგი

ბანაჩენი

„1878 წელს მარტის 5-ს თბილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში, რომელიც შესდგებოდა: თავმჯდომარის ელენინისგან, წევრებისგან: პოლტორაკისა და ჩემისოვისაგან და პროკურორის ხალადოვსკის თანდასწრებით, მოიხმინა საქმე ნინო ანდრეევსკის ქალის მოკვლის თაობაზე და გადაწყვიტა:

რომ თ. დავით ზურაბის ძე ჩქოტუა (29 წლის) და გლეხი პეტრე გაბისონია (27 წლის) დამნაშავენი არიან იმაში, რომ სალამოს 22 ივლისს 1876 წელს წინათვე განზრახულის პაზრით და დათანხმებით მოკლეს ნინო ანდრეევსკისა; რომ დ. ჩქოტუამ დაითანხმა ამ საქმეში სხვები და ამის გამო დ. ჩქოტუას ჩამოერთვას ყოველი ღირსება და გაიგზავნოს კატორლაში სამუშაოდ რუდნიკებში 20 (ოცი) წლის ვადით; პეტრე გაბისონიას აგრეთვე ჩამოერთვას ყოველი ღირსება და გაიგზავნოს კატორლაში ციხეებში სამუშაოდ ათი (10) წლის ვადით; ამ ვალის გასვლის შემდეგ დ. ჩქოტუა და პ. გაბისონია დასახლებულნი უნდა იქნენ სამუდამოთ ციმბირში; ამათვე უნდა გადახდეს ამ სასამართლოს ხარჯი. ნიკო ჩქოტუას კი სასამართლო ამ საქმეში გამართლებულად აღიარებს. ეს განაჩენი დ. ჩქოტუას თავადობის ჩამორთმევის შესახებ არ იქნება სისრულეში მოყვანილი, ის წარედგინება დ.მ. კავკასიის ნამესტნიკს, რომელმაც მ.ი.უ. ხელმწიფე იმპერატორს უნდა წარუდგინოს“.

საქართველო

დღიური

ანდრეევსკის ქალის მკვლევლობის საქმე ხვალ, შაბათს, არის დანიშნული თბილისის სამოსამართლო პალატაში. დამნაშავეების დამცველი უფ. სპასოვიჩი და ექსპერტი პროფესორი საროკინი როგორც ამბობენ, უკვე მოვიდნენ პეტერბურლიდამ ჩვენს ქალაქში.

ჩვენი გაზეთის სიმცირე ნებას არ მოგვცემს, რომ სიტყვა-სიტყვით დავწეროთ ყველა, რაც ითქმის ამ საინტერესო პროცესის დროს პალატაში; მაგრამ ვეცდებით, რომ შემოკლებით მაინც და დავის დროზე გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს ეს პროცესი.

ანდრეევსკის ქალის საქმე

თბილისის სამოსამართლო პალატაში

სალამოს სხდომა 25 ნოემბერს

ნასადილევის 5 საათზე შეწყვეტილი სხდომა გაიხსნა იმავე სალამოს 7 საათზე. მეათე საათზე სასამართლოს წევრმა ბაკალომ გაათავა, როგორც იყო, საქმის გარემოების მოხსენება.

შემდეგ დაიწყო მოწმეების ჩვენებების ჩამორთმევა. ყველაზე პირველად ჰკითხეს მეთევზეს ფიდუა მენაბდიშვილს, რომელმაც პირველად დაინახა და გამოიტანა მტკვრიდან დამხრჩვალნი ნინო ანდრეევსკის გვამი.

ამის ჩვენების დროს დამტკიცდა, რომ თარჯიმნები ვერ ახერხებდნენ ნორმალურად ეთარგმნათ რუსულად წინადადებები. ამიტომაც სასამართლო იძულებული შეიქნა თარჯიმნობა ეთხოვა თ.დ.მ. ერისთავისათვის.

შაბათის სხდომა სასამართლოსი ამით გათავდა ნაშუალამევის პირველს საათზე.

იქვე (იმავე გვერდზე)

სხდომა 26 ნოემბერს

სხდომა 11.³⁰ გაიხსნა. კვირადღე დღე იყო და ხალხს უფრო ბლომად მოეყარა თავი. მეათედი ნაწილი მსურველებისა მაინც გარეთ დარჩნენ.

ახალი თარჯიმანი თ.დ.მ. ერისთავი დააფიცეს და სასამართლო ხელ-ახლად შეუდგა მოწმის მენაბდიშვილის ჩვენების ჩამორთმევას.

1) ფიდეა მენაბდიშვილმა – უჩვენა, რომ 1876 წლის 22 მკათათვეს, ის იყო ყარაიაზე და როცა დილით ადგა და თავისი ჩანგლების დასახედად წავიდა, დაინახა, რომ მტკვარს დამხრჩვალ ადამიანის გვამი მოჰქონდა. ჩავიდა წყალში და ამოიტანა ნაპირზე. მოწმემ აჩვენა რომ გვამი სუფთა და თეთრი იყო, იარები და დალურჯებული ადგილები არსად ჰქონიაო, გარდა თითებისო. ჩემი ამხანაგი სხვა მეთვეზეებიც მოვიდნენო, ამოვთხარეთ ორმო, შიგ ბალახი ჩავუგეთ, ჩავასვენეთ შიგ, შემდეგ მიწა დავაყარეთ, ჯვარი დავადევით და წამოვედით ქალაქში პატრონის შესატყობინებლადო.

2) იოსებ თოფურიაძე – აჩვენა, რომ რამდენიმე ხნის წინათ, ანდრეევსკის ქალის მოკვლამდის შეხვდა ბაღში პეტრე გაბისონიას, რომელსაც ქალის წაღები მიჰქონდა მეწაღესთან გასაკეთებლად.

3) პეტრე გაბისონია – ცდილობს გაახსენოს იოსებ თოფურიას, რომ ეს ფაქტი რამდენიმე დღის წინათ კი არა, ქალის მკვლელობის დღეს მოხდა. რადგან იოსები უარზე იყო. პეტრემ თქვა: თავს იზღვევს, რადგან ეშინია მეც არ გამრიონ ამ საქმეშიო.

4) თ. გ. შარვაშიძე – ადვოკატ სპასოვიჩის შეკითხვაზე უპასუხა შემდეგი: როცა ნ. ანდრეევსკისა დაიხრჩო იგი ქუთაისში იყო. ამას

წინათ კი სამეგრელოში – გორდში თ. მინგრელსკისთან. დილით 23 ივლისს 1878 წელს ჯერ კიდევ ლოგინში მწოლარეს მოუტანეს დ. ჩქოტუას ტელეგრამა, რომელშიც ეწერა, რომ ნინო ძალიან ცუდათ არის და უნდა ჩამოხვიდეთ. ის იმდღესვე მოდის ქალაქში. მეორე, თუ მესამე დღეს შეიტყობს, რომ ნინო დამხრჩვალნი ჩამოეტანათ ქალაქში. პირველად რომ ვნახე ვერც ვიცანი ისეთნაირად იყო გაბერილი და გასერილი ტალახით. მარცხენა თითი ჰქონდა გაფუჭებული და იმით ვიცანი.

დ. ჩქოტუას ყმაწვილობიდანვე ვიცნობდი; შემდეგ, როცა ოდესაში ვმსახურობდი, იქ ხელ-ახლად გავიხსენეთ ნაცნობობა და ბოლოს პეტერბურღის უნივერსიტეტში გადავიდა, იქაც ხშირად ვხედავდი. იქიდან გამომავალზე ჩვენ ის ანდრეევსკის მამულების

გამგებლად. ოდესიდან, მე, ჩემი სიდედრი ბარბარე ანდრეევსკისა და ჩემი ცოლის და – ნინო ერთად წამოვედით. მამულის გაყოფისათვის მედიატორების მოსამართლეებად ამოვირჩიეთ: ალ. ონიკოვი, ბ. ლოლობერიძე და დ. ანჩაბაძე. მართალია, რომ, როცა ჩემი წილი მხვდა მიცვალებულმა (ნინომ), მითხრა: თუ გინდა გავცვალოთ ერთმანეთში ჩვენი წილი. მაგრამ მე არ დავთანხმდი. ჩემი სიდედრი მე წავიყვანე აქედამ ოდესაში; მერე ვარშავაში წავედი და მას აქეთ მე ის აღარ მინახავს, ასე, რომ მე ვერ შემიძლიან გითხრათ – თუ რას ჰფიქრობს, ან ვის აბრალებს თავის ქალის მოკვლას...

შემდეგ ექსპერტზე მივიდა საქმე. მათ იფიქრეს და ითხოვეს 15 წუთის შემდეგ მოგახსენებთო. ნახევარი საათის შემდეგ ითხოვეს ხვალამდე გვადროვეთო.

ამნაირად შემდეგი სხდომა დაინიშნა ორშაბათისთვის დილის 10 საათზედ.

სამართალი
ანდრეევსკის ქალის საქმე
თბილისის სამოსამართლო პალატაში
სხდომა 27 ნოემბერს

მთელი ორშაბათის სხდომა ექსპერტის დოკტორების ჩვენებას მოუხდა. თბილისელმა ექსპერტებმა: გარალევიჩმა, ბლიუმბერგმა, გლავაცკიმ და პავლოვსკიმ წარმოადგინეს პასუხი წერილობით იმ კითხვებზე, რომელიც მათ გაუგზავნა პროფესორმა საროკინმა. ამ პასუხმა ვერ დააკმაყოფილა პროფესორი საროკინი. მან წარმოსთქვა თავისი აზრი ანდრეევსკის ქალის ნინოს მკვლელობის თაობაზე.

საროკინი ოთხი საათის განმავლობაში საუბრობდა. გაარჩია თუ რა და რა ცვლილებებია და სხვაობა ხელით, წყლით, ბალიშით და ა.შ. დამხრჩველ გვამებს შორის. აუწერა თუ რა ნიშნები უნდა ჰქონოდა ანდრეევსკის ქალს, რომ ის, როგორც თბილისელი ექსპერტები ამბობენ, ჯერ დაეხრჩოთ და მერე წყალში გადაეგდოთ. სხვადასხვა ცნობების გამოყენებით და იმ დასკვნის გამოყენებით, რომელიც დოკტორებმა წამოაყენეს, მან საზოგადოებას დაუმტკიცა, რომ: ნ. ანდრეევსკის ქალი პირ-და-პირ წყალში არის დამღრჩველი. შესაძლებელია ვიღაცის ძალით, ხელის კვრით ჩაეგდო წყალში, მაგრამ ეს მეცნიერების საქმე და ჩემი კვლევის საქმე არ არისო.

პროკურორისა და დამცველ სპასოვიჩის კითხვაზე აქაურმა დოკტორებმა თავიანთი პირვანდელი შეხედულება გამოაცხადეს.

ექსპერტიზის დასამტკიცებლად ადვოკატმა სპასოვიჩმა ითხოვა,

1) რომ ექსპერტებმა უნახონ ბრალდებულ გაბისონიას კვალი გულზე იმ გაფხაჭუნლისა, რომელიც საავადმყოფოში წოლის დროს ჰქონია და რომელიც ვითომ იმ დროს დაჩნევია, რა დროსაც ნ. ანდრეევსკისა მოუკლავთ.

2) აგვიხსნან ექსპერტებმა – თუ რა დროს განმავლობაში ააფირფიტებს წყალი დამხრჩვალ ადამიანს.

3) გამოიკვლიონ ქიმიურად და მიკროსკოპულად ის მიწა და მწვანე ლაქები, რომელიც შერჩენია და ახლაც მოჩანს ნ. ანდრეევსკის პოლსაპოშეების ლანჩაზე. სპასოვიჩის ეს მოთხოვნა დააკმაყოფილეს და გამოიყო ექსპერტები: დოქტორი მალინინი და ქიმიკოსი სტროუვე. სპასოვიჩმა სთხოვა სასამართლოს, რომ სიტყვის ნება მისცენ პ. გაბისონიას.

პეტრე გაბისონია – საავადმყოფოში მიყვანისთანავე ის ექიმს გაუსინჯავს, მაგრამ მაშინ, მას არავითარი ნაფხაქნი ტანზე არ ჰქონია. ორი კვირის შემდეგ შეიძლება ჩემით გავიფხაქნე, რადგან თივიან და ეკლიან ლეიბზე ვიწექიო. კიდევ რომ მომეკლა სერთუკი, ჟილეტი და პერანგი მეცმოდა და როგორ გაატანდა ნინუცას ფრჩხილებიო. ახალგაზრდა პროკურორი მუდამ დღე დაიარებოდა საავადმყოფოში. 200 მანეთი მისცა ტუსაღებს ჩვენს გამოსატებად. ამისთანა კაცები რას არ მოიგონებენ და რას არ იტყვიან. ტყვილა ვიტანჯები სიმართლისთვის, ღმერთი არ არის თქვენში? არაფერი დამიშავებია, ღმერთმა ხომ იცის!...

„ფრონა“, №245, 30/XI, ხუთშაბათი, გვ. 1,2,3.

თბილისის სამოსამართლო პალატის

ბანჩინება

დღეს ნაშუადღევს ორ საათზე, თფილისის სამოსამართლო პალატამ დაადგინა განჩინება ანდრეევსკის ქალის მკვლელის თაობაზე.

თ.დ. ჩქოტუასა და პ. გაბისონიას შესახებ პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს გაჭდაწყვეტილება (ე.ი.დ.ჩქოტუას ჩამოერთვას

ყოველგვარი ღირსება და 20 წლით გაიგზავნოს ციხიბრში – კატორღაში და პეტრე გაბისონიას ათის წლით კატორღაში გაგზავნა.

თ.დ. ჩქოტუას შესახებ პალატამ არ მიიღო მხედველობაში ოლქის სასამართლოს პროკურორის პროტესტი და გადაწყვიტა იმის განთავისუფლება.

იქვე – მე-2,3 გვერდებზე

სამართალი

ანდრეევსკის ქალის საქმე, თბილისის სამოსამართლო პალატაში
სხდომის 28 ნომერის

ორმა ექსპერტმა უფ. დოქტორმა მალინინმა და ქიმიის მაგისტრმა სტრუვემ, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ მიკროსკოპით გაეინჯათ ის, რაც მათ დაავალეს, გამოაცხადეს, რომ ჩვენ იმაზე მცენარეული ნაწილაკების მეტი ვერა ვნახეთ რაო. სხდომის ნახევარი საათის შეჩერების შემდეგ პროკურორმა დაიწყო თავისი გამამტყუნებელი სიტყვა. პროკურორ ბიკოვის სიტყვა – იმ აპელაციაში, სადაც ნ. და დ. ჩქოტუებმა, პეტრე გაბისონიამ შეიტანეს ოლქის სასამართლოში ვპასუხობთ:

1) „ანდრეევსკაია – ჯერ მოკლა და მერე ჩააგდო

2) მას მტკვარში ბანაობა არ უყვარდა. ჭკვიანი და მორცხვი იყო და მთვარიან ლამეს, არ ჩავიდოდა საბანაოდ. არის კიდევ ერთი გარემოება, რომ მას გამოსაცვლები არ წაუღია, ამიტომაც ვასკვნი, რომ ტიტველი ტანით კაბა შემოცმული არ დაბრუნდებოდა სახლში. თავისით ის არასოდეს რა დაიხრჩობდა, რადგან იყო მეტად მხიარული და სიცოცხლის მოყვარე ქალი.

3) ნინო ანდრეევსკაია რომ თავისი ნებით არ დამხჩვალა ამტკიცებს

ის, რომ იმისი გვამი ყარაიაზე ნახეს. თბილისში დამხრჩვალ ადამიანს ამ ადგილზე მტკვარი 2-3 დღეში ვერ ამოიტანს. ექსპერტმა ტკაჩოვმა მოახსენა აქ სასამართლოს, რომ ქალაქიდან მეთექვსმეტე ვერსტზე მტკვარი რამდენიმე რტოთ იყოფაო და ეს რტოები ისე პატარები არიან (ზოგან ოთხი გოჯი), რომ მკათათვეში როცა მტკვარი პატარაა, იმ ტოტებს მძიმე საგნის წაღება სულ არ შეუძლიათ. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ნ. ანდრეევსკის დამხრჩვალ გვამი, აქ, თბილისში არ არის ჩაგდებული

4) ანდრეევსკაია ამ ადგილიდან წყალში ვერ ჩავიდოდა, თუ ჩავიდოდა წაღები დაესვრებოდა, რადგან აქ ყოველთვის წყალი მოწვეთავს და ადგილი ტალახიანია. ფეხსაცმელები სუფთაა.

5) ექსპერტების ჩვენებაც ამას ამტკიცებს. საროკინის ჩვენებაზე უფრო სანდონი ისინი არიან, რადგან მათ ნახეს გვამი და გააკეთეს სათანადო დასკვნები.

6) ხუთი ბრალდებული იყო ამ საქმეში გარეულები. ორი ქორიძე და მგელაძე უკვე მოკვდნენ. ამოსთქვეს, რომ დ. ჩქოტუას დავალებით ვმოქმედებდითო. მართალია და არ მიიღო ოლქის სასამართლომ, რადგან ლოლაძე მოქმედებდა გაიძვერობითაო და ჭილდოს დაპირებით გამოტეხა ისინი, მაგრამ ეს გამოტეხა მაინც ყურადღებაში მისაღებია.

შემდეგ პროკურორმა მოიტანა დ. და ნ. ჩქოტუების გამამტყუნებელი საკითხები, ფაქტები. რაც შეეხება მოტივებს ეს სასამართლოსათვის სულ ერთია.

რაც შეეხება ნ. ჩქოტუას იმას უნდა გადაეწყვიტოს სასჯელად 10 წლით კატორღაში გაგზავნა ციმბირში.

საქართველო

დღიური

დ. ჩქოტუას და პ. გაბისონიას ხელახლა გამტყუნებამ თფ. სამოსამართლო პალატისაგან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. ამ საზოგადოების მომეტებული ნაწილი, რომელიც ასე გულმოდგინედ აღევნებდა თვალყურს ამ საქმის გარჩევას ჯერ ოლქის სასამართლოში და მერე პალატაში უფ. პროფესორის საროკინის ექსპერტიზისა და ადვოკატ სპასოვიჩის სიტყვის შემდეგ, დიდს ექვეში დარჩა: ნამდვილად ვერ უთქვამს: მართლა ბრალდებულნი არიან დამნაშავენი, თუ არა. ზოგი კი ამათს სრულ უმანკობაში არიან დარწმუნებულნი.

კანონი, რასაკვირველია, ამას არ მიხედავს, მაგრამ ისინიც კი, რომელნიც ამათ დანაშაულობაში დარწმუნებულნი არიან, ამბობენ, რომ კმაროდა, ეყოფოდა ამათ, რაც ზნეობითი და ფიზიკური წვალება გამოიარესო!..

იქვე – მე-2, 3, 4 გვერდებზე

ანდრეეშკის ძალის საქმე

თბილისის სამოსამართლო პალატაში

სხდომა 28 ნოემბერს

ადვოკატის სპასოვიჩის სიტყვა: ვრცლად ისაუბრა მთავრობისაგან დაყენებული მოსამართლეების უპირატესობაზე, რადგან მათ აქვთ ყოველგვარი დოკუმენტები, ხელშესახები ცნობები და დასკვნის გამოცვლაც შეუძლიათ:

მაგრამ თქვენც ადამიანები ხართ. არც თქვენ შეგიძლიათ არ მიაქციოთ ყურადღება ისეთს მხარეებს, რომელზედაც ფუძნდება ნაფიც მოსამართლეთა გადაწყვეტილება: კანონს გარდა უნდა იქონიოთ მხედველობაში თქვენი რწმენა, კაცობრიული გრძნობა. და

თუ დამნაშავეს წინააღმდეგ აშკარა, ცხადი დამტკიცებანი და საბუთები არ არის, თუ თქვენ ექვში ხართ იმის დანაშაულობაზე, რასაკვირველია, გამართლებას ამჯობინებთ. ვინემ საექვო დამნაშავეს დასჯას.

წინასიტყვაობის შემდეგ იგი გადადის საქმის ვითარების ვრცლად გაცნობაზე:

1) საროკინის აზრი სწორია: ნინა ანდრეევსკისა წყალშია დამხრჩვალი და მას არ შეხებია ძალდატანება.

2) ბაშმაკები ნ. ანდრეევსკიას შეეძლო გაერეცხა წყალში. ან ადვილად შეეძლო ჩასულიყო წყალში და სულაც არ გაესვარა ფეხი. მშრალ ადგილზე გავლით.

3) წყალს შეეძლო 14 საათის განმავლობაში ნ. ანდრეევსკიას გვამი გაეტანა ყარაიაზისკენ. რადგან შემთხვევის ადგილიდან მტკვარი 17 ვერსის მანძილზე მდორედ მოედინება, ღრმაც არის და ჩქარიც. მართალია იყოფა იგი ტოტებად, მაგრამ მათაც შეეძლოთ გვამი წაეღოთ საათში 5 ვერსზე მაინც.

ამის შემდეგ მან ითხოვა დასვენების (10 წთ.) უფლება.

„ღრობა“, №247, 2/XII, შაბათი, გვ.23.

ანდრეევსკის ძალის საქმე

თბილისის სამოსამართლო პალატაში

სხდომა 28 ნოემბერს

ათწუთიანი შესვენების შემდეგ უ. სპასოვიჩი გადავიდა ამ საქმის ფსიქოლოგიურ მხარეებზეც.

1) ორიოდ დღის წინ ის იყო აბანოში, მას რიგი ჰქონდაო ამტკიცებენ უფ. მოსამართლე წინამძღვაროვი და მრეცხავი ქალი ზუევი. რიგის

შემდეგ ბანაობა ქალისათვის აუცილებელია.

2) ამისთანა მღვრიე წყალში ბანაობა როგორ შეიძლება? – ალბათ აინტერესებდა ბანაობა. ან წესიერი ქალი კი არ იტყვის უნდა ვიბანაო.

3) გავითვალისწინოთ შემდეგი. მართალია ნ. ანდრეევსკის დედა ქართველი იყო, მაგრამ თვითონ იგი იყო ტიპური წარმომადგენელი კარგი რუსი ქალისა: მხიარული, უბრალო და იმავე დროს არისტოკრატიული მიდრეკილებით თავისი ნათქვამი, დამოუკიდებელი ხასიათისა. ყმაწვილივით დაუდგარი, ცეტი და იმავე დროს ჭკვიანი, გონება-გახსნილი. შეაძლებელია ის უსაცვლოდ (დედამ არ შემიტყოსო და შევიდა) წყალში.

4) მთვარიან ღამეში გვერდით, მოპირდაპირე მხარეს მობანავენი ვერ დაინახავდნენ, რადგან მანძილი ნახევარ ვერსამდეა.

დ. ჩქოტუა შესახებ – ავი ძალღი მოაკვლევინა, დანარჩენი დაამწყვდევინა, რათა გარეშეების შემოსვლა სახლში აღარ გაეგოთო. დავითს სინამდვილეში შეუძენია ცოფის წამალი ორი კვირით ადრე და გადაუხდია 3 მანეთი (ეს მის პატარა დავთარში ჩაწერილია, სხვათა შორის), რახან წინაღვე ძალღი მოკლეს, შეიძლება დანარჩენებს შეეშინდათ და მიიმალნენ აქეთ-იქეთ, ჩუმად იყვნენ. ძაღლებსაც აქვთ ჭკუა!

ამბობენ, რომ თითქოს მომკვდარს ქორიძეს ეჩვენებინოს, რომ როცა ანდრეევსკის ქალს ახრჩობდნენ, დ. ჩქოტუა რევოლვერით დამადგა თავზეო და მითხრა, წადი აქედამ, თორემ ახლავ მოგკლავო. საქმის გამოძიებამ დაამტკიცა, რომ მას რევოლვერი დატუსაღების წინა დღით უყიდა.

თითქმის ყველა საბუთები ამგვარი არიან და ამისთანა ფაქტების საფუძველით ჰსურთ სამი კაცი დალუპონ!

დ. ჩქოტუას უკანასკნელი სიტყვა: უფ. მოსამართლენო! ჩემი სინდისი სუფთაა და ეს სინდისის სისუფთავე მანუგეშებდა მე იმ ორი წლის განმავლობაში, რომელიც მე გავატარე საპყრობილეში. განაჩენი უკვე ვიცი.

„დროება“, №251, 8/XII, პარასკევი, გვ. 1, 2.

საქართველო

ანდრეევსკის პროცესის ბაზო

როგორც სიღნაღის არეულობის საქმის გარჩევამ გამოააშკარავა ზოგიერთი არა საქები და არა სანუგეშო მხარეები აგრეთვე ანდრეევსკის ქალის პროცესმა გამოაშკარავა ზოგიერთი ისეთი მხარეები, რომელნიც ღირსნი არიან საზოგადო ყურადღებისა.

ბრალდებულმა პ. გაბისონიამ თქვა სასამართლოში, რომ ნ კვირის განმავლობაში ტომში — ბნელ ოთახში ჩამაგდესო: შვიდი თვე საცვალი ტანისამოსი არ მოუკარებიათ ჩემთვის, სავარცხელი არ მინახავსო.

დოქტორმა მარქაროვმაც დასასჯელად ნახევარი პორციის მიცემა გადაუწყვიტა.

სპასოვიჩმა გაანადგურა აქაური მოსამართლისა და პოლიციის, ზოგჯერ დოქტორების მოქმედებაც კი: ამისთანა წესები არათუ არ მინახავს, არც კი გამიგონია, რომ ამ უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში მომხდარიყოს თვით რუსეთშიო.

ს. მესხი

„დროება“ — 1876 წლის №81, გვ. 1, 4/ მარიამის თვე

საბრალო ნ. ე. ანდრეევსკის ქალის სიკვდილი თან და თან აღელვებს და იპყრობს თბილისის საზოგადოების ყურადღებას. გამოძიება ამ საქმის თაობაზე, როგორც წინეთ ვაცნობეთ მკითხველს, ფიცხლათ და ძრიელ დაკვირვებით მიდის, – მთელი თბილისის საზოგადოება ერთნაირად მოწადინებულია სიკვდილის მიზეზის გამოაშკარავებისა. ჩვენს განთქმულს მძებარს – ლოლაძეს, როგორც გავიგეთ ძრიელ მონდობილათ მოუკიდია ხელი ამ საქმისათვის და საზოგადოებასაც იმედი აქვს, რომ ის რასმეს ამოაჩენს.

„ღროება“, №82, 6/VIII, პარასკევი. გვ. 1

დღიური

ორი კაცი არ შეხვდება ამჟამად ისე ერთმანეთს ჩვენს ქალაქში, რომ გამარჯვება – გაგიმარჯოს მაგიერად, არ იკითხონ: ანდრეევსკის ქალის თაობაზედ ახალი რა იცითო? აღმოაჩინა რამე გამოძიებამ, თუ არაო? ზოგიერთები რომელთაც ეს საბრალო ქალი იქნება სულაც არ უნახავთ, ისეთს მღელვარებასა და შფოთში არიან, ისე დარბიან რომელიმე ახალი ამბის შესატყობად, რომ კაცს ეგონება, უეჭველად ძალიან მანლობელს ვინმე ჰკითხულობენ ესენიო, მთელი ამათი სიცოცხლე ამ საქმეზედ არის დამოკიდებულიო...

უფ. დ. ჩქოტუას დაქერის მიზეზი ის იყო, როგორც ამბობენ, რომ იმ დღეს (ხუთშაბათს), როდესაც ანდრეევსკის ჭალი მოკლეს, როგორც ზოგიერთ მოწმეებს უჩვენებიათ, იმის ბრძანებით ყველა ძაღლები დაუმწყვდევიათ და ამას გარდა ეზოში დააიხსლიანებული ცული უნახავთ, რომლითაც წინა დღეს ორი, რომელიც უფრო ავი ძაღლი ყოფილა, ამავე ჩქოტუას ბრძანებით, მოუკლავთ ბიჭებს. უ. ჩქოტუა ამბობს, ცოფი იყოო... შინაურები კი არ ამტყუნებენ.

თ. გ. შარვაშიძე და თ. გ. ანჩაბაძე წავიდნენ ქალაქიდან; პირველი ამათგანი, როგორც ამბობენ, თავის ცოლის შესარიგებლად წასულა, რომელსაც ამ დღეებში აქ მოელიან, ანდრეევსკის ვაჟი კი ქალაქში ამ ჟამად ვერ მოდისო.

„დროება“, №83, 8/VIII, კვირა, ბმ.2.

დღიური

არაფერი ახალი ამბავი შესახებ ანდრეევსკის ქალის მოკვლისა. ამბობენ, რომ გამოძიება ამ ერთ თვეზე აღრე ვერ გათავდებაო. ამას წინათ ხმა გავარდა, რომ დატუსაღებული დ. ჩქოტუა გამოუშვეს მეტეხიდანო, მაგრამ ეს ხმა არ გამართლდა.

„დროება“, №86, 15/VIII, კვირა, ბმ.1

დღიური

ანდრეევსკის ქალის მოკვლის თაობაზე სჩანს, ჩვენზე უფრო მომეტებული ქუთაისში სცოდნიათ... მაგრამ ჯერ ჩვენ არ ვიტყვით რა ცოდნიათ იქ და რას ლაპარაკობენ. ეს კია, რომ თუ ნახევარი მაინც მართალი გამოდგა, რასაც იქ ამტკიცებენ, საქმე გამოკვლეული იქნება და დამნაშავენი მალე აღმოჩნდებიან.

„დროება“, №108, 10/X, კვირა.

დღიური

ნ. ანდრეევსკის ქალის დადრჩობის თაობაზე საქმის გამოსაძიებლად, უფ. კობიევის მაგივრად, რომელიც სიღნაღის მომრიგებელ სასამართლოში გადაიყვანეს დაინიშნა უფ. ა.

ფიფინაშვილი, მძიმე საქმეების გამომძიებელი ქუთაისის ოლქის სასამართლო ში.

საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა ჩვენს ქალაქში ამ საქმის თაობაზე; ათასში ერთხელ თუ გაიგონებდით რასმე ამ შესანიშნავ შემთხვევაზე. სხვა გარემოება, სხვა ამბავი აწუხებს ამ ეამად ქალაქელებს: ყველა ომიანობაზე ლაპარაკობს.

„დროება“, №109, 13/X ოთხშაბათი

დროების კორესპონდენცია

საჩხერე--

საწყალი ბარათაშვილის ქვრივი სწორეთ იმ ნაირი მოკლულია, როგორც ანდრეევსკის ქალი, იმ მიზნით და იმ დაწყობილი პლანებით.

ანდრეევსკის ქალის გვამზე მთელი გაზეთები ლაპარაკობენ, მასზე კი ლაპარაკი არ ყოფილა...

„დროება“, №33, 14/III, ოთხშაბათი

დღიური

პეტერბურლის გაზეთებში იწერებიან, რომ დ. ჩკოტუას საქმეს ამ თებერვალს 16-ს გაარჩევენ სენატშიო. ბრალმდებლის დამცველად სენატშიც უფ. სპასოვიჩი იქნებაო.

ბამოყენებული წყაროები

და ლიტერატურა

1. ჩქოტუა დ., განათლებაზე, გაზეთი „დროება“, 1870წ., 17(29) – VII, №28, 1-2.
2. ჩქოტუა დ., უცხო ენის მოქმედება ხალხის აზრის გახსნაზე, გაზეთი „დროება“, 1870წ., 18(30), IX, №37, გვ3-4
3. ჩქოტუა დ., რა მოელის ამგვარ ჩვენ ცხოვრებას? გაზეთი „დროება“, 1870წ., 14(26), XI, №45, გვ3-4-5.
4. ჩქოტუა დ., ტყიბულას თაობაზე, გაზეთი „დროება“, 1871წ., 3/IX, №35, გვ. 1-2
5. ჩქოტუა დ., ორი ჩვეულება აფხაზეთში, ფელეტონი, გაზეთი „დროება“, 1872წ., 4/VIII, №30, V 3-4
6. ჩქოტუა დ., მიწის ისტორია ანუ გეოლოგია, I ნაწილი, „სასოფლო გაზეთი“, 1870წ., 31/1, №2, გვ5-6-7.
7. ჩქოტუა დ., მიწის ისტორია ანუ გეოლოგია, II ნაწილი, „სასოფლო გაზეთი“, 1870წ., 21/2, №3, გვ2-3.
8. ჩქოტუა დ., მიწის ისტორია ანუ გეოლოგია, III ნაწილი, „სასოფლო გაზეთი“, 1870წ., 15/8, №14, გვ4-5-6.
9. ჩქოტუა დ., საკმლის მნიშვნელობა ხალხის ცხოვრებაზე, I ნაწილი, „სასოფლო გაზეთი“, 1871, 5/1, №7, გვ. 4-5.
10. ჩქოტუა დ., საკმლის მნიშვნელობა ხალხის ცხოვრებაზე, II ნაწილი, „სასოფლო გაზეთი“, 1871, 18/2, №8, გვ4-5-6.
11. ჩქოტუა დ., საკმლის მნიშვნელობა ხალხის ცხოვრებაზე, III ნაწილი, „სასოფლო გაზეთი“, 20/4, №9, გვ4-5.
12. ჩქოტუა დ., საკმლის მნიშვნელობა ხალხის ცხოვრებაზე, IV ნაწილი, „სასოფლო გაზეთი“, 30/5, №10, გვ4-5-6.
13. ჩქოტუა დ., იოანე გუსი, სალიტერატურო ჟურნალი „კრებული“, 1873წ., №10.
14. ჩქოტუა დ., ქართული ენის მოყვარულთა საყურადღებოდ, სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი „განათლება“, 1913წ., №8
15. ჩქოტუა დ., რუსთაველის პოემის გმირები და მსოფლმხედველობა,

თსუ შრომები, ტ. I, 1937წ., გვ.165-203.

16. ჩქოტუა დ., წერილები ვასილ პეტრიაშვილისადმი, შ. გოზალიშვილის პუბლიკაცია, „მნათობი“, 1966წ., №12, გვ.136-144.

17. ჩქოტუა დ., წერილები ვასილ პეტრიაშვილისადმი, შ.გოზალიშვილის პუბლიკაცია, გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი“, 1966წ., 20/8, გვ.3.

18. ჩქოტუა დ., ერთი წერილი შალვა დადიანისადმი, 1920 წლის 20 ნოემბრის თარიღით (რუსულ ენაზე), შ. დადიანის არქივი, საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურული მუზეუმი.

19. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის სხვადასხვა საარქივო დოკუმენტების ფონდი (საბუთები დ.ჩქოტუას ცხოვრების შესახებ).

20. აბულაძე ი., რუსთველოლოგიური ნაშრომები, თბ., 1967.

21. აგიბალოვა ნ., შუა საუკუნეების ისტორია, თბ., 1955

22. ბოცვაძე ლ., „დაბა ზუგდიდში გამართული სახალსო მასწავლებელთა კურსები, სამეცნიერო და პოლიტიკური, სალიტერატურო ჟურნალი „განათლება“, 1917წ., №11

23. გოზალიშვილი შ., „დავით ჩქოტუას უცნობი წერილები შოთა რუსთაველზე“, გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 1966წ., №36.

24. გამსახურდია ზ., „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, თბ., 1991.

25. გოზალიშვილი შ., „დავით ჩქოტუას წერილები „ვეფხისტყაოსნის შესახებ“, „მნათობი“, 1966წ., №12.

26. გურუშვილი მ., წერილები ლიტერატურაზე, „ვეფხისტყაოსანი“ და მე-19 ს.-ის ქართველი მოღვაწენი, თბ., 1990

27. დადიანი შ., გვირგვინების ოჯახი, თხზულებათა საერთო კრებული, ტ. III, თბ. 1960.

28. დლიური, „დროება“, 1873წ., №40.

29. იმედაშვილი გ., რუსთველოლოგია, თბ., 1941.

30. კალანდაძე ალ., ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან, თბ., 1965.

31. მალრაძე ელ., დათა მიქელაძე, თბ., 1963.

32. მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის მკვლევარნი, „ილია ჭავჭავაძე“, „გიორგი წერეთელი“, „აკაკი წერეთელი“, თბ., 1990.

33. მეგრელიძე ი., დავით ჩქოტუა - რუსთველოლოგი, ჟურნალი „რიწა“, სონეტი, 1976.

34. მესხი ს., წერილები, ი. ბოცვაძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, სოხუმი, 1950.
35. მესხი ს., „სასამართლო საქმე“, „დროება“, 1876წ., №77.
36. მესხი ს., „ვინ არის მკვლელი?“, „დროება“, 1876წ., №78.
37. მესხი ს., „საკვირაო საკითხავი“, „დროება“, 1876წ., №79.
38. მესხი ს., „სასამართლო სხდომაზე“, „დროება“, 1878წ., №45.
39. მესხი ს., „დავით ჩქოტუას გამტყუნება“, „დროება“, 1878წ., №45.
40. მესხი ს., „სასამართლო საქმე“, „დროება“, 1878წ., №49.
41. მესხი ს., „ანდრეევსკის ქალის მკვლელობა“, „დროება“, 1878, №187.
42. მაჭავარიანი თ., ბოლოსიტყვაობა, ქართული გაზეთის ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ტ. II, 1952.
43. მიქელაძისა და წულუკიძის დავა, „დროება“, 1877წ., №20.
44. ნიკოლაძე ნ., საკვირაო, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IV, თბ., 1964.
45. ნიკოლაძე ნ., „ტყიბულას თაობაზე“, „დროება“, 1871წ., №35
46. უცხოელის აზრი ვეფხისტყაოსანზე, „ივერია“, 1884წ., №11, 12.
47. უმიკა შვილი პ., „საქართველოს მოამბის“ შესახებ, „ივერია“, 1883, №8.
48. ქართული ჟურნალისტიკის ნარკვევები, ტ. I, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1979.
49. შონია ბ., ცნობები სოფ. საბერიოს შესახებ (ინახება ავტორთან).
50. შონია ნ., ცნობები დავით ჩქოტუას შესახებ (ინახება ავტორთან).
51. ჩავლეიშვილი ალ., „მალვა დადიანის ერთი კერძო წერილი“, ჟურნალი „ლიტერატურული აქარა“, 1961წ., №1
52. ცაიშვილი ს., ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1962.
53. ცაიშვილი ს., „პარიზის კომუნა“ და 70-იანი წლების ქართული პრესა, გაზ. „სახალხო განათლება“, 1951წ., №12.
54. ცაიშვილი ს., წინამორბედნი და თანამედროვენი, თბ., 1986.
55. ცაიშვილი ს., აფხაზი მწერლისა და მეცნიერის გახსენება, გაზ., „კომუნისტი“, 1982წ., №4.
56. ცაიშვილი ს., მასალები დ. ჩქოტუაზე, პირადი არქივი.
57. წერეთელი აკ., თხზულებათა სრული კრებული, ტ. 14, თბ., 1961.
58. წერეთელი აკ., თხზულებათა სრული კრებული, ტ. VII, თბ., 1958.
59. წერეთელი გ., თხზულებანი, ტ. I, თბ., 1963.

60. ჰავჭავაძე ი., თხზულებათა სრული კრებული, ტ. V, თბ., 1955.
61. ჭურღულია ო., დავით ჩქოტუა, სოხუმი, 1969.
62. ჭურღულია ო., აფხაზი და ქართველი ხალხების კულტურულ-მეგობრული ურთიერთობის ისტორიიდან, კრიტიკული ნარკვევებ, I ნაწილი, სოხუმი, 1958.
63. ჭურღულია ო., „სიტყვა ფიქრის სხეულია“, წერილები და გამოკვლევები, თბ., 1992.
64. ჯანაშია ს., დავით ჩქოტუა და მისი ნარკვევები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, თაუ შრომები, ტ. I, 1937.
65. Судебные речи известных русских юристов, М. 1957.
66. Убийство девицы Нины Ерастовны Андреевской 22-го июля 1876 года. Т., 1878
67. Церетели А., „Приехали из Петербурга“, газ. „Тифлисский вестник“, 1878г., №247.

სარჩევი

მარინე ჯაიანი — დავით ჩქოტუას ცხოვრება და შემოქმედება

ნაწილი I

დავით ჩქოტუას ცხოვრების გზა	3
დავით ჩქოტუას პუბლიცისტური წერილები	41
დავით ჩქოტუას საენათმეცნიერო შეხედულებანი.....	92
დავით ჩქოტუას რუსთველოლოგიური ძიებანი.....	98

ნაწილი II

დავით ჩქოტუა — რუსთაველის პოემის გმირები და მათი მსოფლმხედველობა.....	150
ორი ჩვეულება აფხაზეთში.....	186
ზოგიერთი აზრები ჩვენს მდგომარეობაზე.....	192
ტყიბულას თაობაზე.....	199
განათლებაზე.....	201
უცხო ენის მოქმედება ხალხის აზრის გახსნაზე.....	206
რა მოელის ამგვარ ჩვენ ცხოვრებას?.....	212
იოანე გუსი.....	217
სამეცნიერო, პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი „განათლება“	230
მიწის ისტორია ანუ გეოლოგია.....	240
საკმლის მნიშვნელობა ხალხის ცხოვრებაზე.....	256
წერილები ვასილ პეტრია შვილს.....	264

ნაწილი III

უდანაშაულო დამნაშავე ნინა ანდრეევსკაიას მკვლელობის საქმე.....	281
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა.....	314



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0128, ი. ჯავახიშვილის გამზ. 1, ☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge